


ერლომ ახვლედიანი

ქართველი

და

ახალი



ერლომ ახვლედიანი მწერალი, კინოდრამატურგი. დაიბადა თბილისში 1933 წლის 23 ნოემბერს. შშიობლები: ბარბარე დადიანი, სერგო ახვლედიანი; შვილები ანა (1970), ბაქარი (1987). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკულტეტი (1957), უმაღლესი სასცენარო კურსები (მოსკოვი, 1964). იყო კულტურის ქეგლთა დაცვის საზოგადოების ინსპექტორი (1959-60), საქართველოს ტელე-რადიოკომიტეტის მხატვრული ტელეფილმების სტუდიის უფროსი რედაქტორი (1967-68), „ქართულ ფილმთან“ არსებული მწერალთა შემოქმედებითი გაერთიანების წევრი (1971-72), სატელევიზიო ფილმების სტუდიის უფროსი რედაქტორი (1979-87), თსთი სასცენარო ჯგუფის პედაგოგ-ხელმძღვანელი (1982-87, 1995-99). არის ავტორი წიგნებისა: „ზარმაცი თაგუნას ამბავი“ (1971); „ვანო და ნიკო“ (თარგმნილია და გამოქვეყნებული რუსულ, სომხურ, ჩუბურ, გერმანულ, უნგრულ და არაბულ ენებზე), 15 ფილმის ავტორი და თანაავტორი, გთა შორისაა „აპრილი“, „ფიროსმანი“, „ივანე კოტორაშვილის ამბავი“, „ამაღლება“, „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხზე“, „არასერიოზული კაცი“, „ცხელი ზაფხულის სამი დღე“, „ძნელი დასაწყისი“, „გზა შინისაკენ“, „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“ და სხვა. არის სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

ერლომ ახვლედიანი



ქველი

და

ახალი

F 80.542|3

K 298 279|3

დოლ ესეთი

2003 წელი



სარჩევი

ამ წიგნში ცხოვრების სიბრძნის არაერთ ფორმულას
აღმოაჩინთ 5 კრიტიკული 208 დოკუმენტის

ძველი და ახალი

| | |
|---------------------------------------|-----|
| სათავიდანვე! | 12 |
| მოდით, ვებრძოლოთ ერთმანეთს! | 21 |
| დამარცხება და გამარჯვება | 26 |
| ულმერთოდ მომენატრა შენთან ლაპარაკი | 51 |
| ვეძებ სამშობლოს! | 60 |
| რა ანგრევს იმპერიას | 69 |
| ვქმნით ახალ პარტიას | 76 |
| ერიდეთ სიკეთის ქმნას... | 83 |
| ხალხი, რომელსაც სამშობლო არ უყვარს | 87 |
| ყველაზე გრძელი გზა — მომდევნო ნაბიჯი! | 93 |
| სხვისი განვითხვა — თავის გაცემა | 100 |
| მარხვა და ეკოლოგია | 104 |
| ამბავი კაცისა, რომელმაც კარგად ივაჭრა | 111 |

| | |
|-------------------------------------|-----|
| მყარი და განუყოფელი | 114 |
| მამულისათვის | 118 |
| | |
| რატომ ეშინია ადამიანს სიკვდილის | |
| ანუ როდის არ ეშინია მისი? ----- | 131 |
| | |
| მე სადაგი დღეები უფრო მიყვარს ----- | 139 |
| | |
| ჩემი ბრძოლა ----- | 144 |
| | |
| ბრძოლა გრძელდება ----- | 149 |
| | |
| სიმყარის ძიებაში ----- | 153 |
| | |
| სიღარიბე და სიმდიდრე ----- | 167 |
| | |
| ცოდვა და მაღლი ----- | 172 |
| | |
| „თუ“ და „ვაითუ“ ----- | 177 |
| | |
| ბიბლიური გაკვეთილები ----- | 184 |
| | |
| ინტერვიუ | |
| | |
| სხვა გზას ვერ ვხედავ ----- | 192 |
| | |
| პროზა | |
| | |
| წიგნი სიყვარულისა ----- | 202 |

ერლომ ახვლედიანი

„დილის გაზეთში“



„დილის გაზეთი“ მადლობას უხდის
პარტია გაერთიანებული დემოკრატების ლიდერს,
ბატონ ზურაბ უვანიას
(ერლომ ახვლედიანის ნათლულს)
იმისთვის, რომ „გვაპოვნინა“
ბატონი ერლომი.

„დილის გაზეთის“ დევიზი:

განსიცვლებულების უფლებების, რომ ქვეყანაზედ ქადაღდის
გარდა არის კიდევ სიჩდის, რომელზედაც იწერება
პირობა იმ სიძევიდროით და სისტემით, რომ არაფინანს
ძალა არ ამოშლის და არ გააქტინის.

25

ამ წიგნში ცხოვრების სიბრძნის არაერთ ფორმულას აღმოაჩინთ

მანა კართველი

ბატონ ერლომ ახვლედიანს რომ პეითხოთ, ის მწერალი კი არ არის, ცდილობს, წერით მიუახლოვდეს რეალობას, უბრალოდ, წერს, როცა არ აძალებენ. ამას გარდა, მიიჩნევს, რომ პედაგოგი კი არ არის, ცდილობს, თითოეულ თავის შევირდში გამოავლინოს ის ინდივიდუალობა, რაც რეალიზების საშუალებას მისცემს ახალგაზრდას.

ასეთი რამეც უთქვამს, სახელოვანი კინოს ცენტრის ტობა მითია, ჩემს გვერდით ყოველთვის იყვნენ ისეთი ნიჭიერი ადამიანები, რომლებიც იმსახურებდნენ თანადგომას და თანამოაზრეობასო.

ბატონ ერლომს პერია, მას გაუმართლა და მისგან საზოგადოება ქმნის პოზიტიურ გმირს, უშურველად მიაწერენ იდეალურ შტრიხებს. აյი მამამაც დააბრალა ამ ქვეყანაზე მოვლენის თანავე ერის ლომობა — ერლომობა. მას კი, თურმე, მთელი ცხოვრება აფრთხობს ეს სახელი და ნათლობით შეძენილი სახელი ურჩევნია — გიორგი, ის ხომ გიორგობა დღეს არის დაბადებული.

...მოგითხოთ ერლომ ახვლედიანზე, ამვერად ზედმეტი თავგამოდებაა, იმ

უბრალო მიზეზის გამო, რომ ამ წიგნში ბატონი ერლომი თავად მოგითხრობთ საკუთარ თავზე. ის არ მაღავს, რომ ერთობ კონკრეტული დეტალების, პირადი მოგონებების, განცდების განზოგადებას და განსვებას ცდილობს. მისი თქმილის მანერა იმდენად უშეალო და გულწრფელია, ყოველგვარი მანერულობისაგან თავისუფალი და ლალი, რომ ვერც კი გრძნობთ, როგორ გმოძლვრავთ და "გაყლა-პებთ" შეგონებას — რაღაც უაღრესად საინტერესო თემას, პოზიციას. მან აღმოაჩინა არაერთი ფორმა საიმისოდ, რომ პუბლიცისტური განსვება გახდეს მისაწვდომიცა და მისაღებიც. ვიქები გულწრფელი და გეტყვით, მეგონა, რაკი ამ რუბრიკით თავმოყრილი ყველა წერილი წაკითხული მქონდა, სწრაფად ჩავიკითხავდი ანაბუჭდს წინასიტყვაობის დასაწერად, მაგრამ სწრაფად ჩასაკითხი წიგნი არ არის "ძველი და ახალი", სიმშეიდოთ წასაკითხია და თვითჩაღრმავებისკენ გიბიძგებს. ამიტომ ისინი, ვისაც საკუთარი თავი ზედმიწევნით მოსწონთ და თვითკრიტიკის-თვის არ ემეტებათ, დროს ნუ დაკარგავენ — ერლომ ახვლედიანის კითხვა მათ არ სჭირდებათ.

ეს წიგნი საკუთარ თავში მოგზაურობის სურვილს აჩენს. ასეთი წერილების სერიაც აქვს ბატონ ერლომს, მას "1001 სიცოცხლე" ჰქვია, მაგრამ როგორც თვითონ უყვარს ხოლმე ხუმრობა, ვიდრე ავტორი ცოცხალია, გრძელდება "1001 სიცოცხლე" და საწიგნედ ვერ დასრულდება.

წიგნში არ შევიდა "კოლო ქალაქში", რაკი რაღაც ეტაპზე ავტორმა საჭიროდ აღარ მიიჩნია მასზე მუშაობის გაგრძელება. ამით იმის თქმა გვინდა, რომ წიგნი გამოდის "დილის გაზეთის" ტრადიციული სერიით და მას ჰქვია "ერლომ ახვლედიანი "დილის გაზეთში", მაგრამ სრულად ვერ ასახავს ბატონი ერლომის შეიძლებას" თანამშრომლობას "დილის გაზეთთან". ანუ რედაქცია, ბუნებრივია, მოწადინებული იყო საკუთარი თავმოსაწონები ავტორის მაქსიმალურად სრული კრებული წარმოედგინა, მაგრამ მან არ დავვანება — ამვერად ეს ვიკმართ, იმათ კიდევ მივუბრუნდები, მუშაობა მჭირდება.

მუშაობა ბატონ ერლომს ქალისება, მაგრამ საამისოდ მცირეოდენი „კომფორტი“ სჭირდება — ონკანში წყალი არ უნდა იყოს გაყინული, ლამაზი ნავთი უნდა ესხას, არსად არ უნდა ელოდნენ და ბაქარს უნდა პქონდეს სუფთა ტანძესმონ-სი. ოვეახში ხომ ქალიც ის არის და კაციც. იქ კიდევ სიჭარმაგე ჩასაფრებულა და სანდახან ააბუზლუნებს ხოლმე, აღარ მეწერებაო, მაგრამ გამოჩნდება მისი რომელიმე საყვარელი შეგირდი, გადმოაქვეინებს უვარებს და თავიდან იწყება ათასგზის განსახორციელებელ წამოწყებებზე ფიქრი. ხელახლა იწყება გაყვითლებული ფურცლების შევერება და გადაწერა. მისთვის წერა სანატრელი მდგომარეობაა და ბუნებრივია, სათქმელით იწყება, უფრო სწორად, სათქმელისთვის ფორმის მორგებით იწყება. თავდაპირველად გაუბედავი მთხრობელის ხმა გესმით, რომელმაც იცის, რომ „ნახევარკოდნა სრულ ცოდნაზე ძლევამოსილია, უმეცრება კიდევ უძლეველი“, მაგრამ სწორედ უმეცრების და უგუნურობის წინააღმდეგ არის ამხედრებული ავტორი და თხრობის დასასრულ, სწორედ ხმამაღლი ყოინების გარეშე, ისევ ჩურჩულით, ძალიან სადად და მარტივად ამბობს იმ საკანძო ფრაზას, აზრს, რომელიც გულში ჩაგრჩებათ.

ბატონი ერლომი ბევრ არაკე გვიამბობს, ბევრ ქრესტომათიულ ციტატას გვახსენებს, მაგრამ მისი საბოლოო სათქმელი მუდამ არატრივიალურია.

რამდენიმე ფრაზას შემოგთავაზებთ, რომ მერე ეძებოთ წიგნში გაბნეული ეს სიტყვები:

გიორგი და კოტე ჩემთან დადიოდნენ კვირაობით, როცა ჩვენ ბიბლიას ვკითხულობდით...

ვყიდი სახლს, რომელსაც არ ვყიდი...

...ეს იმიტომ, რომ მისკენ მიმავალი შენ შენს თავს ამართლებდი და მას კი ამტყუნებდი. კვლავ წადი და გზად განიკითხე თავი შენი და უცადე მის გამართლებას. მხოლოდ ასე არის შესაძლებელი ძმის კვლავ მოპოვება.

სადაც გტკივა, გულიც იქა ფეთქავს...

თავისუფლება ზნეობრივი კატეგორიაა და მას სინდისი არეგულირებს თვით-შეზღუდვის საშუალებით. მართვა შესაძლებელია მხოლოდ შეინიდან. ტოლისტოს თქმისა არ იყოს, თუ სინათლე თვითონ არ ანათებს, მას გარედან ვერ გაანათებს გამოიყენება...

ჩინელები ის ხალხია, ვინც დენთი გამოიგონა, მაგრამ არ უფიქრიათ მისი გამოყენება...

თუ გინდა, გათავისუფლდე ცოდვისგან, უნდა ბოლომდე განიცადო იგი, რათა ამოქმედო შენში სინანული, როგორც თანანადები, ვალი.

იგრძნო თავი სულიერ ცხვრად, უდიდესი ბედნიერებაა, მაგრამ მალევე აღ-მოჩნდა, რომ ამ "სულიერ კიდობაზში" სხვა ამინდია, ხოლო მის გარეთ სულ სხვა...

მაშასადამე, თუ იმპერიას კრავს სოციალური ინტერესების ერთიანობა, ან-გრევს ეროვნული შეუთაფსებლობა...

შემოქმედებითობა ნიშნავს არა სხვას აჯობო, არამედ აჯობო საკუთარ თავს...

განა სხვისგან ნათქვამი უმჯობესი აზრი შენი აღარ არის? რად გავმართეთ ამბიციების დოლი?..

ფრაზების შეგროვება ჩემი ბავშვობისდროინდელი გატაცებაა და ამდენად, ბა-ტონი ერლომის თხზულებებიდან კიდევ უამრავი ფრაზა მაქვს ამონიშნული, მაგ-რამ თქვენ აღარ შეგაწყვნოთ თავს. დავასრულოთ ქს წინასიტყვაობა. თუმცა, ერთი ხვაშიადის გამხელის გარეშე ვერ დავასრულებოთ. ბატონი ერლომი დღემდე გურამ რჩეულიშვილის მეგობრობით ამაყობს. "დილის გაზეთი" კი ამაყობს ბატონი ერ-ლომის მეგობრობით. "დილისგაზეთელები" რამდენჯერ გაკვირვებულები დაფ-რჩენილვართ, როცა იგი სწორედ მოვლენების ეპიცენტრში დაგვჭვედრია, თავისი დაბნეული და დაძაბული სახით. მან რატომდაც ყოველთვის იცის, სად რა ხდება და სიტუაციისთვის ტელევიზორით თვალის მიდევნებას ურჩევნია, თვითონაც სა-ზოგადოების გვერდით იგრძნოს თავი. ამიტომაც, ბატონი ერლომი არასდროს ექცევა მასმედიის შექმნილ შაბლონებში და ყოველთვის უაღრესად საინტერესო პოზიცია აქვს. იგი ჩვენთვის, უურნალისტებისთვის ყოველთვის სასურველი რეს-

პონდენტია, გვანებივრებს საგულისხმო კომინტარებით. რა გასაკვირია, რომ
არაურთ პერიოდულ გამოცემაში იბჟვედებოდა ერლომ ახვლედიანის წერილები
და წერილები ერლომ ახვლედიანზე, მაგრამ „დილის გაზეთში“ სერიოზულად კუნ-
ვიანობდით ამის გამო, იქნებ ეს პატარა წიგნიც ამ კუნივანობის გამოხატულება?

გვინდა დავიჩიემოთ ერლომ ახვლედიანის სტრიქონები, მაგრამ ბატონი ერლომის
არაკისა არ იყოს, შეურიან კაცზე რომ ამბობს — თუ შედეგი მოქმედებისა სასიკუ-
თოა, ერქვას „დაჩიმება“, „ეჭვიანობა“, „შური“, ოღონდ მოისხას ისეთი საგულის-
ხმო ნაყოფი, როგორიც ეს წიგნი გამოვიდა.

ბატონმა ერლომმა ამოიცნო, რომ ჩვენს თავისუფალ, ხმაურიან დღევანდვ-
ლობას გაჩუმების ოსტატობა სჭირდება და გასაჩუმებელი წიგნი დაგვიწერა, უნ-
და, ერთმანეთის უსიტყვოდ გაგება გვასწავლოს.

ହୃଦୟ ରା ଆନନ୍ଦ

ၭ၁တ၁၃၈၇၄၁၆၂၅



მდინარის გაწმენდა-გასუფთავება სათავიდან უნდა
დავიწყოთ და ბოლომდე მივყვეთ

და შრქეა მათ: ამისათვის უოველი
მწიგნობარი, დამოწაფებული სასუფევლისა
ცათასა, მსგავს არს იგი კაცსა სახლისა
უფალსა, რომელმან გამოიღის საუნჯისაგან
თვისისა მუელი და ახალი.

მათი 13,52.

მაცხოვრის ქს სიტყვები შემდეგნაირად არის განმარტებული: მოციქუ-
ლებმა, იქსოს მიერ გამსწავლულმა მწიგნობრებმა, იცოდნენ ძველი
წინასწარმეტყველებაც და ახალი მოძღვრებაც ცათა სასუტყველის შე-
სახებ. ამიტომ ისინი ამ ცოდნით ისარგებლებენ ისე, როგორც სახლის
უფალი, რომელსაც თავისი საგანძურიდან გამოაქვს ძველიც და ახა-
ლიც საჭიროების მიხედვით.

და აი, დადგა უამი ჩვენს ისტორიაში, როცა ქს დიდებული შეგონება
უნდა ამოქმედდეს. დღეს ჩვენ ვართ და არა ვინმე სხვა, ჩვენი ქვეყნის
სახლის უფალი, ხოლო საგანძური და საუნჯე არის ჩვენი მრავალ-
საუკუნეები გამოცდილება, რომელიც ისტორიის კოშმარიდან გა-
მოვიტანეთ. რა თქმა უნდა, გამოვიტანეთ დიდი დანაკარგებით, მაგ-
რამ მაინც ბევრი რამ დაგვრჩა ამ ნანგრევებში და ჩვენი ვალია, გო-
ნივრულად, მოთმინებითა და შრომით გამოვარჩიოთ ყველაფერი ის,
რაც კეთილმა მასსოვრობამ შემოგვინახა.

იბადება ბავშვი!

ღმერთმა ის არყოფნიდან ყოფნად მოავლინა და თან გამოაყოლა მის სულში რუდუნებით დანთებული სანთელი და ყველა მონაცემი უნარით შესაძლებლობა, რომელიც მას ბოლომდე ეყოფა სამოქმედოდ.

ჩვენი ვალია ვიღვაწოთ, რომ დროზე ადრე არ ჩაუქრეს სულის სანთელი, ხოლო მონაცემები, უნარი და შესაძლებლობანი გონივრულად და სასიკეთო მიზნებისათვის გამოიყენოს.

ამ საკითხის გააზრებაც თავიდან იწყება, დასაბამიდან.

„დასაბამად ღმერთმა შექმნა ცა და ქვეყანა...

ჯერ მან გაჰყარა ნათელი და ბნელი — დღე და ღამე;

მერმე შექმნა ზეცა, ხმელეთი და ზღვები;

მერმე მიწამ აღმოაცენა მწვანილი, ბალახი, ხეები;

მერმე შექმნა მზე, მთვარე, ვარსკვლავები — სამკაული ცისა;

მერმე გამოსახა ღმერთმა წყალში თევზები და ცაში ფრინველები;

მერმე წარმოშვა სხვადასხვა პირუტყვი, ქვეწარმავალი და მხეცი;

ხოლო როცა ყველაფერი განამზადა, ბოლოს შექმნა ადამიანი. თავის ხატად შექმნა იგი. მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი, აკურთხა და უთხრა: ინაყოფიერეთ და იმრავლეთ, აავსეთ დედამიწა, დაუუფლეთ მას, ეპატრონეთ ზღვაში თევზს, ცაში ფრინველს, ყოველ ცხოველს, რაც კი დედამიწაზე იძვრის.

დაინახა ღმერთმა ყოველივე, რაც შექმნა, და, აპა, ძალიან კარგი იყო და იყო საღამო და იყო დილა — დღე მეექვსე.

ხოლო მეშვიდე დღეს ღმერთმა დაისვენა ყოველთა საქმეთაგან.

უფალმა ღმერთმა ბალი გააშენა ედემში და დასვა იქ ადამი. დასვა ადამი ედემის დასაცავად და დასამუშავებლად.

მიპეგვარა უფალმა ღმერთმა ადამს ველის ყველა ცხოველი და ცის ყველა ფრინველი, რათა შეერჩია თითოეულისთვის სახელი და დაარქვა ადამმა სახელი ყოველ პირუტყვს და ყოველ ფრინველს.

თბილისი
გეგმა

და აქედან იწყება ადამიანის მონაწილეობა სამყაროს შექმნაში, მის გაშინაურებაში.

მაშასადამე, ედემია ყველგან, სადაც დასვა ღმერთმა ადამიანი, ხოლო ედემის დაცვა და დამუშავება არის უპირველესი მოვალეობა ადამიანისა.

ადამი და ევა ედემში განცხრომით ცხოვრობდნენ.

მაშასადამე, ედემის დაცვა, მიწის დამუშავება, ცხოველების და ფრინველების მოვლა-პატრონობა განცხრომის აუცილებელი ნაწილია. შრომა ტანჯვა კი არ არის, არამედ სიხარულის მომნიჭებელია. იოანე ოქროპირის თქმით, სამოთხეში ცხოვრება თუმც ანიჭებს ადამიანს სრულ განცხრომას, ახლავს რა მას, ამ განცხრომას, სიამოვნება ჭვრეტისა (მშვენიერია ხილვად) და სიამოვნება გემებისა (კეთილი საჭმელად), მაგრამ რათა ადამიანი ზედმეტი სიამოვნებისაგან არ გარყვნილიყო, არ გაზარმაცებულიყო, მიუჩინა მას საქმე, რადგან მცონარობას მრავალი ბოროტება უსწავლებია.

ადამიანი უვლიდა და ამუშავებდა მიწას, რომელსაც კეთილი ნაყოფი მოჰქონდა და იცავდა გარედან მოსულ იმ ნადირთაგან, რომელთაც შეეძლოთ ვნება მოეტანათ იმ ჰარმონიისათვის, რომელიც ედემში სუფევდა.

ეს არის პირველი ლვთიური ალთქმა ადამიანის შრომაზე. ეს შრომა იყო სიხარულის მომნიჭებელი და, ამავ დროს, ადამიანის ფიზიკურ და გონებრივ ძალთა გარკვეული ვარჯიში.

ფიზიკურ და გონებრივ ძალთა ვარჯიში!

ღმერთმა ადამი უცოდველი შექმნა და ამიტომ სრულყოფილიც.

მერმე მან შესცოდა და იგი გააძევეს სამოთხიდან.

მერმე იშვა მეორე ადამი, ჩვენი მაცხოვარი იესო ქრისტე, რომელმაც
გვიჩვენა გზა სამოთხეში დაპრუნებისა.

ჩვენც უნდა მივსდიოთ ამ გზას.



ხოლო ფიზიკურ და გონიერივ ძალთა ვარჯიში გვჭირდება იმისთვის,
რათა შევძლოთ, მხნედ განვვლოთ ეს სარბიელი.

ბავშვი იმგვარად უნდა აღზარდო, რომ ეს „ვირის კუდივით მოკლე წუ-
თისოფელი“ არ მობეზრდეს.

არ მობეზრდეს! — ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანს სიკვდილამდე ჰქონ-
დეს ინტერესი ცხოვრებისადმი. უყვარდეს მოყვასი. ჰქონდეს თავისი საქმე.

ყოველივე ეს შესაძლებელია ბუნებასთან კავშირში, მინასთან კავშირ-
ში, ცხოველებთან და მცენარეებთან ურთიერთობაში.

ბუნება თანდათან გადაუშლის ადამიანს თავის არსა და მშვენებას.
თანდათანობითი შელწევა გარესამყაროს საიდუმლოებაში უნდა ხდებო-
დეს არა მხოლოდ შემეცნებისათვის, არამედ მისი შეტკბობისათვის, მისი
გაშინაურებისათვის.

მაგრამ აღზრდის უპირველესი ამოცანა მაინც შიდასამყაროში შელწე-
ვაა. სამყაროში, რომელიც ადამიანს მუდამ თან ახლავს. გზა საკუთარი
თავისაკენ არის ყველაზე გრძელი, ყველაზე საინტერესო და მრავალფე-
როვანი. ის სიკვდილითაც არ თავდება, ამასთანავე, ის არ დაწყებულა და-
ბადებით. ჩვენი ამქვეყნიური არსებობა არის ლვთიური წყალობა და აღ-
ნიშვნა იმისა, რომ შემოქმედმა არ დაგვტოვა იმ საიდუმლოებაში მონაწი-
ლეობის გარეშე, რასაც სიცოცხლე ქვიდა.

აქვე უნდა ითქვას, რომ საკუთარი თავის შემეცნებით ჩვენ ვეუფლებით
გარესამყაროსაც. სულიერების გარკვეულ სიბრტყეში ეს ერთი და იგივეა...

აღზრდის ძირითადი პრინციპი უნდა იყოს ის, რომ ბავშვი მოემზადოს
ღმერთისგან შექმნილ რეალობაში საცხოვრებლად (რადგან არსებობს უამ-
რავი, ადამიანთაგან შეთხზული სამყაროები).

ღმერთმა ეს ქვეყანა ყოველი ჩვენთაგანისთვის შექმნა. არავინ დაუტოვებია მემკვიდრეობის გარეშე. ამაშია სწორედ მისგან ჩვენი შვილობის დასტურიც. ადამიანმა უნდა მიიღოს ყველა ის სიკეთე, რაც მას მამა ღმერთი მას, რისი უფლება აქვს. ჭეშმარიტი თავისუფლება ან მისკენ სწრაფვა ამ კატეგორიებზე გადის.

მაშასადამე, ადამიანში უნდა აღვზიარდოთ, უპირველეს ყოვლისა, სიყვარულის გრძნობა, სამართლიანობა, თავმდაბლობა, ზრუნვის სურვილი, თანაგრძნობა და სხვა სათნოებანი. ყველაფერი ეს ადამიანის შესაძლებლობაშია. ხოლო საგნები და დისციპლინები — შეძლებისამებრ...

დამოკიდებულება დროისადმი

გავუფრთხილდეთ დროს, გავუფრთხილდეთ ანმყოს, გავუფრთხილდეთ მოცემულ წამს, რადგან ყოველივე ამ ქვეყნად მოცემულ წამში მოხდა. ყველაფერი რაც შექმნილია — ანმყოშია შექმნილი. დღევანდელი დღე — აი, რეალურად რა მოგვეცა ჩვენ. ეს არის ჩვენი სარბიელი. „ნუ ჰზრუნვა ხვალისათვის, რამეთუ ხვალემან იზრუნოს თავისა თვისისა. კრა არს დღისა მის სიბოროტე თვისი“. ნუ გავფლანგავთ ამ საუნჯეს, უქმად ნუ გავატარებთ მას, უდაბნოდ ნუ ვაქცევთ ამ სივრცეს ღვთისაგან ნაწყალობევს. ხანდაზმულობის ალსანიშნავად ჩვენ, ქართველები, ვემარობთ სიტყვას — დღეგრძელი. და თუ გინდა იყო დღეგრძელი, ყოვლი მოცემული დღე უნდა იცოცხლო, როგორც უკანასკნელი.

შვილიშვილი ეკითხება ბაბუას

- ადამიანისთვის განკუთვნილი დრო ბევრია თუ ცოტა?
- სიავისათვის ძალზე ბევრი, სიკეთის ქმნისათვის — ძალზე მცირე, — მიუგებს ბაბუა.

ყოველი ბავშვის ყოველი დღის საქმიანობა უნდა დაიგეგმოს ისე, რომ
მან შეძლოს მისი განხორციელება. რომ დღის ბოლოს, ძილის წინ, თვალი
გადაავლოს განვლილ გზას. ბავშვს ეს ჩვევაც უნდა გამოვუმჯროს. შესაბამის
ჰერმან ჰესე სულის ვარჯიშს უწოდებს.

„ნაშრომი ნაყოფთა შენთაი შტამო შენ“...

ხელით შრომა, კონკრეტული საგნების კეთება, საქმის დამთავრების სი-
ხარული და ახალი საქმის დაწყების სურვილი — აი, ამ ფარგლებში უნდა
შევძლოთ ჩვენს ახალგაზრდობაში შრომითი ჩვევების აღზრდა.

ხელით შრომა შეიცავს სწორედ იმ ფიზიკური და გონებრივი ვარჯიშის
ერთიანობას, რაზედაც ბრძანებდა იმანე ოქროპირი. ამგვარი შრომა ადა-
მიანის ჰარმონიული განვითარების აუცილებელი პირობაა.

ხელით შრომა არის, ამავე დროს, საკუთარ თავთან ურთიერთობის საუ-
კეთესო საშუალება, საკუთარი თავის შეცნობის გზაც.

აი, დამთავრდა საქმე. გაკეთდა კონკრეტული საგანი, დაიხატა ნახატი,
ჩაისვა ჩარჩოში და დაიკიდა კედელზე (აქ, რა თქმა უნდა, მხოლოდ ხე-
ლოვნებაზე არ არის საუბარი)... საქმის დამთავრება გარკვეულად უნდა
დაფიქსირდეს. ბავშვმა უნდა განიცადოს საქმის დამთავრების სიხარული,
ზომიერად დატკეცეს თავისი შრომის ნაყოფით. ხოლო ჩვენგან იგი უნდა
შეფასდეს...

და ბავშვმა უნდა დაისვენოს, სანამ არ აღივსება ახალი საქმის დაწყე-
ბის სურვილით.

დაცლა-დასვენების, დაცლა-აღვსების სწორი რიტმი, როგორც თანაბა-
რი სუნთქვა, არის სანინდარი ცხოვრების ჯანმრთელი წესისა.

ამასთანავე, აუცილებელია ქალისა და კაცის საქმიანობის გამიჯვნაც,
როგორც სექსუალური აღზრდის შეფარული, არაპირდაპირი პირობა.

არის ცოდნა, რომელიც უმეცრებაში გვაღრმავებს. ნაყოფით იცნობა ხე
და ხენეში ნაყოფი სახეზეა. მას ეწოდება ატომური, წყალბადის ბომბი, ქი-
მიური იარაღი, მასობრივი მოსპობის უამრავი სხვა საშუალება. განა ყოვე-

ლივე ეს რაღაც ცოდნის შედეგი არ არის? ახლა, და მით უმეტეს მომავალ-ში, მათგან გათავისუფლება იქნება კაცობრიობის ძირითადი საქმიანობა. მაშინ სადღა რჩება დრო სულიერი ცხოვრებისათვის, იმ სიმშევიდის ათვის რაც ნორმალური, ადამიანური ცხოვრება-არსებობის საფუძველია? ამ საკითხებზე უხსოვარი დროიდან არის დავა, სხვადასხვა მოსაზრება. ჩვენ, რა თქმა უნდა, ამ დავაში მონაწილეობას არ ვაპირებთ, რადგან ამ საკითხების დასმა და, მით უმეტეს, ასე თუ ისე გადაწყვეტა ჩვენს შესაძლებლობებს ბევრად აღემატება, მაგრამ ვბედავთ გამოვთქვათ ჩვენი მოკრძალებული მოსაზრება ამის თაობაზე.

უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულება ტექნიკური პროგრესისადმი. ჩვენი პატრიარქი ხშირად ბრძანებდა, რომ ჩვენი სულიერი განვითარების რიტმი ბევრად ჩამორჩება ტექნიკური განვითარების რიტმს. ამ დისბალანსმა გამოიწვია ჩვენი სულიერი მოღვაწეობის მოდუნება, ადამიანის ჭეშმარიტი დანიშნულების გაბუნდოვანება. ის სიზანტე და მცონარეობა, რაც მოსდევს კომფორტს.

სწრაფვა კომფორტისაკენ ქმნის სულიერ დისკუმფორტს.

როგორც წესი, ამ ამაო კეთილდღეობის მსხვერპლი ხდებიან არა ისინი, რომელიც ქმნიან მას, არამედ ისინი, რომელთათვისაც იქმნება იგი, ესე იგი, ჩვენი შეიღები...

აქვე მინდა მოვიტანო ერთი ძველი ჩინური იგავი. მისი ავტორია ჯუან-დი, რომელიც ძვ.წ. 369-286 წლებში ცხოვრობდა (თარგმანი ეკუთვნის რეზო ყარალაშვილს). ამ იგავიდან კარგად ჩანს, თუ რაა მთავარი ადამიანში. რას უნდა უფრთხილდებოდეს იგი.

აი, ეს იგავიც.

“ერთხელ ძი-გუნი შორეული მოგზაურობიდან შინ ბრუნდებოდა. მდინარე ხანს რომ მიუახლოვდა, დაინახა მოხუცი კაცი, რო-

მელსაც ჭიდან თავის ბოსტნამდე პატარა რუ გაეთხარა და იმ რუში თიხის ქოთით სარწყავ წყალს ასრამდა. მოხუცს დიდი ჯაფა ადგა და შედეგი კი მცირე იყო, ვინაიდან ჯერ ჭაში უნდა ჩამდიტალიყო, მერე იქიდან წყალი ამოეტანა და, ბოლოს, ეს წყალი რუში გადაეს-ხა.

ძი-გუნმა ერთხანს უცეირა მოხუცს, მერე კი თანაგრძნობით მიმართა: “მოძღვარს რომ წყლის საზიდი მოწყობილობა ჰქონოდა, ერთ დღეში ას კვალს მორწყავდა. ცოტა ძალას დახარვებავდა, შედე-გი კი დიდი უქნებოდა, რატომ არ იყენებს მოძღვარი ამ მოწყობი-ლობას?”

“ეფ რაღა არის?” — იკითხა მოხუცმა.

“რა და, ხის ბერკეტია, — მიუგო ძი-გუნმა. უკანა მხარე მძიმე აქვს, წინა მხარე კი მსუბუქი. ისე ამოაქვს წყალი ჭიდან, გინდაც ხელით ამოგიტანია, ოღონდ ახლა წყალი ჩუქჩის მოედინება. ასეთ რამეს ჩვენში ოწინარს ეძახიან”.

მოხუცს სახე მოეღუშა, მერე მწარედ ჩაეცინა და ასეთი სიტყვებით მიმართა მოგზაურს: “ჩემი მასწავლებლისგან გამიგონია — ვინც ეშმაკურ ხელსაწყოებს ხმარობს, ის საქმეშიც ეშმაკია, ხოლო იმას, ვინც საქმეში ეშმაკია, გულშიც ეშმაკობა ექნება ჩადებული, ხოლო ის, ვისაც გულში ეშმაკობა აქვს, შეუძლებელია, უზაკველო და გუ-ლუბრუყვილო დარჩენილიყო; ხოლო ის, ვინც უზაკველობა და გუ-ლუბრუყვილობა ვერ შეინარჩუნა, მშთოთარე სულისა უნდა იყოს; ხოლო ისეთ ადამიანში, ვისაც შფოთი აქვს სულში, ფეხს ვერ მოი-კიდებს ღმერთი. განა მე არ ვიცი ეს ხრიკები, შენ რომ მასწავლი, მაგრამ ხომ მომეჭრა თავი მაგ მანქანებით რომ ვიცხოვრო!”
ძი-გუნი გაწითლდა, თავი ჩაღუნა და არაფერი უთქვამს მებალი-სათვის”.

მე, რა თქმა უნდა, შორს ვარ ამ ლვთაებრივი გულუბრუყვილობისაგან. სამწუხაროდ, არა ვარ იმ გლეხივით რადიკალური და სულიერად თავისუ-

ფალი. მე მაინც ჩვენი ეპოქის შვილი ვარ და, ასე თუ ისე, ვისარგებლებ ცივილიზაციისა და ტექნიკის მიღწევებით (ძალზე შეზღუდულად, მაგრამ მაინც ვსარგებლობ). მე ისიც კარგად მესმის, რომ ტექნიკურ პროგრესს ვერაფერი შეაჩერებს, მაგრამ თუ მან გადაფარა ხელით შრომა და იგი თავისებურ რუდიმენტად აქცია, ჩვენს პლანეტას მაშინ დღეგრძელობა არ უწერია. უნდა მოხდეს პირიქით: ტექნიკური პროგრესი უნდა ჩავაყენოთ ხელით შრომის დაცვის სამსახურში. ამ კონტექსტში ჩვენი ჩამორჩენილობა (კვლავ ტექნიკურ პროგრესს ვგულისხმობ), შესაძლოა, გარკვეულ უპირატესობადაც ჩაითვალოს. ჩვენ უნდა მაქსიმალურად ვისარგებლოთ ამ უპირატესობით.

სიტყვა გამიგრძელდა, მაგრამ აქვე მინდა შევეხო ტექნიკური პროგრესისგან მომდინარე ერთ სავალალო შედეგს, რომელსაც ის ძალაუნებურად იწვევს, ქმნის. ამ ურჩხულს „გამოთავისუფლებულ დროს“ ეძახიან. დღეს უკვე პრობლემად იქცა ამ „დროის“ მართვა. „დროის მოსაკლავად“, „დროის გასატარებლად“ იქმნება მასობრივი გართობის მთელი სისტემები. ფაქტობრივად, „გამოთავისუფლებული დრო“. ქმნის ბრძოს, რომელიც, თავის მხრივ, ქმნის საერთო დაძაბულობას.

მაგრამ არის მსოფლიოში მაგალითები, როცა ადამიანების უზარმაზარი მასა არ ქმნის ბრძოს, რადგან ტექნიკურ პროგრესს და ხელით შრომას შორის არის ოპტიმალური თანაფარდობა. ასეთი მაგალითია დიდი ჯუანძის დიდი სამშობლო — ჩინეთი.

1 ოქტომბერი, 1998

მოდით, ვებრძოლოთ ერთმანეთს!



უკეთე მიუტევნეთ თქვენ კაცთა შეცოდებანი
მათნი, მოგიტევნეს თქვენცა მამამან
თქვენმან ზეცათამან.

ხოლო უკეთე არა მიუტევნეთ კაცთა
შეცოდებანი მათნი, არცა მამამან თქვენმან
მოგიტევნეს თქვენ შეცოდებანი თქვენნი.

გათ 6,14-15.

“სხვათა ქვეყანათა შინა ცილობა და განხეთქილება დამოკიდებულ-
არს ფრიად მძიმე მიზეზთა ზედა; ამასთანავე ცილობა და განხეთქი-
ლება განათლებულსა საზოგადოებასა შინა არასოდეს არ გათავდება
სიძულვილითა და შურის-ძიებითა, ვითარცა ვსედავთ ჩვენში ხში-
რად. სხვათა ქვეყანათა შინა მხოლოდ მას ცილობენ, რომ სამარ-
თალმა უსამართლობას აჯობოს, ხოლო აქ ცილობენ, რომ კაცმა
კაცს აჯობოს; იქ ჰაზრი ჰაზრთან იბრძეის და საქმე — საქმესთან. აქ
კაცი — კაცთან, გვარი — გვართან; იქ ცილობა მოხდება ჭეშმარი-
ტისა და უმჯობესის წესის ძიებისაგან, აქ თავტელობისა და თავის-
მოყვარეობისაგან; აქ ცილობა და უკმაყოფილება ყოველთვის და-
ბოლოვდება სიძულვილითა და მტრობითა, იქ იმას ფიქრობენ, რომ
ცილობითა და ბრძოლითა გამოაჩინონ უმჯობესი ჰაზრი და წესი;
აქა მცირე რაიმე უკმაყოფილება საუკუნოდ განაშორებს კაცსა კა-
ცისაგან”.

აქ მოტანილი ციტატა ეკუთვნის გაბრიელ ეპისკოპოსს (სიტყვა კვირია კედებისა კედაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა თქმული 1860-1870 წლებში. ტ. I, გვ. 63-64). თუ არა არქაული სტრიქ, სტრიქის არაფერი ადასტურებს, რომ ის დაწერილია XIX საუკუნის 60-იან წლებში და არა დღეს, სწორედ დღეს, როცა ჩვენს ქვეყანაში კაცი კაცს ებრძვის, ჯგუფი — ჯგუფს, პარტია — პარტიას, რეგიონი — ცენტრს და, საბოლოოდ, ყველა ყველას უპირისპირდება და ამ დავასა და ხმაურში ძალიან მკრთალად და უსუსურად უღერს მთავარი თემა სამშობლოს ხსნისა. მოდავენი ცდილობენ, რაც შეიძლება დაასუსტონ და შეურაცხყონ ერთმანეთი და ამისთვის ყოვლად ულირს საშუალებებსაც არ ერიდებიან: ცილისწამებას, დაბეზღებას, წერილმანის გამუქება-გაზვიადებას, ღირსების შელახვას და ასე შემდეგ.

ამგვარ ურთიერთობაში ჯანმრთელი, ერთიანი საზოგადოება ვერ შეიქმნება. ასეთი საზოგადოება იქნება დაძნენილი, მოკლებული საერთო მაჩვენებელს. საზოგადოების ჯანმრთელობა სრულიადაც არ ნიშნავს ერთიანი აზრის არსებობას, არამედ მოპაექრეთა სურვილს „სამართლმაუსამართლობას აჯობოს... ცილობითა და ბრძოლითა გამოარჩიონ უმჯობესი პაზრი და წესი“.

ამგვარი შეფასება დემოკრატიის სასარგებლოდ ძნელია მოიძებნოს ჩვენში დღესაც. და ამას ბრძანებს მართლმადიდებელი ეპისკოპოსი.

შემოლოდ მონარქია, როგორც სოციალური წყობა, თუ ემსგავსება რელიგიურ იერარქიას („ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა“). ერთიც და მეორეც ერთის ნებაზეა დაფუძნებული: ამა სოფლად მონარქის ნებაზე, ხოლო სულიერების სფეროში — ღვთიურისა. მაში, რა რვის მართლმადიდებელ ეპისკოპოსს დემოკრატიის ძირითადი ურთიერთობების ასეთ შუქზე წარმოჩენის, ასეთი ქების, თითქმის კურთხევისათვის? საქმე ის არის, რომ იცვლება დრო, მოაქვს ახალი ურთიერთობები კაცთა შორის, რომელთაც თავიდან შეიძლება გამოიწვიოს ურთიერთდაპირისპირება და

სიძულვილი, რამაც, შესაძლოა, საბედისნერო ზიანი მოუტანოს უმთავრეს სალვოსმეტყველო სათნოებას — სიყვარულს. სიყვარულს კაცთა შორის. აი, რაზე ზრუნავს სულმნათი ეპისკოპოსი.

თემაზე
გიგანტის

ეკლესია დაფუძნებულია ურყევ კლდეზე, მორალურ კატეგორიებზე, ჭეშმარიტებაზე. ის არ იცვლება და არც შეიძლება შეიცვალოს. საკმარისია, დავუშვათ მისი შეცვლის პრეცედენტი, რომ როგორც ნაქსოვი, დაირღვეს და დაიძენოს და, საბოლოოდ, უვარგისი შეიქმნეს. თავად ჭეშმარიტება დროს არ ემორჩილება — „ცანი და ქვეყანაი წარხდეს, ხოლო სიტყვანი ჩემნი არა წარხდეს“ (მთ. 24,35).

ავილოთ თუნდაც დილისა და საღამოს ლოცვები. ჩვენ მას ვკითხულობთ ყოველ ცისკარზე და ყოველ მწუხრზე. ჩვენ ვკითხულობთ მუდამ ერთსა და იმავე ტექსტს, მაგრამ თვითონ ჩვენ ვართ ყოველთვის სხვადასხვანაირნი: ხან მწუხარენი და ხან მხიარული, ხან იმედიანი და ხან სასოწარკვეთილი, ხან ცოდვებით დამძიმებული და ხან მადლიერნი ცოდვების მიტევებით და ასე შემდეგ. ერთი სიტყვით, ლოცვები უცვლელია და აუღერდება ჩვენს სულებში მუდამ სხვადასხვანაირად. ლოცვა საუბარია ღმერთთან და მას ამ სიტყვების მიღმა სწორედ ის ესმის, რასაც ჩვენ შინაგანად განვიცდით კითხვისას.

ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც ყოველი სოციალური ურთიერთობა დროს ექვემდებარება. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უგულებელვყოთ ის, რაც დრომ ობიექტურად მოგვიტანა, რადგან ისიც ლვთის ნებაა. პირიქით, მოცემული დრო უნდა მთელი სილრმითა და პასუხისმგებლობით ვატაროთ ჩვენში.

ახლა კვლავ ჩვენს საზოგადოებას დავუბრუნდეთ, სადაც ყველა ყველას ებრძვის, სადაც ყველა სწორია და არავინ არ არის სწორი.

რა ხდება, რა არის ამის მიზეზი?

ჩემი აზრით (და არა მარტო ჩემი აზრით, რა თქმა უნდა), ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზთაგანია ის, რომ არ გვინდა გავიცნობიეროთ და ვა-

ლიაროთ, რომ დავკარგეთ მთავარი ორიენტირი. საზოგადოებამ არ იცის, რა სურს, რა არის მთავარი. მოკლედ, არ ვიცი, მიზანს ვუახლოვდებით, თუ ვშორდებით. უფრო მოკლედ, სიბნელეში ვვალთ. ეს არც ბრალდება და არც გამართლება — „რამეთუ არა იციან, რას იქმან“.

მოვიყვან მაგალითს იმ „ავადსახსენებელი“ წარსულიდან (ლმობიერმა მკითხველმა, ვისურვებდი, ეს ბრჭყალები არ ჩამითვალოს იმ დროის აპოლოგიად).

1933 წელს დავიბადე, სოციალიზმის მშენებლობის შუაგულ პერიოდში და მე სხვა გარემოში ცხოვრების არავითარი გამოცდილება არ გამარინია. არჩევანი არ მქონდა და ბედნიერი ვარ იმით, რომ ვიყავი იქ, სადაც ჩემი სამშობლო იყო. 37 წელიწადია, ვმოღვაწეობ კინოში. ვარ 20-მდე ფილმის ავტორი და თანაავტორი. ამ საქმიანობამ დიდი სინანული მომიტანა იმით, რომ ასე ხანგრძლივად მოვწყდი ლიტერატურას. მაგრამ, მეორე მხრივ, თავისი სპეციფიკის გამო, იმ დროისთვის მოქალაქეობრივი მოლვანიერებისათვის უფრო მნიშვნელოვანი იყო კინო, ვიდრე ლიტერატურა. ლექსი, მოთხრობა, რომანი და ასე შემდეგ, იმ მკაცრი იდეოლოგიური ცენზურის გამო შეიძლება გენერა შენთვის, როგორც იტყვიან, „უჯრისათვის“, უკეთესი დროის დადგომის იმედით. მაგრამ ფილმს „უჯრისათვის“ ვერ გადაიღებ (შესაძლოა, გააკეთო „თაროზე“ დასადებად, მაგრამ ეს ძალზე იშვიათი შემთხვევაა და, ამჯერად, ამგვარ ფილმებზე არ არის ლაპარაკი).

მოგეხსენებათ, „ქართულმა ფილმმა“ საკმაოდ გაითქვა სახელი მსოფლიო კინემატოგრაფიულ სამყაროში. ეს მსოფლოდ ნიჭიერებით არ შეიძლება აიხსნას. უდიდესი ფაქტორი ამ წარმატებისა იყო, არც მეტი და არც ნაკლები, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია. უმრავლესობისათვის ეს იყო ნავსაყუდელი თუ გზის მაჩვენებელი შუქურა, ხოლო უმცირესობისათვის — სამიზნე. ეს ორი დამოკიდებულება ორიენტირისადმი ქმნიდა გარკვეულ დაძაბულობას და შეხედულებების პოლარიზაციას. ძირითა-

დად, საზოგადოება ამ ორი ნიშნით იყო გაყოფილი. ეს ბრძოლა იწვევდა დიდ ინტერესს შემოქმედებით სფეროში.

და აი, ჩვენ გავიმარჯვეთ, ვიბრძოლეთ და დავამარცხეთ, გავტავისუფლდით ამ მავნე იდეოლოგიისაგან და აღმოვჩნდით იმ მდგომარეობაში, რომ არ ვიცით, რას ვაკეთებთ.

და დღეს, უიდეოლოგიო ქაოსში ყველა თავისთვის მოძრაობს და მიაჩნია, რომ მართებულად მოძრაობს და, ამასთანავე, განიკითხავს ყველა დანარჩენს, რომ სხვა არამართებულად მოძრაობს (ამის თვალსაჩინო დასტურია პარტიიების სიმრავლე).

ამ საკითხებზე ფიქრი ყოველ ჩვენთაგანს მართებს. ოლონდ, ურთიერთდაპირისპირების ამ ეტაპზე, ძალიან რთულ ეტაპზე ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა, და საერთოდ, მომავალშიც, სასურველია, გვახსოვდეს და გავიზიაროთ შეგონებანი, რომელიც მოყვანილია ამ წერილის ეპიგრაფსა და გაბრიელ ეპისკოპოსის ციტატაში.

და ბოლოს, დასკვნის სახით მინდა აღვნიშნო: ბრძოლას უკეთესი აზრისა და ცხოვრების წესის დასამკუიდრებლად არავინ უნდა გაექცეს. პასუხისმგებლობა ამ შერივ მეტად დიდია და გადამწყვეტად მნიშვნელოვანი. ჩვენ არ უნდა გავექცეთ ჩვენს საზოგადოებრივ-მოქალაქეობრივ ვალდებულებას. მაგრამ იქნებ ვცადოთ, იქნებ ამგვარი ბრძოლის ხერხი უფრო ძლევამოსილია მტერზე გამარჯვებისათვის: მტერს არ დაუკარგო მცირე ღირსებაც, ხოლო მოყვარეს, თანამებრძოლს — არ დაუმალო მცირე ნაკლიც.

შურიანი კაცის პაბავი

კაცი იყო შურიანი, ყველასი და ყველაფრის შურდა. შინ იყო და შურიალრჩობდა, შინიდან გაფიდოდა და შური თვალებს უწნელებდა და გზა-ქვალს ურევდა.

ადგებოდა და დაწოლისა შურდა. თვალს გაახელდა და თვალის დახუჭ-ვისა შურდა. მარჯვნივ გაიჩედავდა და მარცხნივ გასუდვისა შურდა.



სქულდა შურიან კაცს და სიყვარულისა შურდა.

დიდი შურით იყო შეპყრობილი შურიანი კაცი....

ერთხელ გადაწყვიტა, შურზე შური ეძია.

ჯერ თვეზის შეშურდა და ცურვა ისწავლა.

ფრინველისა შეშურდა და ფრენა ისწავლა.

ძლილის ერთგულებისა შეშურდა და ძლილივით ერთგული გახდა.

ცხვრის თვინიერებისა შეშურდა და ცხვარივით თვინიერი გახდა.

ბოლოს სის შეშურდა, ერთ ადგილზე რომ იდგა და რომ მას მაგრი-
ლობელი ჩრდილი ჰქონდა და რომ მას ნაყოფი ჰქონდა და რომ მისი
ფოთლები შრიალებდნენ და რომ მის ტოტებზე ფრინველები ისვე-
ნებდნენ და ბუდეებს თხზავდნენ...

და გავიდა შინიდან შურიანი კაცი.

ბეჭრი იარა, მრავალი მწვანეთშეფოთლილი კორდი გადაიარა და ბო-
ლოს მონახა მწირი, ხრიოკი ადგილი, ერთიც მოხედა თავის განვლილ
გზას და დადგა. დადგა და მიწოში ფესვები გაიდგა. მერე მარადმწვანე
ფოთლებით შეიმოსა, ხოლო ნაყოფად ზეთისხილი გამოისხა.

ახლაც იქა დგას შურისაგან დამცხრალი კაცი. დგას და შრიალებს.

7 ოქტომბერი, 1998

დამარცხება ღა გამარჯვება



ეძღვნება პატიოსაცი და ფორმულაციული კვარის
მცოდნილ აგაღლების დღესასწაულს (14/27 სეպტემბერი)

ნუთუ, ვერ შეუგნიათ
უკანონობის ჩამდენთ,
ნემი სალხის მგამელთ,
ჰურივით რომ სჭამენ და
რმერთს არ უზმობენ.

ფსლმუნი 13,4.

1

დამარცხება და გამარჯვება, ბევრ შემთხვევაში, პირობითი ცნებებია. ჩემი მოსაზრების იდეაც თვით სათაურშია მოცემული, დაზუსტებით — ამ ორი ცნების თანმიმდევრობაში.

ჩემს ხელთ არსებული მაგალითებიდან, სათქმელის დედაბირს ყველა-ზე უფრო მიესადაგება იმპერატორ დიოკლეტიანესა და მისი ჯარის ერთ-ერთი ჩინოსანი მხედართუფროსის, გიორგის ორთაბრძოლის ისტორია.

ფიზიკურად ეს ბოძოლა იმპერატორის გამარჯვებით დამთავრდა. მან
სასტიკად აწამა ურჩი ქვეშევრდომი და ბოლოს თავიც მოაკვეთინა, რად-
გან გიორგიმ ქრისტე აღიარა.

ხოლო სვანეთში არის ფრესკა, სადაც წმინდანი ურჩხულის ნაცვლად
დიოკლეტიანეს გმირავს.

ეს არის ორი, დიამეტრულად განსხვავებული ახსნა ამ მოვლენისა, მაგ-
რამ მხოლოდ ერთი აღნიშნავს ჭეშმარიტ გამარჯვებას.

მხედართუფროს გიორგის შეეძლო არ აერჩია „იწრო“ ბჭე ქრისტია-
ნობისა და მიეღწია მისთვის შესაძლებელი ამქვეყნიური ყველა დიდებისა
და კეთილდღეობისათვის, სანაცვლოდ, სიკვდილის შემდეგ, ის სრულ და-
ვიწყებას მიეცემოდა, მაგრამ მან მონამებრივი გზა აირჩია და დღეს, მისი
ძლევამოსილების დასტურად, ჭეშმარიტ ქრისტიანულ სამყაროში მის სა-
ხელზე, წმინდა გიორგის სახელზე, უამრავი ტაძარია აშენებული, ძნე-
ლად მოიძებნება ოჯახი, სადაც მისი ხატი არ იყოს და ეკლესიის შანდა-
ლი, სადაც მისი ხატის წინ სანთელი არ ენთოს.

ახლა მოვიყვანოთ მაგალითი უახლესი ისტორიიდან. მეორე მსოფლიო
ომი სისასტიკით სავსე, ადამიანთა ცოდვათა განკითხვის რეალური და-
დასტურებაა. მსგავსი ომი ჩვენს პლანეტას არ ახსოვს და, ღმერთმა ნუ
ქნას, უფრო მკაცრი გამოცდა მოუვლინოს კაცობრიობას.

ფაშისტური გერმანია ერთ მხარეს, — ეს იყო ძირითადი მოქმედი და,
მეორე მხარეს, — რუსეთი, საბჭოთა კავშირი, რომელმაც ყველა ხალხზე
მეტი ფიზიკური ტკივილი განიცადა ამ ომში. მე ქედს ვიხრი ამ ტკივილის
წინაშე.

გერმანია ამ ომში დამარცხდა. რუსეთმა გაიმარჯვა. აქაც შედეგი უაღ-
რესად მძიმე და სასტიკი იყო, მაგრამ საერთო ნიშნით — სამართლიანი.

მაგრამ ვინ რა მოიგო ამ ომით?

რუსეთი გამარჯვებით დაისაჯი, ხოლო გერმანია დამარცხებით გა-
მართლდა, რადგან მან შედეგად მიიღო გათავისუფლება უპირველესი სა-

სიკვდილო ცოდვისაგან — ამპარტავნობისაგან, ხოლო რუსეთს არ მიეცა
ეს წყალობა. ის კვლავ ამპარტავნობაში დარჩა.

თბილისი
ბიბლიოთეკი

მესამე მაგალითი ჯერ კიდევ ამოხსნის პროცესშია...

მოგეხსენებათ, რუსაზე, სადაც რუსეთის სხეულს მტკავლებით სჭირ-
დება გადაზომვა, საქართველოს, და მით უმეტეს, აფხაზეთს, ფრჩხილი
დაფარავს.

მაგრამ ტკივილი, რომელსაც ეს ფრჩხილისოდენა ტერიტორია განიც-
დის, მთელს ამ უზარმაზარ სხეულს ეყოფა.

სადაც გტკივა, გულიც იქა ფეთქს.

აფხაზეთის პრობლემა გუშინ არ დაწყებულა. ამ ავადმყოფობასა და
ტკივილს საუკუნენახევრის ისტორია აქვს და მისი განხილვაც იმ პერიო-
დიდან უნდა დაიწყოს. ამიტომ, უმართებულოა, ძირითადი ბრალდებები
ჩვენს დროს წავუყენოთ.

ხოლო რაც შექება საკითხს, თუ ვის რა უფლებები აქვს ამ მიწაზე,
ცალკე კვლევის საგანია. ამ მიმართულებით ჩვენ მხოლოდ ერთს ვიტყვით
— რომ დასავლეთ საქართველოს უდიდესი ნაწილი და თვით ეს ტერიტო-
რიაც მემკვიდრეა კოლხური ცივილიზაციისა.

მაგრამ ჩვენი მოსაზრება სულ სხვა განზომილებაში გვინდა განვიხი-
ლოთ:

ამა ნლის 27 სექტემბერს აფხაზებმა იზეიმეს ქართველებზე გამარ-
ჯვების 4 ნლისთავი. კვლავ მინდა შეგახსენოთ, რომ 27 სექტემბერი (ახ.სტ.)
არის მსოფლიო ამაღლება პატიოსნისა და ცხოველმყოფელისა ჯვარისა.
ეს დღე აღინიშნება მთელ მართლმადიდებელ სამყაროში, მათ შორის, რუ-
სეთშიც და საქართველოშიც. აღინიშნება ეს დღე მძიმე მარწვით.

აფხაზეთშიც არსებობს მართლმადიდებელი, ეკლესიები და თუკი იქ
მიმდინარეობს ჩვეულებრივი ღვთისმსახურება, მაშინ ეს თარიღიც აღი-
ნიშნება. და შეუძლებელია, იქ არ აღწევდეს ქართველებზე გამარჯვების
საზეიმო განწყობა. მაშინ როგორ უთავსებენ მორწმუნები ერთმანეთს

ამ ორ დღესასწაულს: ჯვართამაღლებას და ქართველებზე გამარჯვების დღეს, რადგანაც მათ არ შეიძლება არ იცოდნენ, თუ რის ფასად არის მიღწეული ეს გამარჯვება, სინამდვილეში რას ნიშნავს იგი, რადგანაც ამ ომში არ შეიძლება იყოს გამარჯვებული.

რუსეთშიც, ბუნებრივია, მთელი დიდებით ალინიშნება ეს საეკლესიო დღესასწაული. მათ, ალბათ, არც ახსოვთ, რომ ამ დღეს აფხაზები ქართველებზე გამარჯვებას ზეიმობენ. იქნებ, მათ საერთოდ არ იციან, რომ სადღაც სამხრეთში იყო ომი ქართველებსა და აფხაზებს შორის. არ იციან, რომ ამ ომში ათასობით ადამიანია დახოცილი და ასიათასობით განდევნილი სამშობლო მინიდან; რომ იქ ფატრავდნენ ფეხმძიმე ქალებს და სვამდნენ ქართველების სისხლს. იქნებ, მათ მართლა ჰგონიათ, რომ რუსები არაფერ შუაში არიან ამ ომში, ანდა მიაჩინიათ, რომ რუსების მონაწილეობა იყო კეთილშობილი, უანგარო, სამართლიანი დახმარება მცირერიცხოვანი ერისადმი ქართველი აგრესორების ნინააღმდეგ (განა ამ აზრს არ ადასტურებს დიდი რუსი მწერლის სიტყვები: Так нетерпеливо жаждет национальной независимости Грузия! (впрочем, Россия не заваевывала ее насильственно, а только Ленин в 1921 г.) (!) А вот уже сегодня: притеснение абхазцев, притеснение осетин и недопуск на исконную родину высланных Сталиным месхов, — неужелиэ это и есть желанная национальная свобода?" (А.И. Солженицын. "Как нам обустроить Россию?" Париж. YMCA-PRESS. 1990 г. стр. 12).

სწორედ აյ არის მოსატანი ნიციშეს აფორიზმი: ნახევარცოდნა სრულ ცოდნაზე ძლევამოსილია, ხოლო მე მოკრძალებით დავამატებდი — უმეც-რება — უძლეველია! მაგრამ რას იზამ, რადიოს რაც სურს, იმას ამბობს, შენ ვერ შეეპასუხები.

ერთი, რაც ზემოთ მოყვანილ ციტატაში მეც მანუხებს, თურქი-მესხების ბედია. მაგრამ აქაც მინდა დავუმატო — რად უყურებ ბენვს შენი ძმის თვალში, საკუთარ თვალში კი დირეს ვერ ხედავ?

აქ არ შემიძლია არ გავიხსენო მეორე დიდი ავტორიტეტის, ანდრე სახაროვის ცნობილი სიტყვები: Грузия — это малая империя. სახაროვის პატივისმცემელნი ჩვენშიც საკმაოდ ბევრია. მეც არ შემიძლია უბუ-ლებელვყო მისი, როგორც მეცნიერის, დამსახურება და ლვანლი საბჭოთა კავშირის წინაშე. ეს მისი პატრიოტული და მოქალაქეობრივი მოვალეობა იყო. და მართლაც, იქნებ წყალბადის ბომბის შექმნამ, რითაც მოხდა სამხედრო ძლიერების გარკვეული განონასწორება ორი სისტემის დაპირისპირებისას, აარიდა მსოფლიო კიდევ ახალ კატასტროფას (ნურავინ დამშვიდებს თავს იმით, რომ მეორე მხარე არ ისარგებლებდა თავისი უპირატესობით, რისი თვალსაჩინო მაგალითიცაა ჰიროსიმა და ნაგასაკი).

კიდევ უფრო დასაფასებელია სახაროვის მოღვაწეობის მეორე ეტაპი, როგორც სამართალდამცავისა ამ მეორე ეტაპის მოღვაწეობის კონტექსტში მისმა ავტორიტეტია ჩვენ, ქართველებს დიდი სატკივარი გაგვიჩინა. „Грузия — это малая империя“ — ეს უსამართლო ფორმულირება, ნათქვამი მის მიერ, თუნდაც არაოფიციალურად, თუნდაც კულუარებში, გახდა ერთგვარი მორალური სანქცია საქართველოს დასათრგუნად, რაც გამოიხატა მოძრაობაში — „Грузия — зона бедствия“. მაგრამ, კიდევ უფრო სავალოა სახაროვის ამ ფორმულირების სხვა მნიშვნელობა — საქართველო ისეთივე იმპერიაა, როგორც რუსეთი (რომ საქართველო ისევეა შექმნილი სხვა ხალხების დაპყრობით, როგორც რუსეთი).

ახლაც ყურში მიდგას ერთი ვინმე რუსი გენერლის მიერ უმაღლესი საბჭოს სხდომაზე პათოსით ნარმოთქმული „წინასწარმეტყველური“ სიტყვები. მთელი პოსტსაბჭოთა სივრცის გასაგონად „ზავტრა სუხუმი ბუდეებ აბხაზსკიმ“. დარბაზში გაისმა მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. ხოლო ტელევიზორებთან მსხდომი ადამიანები იოლად მიხვდებოდნენ, რა იგულისხმებოდა „აბხაზსკიმ“-ის ქვეშ — ან „რუსსკიმ“ ან „ნაშიმ“. სხვა ვარიანტი არ იყო და ამ „ხვალეს“ დაელოდებოდნენ ზოგი სიხარულით და

ზოგიც ტკივილით. მაგრამ რატომდაც „ჯვალე“ არ გახდა სოხუმი აფხაზური. ქალაქი დაეცა ორი-სამი დღის შემდეგ და მაინცდამაინც 27 სექტემბერს — ჯვართამაღლების დღეს.

სოჭის გადაწყვეტილების დღეს

შეიძლება ყველა მოატყუო, ყველა უკლებლივ, მაგრამ თავს ვერ მოიტყუებ, რადგან ყველა ჩვენგანში არის სინდისი — ჯვარცმული ქრისტე — თუნდაც ძალიან ღრმად, ძალიან დაფარულად. ამიტომ ამ სიტყვების მთემელმაც და მისმა თანამოაზრებმაც შშვენივრად იციან ნამდვილი არსი ამ გამარჯვებისა, რის შედეგად არის იგი მიღწეული.

27 სექტემბრს სოხუმი ზეიმობდა თავის ულირს გამარჯვებას. მაგრამ მჯერა და მნამს, რომ სოხუმშიც იქნებოდა თუნდაც ერთი რუსი მართლმორნმუნე მონანიე, რომელიც იმ დღეს მუხლმოყრილი იდგა ჯვარცმის ნინაშე და მის სულშიც აღიმართა ცხოველმყოფელი ჯვარი, როგორც ლვთის თვალი, როგორც გაფრთხილება; მორნმუნე, რომელიც მოწმეა ყველა იმ განუკითხაობისა, რომლის გამარჯვებასაც ზეიმობდა სოხუმი.

2

რაც უფრო უმწეო და დაუცველი ჩანს არსება მიწაზე, მით უფრო ძლიერი მფარველი ჰყავს მას ცაში. ხოლო ცის სამართალს წინ ვერავინ აღუდგება, რაც უნდა უძლეველი ჩანდეს არსება მიწაზე. ძლიერი არსების სისუსტეც სწორედ ის არის, რომ მას საკუთარი ძლიერების იმედი აქვს.

მოდით, ჩვენ, ქართველებმა, წამით დავივინყოთ ჩვენი ტკივილი (ნეტამც, შეგვეძლოს ამის დავინყება) და გავიაზროთ სხვის უბედურება.

ამის უფლებას მაძლევს და მამხნევებს ბოლო სტრიქონები ჩვენი დიაგ-
ბული ლექსისა ვეფხისა და მოყმის შესახებ:



„...ხან იფიქრებდა, უდედოდ
გაზრდა ვინა თქვა შვილისა,
იქნება ვეფხის დედაი
ჩემზე მწარედა სტირისა,
წავიდე, მეც იქ მივიდე,
სამძიმარ უთხრა ჭირისა”...

ცისქვეშეთში არის ერთი მცირერიცხოვანი ერი — აფხაზები. მათ აქვთ
თავისი ენა, თავისი ტრადიციები, თვითმყობადი კულტურა, ეროვნული სია-
მაყე... მაგრამ დღეს ძნელად მოიძებნება ერი, რომლის აწმყო და, განსა-
კუთრებით, მომავალი იყოს უფრო მძიმე და ნაკლებ საიმედო. მაგრამ ეს
„დღეს“ არ დაწყებულა „გუშინ“. მას ძირები ღრმად აქვს გადგმული ისტო-
რიაში და მოდით, კიდევ ერთხელ, შეუიარაღებელი თვალით, მხოლოდ შშრა-
ლი ფაქტების ჩამოთვლით, გავიხსენოთ გრძელი და მძიმე გზა, რომელმაც
ეს ერი დღევანდლამდე მოიყვანა:

დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორია მთლიანად შედის კოლხური კულ-
ტურის არეალში (II-I ათასწლეულები).

კოლხეთის სამეფოს დაშლის შემდეგ, ქართველები და აფხაზთა წინაპ-
რები (აბაზგები და აფხაზები) ერთად იბრძვიან რომის, ირანის, ბიზან-
ტიის და სხვა დამპყრობთა წინააღმდეგ.

ასევე ერთად იყვნენ ისინი მთელი დასავლეთ საქართველოს მომცველ
ეგრის-აფხაზეთის სამეფოში (VIII-X სს.) და გაერთიანებული საქართველოს
შემადგრნლობაში (XI-XII სს.).

აფხაზეთმა, ისევე როგორც მთელმა საქართველომ, IV საუკუნის I ნახე-
ვარში მიიღო ქრისტიანობა, რომელიც აქედან ჩრდილო კავკასიის ზოგიერთ
ხალხშიც გავრცელდა.

XV საუკუნის დასასრულს საქართველო ცალკეულ სამეფოებად და სამ-
თავროებად დაიშალა.

XVII საუკუნის დასაწყისამდე აფხაზეთი ოდიშის სამთავროზე იყო დამტკი-
დებული, ხოლო შემდგომ თვითონაც დამოუკიდებელ სამთავროდ გაფორმდა.

ამ პერიოდში აფხაზეთი სულ უფრო ხშირად ხდება ოსმალთა აგრესის
ობიექტი.

1757 წელს ოსმალების მიერ დაპყრობილ სოხუმის ციხე-სიმაგრეს ერ-
თად ათავისუფლებენ აფხაზები და დასავლეთ საქართველოს გაერთიანე-
ბული ლაშქარი, იმერეთის მეფის, სოლომონ I-ის ხელმძღვანელობით. ხრე-
სილის ბრძოლაში გმირულად დაეცა სამურზაყანოს მფლობელი ხუტუნია
შარვაშიძე.

მაგრამ ოსმალებმა მალე კვლავ დაიპყრეს სოხუმი.

ამის შემდეგ აფხაზმა მთავრებმა დაინახეს, რომ დანარჩენ საქართვე-
ლოსთან ერთობით, მაინც ვერ დაიცავდნენ თავს ოსმალებისაგან და მიი-
ღეს ისლამი (აქედან იწყება მფარველი ქვეყნისა თუ ერის ძიება, რომელიც
აფხაზეთის მომდევნო ისტორიას მთავარ მოტივად გასდევს).

1779 წელს აფხაზებმა ოსმალებთან ერთად გაიღლა შქრეს სოლომონ I-ისა
და ოდიშის მთავრის წინააღმდეგ (რუხის ბრძოლა). მაგრამ ოსმალები და
აფხაზები დამარცხდნენ.

1801 წელს, კახეთის სამეფოს გაუქმებით, დაიწყო რუსეთის მიერ საქარ-
თველოს კოლონიზაცია, რომელიც თანდათან დასავლეთისაკენ მიიწვდა.

რუხის ბრძოლაში დამარცხებული აფხაზთა მთავარი ქელეშ-ბეი შარ-
ვაშიძე (ჩაჩიბა) გამოდის რუსეთთან კავშირის მომხრედ, რის გამოც 1808
წელს მას თურქები კლავენ. 1810 წელს მისი შვილი გიორგი (საფარ-ბეი),
რუსეთის მთავრობამ აფხაზეთის მემკვიდრე მთავრად ცნო რუსეთის უმაღ-
ლესი მფარველობის ქვეშ.

1853-56 წლებში აფხაზები აქტიურად მონაწილეობენ რუსეთის დრო-
შის ქვეშ რუსეთ-თურქეთის ომში. 1864 წელს აფხაზეთის ეს ერთგულება

რუსეთმა „დაუფასა“ აფხაზეთის სამთავროს გაუქმებით და მას „სოხუმის სამხედრო განყოფილება“ უწოდა (!). „სოხუმის ოლქი“ მხოლოდ 1883 წლიდან დან დაერქვა. აფხაზეთში გავრცელდა კოლონიური რეჟიმი (როგორც შევა ვინახეთ, მაპმადიანური თურქეთის მსგავსად, არც მართლმადიდებელმა რუსეთმა დაუყენა უკეთესი დღე ამ მცირერიცხოვან ერს).

1866 წელს აფხაზეთი აჯანყდა. რუსეთმა ეს აჯანყება ჩაახშო.

1867 წელს აფხაზთა მნიშვნელოვანი ნაწილი თურქეთში გადასახლდა. ამ პროცესს ეწოდა მუჰამედული მუსულმანთა — კავკასიიდან მკვიდრი მოსახლეობის (მომეტებულად მუსულმანთა) გადასახლება თურქეთში. ეს პროცესი საქართველოსაც შეეხო, მაგრამ განსაკუთრებით მძიმე გამოდგა იგი აფხაზებისათვის. მაგალითად, 1877-78 წლებში, რუსეთ-თურქეთის ომის დროს, სამშობლო დატოვა 50 ათასმა აფხაზმა. აქვე აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ 1877-79 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ ქართულმა საზოგადოებამ დაიწყო ბრძოლა მუჰამედირობის შესაწყვეტიად და გადასახლებულთა სამშობლოში დასაბრუნებლად. დიდი მუშაობა გასწიეს ამ მხრივ გიორგი წერეთელმა, სერგი მესხმა და სხვებმა. იმ პერიოდის ქართულმა პრესამ დიდი კამპანია გააჩალა მუჰამედირობის ნინაალმდეგ და არცთუ უშედეგოდ.

რუსეთს სურდა, მთიელთა ოსმალეთში გადასახლებით პოლიტიკური სიმშეიდისათვის მიეღწია ამ მხარეში, გათავისუფლებული მიწები გამოეყნებინა ფართო კოლონიზაციისთვის, ესარგებლა მხარის სამხედრო-სტრატეგიული მდგომარეობით. ოსმალეთი კი ცდილობდა, მუჰამედირები იმპერიის უკაცრიელ ადგილებსა და რუსეთ-თურქეთის საზღვრებთან დაესახლებინა. მუჰამედირების დიდი ნაწილი გზაში შიმშილმა და ეპიდემიებმა იმსხვერპლა. დაპირების მიუხედავად, თურქებმა მათ უვარების, შეუფერებული ადგილები მიუჩინეს. ბევრი უმინდოდ და უსახლკაროდ დარჩა. მუჰამედირების დიდმა ნაწილმა უკან დაბრუნება მოინდომა, მაგრამ რუსეთის მთავრობამ მათი შემოშვება აკრძალა.

მუჰაკევირობის შედეგად აფხაზეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი გავერანდა და გაუკაცურდა (კოლონიზაციის ნინააღმდეგ ჭეშმარიტი „პატრიოტული შემართება“ მხოლოდ ბუნებამ თუ გამოავლინა მალარების სახით).

აქ ცოტა შევისვენოთ, რადგან დიდი გზა არის გასავლელი დღევანდელ დღემდე და აქვე კიდევ ერთხელ გავიხსენოთ მუხლი ფსალმუნიდან: „ნუთუ ვერ შეუგნიათ უკანონობის ჩამდენთ, ჩემი ერის მჭამელთ, პურივით რომ ჭამენ და ღმერთს არ უხმობენ?..“ „ჩემი ერისა“, რადგან ყველა ერი ცისქვე-შეთში მისი ერია, მაგრამ „მისი ერის“ განუკითხავ ჭამა-სმას და თავაშვებულ ღრეობას ბოლო არ უჩანს.

და დადგა XX საუკუნე და, აპა, უკვე იწურება იგი!..

მეოცე საუკუნის დამდეგს, 1907 წელს, რუსულ ენაზე გამოდის ვორონოვის წიგნი სათაურით: *Абхазия — не Грузия*. ვისაც ეს წიგნი არ წაუკითხავს, თავს ნუ შეიწუხებს, რადგან სათაური ყველაფერს ამბობს. საინტერესოა მხოლოდ ერთი რამ, რად დასჭირდა ვორონოვს წიგნის დაწერა ამ სათაურით მაშინ, როცა საქართველოცა და აფხაზეთიც ისედაც რუსეთი იყო. რა აღმოჩენა იყო ეს? იქნებ სინდისმა შეანუხა? არა, რა თქმა უნდა, სინდისი აქ არაფერი შეუაშია. დაიწყო აფხაზთა შეგონება და გათიშვა მონათესავე და მოძმე ერისაგან. ამ ღვარდლის თესლმა, დათესილმა საუკუნის დასაწყისში, სრულყოფილად იხარა საუკუნის ბოლოს...

მოვდივართ ამქვეყნად და ისტორია ჩვენში ჩერდება. ის თანდათან, ჩვენი ცნობიერების ზრდასთან ერთად, აპყვება ჩვენი ცნობიერების რიტმს და, ჩვენც, ნებსით თუ უნებლიერ, ჩვენი გაჩერით ვმონაწილეობთ ისტორიაში.

ისტორია ჩვენშია და ჩვენ ისტორიაში ვართ.

ათიოდე წლის წინათ წერილი მივიღე აფხაზეთიდან, რუსულ ენაზე დაწერილი, მნერალთა კავშირის წევრისგან. სამწუხაროდ, ეს წერილი სა-

დღაც მიკვარგა. ზოგადად მახსოვეს შინაარსი. მწერალი მეკითხებოდა, რა ვიცი მე აფხაზეთის შესახებ. ანალოგიური წერილები, ვვარაუდობ, ჩემთა სხვა კოლეგებმაც მიიღეს. მე მაშინ ვერ შევძელი მეპასუნაში პხლაჭა, ამ წერილის წერისას, დავუიქრდი და ვიგონებ — მართლაც, რა ვიცი მე აფხაზეთის შესახებ?

3

მართლაცდა, რა ვიცი მე აფხაზეთზე?

პასუხი, რომელსაც ჩემი აფხაზი კოლეგა ჩემგან ელოდა, ავირიდე მხოლოდ იმიტომ, რომ იმას, რაც მე ვიცი აფხაზეთზე, ცოდნა არ ჰქვია, მას გაცილებით ბუნებრივი და მარტივი სახელი შეიძლება ეწოდოს...

მაგრამ დავიწყებ იმით, რაც არ ვიცი აფხაზეთზე.

უპირველეს ყოვლისა, შესაძლოა, მე არ ვიცოდე რიგიანად აფხაზეთის ისტორიაც და ყველაფერი, რაც წინა წერილში მოგახსენეთ, პირნიმინდად ამოვინერე ქართული საბჭოთა ენციკლოპედიიდან. ამოვინერე მხოლოდ თარიღები და მშრალი ფაქტები, რაც ხან ასე და ხან ისე იშიფრება.

არ ვიცი, ანდა ამას ცოდნა არ ჰქვია, რაც მე ვიცი აფხაზი ერის წარმოშობაზე, რატომ ითვლება და რა მეცნიერული დასაბუთება აქვს იმას, რომ აფხაზები და ქართველები მონათესავე ერებია. და რომ ეს ტერიტორია საერთოა, რადგან მთელი დასავლეთ საქართველო აფხაზეთითურთ ძველი, ერთიანი კოლხური კულტურის მემკვიდრეა.

როგორ მოხდა, რომ გვარით და გარეგნობით, ბევრ შემთხვევაში ვერ გაარჩევ და განასხვავებ აფხაზია და ქართველს.

რატომ არის, რომ ჩვენი ლხინიცა და ჭირიც ასე ჰგავს ერთმანეთს.

როგორ ხდება, რომ ბევრჯერ, ინსტინქტურად ქართულად მიმართავ აფხაზს და არაბუნებრივი უხერხულობა გეუფლება, როცა მას შენი არ ესმის.

მე მგონი, ამგვარი ცოდნა თვით ბევრ აფხაზსაც არა აქვს, ისე აირია და აიჭრა მის გარშემო ყველაფერი. ამ აბსურდში გარკვევა არა მარტო აფხაზსა და ქართველს, არამედ ყოველ ნორმალურ ადამიანს გაუჭირდება.

მაგრამ საშინელება ის არის, რომ ამ აბსურდს ეწირება უამრავი რეალური ადამიანი და, შესაძლოა, მთელი ერიც.

თუმცა, არიან სხვანიც, რომელთაც ყველაფერი ზედმინევნით იციან აფხაზეთზე. მათ თავის რუკებზე (თავისსავე ენაზე, და არა აფხაზურად) აღნიშნული აქვთ ყოველი მტკაველი მიწა, ყოველი კორდი, სადაც შეიძლება განალაგო საარტილერიო ბატარეა, ყოველი მკრთალი ბილიკი, რომლითაც მოულოდნელად მიეპარები ზურგიდან მტერს. ყოველი ხე და ბუჩქი, რომელთა უკან შეიძლება შაშხანით ჩასაფრება. იციან ყოველი გზაჯვარედინი და აღმართ-დაღმართი, რომელიც შეიძლება დანაღმო. მათ აღნერ-აღნუსხული აქვთ ყოველი სულიერი, რომელიც იძვრის ამ ტანჯულ მიწაზე. მათ ეს ყველაფერი კარგად იციან.

ისინი ხანდახან სადღაც ერთად ჩამოსხდებიან, სახელმწიფო მოღვაწეები, ჩინოსანი მხედართუფროსები, თანამდებობის პირნი, გამოჩენილი მეცნიერნი, ფსიქოლოგნი, კონფლიქტოლოგნი, ხელოვანნი, სტატისტიკოსნი, „იკრიბებიან არა უმჯობესისათვის, არამედ უარესისათვის“. იკრიბებიან და ქმნიან ამ აბსურდს ალქიმიკოსის სიჯიუტით. მათ მიაღწიეს არნახულ შედეგებს, რომლის მსგავსი დღეს ცისქვეშეთში ძნელად მოიძებნება.

მათ იციან, როგორ გაჭრან შუაში ბავშვი ისე, რომ ერთი ნაწილი მამას დაუტოვონ, ხოლო მეორე დედას მიუგდონ და ბავშვს მაინც ცოცხალი ერქვას.

მათ შეუძლიათ, გაყონ მოგვარენი ისე, რომ ერთი მეორეს მოსაკლავად დასდევდეს.

մատ կարցագ օպուան, ռողոր Շեազսոն առքեանտա Տօմէուր Եղծուսմոյրօ
և Տեղա Երուտա դա Տալետ, Ռոմ Ռողորմը ցագանինոն արասասյուրցըլո շնուն
Ռութեանձրուց Շատուրագիւսոնա.

ՅԱՐԱՎԵՐԱ
ՑՈՒՑԱԿԱՐԱԳՈՅՆ

Ռողոր առմուլո, Շարո առյմեցոն առամուն Տայուտար Ենանց մի մուգո-
վուտ, Ռոմ ու առապարագիւցուլուա.

մատ ուսուց օպուան, Ռողոր առու Շեսամլեծելո ցարմի „Ցուլուա“ Վեր
ամուցնո մուժուլո շնուն Ենանց պայլանց մարդուսո Տութպա — Ցուլո.

մատ ցամուտզլուլ-ցամոնցարութեծուլո այւտ, Ռողոր Շեարպոն Քրա-
գուցուլո ոչաքեծո, շնուն Տայուրդենո դա Ցուրջո, Տայուրորդո Շորտոյր-
տոնծեծուտ, ցայծեցուրցեծուլո, Ցլեծու ցանմազլոնծանո Տացնուրցեծուն մոմ-
լուգունց Ցշցունուրտա Տյեսու Տաշուալուծուտ, Ռոմելտապ ամգուն Տոլուր-
չու, ամգուն Ցիւ դա Տոտծո տացու Տամշոնծլոնո արասուցու Շցրցնուատ;
Ռողոր Շեյցուալոն դա Տայմանոնցուն մատ Կետուլո Ցոնցեծ, Ռոմելտապ
Վերց Ցո Եարմուցցնուատ, Ռա Տանլայրո այւս մատ Տոլալուսա դա Ցեց-
նուրցեծաս առքեանցտու, Ռուպա Տամշոնծլոնդան Ցշոնծելտա, դատա դա Ժմատա
Տոցուգուլուս Ցրոնծանցց Ցո առ Ռյացուրցեծ, Ռամցունիմո Ըլուս Տոխարուլո
Ռոմ առ Բամնարոն.

Ռողոր մոանպոն Վալպուրցուս Ծամեյեծո, յս արառուցուալուրո մասոնձրո-
ւո Ռոցույեծո Ըուս կյուշ, Ռոմելսապ այ, Ռագոմլապ, „Քանցութես“ շնախուն,
— յս Կոլոննուրո Պոլուգուս Եարմարտուս Մեթագ Եցութիւրո, „Տասուամոց-
նո դա Տասարցեծլոն“ Տաշուալուծ, Տաճապ Առանուսուցարցեթցահիրոլո, Տալագ
Տայաշուապեծուլո Ացցուլոնձրուց Ցոյթ-Ցոյթեծու դա Ցամուցուլո, Ցիուտ
Ցուլո Ջեգայապեծու առ Ցունու Մեռու Տապացա Մուցաննչո Ցպուլցունուատ, Արա-
մեց Ոյզու, Ռուու նածոյչու, Տայուրնոցան, Ցամունցունու, Ցայցնուր Ցոյթ-Ցոյթ-
Ցուշ, Ցերցեծուցուտ Ասրուլցեծն Տայուրնունո Ռությալուս Ժակունուտ նանուն,
Տոլոն ամու Շեմցաց, մատ Տմենաս Շաբունցուց Տայուրորդո Քանցույեծուս, Ցոյթ-
Տիրորդուցուս դա Վալսեծուս Ցշոնծլուրո Քանցույեծո, Ռոմելեծուպ մատ Կուլազ Տա-
պուցա Մուցնուսակեն Շիմոնս, Ռոմ Վայլացուրո տապուդան դանիպուս.

Կողայլուց ամուս Շեմդցը առեանցուուս „մուտքեցած“ հաճա շուգան Բնին?

մացրամ յս ոյնեծ „մ՛շուզոնեանագ“ մոերեցցը? Քպուլագ կո ար Շեյփ-
մեա პատրիուրո սածքուու սոմլերա: „Խոտյա լի բասկու վոյնի՞ն?“ մ՛շու-
զումոնմեծ — ար շոնդատ... ողոնց, ու մոխանս շոմրագ մոալն եզըն. ամուս
ծուրոնձ կո նամցուլագ արևեծոնձ. սայարտցուու ոելոիիցոնց որ — սա-
մոյալայու დա սամահածլուստցուու — ոմցես Շորուու դա սագա Ֆյոնդա մեսամյ
ոմშո ჩարտցուու տացո.

մանց ჩայրուու, մանց ჩայտրուու.

Ճա ամջերագագ, մատցուու սասուրցուու ոմուս ցահալցուա, „մցուու ճա շրա-
զուու“ շրուլոցուու օգազուա ար ոյուս, յարտցուու ճա ածրալյուս, րուս ցա-
մոց ծեցրո ჩայնո մեցոնձարո րուսետշո ճա, արա մեռլուգ րուսետշո, տացու
սոնանցուլուու երուգա ճա այնցուա այցետ-օյուտ — յս րա յնես, յարտցուու մատ.

այցու ար Շեմունուու, ար ցազուենու Շեսանունացու րուսու մերլուու, չայնո մեցոնձուու (ու շաբա ցուլո ար այսարա ჩայնիչ), անդրյու ծութոցուու „լուա
ներուլու ժանուա ամորցուուն“, րոմելսաց „պրոլոցուու“ ու „ըուցրացուու“
մացուր այցես մոնանցրո — „Շեսածլու, յս ներուլու կոլցեկտուուրո ցամեցա-
րուու“, րաց, շրուցուա ոմաս նոնացու, րոմ մեռլուգ ուս ար ցոյերոնձ ամցա-
րագ. ներուլուու ապուրու, ուբոնձ րա յարտցուու Շեմնցնարցուլոնձաս, ցար-
ացուու ցուլուու ժուլուու գուցուու գառպէնուու ցամոտյամս սոնանցուլս մատու
լուգնելու ացրեսուլոնձուու ցամո. րոգորու ჩանս, „Սրու Արմենիու“-ս ապ-
ուրուուսատցուու „սոմետուու ցայցուու գուցուու գուցուու գուցուու գուցուու“ սայմարուու ալմոնինդա, րոմ յար-
տցուուն, ամջերագ, մենցուրագ մուլունեցոնց.

մե կո մենցարու „ըուցրացուու“ մոնդա ճացամտացրո չայմու յս Շենունցնա: ժա-
նուա ամորցուուն ցայցու — որակուու ցմորուլագ ճա ոմլուքա ամ ոմշո.

Կուգեց ծեցրո ճա շամրացու րամ ար ցուու լցարմուուս ոմ նայուցուու, րոմյ-
ուլուու սալունուու ճա սանցուու ճա ոտյուս ճա ասց եարոնձ ճա ոյցուրինցնենա այսամցը.

մե ամցար ուղարձանչու եցուու ար մոմոնցուուն, մացրամ ծեցրո այ ոյցմու-
լուու մոնմեց ճա ուցումեուլուց ցար ճա ծեցրուու սեցուսցան մոմուսմենուա.

დიახ, მას შემდეგ, რაც ვიბადებით, ისტორია ჩერდება ჩვენში და ჩვენი ცნობიერების ზრდასთან ერთად აჰყვება ჩვენივე ცხოვრების რიტმს და, ნებსით თუ უნებლიერ, ვმონაწილეობთ მასში.

მე თბილისში დავიბადე და აი, უკვე 65 წელია, აქვე ვძერდები, მაგრამ თუ სადმე ყოფილვარ ხანგრძლივად, აფხაზეთია, თუ რაიმე მაკავშირებს მასთან, არა ცივი და ავი ცოდნა, არამედ ცხოვრების საუკეთესო დღეებისა და წლების მოგონებანი...

4

ვიღაცას უთქვამს, მე არ მაინტერესებს ადამიანები, მე ტერიტორია მაინტერესებსო. არ ვიცი, ვინ თქვა ეს. იქნებ, არც თქმულა ასეთი რამ საჯაროდ. იქნებ მავანმა მხოლოდ გულში გაიფიქრა. ამჟამად ამას უკვე მნიშვნელობა არა აქვს — ფაქტი აშკარაა, „ვინაიდან ნაყოფით იცნობა ხე“.

ღმერთმა სამყარო ადამიანისთვის შექმნა, და არა ადამიანი სამყაროსთვის. ასეა ბიბლიაში და ადამიანია მთავარი ღვთიური ჩანაფიქრი და მიზანი, თორემ ცისა და ქვეყნის შემქმნელს არც ზღვები სჭირდება და არც მდინარეები, არც მარადთოვლიანი მწვერვალები და არც თვალუწვდენელი ველები, არც დაბურული ტყეები და არც მიწისქვეშა ნიაღისეული. განსასვენებლად მისთვის ერთი ადამიანის წრფელი გულიც საკმარისია.

დიახ, ჩემო უცნობო აფხაზო კოლეგავ, მე ბევრი რამ არ ვიცი აფხაზეთის შესახებ, მაგრამ შენი წერილის პასუხად მოვიხმობ მახსოვრობას ბავშვობიდან ჩემს უკანასკნელ იქ ყოფნამდე და აღარც ვიცი, მინდა თუ არა კიდევ ვნახო ის ადგილები, სადაც საუკეთესო დღეები გა-

მიტარებია. აღარ მინდა ვნახო შერყვნილი და ნაიარევი პაერი, მზე და ზღვა, ჩემდამი სიძულვილით სავსე. ნუთუ ყველაფერი იმიტომ მოხდა, ამგვარი სინანული გამჩენოდა იმის სანაცვლოდ, რომ ასე მოყვარდა ას მიწის ყოველი მტკაველი, ყოველი ბუჩქი და ხე, ყოველი მკრთალი ბილიკი და, რაც მთავარია, იქ აღარ მეგულება თუნდაც ერთი ადამიანი, რომელსაც გულში ჩავიკრავ, ვისაც ჩემს მწუხარებასა და სიხარულს გაუზიარებ, ანდა, უბრალოდ, ვინმე უცნობს ორლობებში მივესალმები. ბევრი იმათგანი ან მიწამ მიიმატა და უფრო მრავლად განიდევნა მშობლიური მხარიდან.

რა ვქნა, თუ მე ადამიანები მეტად მიყვარს, მკვდარი იქნება თუ ცოცხალი, ვიდრე ტერიტორია მაინტერესებსაც

ვისაც უყვარს, ის ისჯება.

მაგრამ რას იზამ, თუ უზარმაზარ მარტორქას მხოლოდ ერთი რქის-თვის კლავენ, ხოლო მის სხეულს ტურებსა და ყვავ-ყორნებს მიუგდებენ საჯიჯვნად...

ჩემთან ხშირად მოდის ჩემი ერთადერთი დეიდაშვილი ტიტე (ტიტიკო, როგორც მას ვეძახით ყველა) მამულია. მან და მისმა მეუღლემ, ნათელა კაჭარავამ, თითქმის უკანასკნელებმა დატოვეს აფხაზეთი. ჩამოსვლიდან მეორე ნელს ნათელა გარდაიცვალა. მისი საფლავი თითქოს თბილია და ჯერ კიდევ მოუწყობელი, რადგან მისი ქმარი და შვილები იმედს არ კარგავენ, რომ მათთვის ძვირფას ნეშტს მშობლიურ მიწას დაუბრუნებენ.

დაქვრივებული ტიტე, თავის შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად, მეთხუთმეტე სართულზე ცხოვრობს ანთეოსივით მიწას მოწყვეტილი. ის პროფესიით აგრონომია, მამამისივით შრომისმოყვარე და მშვიდი. მისი ეს სიმშვიდე მაოცებს, რადგან ვიცი, რაც გადაიტანა და რისი მოწმეც გახდა. ეტყობა, მიწასთან ურთიერთობა ქმნის ამ სიმშვიდესა და სიბრძნეს. ის სრულიად თავისუფალია შურისძიების გრძნობისაგან,

რადგან იცის მის თავს დატეხილი უბედურების ნამდვილი მიზეზები. ამას გარდა, იმ აფხაზმა, რომელმაც მისი სახლი დაიკავა, არა მარტო არ დაიზარა ნათელას და ტიტიკოს გაცილება ადლერამდე, არამედ კრისტენის დაიცვა ისინი, როცა მათ ავტობუსიდან ჩამოსხმა და იქვე დახვრეტა მოუნდომეს.

მე თბილისის განაპირას ვცხოვრობ, მამისაგან აშენებულ სახლში და მაქვს მიწის პატარა ნაკვეთი. ტიტესთვის ჩემი ეზო-კარი ისევე შშობლიურია, როგორც ჩემთვის მისი სამოსახლო გულრიფშში.

ერთი საათითაც რომ მოუხდეს მოსელა, მაშინვე ტაძაცმელს გამოიცვლის და შეუდგება საქმეს. უსაქმოდ წამით არ გაჩერდება. ეზო და ხეხილი წესრიგში მოჰყავს, რისი ნიჭიც, სამწუხაროდ, მე არ გამაჩინია. მერე, თუ მაქვს რაიმე საჭმელი და ცოტაოდენი სასმელი, გსხედვართ და ვიხსენებთ აფხაზეთს, გულრიფშს, ბავშობას, შშობლებს, ნათესავებს, მეგობრებს, მეზობლებს, ნაცობ-უცობებს, ცოცხლებსა და მკვდრებს, მწარესა და ტკბილს. ვიგონებთ მომეტებულად, ცრემლითა და იმედ-უიმედობით. მოგონების ყველაზე ბედნიერ წამებსაც ერთნაირი სევდა და მწუხარე განწყობა ახლავს. არა გვაქვს შურისძიების გრძნობა, მაგრამ არნახული უსამართლობა ყელში გვებჯინება და გვახრიჩობს.

ვიგონებთ ბავშვობას, ლალსა და უდრტვინველს, და იმ ადამიანებს, რომლებიც ცხოვრების გზაზე შეგვხვედრია, და ნელ-ნელა მივიწევთ წინ ჩვენს მოგონებებში.

ცხოვრება თანდათან როთულდება, ხან დაიბინდება და მზე გამოანათებს. და აი, უკვე მერამდენედ, მოვალნიერ დღევანდელ დღემდე და დღევანდელ უკუნ ლამეტდე, რომელიც გადაულახავ კედლად ალიმართება, ხოლმე ჩვენს წინაშე და კვლავ საწყისს ვუბრუნდებით, ჯადოსნურ წრეში მოქცეულნი. თითქოს ახლა რაც არის, ეს არის ჩვენი რეალური ცხოვრება, ხოლო ის, რაც იყო, მხოლოდ ტკბილი სიზმარი იყო.

ბუნდოვნად მახსოვეს ბიძაჩემის, დავით დადიანის თეთრი სახლი გულ-რიფშში და ბებიაჩემი ვერა ავალიანი-დადიანისა, რომელიც ლოგინად ჩა-

ვარდა ომში წასული ვაჟიშვილების — დავითისა და ნიკოლოზის მოღო-
დინში. ამ მოლოდინმა დასცა დამბლა და ამ მოლოდინმავე აცოცხლა ლო-
გინს მიჯაჭვული უტყვად.

ერთობები
2022 წლის ივნისი

უმცროსი, ნიკოლოზი (კოლია), 18-19 წლისა სოხუმის რომელიდაც ხახ-
წავლებლის მასწავლებელი, ომამდე გაინვიეს სამხედრო სამსახურში და
ომის დაწყებისთანავე ბესარაბიაში დაიღუპა დაბომბვისას.

მეორე, დავითი, ცოლიანი, შვილი არ დარჩა, ქორწილის შემდეგ მალევე
გაინვიეს ჯარში და ასევე მალე მისი კვალიც დაიკარგა. ჭორად მოვიდა
ამბავი, რომ ამ ამაყ კაცს შელაპარაკება მოუხდა მეთაურთან და ისიც
ფრონტის წინა ხაზზე გაუშვეს. მეტი მის შესახებ არაფერი ვიცით.

ბებიას ოთხივე გულდათუთქული ქალიშვილი დიდი მონდომებით უმა-
ლავდა თავიანთი ძმების დაღუპვის ამბავს, მაგრამ დავრდომილი დედის
უნაკლო სმენას (ერთადერთი, რაც მას ჯანმრთელი შემორჩა), ეტყობა,
არ გამოეპარებოდა ტყუილი და მართალი, რასაც მის თვალებზე მომ-
დგარი ცრემლი თუ ამჟღავნებდა.

ომის დამთავრებიდან მეორე თუ მესამე წელს ბებია გარდაიცვალა
და დაკრძალეს გულრიფშის სასაფლაოზე. მის გვერდით ასვენია დეიდა-
ჩემი — მელანია დადიანი, ექიმი, რომელიც ბებიას უვლიდა სიცოცხლის
ბოლომდე და ისიც გულრიფში შემორჩა.

თითქმის ყოველ ზაფხულს, მთელი ჩვენი ოჯახი, ომამდეც და ომის
შემდეგ განსაკუთრებით, გულრიფში ჩავდიოდით ჩემს უფროს დეიდას-
თან, ტატიანა (ბუჟღუ) დადიან-მამულიასთან. მისი მეუღლე, ვასილ მამუ-
ლია, ბრძენი მეურნე კაცი იყო, მშვიდი და კეთილად მომლიმარი, ამ სოფ-
ლის ერთ-ერთი თავკაცი, რომელთანაც ხშირად მოდიოდნენ თანასოფლე-
ლები რჩევისათვის.

მახსოვს, რა გულისფანცქალით ველოდებოდი ვაგონის სარკმელს აკ-
რული გულრიფშის ნაცნობ ხედებს, იმ ბორცვის გამოჩენას, რომელზეც
იდგა მწვანეში ჩაფლული ორი სანატორიუმი — თეთრი და წითელი.

რაც მთავარია, იქ მელოდებოდა ლურჯი ზღვა და ჩემზე სამი წლით



უფროსი დეიდაშვილი ტიტიკო.

მე თუმც თბილისში დავიბადე ხორციელად, მეორედ, უფრო თერთი და მეორე ნიმუში გადებით, აფხაზეთში დავიბადე. 14-ოდე ნლის ვიქნებოდი, როცა მესამე დეიდამ, ეკატერინემ (კატუშა) სოფელ აზანთაში წამიყვანა, სადაც მისი ქმარი, იონა ლალიძე, სკოლის დირექტორი იყო.

ნებელდიდან აზანთამდე ფეხით ვიარეთ. კარგად მახსოვს ის განცდა, როცა სოფელს მივუახლოვდით. გარემო მკვეთრად შეიცვალა, თითქოს უზარმაზარ ქვაბულში შევდიოდით, რომელიც რაღაც დიდ საიდუმლოს მაღავდა თავის თავში. თითქოს ზღაპარში შევდგი ფეხი.

იმავე განცდის დასტური იყო ხეებს შორის მოლივლივე ლურჯი ამ-
ტყელის ტბა, რომელიც ცის სველი ნაფლეთივით ჩავარდნილიყო სადღაც
ქვევით, ხევში, და კიდევ, უზარმაზარი ლოდებით ნაგები „დევის სახლე-
ბი“. მაშინ დავრწმუნდი, რომ ზღაპრულ ცხრათავიან, ასთავიან და ბაყ-
ბაყ-დევებსაც ჰქონიათ ბავშვობა. აბა, ადამიანებს სად შეუძლია ამოდე-
ნა ლოდებით „თამაში“.

იონა ბიძიას მამა მღვდელი იყო. არა მცხეთაში და არა თბილისში, და
არც რომელიმე ჩვენს დიდებულ ტაძარში ვეზიარე ქრისტეს მაცოცხლე-
ბელ სჯულს, არამედ აქ, აზანთაში, ლია ცის ქვეშ, ამტყელის ტბის ნაპი-
რებთან. აქ დაიბადა ჩემში ქრისტე და ახლალა ვაცნობიერებ, რომ მეცა
ვარ ის ერთ-ერთი შორეული შთამომავალი იმ უბირი მწყემსთაგანისა,
რომელმაც თავისი მემკვიდრეობიდან მეც მიწილადა ამ ნათლობით თავი-
სი დიდი სიხარული.

ჩემი ნათლიაა ლეილა ავალიანი, დედაჩემის ბიძაშვილი.

ისევ და ისევ, მე და ტიტე ნელ-ნელა მივინევთ წინ ჩვენს მოგონე-
ბებში, ვიზრდებით, ვვაჟვაცდებით, ცხოვრება თანდათან როზულდება.
ხან ჩამობნელდება და ხან მზე გამოანათებს. ტიტე თბილისში ჩამო-
დის. ჩვენთან ცხოვრობს. ამთავრებს უმაღლესს, ბრუნდება თავის სო-

ფელში, ოჯახდება და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. მე კვლავ ხშირი სტუ-
მარი ვარ აფხაზეთის.



და აი, ნელ-ნელა იქუფრება აფხაზეთის ცა.

მახსოვს, როგორ თანდათან იძაბება ურთიერთობა აფხაზებსა და ქარ-
თველებს შორის, როგორ უცხოვდებიან ისინი ერთმანეთის მიმართ.

მახსოვს ადგილობრივი ტელეფონების თხელი წიგნაკი, რომელიც, დრო-
თა განმავლობაში, სქელდება უფრო მოზრდილ წიგნად, ოლონდ არა აფხა-
ზურ-ქართული გვარების ხარჯზე.

მახსოვს 70-იანი წლების დასაწყისი, როცა მაშინდელმა რესპუბლი-
კურმა მთავრობამ პრესის საშუალებით გამოთქვა თავისი შეშფოთება
ტერიტორიის არააფხაზური და არაქართული ხალხებით გამიზნული და-
სახლება-დამკვიდრების, კოლონიზაციის ამ არცთუ ისე კარგად დაფა-
რული პოლიტიკის გატარების გამო (ეს იმპერია ყოველთვის ავს იქმოდა
სხვისი ხელებით, ხოლო კარგს — სხვის ხარჯზე). ცენტრიდან ჩვენს მთავ-
რობას, ეტყობა, „თითო დაუქნიეს“ და მანაც სხვა ფორმების ძიება დაი-
წყო აფხაზეთის დასაცავად. დაარსდა აფხაზურ-ქართული უნივერსიტე-
ტი და ტელევიზია. შემდეგ კი, დაპირისპირების გამდაფრებასთან ერთად,
იმპერიამ ძალიან ძველ და მრავალჯერ ნაცად ხერხს მიმართა — „გაყავი
და იბატონე“. და, მალევე, აფხაზურ-ქართული უნივერსიტეტი და ტელე-
ვიზია გაიყო აფხაზურად და ქართულად. შემდეგ კი ყველაფერი ქართუ-
ლი „ზედმეტად“ ჩათვალეს და გადარეკეს ენგურს იქით...

(აი, ყოველივე ამას ზეიმობდა სოხუმი 27 სექტემბერს — ჯვართამაღ-
ლების დღეს.)

ომი აფხაზეთში იყო ომი „უკვდავ კაშჩიისთან“ პლუს იმ უამრავ „მო-
ხალისე“ ხალხებთან ერთად, რომლებიც ცინიკურად აცხადებენ, რომ იცა-
ვენ მცირერიცხვან ერს ქართველი აგრესორებისაგან და ეს „სამართლია-
ნი“, „პუმანური“, „ინტერნაციონალური“ ვალი ამხნევებს მათ, იყვნენ გან-
საკუთრებით სასტიკი და დაუნდობელნი. ყოველივე ამას ემატება რუსე-

ბის, სომხების და აფხაზეთში მობინადრე კიდევ სხვა ხალხების ხაზგაბ-
შული სიძუღვილი ქართველებისადმი, რადგან ეს იყო დაუწერელი სასი-
ცოცხლო პირობა მათი უსაფრთხოებისა. ისინი ხმის ჩახლეჩამდევ ჭაჭკვირტ-
ნენ: „რა უნდათ ქართველებს ამ მიწაზე, ჩაეთრიონ თავის სამშობლოში
ენგურს იქით!“

უფრო მეტიც თვით აფხაზებსაც ეშინოდათ გამოემულავნებინათ ოდ-
ნავი „სისუსტე“ და ლმობიერება ქართველი მეზობლისადმი, ნათესავი-
სადმი, მეგობრისადმი და თვით საკუთარი მეუღლისადმიც კი.

და აյ კი, ნამდვილად, გამართლდა თურქული ანდაზა: „როცა ჩემი
წვერ-ულვაში ინვის, სხვები ცეცხლზე თუთუნს უკიდებენ“.

ტიტე და ნათელა დარჩენ კუპირებულ აფხაზეთში. შვილები ადრე-
ვე გამოარიდეს სისხლისლვრას.

ტიტე მიყვება, თუ როგორ მოკლეს მისი ცოლისძმა, კიმი კაჭარავა —
შესანიშნავი მოლვანე, ინტელიგენტი და პედაგოგი, სოხუმის მე-2 რუსუ-
ლი სკოლის დირექტორი, სადაც მრავალი აფხაზი სწავლობდა. ის გულ-
რიფში დარჩა და დარწმუნებით ამბობდა: „მე აფხაზისგან არ მოკვდე-
ბიო“. მაინც მოკლეს, შესაძლოა, არაა აფხაზისგან. მოკლეს ერთი ვიდეოკა-
სეტის და არარსებული ვიდეომაგნიტოფონის გამო. მოკლეს თავისივე ეზო-
ში, ცოლის თვალნინ.

ტიტემ თავისი ხელით, მარტოკამ, იქვე, ეზოშივე გათხარა კიმის საფ-
ლავი, რადგან სასაფლაოზე ნასვენება ყოვლად შეუძლებელი იყო.

ასევე, თავისივე ეზოში დაკრძალა მეორე ახლობელი ადამიანი, უურ-
ნალისტი გიგლა ძიძიგური.

ასე განმეორდა ტობითის ბიბლიური ისტორია, როცა ის მალულად,
საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად, აბარებდა მიწას უცხოობაში გა-
დასახლებულ და დახოცილ თანამოძმეებს. განსხვავება მხოლოდ იმაშია,
რომ ტიტე სამშობლოშივე შეიძლება შენირვოდა უნებურად ნამოცდე-
ნილ ერთ ქართულ სიტყვასაც კი.

კიდევ ერთი უჩვეულო რამ მიამბო ტიტემ. კიმი კაჭარავას შოკვლის შემდეგ მკვლელი წასულა და გზად პირველივე შემსვედრ, მისთვის უცნობი ქალისთვის გაუნდია თავისი დანაშაული, ხოლო შემდეგ ფრთხოების ქებია, ეტყობა, სინდისმა შეაწუხა და ამგვარად გამოხატა თავისი სინანული.

როცა ტიტე და ნათელა თავის მშობლიურ სახლ-კარსა და ვენახს ტოვებდნენ, მათ არაფერი წამოუღიათ თან, არც ოქრო-ვერცხლი და არც სხვა ნივთიერი რამ. მათ მოისურვეს მხოლოდ საოჯახო ალბომის წამოღება, რომელსაც დეიდაჩემი ათწლეულობით ქმნიდა. მაგრამ არ ურჩიეს, რადგან ამგვარ მოსაგონარს, შესაძლოა, საბედისნერო გაღიზიანება გამოწვია ჩერეკისას.

იმ კოშმარად ქცეული ტკბილი სიზმრიდან მათ მხოლოდ გამოიტანეს რაც ეცვათ და ერთი მომცრო ხელჩანთა, რომელსაც მრავალჯერ ელოდა გაჩერეკა.

მომიტევე, ჩემო კოლეგავ, რომ თავს ნება მივეცი ამ ლირიკული გადახვევისა. მე მხოლოდ ის მინდოდა მეთქვა, რომ თუმც ტიტე მამულიას მიერ გადატანილი განსაცდელი სულ არ არის ყველაზე მძიმე და აუტანელი, და რომ ბევრმა ჩვენმა თანამემამულემ გაცილებით მეტი ტკივილი და შეურაცხყოფა იგემა, მაგრამ ისიც ხომ ერთ-ერთი ლტოლვილთაგანია, და რომ მისთანანი და მასზე უფრო ტრაგიკული ბედისა ათიათასობით და ასიათასობით არიან. ეს არც მათემატიკაა და არც სტატისტიკა, რადგან ყოველი მათგანი სათითაოდ ცოცხლობს და სათითაოდ კვდება — ყოველი ადამიანი და ასიათასობით ყოველი ადამიანი!..

დიახ. ჩვენ ვმონანილეობთ ისტორიაში. ჩვენ უნდა მივიღოთ მონანილეობა ისტორიაში არა უარესისათვის, არამედ უკეთესისათვის. ეს ჩვენს ხალხებს ჰაერივით სჭირდება. ადამიანები სიძულვილისათვის არ არიან შექმნილნი. „აღარ ძალმიძს შევრისხო და მოვიძულო ჩემი მოყვასი, რად-

გან ჩვენ თანამშრომლობისა და თანამოღვანეობისათვის ვართ შექმნილ
ნი" (მარკუს ავრელიუსი. ფიქრები. ნიგნი მეორე.1).

იყო ორი ახალგაზრდა ბერი. მეგობრობდნენ, მაგრამ ერთხელ დაქმ-
დურნენ ერთმანეთს. ერთ-ერთმა მშობლიური მონასტერი დატოვა და სხვა
მონასტერში წავიდა. გავიდა ხანი. დარჩენილ ბერს მოენატრა თავისი მე-
გობარი, მონასტრის წინამდლვრისაგან მიიღო კურთხევა, წასულიყო და
შერიგებოდა მეორეს. გაუდგა გზას, მაგრამ მალევე დაბრუნდა და წინამ-
დლვარს მოახსენა, რომ იმან არ მოისურვა შერიგება, რაზედაც მოძლვარ-
მა უპასუხა: ეს იმიტომ, რომ მისკენ მიმავალი შენ შენს თავს ამართლებ-
დი და მას კი ამტყუნებდი. კვლავ წადი და გზად განიკითხე თავი შენი და
ეცადე მის გამართლებას. მხოლოდ ასე არის შესაძლებელი ძმის კვლავ
მოპოვება.

და ახდა მოძლვრის სიტყვები. ძმები შერიგდნენ.

ამ ერთმანეთისაკენ მიმავალ გზაზე ჩასაფრებულია კიდევ ერთი, შე-
საძლოა, ყველაზე დიდი მტერი, რაც ლვარძლის მთესველებმა თავიდანვე
ჩადეს აფხაზეთის „მოტეხვის“ პროგრამაში — ეს არის ორმხრივი შურის-
ძიების შესაძლებლობა ჩვენს ერებს შორის, რაც გამიზნულია იმისათვის,
რომ წლების განმავლობაში ამ ორმა ერმა ვერ შეძლონ თანაცხოვრება.
ეს მოტივი ერთგვარი მოდიფიკაციაა ლენინის ცნობილი „შუისკოე პის-
მო“-ს „სასიამოვნო და სასარგებლო“ თემისა.

მაგრამ მწამს, რომ სიძულვილი განქარდება და დაინრიტება, რადგან
ის სუბსტანციური გრძნობა არ არის.

და აი, ჩემო უცნობო აფხაზო კოლეგავ, დასასრულს უახლოვდება ჩე-
მი ეს დაგვიანებული და გაჭიანურებული პასუხი. მე მინდა იგი დავამ-
თავრო ანზორ სალუქვაძის ადრეული ლექსით:

„გაზაფხულია, ზღვის ნაპირებს მიდის მედეა,
ლვთაებრივია მშობლიური მისი ნაკვთები,

გული წრფელი და მოიმედეა,

რომ აღარ მოვლენ არასოდეს არგონავტები“...



ჭეშმარიტი გამარჯვება ვერ წინ არის. თუმცა, მას არ ექნება ის სულ-
მდაბლური საზეიმო განწყობა, რომელსაც შეჩვეულნი ვართ, რათა საბო-
ლოოდ ვთქვათ — აპა, ქართველების „დამარცხებასა“ და აფხაზეთის „გა-
მარჯვებაზე“ ვზეომობთ საერთო გამარჯვებით ურთიერთმტრობაზე.

21, 26 ოქტომბერი, 11, 23 ნოემბერი, 8 დეკემბერი, 1998

უღმერთოდ მომენატრა შენთან ლაპარაკი



ამ სიტყვებით იწყებოდა გურამ რჩეულიშვილის წერილი, რომელიც მომწერა მოსკოვიდან გამგზავრების მეოცე დღეს, შემდეგ კი: "...თით-ქმის ნაწყენი ვარ, რომ წერილს არ მწერ".

ეს საოცარი დამთხვევა იყო, რადგანაც მეც თითქმის იმავე სიტყვებითა და განწყობით მივწერე წერილი, რომელიც მას, ეტყობა, ჯერ არ ჰქონდა მიღებული.

მასსოფს გამგზავრების წინა პერიოდი, ის გაუცხოება და სიცივე ჩვენს შორის, რომელსაც მაშინ ახსნა ვერ ვუპოვე. მხოლოდ ახლახან, მისმა დამ, მარინემ მითხრა, რომ მოსკოვში გამგზავრება მისთვის იყო რაღაც ახალი ეტაპის, ახალი ცხოვრების დასაწყისი და ეს გაუცხოებაც თითქმის ყველა ახლობლის მიმართ აქვთან მოდიოდაო.

მაგრამ გავიდა სულ ოციოდე დღე და მე მოსკოვიდან მივიღე თბილი, საყვედურნარევი წერილი და, ალბათ, მანაც მიიღო ჩემგან თითქმის ისეთივე.

მოსკოვიდან მისგან მივიღე კიდევ ოთხი თუ ხუთი ვრცელი წერილი, ხოლო რამდენიმე სხვა მას არც კი გამოიუგზავნია, თავის-თვის დაიტოვა. ერთი მათგანი გამოქვეყნდა ლაშა თაბუკაშვილის ეულ "XX საუკუნეში" სათაურით: "გაუგზავნელი წერილი ერ-ლომ ახვლედიანს", ხოლო მის არქივში ინახება ჩემი რამდენიმე, უალრესად არასაინტერესო წერილი, იმდენად უინტერესო, რომ ზოგი მათგანი დღემდე გაუსხელია. მე ამ აღმოჩენამ წყენის ნაცვლად ერთობ გამამხიარულა და კიდევ ერთხელ დამიდასტურა და დამარწმუნა, რომ წერილების წერა ჩემი საქმე არ არის. აქვე მინდა გავისძინო დათო ჯავახიშვილის ერთ-ერთი წერილი, რო-

მელიც მან მოსკოვში ჩემი ყოფნისას გამომიგზავნა და სადაც ის
ლამის მემუდარებოდა — “ნუ იტანჯავ თავს, ერლომ, და მეც ნუ
მტანჯავ, ნულარ მომწერ წერილებს, პასუხით მევეგრისუხუმის
კიდევ მახსოვს, რომ მოსკოვში ჩემი ერთ-ერთი გამგზავრება ჩემს ძირ-
ფას პედაგოგთან, აწ განსვენებულ, ლიუდმილა ბელოვასთან გამოიწ-
ვია იმ უბრალო ფაქტმა, რომ ვერ მოვახერხე საქმიანი წერილის “შედ-
გენა”.

გურამის მოსკოვიდან ჩამოსვლის შემდეგ, კვლავ აღდგა ჩვენი მონატ-
რებული საუბრები, რაც დღემდე არა მარტო არ შენელებულა, არა-
მედ უფრო ინტენსიური და დატვირთული გახდა მისი დალუპვის შემ-
დგომი მოვლენებისა და შთაბეჭდილებების კვალდაკვალ. და აგრე,
თითქმის ორმოცი წელია, ის აღარ არის და, ამასთანავე, არ არის დღე
და წამი, ის არ იყოს ჩემს გვერდით. მე ამ “საუბრებსა” თუ “შეხვედ-
რებს” გარკვეულ დრომდე არ ვაფიქსირებდი, რადგან მეშინოდა, და-
ფიქსირებით შექმნილ სიმყარეს არ შეეფერხებინა და გაუქხეშებინა
დროის ცოცხალი დინება. უფორმოდ დარჩენილი განცდები და შთა-
ბეჭდილებები გაცილებით მაღალი რეალობის ქსოვილსა თხზავს, ვიდ-
რე ფორმამიცმული, რაც უნდა სრუყოფილად იყოს გადმოცემული
ისინი.

მაგრამ ამ ბოლო დროს, ჩვენმა ამ ურთიერთობამ მანც მოითხოვა
ფორმის შექმნის საჭიროება, თუმცა, ეს ფორმა უნდა ყოფილიყო
შინაარსამდე აყანილი, მოკლებული ყოველგვარ მხატვრულობასა
და ფანტაზიას, რადგან შინაარსის გამოგონება შეუძლებელია, ის ჩვენს
გარეშე არსებობს. ხოლო თუ ჩაწვდი შინაარსს, თუ აღმოაჩინე იგი,
მაშინ, დაე, თავად შინაარსმა იზრუნოს თავისსავე ფორმაზე.
და აი, ჩვენი საუბრების შინაარსმა ნახა თავისი ფორმა. მე მას მხო-
ლოდ სათაური მოვუძებნე: დაგვიანებული წერილები გურამ
რჩეულიშვილს, ჩემს მეგობარს და ჩემი დღევანდელი სათქმელიც ამ
წერილებიდან ამოვკენკე.


გურამმა ერთხელ მითხრა: — როცა დიდი აუდიტორის წინაშე მინდა
თავი წარმოვადგინო და რაღაც სათქმელი მაქვს, იმ სიმრავლეში ერთი ადა-
მიანი მაინც უნდა მეგულებოდეს, რომელიც გამიგებს. მე მხოლოდ მას შეუ-
მართავ და მთელი ეს ხალხი იკრიბება, პერსონიფიცირდება იმ ერთ ადა-
მიანად. — პაუზის შემდეგ ლიმილით დაუმატა, — ვთქვათ, სულაც, შენ ხარ
დარბაზში.

გულისტიკივილით მინდა შევნიშნო, ჩემო გურამ, რომ მე ამჟამად უკე-
თეს მდგომარეობაში ვარ შენთან შედარებით, რადგან ჩემს სიტყვებს გა-
ცილებით გულისხმიერი მასპინძელი ჰყავს, ვიდრე მე ვიქნებოდი შენთვის.

ხოლო ამ წერილის მკითხველს ჯვარი წერია და ვთხოვ, მომიტევოს თუ
მე უფრო მეადვილება მკვდრებს გაფუზიარო ჩემი სათქმელი, ვიდრე ცოცხ-
ლებს. მათ წინაშე ვერ ითვალმაქცებ. მათ ვერც ლამაზი სიტყვებით მო-
ხიბლავ და ვერც მოხდენილი შედარებებით გააკვირვებ. მათ უკვე ისედაც
ყველაფერი იციან. რადგან შეიძინეს ყველაზე დიდი გამოცდილება — გემო
სიკვდილისა. შეიცნეს გემო სიკვდილისა და ცოცხალნი დარჩნენ, რადგან
ყველა ცოცხალია ღმერთის წინაშე.

როცა შენთვის ძვირფასი ადამიანი მიდის ამ ქვეყნიდან, თავდაპირვე-
ლად მის ადგილს იკავებს აუტიანლობამდე მტანჯველი სიცარიელე, ხო-
ლო შემდეგ, თანდათანობით ეს სიცარიელე იმოსება უხილავი სხეულით,
რომელიც უფრო რეალური ხდება ხორციელზე და მოდის განცდა, რომ
ის სადღაც ახლოა, შენს გვერდით, ოღონდ ხორციელად თვალს მიეფარა...

ერთხელ გურამი და მე, ჩვენს სხვა მეგობრებთან ერთად, რუსთაველ-
ზე, რომელილაც სარდაფში, ვიღაცის პონორარზე ვსვამდით. უკვე საკ-
მაოდ შექეიფიინებულნი ვიყავით, რომ გურამმა გადმომილაპარაკა — ნა-
ვიდეთ აქედან, რაღაც მინდა გითხრა. შეუმჩნევლად წამოვედით. შევატყ-
ვე, რაღაც აწუხებდა. შევედით სასტუმრო „საქართველოს“ რესტორანში.
ორი ბოთლი ღვინო და ცოტაოდენი შესატანებელი მოვატანინეთ. არც კი
მაგონდება, გურამი რამეს თუ ჭამდა სმის დროს.

— ზნეობრივ ზღვრებს ვერ ვგრძნობ ჩემში, — ყოველგვარი შესავლის
გარეშე დაიწყო მან, — მე არ მაქვს ზღვრები. ყველაფრის მკისრებელი ვა...


ეტყობა, ეს ზოგადი დასკვნა რაღაც კონკრეტულმა გამოიშვინა შეატანა
და მომერვენა, რომ მზად იყო ის, ჩემთვის გაენდო, მაგრამ მე ამის საშუა-
ლება არ მივეცი, არა იმიტომ, რომ სიფხიზლეში შეიძლება ენანა თავის
გულახდილობა, არა, რა თქმა უნდა, რადგან ჩვენი ურთიერთობა ამის სა-
ფუძველს არ იძლეოდა, არამედ დაკონკრეტებას შეიძლება გაებუნდოვნე-
ბინა თვით ეს ზოგადი განცდა, რომელიც ჩემთვისაც არ იყო უცხო.

ეს განცდა იყო აღმოჩენა უკიდეგანო, შემოუზღუდავი შინაგანი თავი-
სუფლებისა.

მეორე მხრივ, აღმოჩენა იმ უმნეობისა, როცა ადამიანი გახსნილია ყვე-
ლა განცდისადმი. მასში ყველა კარი ღიაა და ყველა ქარი ქრის, რომელ-
საც შემოაქვს რაც სურს და ჩვენი არსების, როგორც მიტოვებული სახ-
ლის ყოველ კუთხე-კუნჭულში აქუჩებს ერთმანეთში არეულ მნიკვლსა
და სიწმინდეს.

მასში ეს პროცესები გაცილებით უფრო მძაფრად მიმდინარეობდა
და ვითარდებოდა, ვიდრე ჩემში (ალბათ, იმიტომ, რომ გრძნობდა მოახ-
ლოებულ ალსასრულს, ხოლო ეს აღმოჩენები მოითხოვდა სასწრაფო
ახსნას).

მოზღვავებული თავისუფალი ნების ფლობა შეუძლებელი ხდებოდა მის-
თვის. საჭირო იყო ამ დამანგრეველი სტიქიის არტახებში მოქცევა, შიდა
ჯებირების აღმართვა, რადგან გარედან შეუძლებელია მოვიდეს შველა —
„ან უკვე ცული ხეების ფესვებთან დევს“.

და აი, მალევე, გურამი წერს თავის — „ბატონო ტელემაყურებლებო!“
— სადაც ის თავისთვის, არაორაზროვნად განსაზღვრავს თავისუფლების
ფლობის ინსტრუმენტს. ეს არის „თვითშეზღუდვა“. და ეს იყო ჯერ მხო-
ლოდ 50-იან წლებში. გურამი დაიღუპა 1960 წლის აგვისტოში.

(რა თქმა უნდა, ამ პროცესების აღმოჩენა საკუთარ თავში, სულაც არ ნიშნავს ჩვენს „ავტორულ პრიორიტეტს“. ეს დრომ მოიტანა და ამ იდენტ ნელ-ნელა იულინთებოდა იმპერიული სივრცის მთელი ატმოსფეროზ მე ამა-ში დავრწმუნდი, როცა 60-იანი წლების დასაწყისში აღმოვჩნდი მოსკოვის სასცენარო კურსებზე. მოსკოვში ამ პერიოდისათვის თავი მოიყარა „სხვაგვარად“ მოაზროვნე ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილმა მთელი საბჭო-თა კავშირიდან, რომელმაც შემდგომში მიიღო დისიდენტური მოძრაობის მკაფიო სახე. არ ვიცი, რა გზას ამოირჩიევდა ამ სიტუაციაში გურამ რჩეული შვილი, მაგრამ მე, ჩემი ბუნებიდან გამომდინარე, დღემდე გულგრილი დავრჩი ამ მოძრაობის მიმართ, რადგან მან მიიღო სოციალურ-პოლიტიკური ელფერი, რაც ჩემთვის ნაკლებ საინტერესოა. მათ სურდათ თავისუფალი ნების რეალზაცია, ხოლო მე დავრჩი ერთგული თავისუფლების „თვით-შეზღუდვის“ პოზიციის და აქამდე აქვე ვდგავარ.)

თავისუფლების თემა მრავალჯერაა გადალეჭილ-გადამუშავებული, მაგრამ ყოველ ახალ თაობაში და, მით უმეტეს, ახალ სოციალურ გარემოში, მას ახლებურად სჭირდება გააზრება, თორემ თავისუფლების არსი, მისი პირველსახე, აბსოლუტურადაა მოცემული იოანეს სახარებაში: „და შეიცნობთ ჭეშმარიტებას, და ჭეშმარიტება გაგათავისუფლებთ. მიუგეს მას: აბრაამის თესლი ვართ, და არასოდეს დავმონებივართ ვინმეს; ამას რას ამბობ: განთავისუფლდებითო. მიუგო მათ იქსომ: ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ყოველი შემცოდე, ცოდვის მონაა“ (იოანე 8,32-34). მაგრამ ცოტა თუ ეძებს მას იქ, სადაც დაკარგა.

ოდნავ ჩავუკვირდეთ სოციალურ კანონთა არსს, დავინახავთ, რომ კანონი იქმნება პოტენციური დამნაშავის შესაზღუდად. ერთ შემთხვევაში შეზღუდვას შეიში განაპირობებს, სხვა შემთხვევაში კანონის გვერდის ავლა ნიჭიერი დამნაშავისათვის „ხელოვნებაა“ და აზარტი. საერთო დასკვნა კი ასეთია — კანონი არ გულისმობს სინდისს, ანუ სინდისი დამოკიდებული არ არის კანონზე.

თავისუფლება, უპირველეს ყოვლისა, ზნეობრივი კატეგორიაა და მას სინდისი არეგულირებს თვითშეზღუდვის საშუალებით. მართვა შესაძლებელია მხოლოდ შიგნიდან. ტოლსტოის თქმის არ აყოს, თუ სინამდებ მუშაობა თონ არ ანათებს, მას გარედან ვერ გაანათებ.

არის მოსაზრება, რომ ტოტალურ სახელმწიფოში ცხოვრება პიროვნებისათვის ყოვლად გამოუსადეგარი და ფუჭი იყო. პირადად მე კი დიამეტ-რალურად განსხვავებული მოსაზრება მაქვს ამის თაობაზე:

რა უაზრო იქნებოდა ჩემი ცხოვრება (ამით სულ არ მინდა ვთქვა, რომ ჩემი ახლანდელი ცხოვრება ერთობ საზრიანია), რომ თავიდანვე ეგრეთ წო-დებულ თავისუფალ საზოგადოებაში მეცხოვრა, რომ თავიდანვე მქონოდა უფლება ჩემი თავისუფალი ნების რეალიზაციისა თუნდაც კანონების ფარ-გლებში. ავიღოთ, ვთქვათ, დასვენების უფლება: რატომ უნდა დავისვენო, თუ არ დავლლილვარ? ანდა, რატომ უნდა განვიკითხო ჩემი მოყვასი, ნუთუ მხოლოდ იმიტომ, რომ მე ეს უფლება კანონით მაქვს მონიჭებული? ამ ლო-გიკით, ყველაფერი იქითვენ მიდის, რომ მომავალში გაიზრდება თუ დაშვე-ბა უფლებები უკიდურეს დაბალ ზღვრებამდე: კაცის კვლის უფლება, სიდვა-მრუშობის უფლება, ქურდობის უფლება, ცილისწამების უფლება (სხვათა შორის, ეს უფლება დღეს თითქმის მთელი ძალითაა ამოქმედებული).

მე მაინც ვფიქრობ, რომ უფლება იმიტომ გეძლევა, რომ დაფიქრდე, გამოიყენო თუ არა იგი. სწორედ აქ არის მოსატანი პავლე მოციქულის სიტყვები: „ყველაფრის უფლება მაქვს, მაგრამ ყველაფერი არ არის ჩემ-თვის სასარგებლო“. თანამედროვე სტილში რომ ჩავჯდეთ — უფლება ფუ-ლივითაა, თუ არ არის საჭირო, რაღაც ფლანგავ მას? „მდიდარია“ ის, რო-მელიც ნაკლებად ცდილობს თავისი უფლებების გამოყენებას, როცა შენ მცირედით შეგიძლია მიაღწიო უმეტესს.

თვითშეზღუდვის უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება. დავიწყებ იგა-ვამდე ასულ ერთი ანეკდოტური ისტორიით კაფელის დამამზადებელ უცხოურ დანადგარზე. აი, ეს „იგავიც“:

თბილისში მაშინდელმა „საქმოსნებმა“ უცხოეთიდან ჩამოიტანეს კაფე-
ლის დანადგარი, რომელიც მშვენიერ პროდუქციას ამზადებდა. ამ დანად-
გარს წუნის ბლოკიც ჰქონდა, და თუ, ძალიან იშვიათად, დანადგარის გადა-
მოუშვებდა წუნს, ბლოკში ჩამონტაჟებული ჩაქუჩი ამტკრევდა კაფელს.
ეტყობა, ერთ-ერთმა „საქმოსანმა“ თავის კომპანიონებს შესთავაზა „რაციო-
ნალური“ წინადადება წუნის ბლოკის გაუქმებისა. სიტყვა საქმედ იქცა და
დანადგარიდან მთლიანად ამოიღეს მისი „სინდისი“. ამის შემდეგ დანადგა-
რი ისე „გაზარმაცდა“ და „გაირყვნა“, რომ მხოლოდ წუნს უშვებდა.

ახლა კი ცოტათი გავზარდოთ მასშტაბი და დიდ ჩინეთზე ვთქვათ ორიო-
დე სიტყვა. მოგეხსენებათ, რომ ეს ყველაზე მრავალრიცხოვანი ერია დედა-
მიწის ზურგზე. მან ააშენა უზარმაზარი კედელი, რომელიც თავდაცვის ნა-
გებობად ითვლება. მაგრამ ცოტა რამ თუ მაინც გაგვიგია ამ ქვეყნის მრა-
ვალსაუკუნოვანი ისტორიიდან და, თუ ცოტა რამ ვიცით მათი ადამიანური
ბუნების შესახებ, მაშინ ეს მონუმენტური კედელი შეიძლება გავიაზროთ,
როგორც თვითშეზღუდვის აღმნიშვნელი, თავისივე აგრესიულობის შემა-
კავებელ ნაგებობად. ამას არაპირდაპირ მიუთითებს ჩინური ომის წარ-
მოების წესი. აქ მოვიტან სულ მცირე მონაკვეთს ჩემი მეორე მეგობრის,
რეზო ყარალაშვილის წიგნიდან „ჩინეთის დიდი კედლის მიღმა“: „ომი ძველ
ჩინეთში უპირატესად ფორმალური ხასიათისა იყო და, როგორც წესი, ერთ
დღეზე მეტხანს არ გრძელდებოდა. საკამათო საკითხებისა და ტერიტო-
რიული პრეტენზიების გადასაწყვეტად ინიშნებოდა ბრძოლა. ბრძოლა უნ-
და მომხდარიყო საცხოვრებელი ადგილებიდან დაშორებულ ყამირ ველზე
ისეთ დროს, როცა მოსახლეობა არც ხვნა-თქვენითა და არც მოსავლის აღე-
ბით არ იყო დაკავებული. დასახლებების, ბალებისა და სავარგულების აოხ-
რება აკრძალული იყო. გაიმარჯვებდა ის, ვინც ამ ბრძოლას მოიგებდა“.

ჩინელები ის ხალხია, რომელმაც დენთი გამოიგონა და არც კი უფიქ-
რია, ის აგრესიისთვის გამოეყენებინა. ეს პრაგმატულმა ევროპელებმა დაუმ-

კვიდრეს დენთს თანამედროვე მნიშვნელობა და ამიტომაც არის, რომ დღეს
მსოფლიო დენთის კასრზე ზის.

და ბოლოს, ჩინეთის თვითშეზღუდვის ყველაზე თვალსაჩინო გამოვლინების წილი
ნა თვით სახელმწიფოებრივი წყობა ამ უზარმაზარი ქვეყნისა, თავისი უთ-
ვალავი მოსახლეობით. აბა, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რა მოხდებო-
და ჩვენს პლანეტაზე, ჩინეთი რომ გახდეს დემოკრატიული, თავისუფალი
ქვეყანა, თავისი პლურალიზმით და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

დამეთანხმებით, შედეგების პროგნოზირება შეუძლებელია.

ჩვენ გურამ!

მე დღეს მომაგონდა ჩვენი საუბარი სასტუმრო „საქართველოს“ რეს-
ტორანში. იმ დღიდან ორმოცუ წელი გავიდა.

ბევრი რამ შეიცვალა. რაც მთავარია, ჩვენ დამოუკიდებელ, თავისუ-
ფალ საქართველოში ვცხოვრობთ. არ მეგონა, თუ ამ დროს მოვესწრებო-
დი. მაგრამ გულისტყვილით მინდა ალვნიშნო, რომ სიხარული არ არის
სრული. ვეძებ მიზეზებს...

იქნებ, მიზეზი სულაც ჩემშია და მე არა ვარ მზად ამ თავისუფლების
განსაკუდელად. ანდა ეს თავისუფლება არ არის და მხოლოდ ბაძავს მას.

თვალსა და ხელს შუა მიქრება სამშობლო, ის ინტიმი და სითბო, რო-
მელსაც ასე ჭარბად ვგრძნობდი მისი მონობის დროს. რატომ გაუცხოვდა
გარემო, რამ შესცვალა ადამიანები...

ამას წინათ ქუჩაში მივდიოდი. ცრიდა. მიყვარს ამგვარი ამინდი, თით-
ქოს ის ცოცხალია და გეხება. ყველა საზრუნავი დაბინავებული მქონდა.
არსად მეჩეარებოდა.

უცებ ჩემს წინაშე ალიმართა ჩემი ცოდვები. რაც უფრო უცდილობდი
მათგან თავის დაღნევას, მით უფრო მეუფლებოდა ზიზღი და სიძულვილი

საკუთარი თავისადმი. მრცხვენოდა, რომ ეს მე ვარ. დაუნდობელი სასო-
ნიარცვეთა დამეუფლა. მაგრამ მერე ცოდვის განცდამ ტკბილი ტანჯვა გა-
მოიწვია ჩემში — თუ გინდა, გათავისუფლდე ცოდვისაგან, უნდა მოისწავე-
დე განცადო იგი, რათა აამოქმედო შენში სინანული, როგორც თანაბადე-
ბი, ვალი. „მომანიჭე განცდა თვისთა ცოდვათა“, რათა კვლავ მქონდეს უფ-
ლება სიყვარულისა, სიცოცხლისა და მოქმედებისა.

მე შევაგროვებ ჩემი ერის ჭირსა და ვარამს, მის სისუსტებსა და და-
მარცხებებს, მისადმი სიძულვილსა და შურს ისევე, როგორც სხვები მის
ლირსებებს აგროვებენ.

31 დეკემბერი, 1998 — 10 იანვარი, 1999

ვეძებ სამშობლოს!



ერთხელ ჩვენმა ცნობილმა უურნალისტმა, "რეტროპერსპექტივის"

წამყვანმა, ქალბატონმა თამარ ცაგარეუშვილმა ჩემს ჯგუფს ასეთი შეკითხვა დაუსვა: რა არის სამშობლო?

შეკითხვა მეტად ტევადი და საინტერესო მომენტენა და როცა ამ წერილის სათაური დავწერე, მივხვდი, რომ ესეც თამარის ული შეკითხვის თავისებური გარიაციაა. არ ვიცი, რა უპასუხეს ჩემმა სტუდენტებმა მაშინ, და საერთოდ, თუ შეძლეს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, მაგრამ ცხადია, რომ იგი დრომ მოიტანა (შეუძლებელია, ამგვარი კითხვა ჩვენს წინაპრებს მოსვლოდათ აზრად). მე მასში გაუცხოების ელემენტი ვიგრძენი. ყოველ შემთხვევაში, ასე ჟღვრდა ჩემში ეს შეკითხვა. მაში ასე, ვეძებ სამშობლოს!

ვეძებ სამშობლოს, როგორც ველიდან დაბრუნებული ფუტკარი თავის სკას და ვერ ვაგნებ. თითქოს სკაც იგივეა და ჩემი თანამოძმენიც იგივენი არიან, მაგრამ საიდან მოდის ეს გაუცხოება? რომელი ნასვრეტებიდან დაიცალა სკა იმ სითბო-სიმყუდროვისგან, რომელსაც ასერიგად ვიყავი შეჩვეული?

ისე კი, მე ხომ არც დავბრუნებულვარ, რადგანაც არც არასოდეს წავსულვარ აქედან. მუდამ აქ ვიყავი. მაში რა მოხდა? იქნებ ვინმემ იზრუნა და თავად მე შემცვალა ძილში, სხვა სისხლით ამავსო და სხვა სული ჩამიდგა და მერე საბედისწეროდ გამომაფხიზლა გაუცხოებული გარემოსა და საკუთარი თავის მიმართ.

თუმცა, ვიღას აინტერესებს ერთი ბებერი ფუტკრის ბუზლუნი, ანდა მისი განცდები. იმედია, ღმერთის შენევნით, დადგება უამი და მოვა ჯანმრთელი

თაობა და კვლავ აღდგება ჩვენი სკის ბზუილი, ხოლო ჩვენ, დოლში დამარცხებული „ერთგულის“ მსგავსად, უკვე დაჰტკპებით იმ შეუმჩნევლობის განცდით, როცა მისთვის ოდესლაც ასე ნაცნობი გამარჯვების ხმაური, შემნაბრძოს არის მისგან და სიამოვნებს, რომ დგას მარტო და რომ არავინ ანუხებს. მაგრამ ამ ნეტარების ღირსიც ვერ ხდები, რადგან არც ფუტკარი ხარ და არც, თუნდაც, დამარცხებული სადოლე ცხენი. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ადამიანი ხარ, თუმცალა მომაკვდავი. მაგრამ მომაკვდავიც ხომ ცოცხალია და, მანამ ცოცხალი ხარ, ვერ გაექცევი ადამიანურ პასუხისმგებლობას. მით უმეტეს, თუ უამრავი პრობლემა და ნაშთი დაგრჩია დაუურავი. არა, მე აქ „დიდ საქმეებს“ არ ვგულისხმობ. ამ მხრივ დარღვეული მაქვს ზომები და მასშტაბები. ჩემს იდეალებს მუდამ ვეძებდი ჩვეულებრივობაში, ნორმალურობასა და შეუმჩნევლობაში. თავიდანვე ვცდილობდი, შემძლებოდა საკუთარი თავის მართვა ამ ფარგლებში. ამ „ვნებაში“ და სურვილებმა ეკლესიამდე მიმიყვანა. იგრძნო თავი სიტყვიერ ცხვრად — უდიდესი ბეჭნიერებაა. მაგრამ მალევე აღმოჩნდა, რომ ამ სულიერ „კიდობანში“ სხვა ამინდია, ხოლო მის გარეთ — სულ სხვა. მათი გასაშუალოება, რაც დრო გადის, მით უფრო შეუძლებელი ხდება. თუ „კიდობანში“ თანდათან ურიგდები სიკვდილს და იყვარებ მას, გარეთ დარჩენილს სიკვდილის შიში გზარავს.

ეს შიში, რა თქმა უნდა, არ არის მხოლოდ ფიზიკური გაქრობის შიში, რადგან მანამ ცოცხალი ხარ, შინაგანად, სიკვდილის წარმოსახვა ორმხრივ გახსნილია: შეუძლებელია, არ გაქრე და შეუძლებელია, გაქრე. ამას მხოლოდ სიკვდილის შემდეგ გაიგებ. ამასთან დაკავშირებით, არცთუ მთლად ხუმრობით, მინდა ვთქვა: მოველი აღსასრულს, რათა საბოლოოდ დავრნმუნდე, რომ უკვდავი ვარ. მაგრამ ეს ვარაუდიც რწმენის საუფლოშია, ხოლო ჩემი შიში ერთობ კონკრეტულია და პირადი ტკივილი უდევს საფუძვლად, და სწორედ აქ უკავშირდება სიკვდილის შიში ჩემს გაუცხოებულ სამშობლოს, რომელსაც ვეძებ.

არ მინდა მოვკვდე. მეშინია სიკვდილის მანამ, სანამ არ ვიძოვი და რო-
ცა ვიძოვი და ვიცობა, მშვიდად აღვესრულები.

ერთობენ და

მაგრამ იქნებ საზღვარი არა აქვს ჩემს უმაღურობას?! განდეტეჭუ-
ნიერი არ უნდა ვიყო იმით, რომ თავად ვიხილე ჩემი წინაპრების უპირვე-
ლესი საწადელის აღსრულება — „ჩვენ ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“.
განა ამის შემდეგაც არ შეიძლება მშვიდად სიკვდილი? ვაი, რომ არ შეიძ-
ლება. ჯერ ადრეა, ძალიან ადრე. უფრო ადრეა, ვიდრე მისი ტყვეობისას
იყო.

ჩვენი სამშობლოს თავისუფლების წადილი და სიყვარული მისდამი დაქმ-
სგავსა იმ უძვირფასეს განძს, რომელიც ტყვეობის წყვდიადშიც ინარჩუ-
ნებდა თავის ბრწყინვალებას, მაგრამ ამოიტანეს რა დღის სინათლეზე, ჩაუქ-
რა ფერები და დაკარგა მაგიურობა.

მაგრამ იქნებ პირიქით მოხდა, იქნებ ჩვენს მზერას გადაეფარა ლიბრი,
ანდა თვალი მოგვჭრა დიდმა შუქმა?! უფრო ეს არის, რადგან ის, რაც უნ-
და გამშდარიყო ჩვენი თანამშრომლობისა და ერთად ყოფნის საფუძველი,
სწორედ ის იქცა ჩვენი გათიშვისა და დაპირისპირების მიზეზად.

თავისუფლების უამრავ მნიშვნელობათა შორის მხოლოდ „ერთი არს
სახმარ“ — კეთილი ნების თავისუფლება. ყველა დანარჩენს ფასი არა აქვს.

ჩვენი ქვეყნის საერთო საზრუნავს ჩვენი კონკრეტული, პირადი საზრუ-
ნავით ვუკავშირდებით. თუ ეს ასე არ არის, საეჭვოა თვით თანაგრძნობა
სამშობლოს საერთო საზრუნავისა და ტკივილისადმი. უმთავრესად სწო-
რედ მაშინ გალალდება ხოლმე ამბიციები და ანგარება. პირადი საზრუნა-
ვი არის ის მცირე კარი, ის „ნემსის ყუნწი“, რომელსაც ვიწრო დერეფნები-
თა და ტალანებით მივყავართ საერთო პრობლემების სამეჯლისო დარბა-
ზებამდე. მხოლოდ ამ კაპილარებითა და სისხლძარღვებით შეგვიძლია ვიგ-
რძნოთ თავი ერთი მთლიანი ორგანიზმის ნაწილად.

ხოლო რა მნიშვნელობა აქვს პირად მდგომარეობას, ამისი შესანიშნავი
მეცნიერული ანალიზი მოგვცა იუნგმა, როცა პირველი მსოფლიო ომის გარ-

დაუვალობა თავის ყოველ პაციენტში აღმოაჩინა. შემდეგ ეს განწყობა ხდ-დაც, რაღაც უხილავი გზებით იკრიბება ერთად და ერთ მშვენიერ დღეს იფეთქებს რევოლუციებისა და ომების სახით. იგივეა ყოველი პაციენტის ცოდვის ბუნებაც, რომლის დამანგრეველი მოქმედების შესახებ ჩვენმა ეკ-ლესიამ სრულად იცოდა სულ რაღაც 20-ოდე საუკუნით ადრე.

ამიტომ, ალბათ, ჩვენი საერთო ორგანიზმი, ჩვენი სამშობლო, ყოველმა ჩვენთაგანმა უნდა იხსნას, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავში. მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი შემდგომი ნაბიჯის გადადგმა.

მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვებია — ფუჭი, ამაო, ლიტონი სიტყვები...

მყავს ორი შვილი — ანა 28 წლის და ბაქარი 11-სა.

ანა აქამდე ბავშვად დარჩა. ის მხიარული, კეთილი გოგონაა და ღმერ-თმა ინება, ის ასეთად დარჩეს ბოლომდე. ჩვენ, დედამისმა ნანა ყიფიანმა და მე, თავიდანვე ვეცადეთ მისი ადაპტირება გარემოსთან, საზოგადოე-ბასთან. ოთხი წლისა იყო, როცა მოსკოვში წავიყვანეთ. საუკეთესო ექიმებს ვაჩვენეთ. საბოლოო დასკვნა ასეთი იყო: ნაკლები წამლები, მეტი ყურა-დლება აღზრდაზე უნდა გაგვემახვილებინა. მისი მაშინდელი მდგომარეო-ბა და შესაძლებლობები გარკვეულ იმედს იძლეოდა ამ მხრივ.

ჩამოვიყვანეთ თბილისში. ჯერ ჩვეულებრივ საბავშვო ბალში მივიყვა-ნეთ, მაგრამ ამან შედეგი არ მოგვცა, რადგან ანას განვითარების რიტმი ჩამორჩებოდა ჩვეულებრივი ბავშვის განვითარების რიტმს. საჭირო გახდა მისი მიყვანა მსგავსი ბავშვების გარემოში. მივაკითხე იმდროინდელ გა-ნათლების სამინისტროს და როცა ჩვენს პრობლემაზე მოვახსენე, მათ მარ-ტივად და მოკლედ მიჰასუებს: ვერაფრით დაგეხმარებით. ჩვენ ნორმალუ-რი ბავშვებისთვისაც არ გვყოფის საბავშვო ბალებიო.

მაშინ განვიზრახე, ჩემსავე სახლში გამეხსნა ამგვარი ბალი. ვერ შევძელი.

სამაგიეროდ, ანუკას დედას ტკივილმა შეუძლებელი შეაძლებინა. მან ჩამოაყალიბა საზოგადოება „მეგზური“, რომელიც დღესაც არსებობს. მაგ-

რამ მას, ამ საზოგადოებას, ატყვია ყველა ის იარა, რომელიც ატყვია ჩვენს სამშობლოს დღიდან თავისუფლებისა დღემდე ჯერ იყო და რამდენჯერმე გაქურდს და ავტომატებით დაცხრილეს „მეგზურის“ ოფისი, რომ მოგორმე გაეძვებინათ იგი „ვერის“ ბალიდან. სასწაულად გადარჩა „მეგზურის“ მეორე სამყოფელი გრემში, რომლის „კონფისკაციას“ აპირებდა ადგილობრივი მოსახლეობა იმ მოტივით, რომ „ასეთი“ ბავშვებისთვის აფხუსია ეს კარმიდამ.

დღეს, მართალია, ზღვა უკვე ისე აღარ ლელავს, როგორც უნინ, მაგრამ ამ პატარა „იალქნიან ნავა“ არ ეძლევა საშუალება, სრულად გაშალოს თავისი თეთრი აფრები.

რამდენადაც მტკიცნეული უნდა იყოს ამის აღიარება, მაშინდელი განათლების სამინისტროს უგუნური პასუხის მსგავსად, ამგვარი ბავშვების ზიზღს თუ არა, სირცხვილის გრძნობას იწვევს ზოგიერთში, თითქოს ბავშვების მდგომარეობა თავად ბავშვების ბრალია.

და სწორედ აქ, ზრუნვასა და დახმარებას გვთავაზობს უცხოელი. ძნელია, უარი თქვა ამ დახმარებაზე, მაგრამ ტკიცილი გიორდება, როცა შენს სამშობლოში ძნელად პოულობ იმის გამგებს, რომ სუსტსა და უმწეოს უპირველესად უნდა შველა. რატომ დაუჩილუნგდა ჩვენს ერს ეს ადამიანური ინსტიქტი?

მავანი ნიშნისმოგებით იტყვის: სად არის ღმერთი იგი შენი? სად არის შენი ეკლესია?

თითქოს განგებ, მაშინდელი განათლების სამინისტრომ პასუხად, მეორე შვილი „ნორმალური“ მყავს (პრქსალები შხოლოდ ხაზგასმას ნიშნავს და არა „ნორმალურისა“ და „არანორმალურის“ დაპირისპირებას, რადგან ზემოთქმულიდან გამომდინარე, ძნელი დასადგენი ხდება „ნორმალურობის“ ფარგლები).

ჩემი 11 წლის ვაჟი უდედოდ იზრდება. ამჟამად სწავლობს ექვთიმე და გიორგი მთანმინდელების სახელობის მართლმადიდებლურ გიმნაზიაში და

ეს სკოლა, თავი რომ დავანებოთ მის სხვა ღირსებებს, შეძლებისამებრ, უნაზღაურებს ბავშვს ამ მძიმე დანაკლისს.

და სწორედ აქ გაცილებით ზოგადდება ჩემი განგაში, ჰმ^{განგაში} ათვლა მინდა დავიწყო სრულიად უბრალო, ყოფითი საკითხებიდან. გიმნაზიას არა აქვს თავისი შენობა. მეშვიდე კლასიდან და ზემოთ ბავშვები შეკედლებული არიან სრულიად მოუწყობელ ქოხმახებში და ისიც სამადლოდ, ერთი წლის ვადით. პირველიდან მეექვსე კლასის ჩათვლით ბავშვები იმყოფებიან სულ სხვაგან, ყოფილი 150-ე სკოლის ნესტიან სარდაფში.

ყოველი ცდა სკოლის დირექტორისა, მოეპოვებინა თავისი პატარა სკოლისათვის პატარა შენობა, ამაო გამოდგა.

შესაძლოა, ყოველივე ეს კერძო შემთხვევად ჩაგვეთვალა და საკითხი კერძოდვე გადაგვეწყვიტა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ არის. საერთო განწყობა სულ სხვა რამეზე მიუთითებს. მიმდინარეობს დაფარული თუ დაუფარავი ბრძოლა მართლმადიდებლობის ნინააღმდეგ, ნამდვილი „ჯვაროსნული ომი“. მიდის ეს „ომი“ ჩვენი ერის „გაჯანმრთელებისა და გამოფხიზლების კეთილი სურვილებით“.

აბა, რას უნდა ნიშნავდეს გამოთქმა: — „არის საშიშროება, კომუნისტურ იდეოლოგიას მართლმადიდებლობა ჩაეწაცვლოს“.

ანდა: „იქნებ სჯობდა, კათოლიციზმი გვეღიარებინა“.

ანდა: „იქნებ გაგვემარტივებინა ღვთისმსახურება“.

ანდა: „რა ლოგიკით უკავშირებენ მართლმადიდებლობას „ფუნდამენტალიზმის“, „ინკვიზიციის“, „აუტოდაფეს“ ცნებებს“.

ანდა, რა საფუძველი აქვთ, თქვან: „კომუნიზმის იდეა მართლმადიდებლობიდან მოდის“.

ანდა ყოვლად გაუმართლებელი, ქედმაღლური, უსამართლო, უმაღური შეფასება სასულიერო პირთა.

ანდა უცერემონიო ჩარევა მათ კომპეტენციაში.

ანდა იმ მრავალშვილიანი მშობლების შეურაცხყოფა, რომლებიც უდიდესი მადლიერების გრძნობით მიდიან ეკლესიაში და აზიარებენ შვილებს / ქრისტეს ხორცსა და სისხლს. რომ 1865 წელი
ბიბლიური ხაზი

ანდა, რატომ აძლევენ თავს უფლებას, განიკითხონ „გარედან“ ის, რაც „შიგნით“ ხდება?

ანდა, როცა ამბობენ: — ენა, მამული, სარწმუნოება — რა სარწმუნოებას გულისხმობენ?

და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.


ყოველივე ამის შემდეგ არც არის გასაკვირი, რომ ჩვენი ეს მართლმადიდებელი გიმნაზია და მისი ბავშვები თავის სამშობლოში ვერ გახდნენ ღირსნი ძალიან საშუალო სასწავლო პირობებისა. ერთმა „გულშემატკიცარმა“ ამგვარი მოსაზრებაც კი გამოთქვა: იქნებ ბავშვები გადანაწილდნენ სხვადასხვა სკოლებშით. ეტყობა, ჩვენი განათლებული და ინტელექტუალური საზოგადოება ზრუნავს მომავალ თაობაზე, რომ მას არ სჭირდებოდეს „შუამავალი ღმერთთან“ და რომ „ყოველი თავისი თავის მოძღვარია“. დროა დავეწიოთ. ჩვენ ჩამოვრჩით...

...და ღმერთს უნდა ვუმადლოდეთ, რომ ჩამოვრჩით. როს „სრულიად დავითმინეთ“, რომ უკვე მე-17 საუკუნეა, ჩვენ ერთ ადგილას ვდგავართ...

და კვლავ ძველისა და ახლის შესახებ. შესაძლოა, ვმეორდები, მაგრამ მაინც მინდა ვთქვა: ყოველი ცვლილების სარგებლიანობა იზომება არა იმით, რაც იცვლება, არამედ იმით, რაც უცვლელი რჩება.

გურამ!

ამ წერილის სათაურად შესაძლოა ამელო შენი ბოლო ფრაზა შენივე „ავტობიოგრაფიიდან“ — „დამალეთ, დამალეთ, დამალეთ, ეს ქვეყანა“ და არა — „რა არის სამშობლო?“ ანდა, „ვეძებ სამშობლოს!“, მაგრამ დრომ ახალი შეგრძნებები მოგვიტანა, რაც შენთვის იმ დროს სრულიად გაუგე-

ბარი იქნებოდა (მე სამშობლოსადმი გაუცხოების განცდას ვგულისხმობ). ხოლო მე დღეს არ ვიცი, რა უნდა „დავმალო“. აი, როცა ვიპოვი, მაშინ დავმალავ უძვირფასესი განძივით, მაგრამ უკვე არა ტყვეობაში,  არამედ თავისუფლებაში. ვეძებ სამშობლოს, რათა მან შეიფაროს ჩვენი შვილები, რომ მათ თავი „შინ“ იგრძნონ და როცა ვიცნობ მას, მშვიდად და სიხარულით შევეწირები.

ჩვენი სამშობლო, შენი და ჩემი სამშობლო, მკვდრებისა და ცოცხლების საერთო, მთლიანი ორგანიზმი, განა ასე არ არის? განა შენი აღარ არის ეს ქვეყანა? განა ჩვენ აქაც და იქაც ერთო საერთო მეფე არა გვყავს — კეთილმორწმუნე დიდი დავით აღმაშენებელი? იქნებ შენი უფროა ეს ქვეყანა, ვიდრე ჩემი, რადგან შენი სული და სხეული უკვე შეერწყა მის ცასა და მიწას.

მაგრამ, ვაი, რომ ეს საერთო ორგანიზმი აქვე, სიცოცხლეშივე ირლვევა და იშლება.

გული მიკვდება, როცა ვუსმენ ჩვენს მომავალ თაობათა, ამ მაცოცხლებელ წყალთა ჩხრიალს, რომელიც უქმიდ იღვრება, დგანან რა თავისსავე სახლის სადარბაზოებთან მცონარეობით გაპრუებულ-გათანგულები და „საუბრობენ“ და ყოველ ფრაზას საკუთარი დედის გინებით ამთავრებენ, რადგან ამ მხდალ „ვაუკაცებს“ საკუთარი დედის გინებას არავინ მოკითხავს. არ მეგულება დედამიწის ზურგზე სხვა ერი, რომელიც ამგვარ „ხა-ტოვანებას“ შეიწყნარებდეს და ეს შეგინებული მშობლები უმალ მზად არიან, თავისი შვილები „წამალს“ შეწირონ, ვიდრე სამშობლოს...

ჩემო გურამ!

შობის ღამეს ეკლესიაში ვიყყავი. ტაძარში მხოლოდ თაფლის სანთლები ენთო და მათი შუქი აჩენდა ჩვენი ეკლესიის მღოცველთა მშობლიურ სახეებს. ერთმანეთს ენაცვლებოდა გალობა, ლოცვა, ფსალმუნები და სა-

კურთხევლიდან ჩვენი მოძღვრის ნაცნობი ხმა. არაფერი არ ადასტურებ-
და, რომ ეს ჩვენი დროა, მეოცე საუკუნის დასასრული: სანთლის იგივე
შუქი, იგივე ფსალმუნები, იგივე ლოცვა-გალობანი, იგივე სიტყვები აგრე-
უკვე რამდენი საუკუნეა უცვლელად მეორდება. მეუფლება უდროობის
განცდა. ასევე იდგნენ ჩვენი წინაპრები, ასევე ვდგავართ ჩვენც და ასევე
იდგებიან ჩვენი შთამომავალნიც სამყაროს აღსასრულამდე. მადლობას
ვწირავ ლმერთს, რომ ამ უკვდავ წამში მეც მარგუნა ადგილი. მხოლოდ
აქ, ამ გარემოში არის შესაძლებელი, ეზიარო ცხოვრების ნამდვილ აზრს
— შეიყვარო და შეიწყნარო სხვისი სიცოცხლე და საკუთარი სიკვდილი.

15 თებერვალი, 1999

რა ანგორევს იმპერიას



ერთბირი იუო მთელი ქვეყანა და ერთ ენაზე
მეტეველი.

როცა დაიძრნენ აღმოსავლეთიდან, ჰპოვეს
ველი შინუარის ქვეყანაში და იქ
დამტკიდრდნენ.

უთხრეს ერთმანეთს: მოდი, მოგზილოთ თისა
და გამოვწვათ. ქვის მაგივრად აგური
ჰქონდათ, კირის მაგივრად ფისი.

თქვენს: აბა, აყიშენოთ ქალაქი და გოდოლი,
და ცას მიყეწვდინოთ მისი თხემი.
აღვმართოთ ნიშანსვეტი, რომ არ
გავიჟანტოთ დედამიწის ზურგზე.
ჩამოვიდა უფალი, რომ ენახა ქალაქი და
გოდოლი, რომელსაც ადამიანები
აშენებდნენ.

თქვა უფალმა: აბა, ერთი სალხია ეს და
ერთი ენა აქვს უკელას; რაგი ეს საქმე
წამოუწეიათ, ამიერიდან დაუბრკოლებლივ
გააჭითებენ უკელაუერს, რასაც კი
განიზრახავენ.

აბა, ჩავალ და ენას აყურევ მათ, რომ
ვერაუერი გააგებინონ ერთმანეთს.
გაფანტა ისინი უფალმა მთელს დედამიწის
ზურგზე და მათაც შეწუვიტეს ქალაქისა და
გოდოლის შენება.

ამიტომაც ეწოდა სახელად ბაბილონი,
რადგან სწორედ აქ აღრია უფალმა მთელი
დედამიწის ენა და აქედან გაფანტა ისინი
უფალმა დედამიწის ზურგზე.

დაბადება, თავი 11, 1-9.

უპირველესად ვთქვათ — რა კრავს მას. ამჟამად ვგულისხმობ რუსეთის იმპერიას — თავის დროზე მონოლითურს, რომელიც შეიქმნა უამო-ვი ხალხისა და მათი ტერიტორიების დაპყრობის შედეგად, ხოლო შემდგმის ღირსეულ მემკვიდრეს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავ-შირად წოდებულს.

მე აქ არ შევჩერდები რუსეთის პირველ, მონოლითურ პერიოდზე, რადგან, მაშინ არსებული წესების მიხედვით, იმპერიის შეკვრა-შეკავ-შირება ხდებოდა ძალადობით. ხოლო, რაც შეეხება სსრ კავშირს, მისი შემაკავშირებელი გახდა გამარჯვებული კლასის სოციალური ერთსუ-ლოვნება. ამ ერთობამ „იმუშავა“ მანამ, სანამ მის წიაღში არ აღმოჩნდა სხვა ძალა, რომელმაც თუმც ასფალტის სქელი ფენით იყო დაფა-რულ-დაპრესილი, მაინც ნელ-ნელა აქა-იქ იჩინა თავი უწყინარი, ჩუმი, მწვანე ბალახივით.

რა ძალაა ეს ძალა? რა ძალაა ის ძალა, რომელიც იმპერიას ანგრევს?

არ დავლლი თქვენს მოთმინებას და პირდაპირ ვიტყვი: ეს ძალაა იმპე-რიაში ეროვნული შეუთავესებლობა.

მაშასადამე, თუ იმპერიას (სსრკ-ს ვგულისხმობ) კრავს სოციალური ინ-ტერესების ერთიანობა, ანგრევს ეროვნული შეუთავსებლობა.

მოგეხსენებათ, რომ რუსეთის მონოლითური იმპერიის, ისევე, როგორც მისი მემკვიდრის, სსრ კავშირის სამართავ ენას რუსული წარმოადგენდა. ეს ენა ბატონობდა ყველა სფეროში: არმიაში, ბიუროკრატიულ სისტე-მებში, მეცნიერებაში, ხელოვნებაში და ასე შემდეგ. ეს შესანიშნავი ენა — პუშკინისა და დოსტოევსკის ენა, ტოლსტოისა და ტიუტჩევის ენა, დიდი ჩეხოვის ენა იქცა ცენტურის ენად, ბრძანებებისა და დეკრეტების ენად...

მოკლედ, იმპერიის მთელ სივრცეზე ეს ენა გახდა საერთო სავალდე-ბულო ენა, ხოლო საკუთარ ენას „შინაური“ ხმარებისათვის თუ იყენებ-დნენ. ნელ-ნელა რუსულმა „შინაურ“ სივრცეებში შეაღწია და თანდათან იპყრობდა ამ „თეთრ ლაქებსაც“.

ერთი მხრივ, რუსული ეუფლებოდა ყველას და ყველაფერს და, ამასთან
ნავე, თითოეული არარუსი, პრაგმატული მიზნებით, ცდილობდა, დაუფ-
ლებოდა ამ ენას, დიდის მონდომებით ივინყებდა საკუთარს ჰქონილი შემობლიურ აქცენტს (არ შემიძლია, არ აღვნიშნო ერთი, ყველასათვის ცნო-
ბილი შემთხვევა, როცა კაცმა, რომელიც წარმატებით მართავდა ამ უზარ-
მაზარ იმპერიას, ვერაფერი მოუხერხა საკუთარ აქცენტს).

ასე გაჩნდა ტერმინი „რუსკოიაზინი“, რომელმაც იმპერიის დაშლისას
პოლიტიკური ულერადობაც შეიძინა.

და სწორედ მაშინ, როცა იმპერია საკმაოზე მეტად გაიულინთა და გა-
ჯერდა ამ ენით და, როცა უკვე გაძნელდა, განგესხვავებინა რუსი და „რუს-
კოიაზინი“ ერთმანეთისაგან, სწორედ ამ დროს გამოჩნდა ახალი ძალა,
იმპერიის დამშლელი და დამანგრეველი.

ამ საკითხზე ჩემი მოსაზრება მინდა დავინწყო ერთი, ალბათ, ყველასათ-
ვის ნაცნობი სიტუაციით, როცა ორი ადამიანი ხდება ერთმანეთს და მათ
ერთმანეთის ენა არ ესმით, მაგრამ სასურველია და საჭირო, გააგებინონ
ერთმანეთს სათქმელი. რა ღონეს არ ხმარობენ ამისთვის. ამონინურა გასა-
გები სიტყვების, მიმიკებისა და უქსტების მთელი მარაგი. აზარტში შესულ-
ნი მზად არიან, გული გაუხსნან ერთმანეთს, მაგრამ თუმც ვერ მიაღწიეს
საწადელს, მაინც რჩება საერთო განწყობა ერთმანეთისაკენ სწრაფვისა,
ერთმანეთთან დაახლოებისა.

ახლა ნარმოვიდგინოთ სხვა ორნი, რომელთაც საქმიანი შეხვედრა აქვთ
და მნიშვნელოვანი სასაუბრო. ორივენი სრულყოფილად ფლობენ საერ-
თო ენას და ამ საქმიანი, მნიშვნელოვანი საუბრისას ცდილობენ გაიგონ
არა ის, რას ამბობს მეორე მხარე, არამედ ის, რაზეც დუშს და რასაც
მაღავს. ეს არის მხოლოდ ორი ადამიანი, მაგრამ ახლა ნარმოვიდგინოთ
მთელი ის ერები და ხალხები, რომლებიც ბინადრობენ ამ უზარმაზარ
იმპერიაში, რომელსაც არც მთლად უსამართლოდ ეწოდებოდა „ხალხთა
საპყრობილე“, სადაც ბატონობდა რუსული ენა, სადაც ყველა რუსულად

ლაპარაკობდა და, რუსებს, რომელთაც მშვენივრად ესმოდათ სიტყვები, სინამდვილეში არ ესმოდათ, რაზედაც ხალხები დუმდნენ და რასაც მალავდნენ. აქ „რუსკოიაზიჩინი“ აზერბაიჯანელს, სომებს, ქართველს, ჩურჩი ჩემს, ინგუშს, ჩერქეზს, ბალტიისპირელს, შუაზიელს და ასე შემდეგ, გარკვეული უპირატესობა ჰქონდა რუსთან შედარებით, რადგან რუსის ინტერესი ასე თუ ისე გაშიფრული იყო, ხოლო „რუსკოიაზიჩინისა“ — დაფარული. რასაც ის მალავდა და რაზედაც ის დუმდა, მისი ეროვნული საიდუმლო იყო, რაც არ ითარგმნება და არც ეცდებოდა გაენდო რუსისთვის თავისი გულისნადები და ტკივილი, რადგან იცოდა, ამას ის მისსავე დასათრგუნად გამოიყენებდა.

ენა ერის საიდუმლოა, რომელიც კოდირებულია მის ანდაზებში, იდიომებში, ლექსებში, ტრადიციებში, ხილვებში, შეგრძნებებში და ასე შემდეგ. ის მალავს თავისი მთების ნისლებს, დედის ალერსს, ბავშვობას, პირველ სიყვარულს, აულებს, იურთებს... ეს საიდუმლო პრაგმატულ დამოკიდებულებას მისდამი ვერ ჰვერობს და არც უხსნის გულს.

რუსებმა ვერ გაუგეს სხვებს, ხოლო სხვებმა არ ისურვეს მათთვის საიდუმლოს გამხელა, რადგან საკმაოდ კარგად გაუგეს რუსებს.

საბოლოოდ გამოირკვა, რომ „რუსკოიაზიჩინის“ მხოლოდ ენა აქვს რუსული, ხოლო დანარჩენი რაც აქვს, თავით ტერთამდე საკუთარი აქვს, თავისი.

ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, რუსებისა და სხვა ხალხების ურთიერთობაში სულ უფრო და უფრო ნაკლები ნდობა და ურთიერთგაგება ისადგურებდა.

განა ყველას არ უგრძნია, როცა ჩვენს შინაურ წრეში მოხვედრილი რუსი, თუ უკმაყოფილებას არ გამოთქვამდა, იძაბებოდა მაინც, თუ ჩვენ ჩვენს ენაზე გადავულაპარაკებდით ერთმანეთს.

ერთხელ, დათო ჯავახიშვილმა მიამბო: მე და ჩემი შვილიშვილი პუშჩინოში ვისვენებდით. ბავშვი სკვერში თამაშობდა, ხოლო მე ძელსკამზე ვი-

ჯექი. ჩემს გვერდით ხანდაზმული, სიმპათიური კაცი დაჯდა და ჩვენ გავე-
საუბრეთ ერთმანეთს. წასვლის დრო როცა დადგა, მე შვილიშვილს დაფუ-
ძახე და რაღაც ვუთხარი ქართულად. მოხუცმა გაკვირვებით შემომზედა
და დაუფარავი შეშფოთებით მკითხა: — вы что, говорите на собственном
языке? а какая надобность?

ახლა ჩემი გამოცდილებიდან მინდა მოვიტანო ერთი შემთხვევა: თბი-
ლისში, ჩვენს უბანში, ძველ დროს რძის რიგში ვიდექი. ჩემს გვერდით ორი
ქალი ჩემთვის სრულიად უცნობ ენაზე ესაუბრებოდა ერთმანეთს. თუმც
გაგებით ვერაფერი გავიგე, მაგრამ ამ ენის ულერადობამ სიამოვნება მომ-
გვარა.

ერთ-ერთმა შემამჩნია და ქართულად მკითხა, თითქმის მობოდიშებით:

— თქვენ რა, იცით ასირიული?

— არა, რა თქმა უნდა, უბრალოდ, სიამოვნებით გისმენდით.

ქალმა მადლობის ნიშნად გამილიმა.

მაშ, ასე. ღმერთის ნებით, კიდევ ერთი ბაბილონის გოდოლის ნგრევის
მონმენი გავხდით და, კვლავ იმავე მიზეზით.

მაგრამ, თუ ის ნამდვილად ითქვა, რომ ახალი მსოფლიო წესრიგის დამ-
ყარების გზაზე მთავარი დაბრკოლება ნაციონალიზმი და მართლმადიდებ-
ლობაა, ჩვენი პლანეტა კვლავ მიექანება ახალი, გლობალური იმპერიისა-
კენ, უფრო დიდი ბაბილონის გოდოლისაკენ...

და ეს მაშინ, როდესაც ალტერნატივა კარგა ხანია არსებობს, რომელიც
ჯერ კიდევ ბიბლიის მეთერთმეტე თავშია მოცემული — ენების აღრევისა
და მისი ქრისტიანული ინტერპრეტაციისა, რომ ყველა ენა კურთხეულია
(რაც, ბუნებრივია, ვრცელდება ერზეც, რადგან ენა ერის საიდუმლოა, მი-
სი „სახეობის“ აღმნიშვნელი. ხოლო „სახეობათა“ მრავალფეროვნება სათ-
ნო უჩნის ღმერთს).

და თუ აუცილებელია, და ალბათ აუცილებელია, მსოფლიოს ახალი
წესრიგის დამყარება, ის უნდა მოხდეს ერთა გამიჯვენით, — გაერთიანება

გამიჯუნით, — რადგან გამიჯუნა არ ნიშნავს გათიშვას და, მით უფრო, დაპირისპირებას. გამიჯუნა უფრო თანხმობა და შერიგებაა.

ყოველი ერი, ყოველი ენა, ყოველი მოვლენა და საგანი, ყოველი ციუ-ლიერი იმანენტურია და აქვს გარსი და საზღვრები, რითაც ის გამიჯუნულია სხვა სიცოცხლეთაგან. თვით ჩვენს პლანეტას აქვს გარსი, რაც უტყუარი დასტურია იმისა, რომ ისიც ცოცხალია. ყოველივე თავის თავში საიდუმლოს ატარებს, როგორც მცენარე თავის თესლს თავისივე გვარისდა მიხედვით. ეს პრინციპი ვრცელდება, აგრეთვე, სოციალურ წყობაზე, ცხოვრების წესზე, იდეოლოგიაზე და, რაც უმნიშვნელოვანესია — აღმსარებლობაზე...

სამწუხაროა, რომ დასაბამიდან დღემდე, ადამიანს ერთი და იგივე შეცდომა მოსდის და გმობამდე უგულვებელყოფს ლვთიურ ნებას.

ჩვეობაში

22 თებერვალს, მიტევების კვირას, ეკლესიაში ვიყავი. მწუხრის ლოცვის შემდეგ, მართლმადიდებელი ეკლესის წესისამებრ, ყოველი ჩვენთაგანი ერთმანეთისაგან შენდობას მოითხოვდა.

მეც, სხვებთან ერთად, ჩამოვუარე უცნობ-ნაცნობებს და ყველას შენდობა ვთხოვე და, მათაც ასევე, მთხოვეს, შემენდო მათთვის. უკვე წასვლას ვაპირებდი, რომ შევნიშნე ერთი რუსი დედაბერი, რომელიც მარტოდმარტო იჯდა გრძელ სკამზე. ეს ქალი და კიდევ ერთი-ორი რუსი დედაკაცი ამ ეკლესიას შემორჩინენ იმ დროიდან, როცა აქ ლვთისმსახურება რუსულ ენაზე მიდიოდა. მე ამ ქალს ვესალმებოდი, ხოლმე და ვიცოდი აგრეთვე, რომ ის ადრე გეიდარ ფალავანდიშვილის დედას, ლია ციციშვილს ავადმყოფობისას უვლიდა. მასთან არავინ მისულა შენდობის გამოსათხოვად. არც მე მივედი, რადგან მომერიდა, არ ვიცოდი, როგორ მიმეგართა, რა მეთქვა.

გამოვედი ეკლესიიდან და ერთხანს ეზოში დავყოვნდი. დავყოვნდი ეზოში და ისიც გამოვიდა. მაშინდა მიეხედი, რომ მას ველოდებოდი. მივედი, შენდობა ვთხოვე და, წესისამებრ, მხარზე ვეამბორე. მან კი შვილივით გულში ჩამიკრა. ლურჯი თვალები ცრემლით ჰქონდა საესე. მეც ამინყლიანდა თვალები...

2 მარტი, 1999

ვქმნით ახალ ჰარტიას

ეროვნული
ბიბლიოთი

ამას წინათ ჩვენს ახალგამოჩეულ სასცენარო სახელოსნოს ერთი შშვენიერი ქალიშვილი ეწვია, პროფესიით რეჟისორი. მან შემოგვთავაზა, მონაწილეობა მიღველო სასცენარო კონკურსში. თემა თანამედროვე უნდა ყოფილიყო, უანრი — ნებისმიერი. მაინც ითქვა: სასურველია, თემა არჩევნებს ეხებოდესო.

ამგვარ წინადადებებს, მართალი გითხრათ, ვერიდები, რადგან ჩემი სტუდენტები ამჯერად სადიპლომო თემებზე მუშაობენ და არ მინდა მათი ზედმეტად დატვირთვა. თანაც, კონკურსში მონაწილეობას საერთოდაც გავურბივარ, რადგან ხელოვნებისადმი ამგვარი „სპორტული“ დამოკიდებულება არავანსაღ გავლენას ახდენს თვით შემოქმედებით პროცესზე. შემოქმედება ნიშნავს არა სხვას აჯობო, არამედ აჯობო საკუთარ თავს.

მაგრამ რეჟისორმა მაინც დაგვითანხმა და დავინუეთ ფიქრი. ჩვენ უნდა დაგვენერა 2-3 გვერდი: მომავალი სცენარის მოკლე მიმოხილვა, თემის, იდეის, უანრის, ძირითადი კოლიზიის მინიშნებით. ყოველივე ამას ჩვენ ადრე განაცხადს ვეძახდით, ახლა მას სინოფსისი ჰქვია.

თემის მოძიებისას მომაგონდა, რომ შინ მქონდა სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრის მიერ შედგენილი ცნობარი სათაურით — „საქართველოს პოლიტიკური პარტიები“. ეს კონტა წიგნი ჩემმა ახლობლებმა შეადგინეს და მიმაჩინია, რომ იგი მეტად საინტერესო ზონდირებაა ჩვენი საზოგადოების ცნობიერებისა.

ცნობარის „წინათქმაში“ ვკითხულობთ: წინამდებარე ცნობარი შეიქმნა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების წინ საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა სპექტრის სრულად წარმოჩნდის მიზნით. ამიტომ გადაწყდა, ცნობარში შესულიყო არა მხოლოდ ის პარტიები,

რომლებიც მონაწილეობენ არჩევნებში, არამედ ყველა რეგისტრირებული პარტია. 1998 წლის 26 სექტემბერს, იუსტიციის სამინისტროდან მიღებული მონაცემებით, საქართველოში 79 რეგისტრირებული პოლიტიკური პარტია ჰქონდა. ცნობარისათვის საჭირო მასალის შესაკრებად სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრმა ყველა ამ პარტიის დაუგზავნა სპეციალური კითხვარი.

ცნობარში შევიდა ინფორმაცია 73 პარტიის შესახებ. 6 პარტიიდან კითხვარი უკან არ დაგვიძრუნდა. ზოგმა პარტიამ კითხვარის შეუვსებლობის მიზეზად მოუცლელობა დაასახელა, ზოგმა კი უარი განაცხადა კითხვარის შევსებაზე".

ეს ვრცელი ციტატა ცნობარიდან იმიტომ მოვიხმეთ, რომ კიდევ ერთხელ, ჩვენი „დილის გაზეთის“ საშუალებით, უფრო ფართო აუდიტორიის წინაშე დაგვეციქსირებინა ციფრი — 79.

79 ჩემთვის საყვარელი რიცხვია. ამ რიცხვმა გარკვეულად გამამხნევა და კონკურსში გამარჯვების იმედიც ჩამისახა. ყოველივე ეს ჩემს მომავალ კოლეგებს გავანდე და მეტი ხალისით შევუდექით საქმეს.

მაგრამ მალევე გავიგე, რომ 79 აღარ არის ბოლო რიცხვი და, რომ დღეს, საქართველოში უკვე 80-ზე მეტი პარტიაა (აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გულწრფელად ვუსურვო წარმატება ახლად დაფუძნებულ ქრისტიან-დემოკრატებსა და დას-ს, რადგან ორივე პარტიაში უაღრესად კეთილსინდისიერი და სერიოზული პოლიტიკოსები მეგულება).

ჩვენთვის კი გაცუდდა „საკრალური“ 79 და ვიგრძენი, რომ გამარჯვება აღარ გვეწერა. ასეც მოხდა. ჩანაფიქრი დაგვიწუნება.

„მელა და ყურძენის“ იგავისა არ იყოს, ჩვენ უამრავი არგუმენტი გამოვთქვით ამ წარუმატებლობის გასამართლებლად: „რა დროს სცენარია“, „სადა აქვს ჩვენს ქვეყანას ფილმის გადაღების ფული“, „ხალხი შიმშილობს“ და ასე შემდეგ. მე აქ გამახსენდა შესანიშნავი პიროვნების, მწერალ დავით გამჩერილაძის ერთი გონებამახვილური წინადადება, რომელიც მან შესთავაზა კინოს-

ტუდიის სასცენარო განყოფილებას ჯერ კიდევ იმ შავბნელ დროს, რომელიც ამ შავბნელ დროს (გვულისხმობ ჩვენი დღევანდელი კინოს მდგომარეობას) უფრო მიესადაგება: მომეცით სცენარისათვის განკუთვნილი პროგრამაზე ხევარი, ხოლო მე სცენარს აღარ დავწერ. ამით ფილმის გადალების თანხაც დაგეზოგებათო (დაუმატებ: დღეს რაც არა გვაქვს, რა დაგვეზოგება?!).

ზოგი ჭირი მარგებელიაო, ამბობენ, და მართლაც, გადაბრუნებულმა ურემმა სხვა გაგრძელება გვიჩვენა სინოფსისის განხორციელებისა, არა კინოში, არა მხატვრული სახით, არამედ რეალურად, ჩვენს უაღრესად საინტერესო ყოფაში (იდეა საკუთარ თავს, ჩვენსავე სინოფსის მოვპარეთ, რომლის შინაარსს წერილის ბოლოს მოგახსენებთ).

აქ კი მხოლოდ იმას გაგიმხელთ, რომ გადაეწყვიტეთ პარტიის შექმნა.

და მართლაც, რა დროს სცენარია, როცა ჩვენს პატიარა ქვეყანაში 80-ზე მეტი პარტიაა და არაფერი დაშავდება, თუ მათ კიდევ ერთი მიემატება. როგორც ჩანს, პარტიის შექმნა გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე სცენარის დაწერა და, მით უმეტეს — მისი განხორციელება.

რა დროს სცენარია, როცა თვით ამ ცნობარის არსებობა შესანიშნავი ნიმუშია აბსურდული უანრისა, ყოველგვარი მხატვრული გააზრების გარეშე. მარტი მათი პროგრამების, მიზნებისა და აბრევიატურების უბრალო ჩამოთვლა რად ღირს. ამას თუ მივუმატებთ იმასაც, რომ არავინ უსმეოს და არც სურს გაუგოს სხვას, ხოლო ხალხს, ამ ხმაურ-გნიასში, საერთოდ ვერაფერი გაუგია. უკეთეს დოკუმენტურ-აბსურდულ ფილმს ვერც ნარმოიდგენს მაყურებელი, თუ ასეთი კიდევ შემორჩენია ჩვენს პოლიტიზებულ საზოგადოებას.

არის, რა თქმა უნდა, ამ სიმრავლეში რამდენიმე პარტია, რომელთა მნიშვნელოვნება ეჭვს არ იწვევს. მაგრამ აქ ლაპარაკია ჩვენი საზოგადოების საერთო ტენდენციებზე.

პარტიათა დიდი უმრავლესობის პროგრამები ცოტათი თუ განსხვავდება ერთმანეთისგან. ძნელია ამ სიმრავლეში კონსტრუქციული აზრის ნარმობობა და დაფიქსირება. იძენდება ერის საერთო ცნობიერება და ნვრილმან,

ულირს, ჯიუტ კინკლაობაში იკარგება მთავარი აზრი და ამოცანები. უამრა ვი ფული და ენერგია იხარჯება ფუჭად, ამ მდგომარეობას ბოლო არ უჩას.

რას ნიშნავს პარტიების სიმრავლე? ნუთუ ასეთი მრავალ და განსხვავებულია ჩვენი შეხედულებები, მიზნები და ამოცანები? ნუ-
თუ ჩვენს ერს, ჩვენს ხალხს ერთი სამშობლო და ერთი სატკივარი არა
აქვს? და თუ მას ერთი სატკივარი და ერთი სამშობლო აქვს, ხოლო ჩვენ
ყველას მისი ხსნა და კეთილდღეობა გვინდა, და გვინდა ეს გულწრფე-
ლად და უანგაროდ, მაშინ რატომ ვასუსტებთ ერთმანეთს, რატომ ვერ
ვხედავთ ერთმანეთში თანამებრძოლს, რატომ არ ვუსმენთ სხვას? განა
სხვისგან ნათქვამი უმჯობესი აზრი შენი აღარ არის? რად გავმართეთ
ამბიციების დოლი?

აი, ვერთობით პარტიების შექმნითა და ერთმანეთთან დაპირისპირე-
ბით. ვითამაშოთ, ბატონებო, გავერთოთ! მაგრამ ვაი, რომ ამ აბსურდულ
თამაშს, შესაძლოა, რეალური საქართველო შეეწიროს.

რას უნდა ნიშნავდეს პარტიების სიმრავლე? ეს ერის სიბრძნეა თუ სიბ-
რიყვე? ნუთუ ისტორიამ არაფერი გვასწავლა? განა ეს სიტუაცია გაჭრი-
ლი ვაშლივით არ ჰგავს 1918-21 წლების დამოუკიდებელი საქართველოს
მდგომარეობას? მერე და, რა შედეგი მოვიმკეთ მაშინ?

სწორედ აქ არის მოსატანი ძალიან ძველი ჩინური იგავი ჯუან-ძისა (ძვე-
ლი წელთაღრიცხვის 369-286 წლები), რომლის სათაური მთარგმნელს, რე-
ზო ყარალაშვილს, ეკუთვნის.

ძლიერი ძურდი

რათა თავი დაიცვინ ქურდბაცაცებისგან, რომლებიც ზანდუკაშვილი და
სკიფრებს ტექქნ და ტომრებს აცარიელებენ, პატრონები ამ ნივთებს ბაწ-
რითა და თოკით კრაფუნ, ხოლმე. ურდულებს უყნებენ და ბოქლომებს
ადებენ. წუთისოფლის აზრით — ქადა სიბრძნე და გონიერება.

მაგრამ ერთხელ იქნება და, მოგა ღონიერი ქურდი, მარტე შეიცვალს
ზანდუქსა და სკივრს, იღლიაში ამოიჩის ტომარსა და ერთი დარდი
ექნება: გზად თოკ-ბაწარი არ დაუწყდეს და ურდულ-ბოქარისმა ბეჭედი გადასაცილებელი გადასაცილებელი გადასაცილებელი გადასაცილებელი

უმტყუნოს.

ასეთ შემთხვევაში ის, რასაც აქამდე სიბრძნესა და გონიერებას უწოდებდნენ, განა სხვა რაა, თუ არა ქონების დაგროვება ღონიერი ქურდისათვის?..

და აი, საუკუნის დასაწყისში, მოვიდნენ ბოლშევიკები, როგორც ღონიერი ქურდი და შედეგი ყველასათვის ცნობილია.

ახლა კი ჩვენს ცნობიერებადაძენძილ ქვეყნაში ჩნდება საშიშროება კიდევ უფრო ღონიერი გუნდის მოსვლისა, ოლონდ ამჯერად ის ჩვენი ჯიშისა არ იქნება.

ორივე შემთხვევაში ღონიერი ქურდი არაფერ შუაშია. მისი მოსვლის მიზეზი ჩვენში უნდა ვეძებოთ.

აი, დაპირებული სინოფსისიც

იყო ერთი სოფელი, სადაც ბრიყვები ცხოვრობდნენ. ამბობდნენ, რომ ისინი ოდესლაც სიბრძნით იყვნენ განთემულნი. ამის გამო, მათი მამაკაცები სხვა ქვეყნებში მიჰყავდათ მრჩევლებად. უმამაკაცოდ დარჩენილმა ქალებმა გამოიხმეს თავიანთი ქმრები და მოსთხოვეს, აერჩიათ: ან სიბრძნე, ან ოჯახი. კაცებმა სახლში დარჩენა აირჩიეს და სიბრძნის სიბრიყვით დაფარვა გადაწყვიტეს. ამის შემდეგ სოფელი ყველამ დაივინყა.

სოფელი ერთი სხეულივით ცხოვრობდა. ადამიანებს მარტო ერთმანეთის კი არ ესმოდათ უსიტყვოდ, არამედ ბუნებასაც ესმოდა მათი და მათაც ბუნებისა. ასე გრძელდებოდა მათი ცხოვრება, ვიდრე არ შეიტყვეს, რომ

მათი მონათესავე ხალხი ვერაფერს აგებინებდა ერთმანეთს, თუმცა ამ მიზნის მისაღწევად უამრავი სიტყვა იხარჯებოდა უქმად.

თავისი მივიწყებული ტრადიციის მიხედვით, სოფლელებმა გააფიქსირებიან ტეს, მიხმარებოდნენ ქალაქს. გამართეს სხდომა, სადაც ხანგრძლივი ბჭობა მიმდინარეობდა სამარისებულ სიჩუმეში. მხოლოდ ერთი არ ერეოდა ბჭობაში, ის სათათბიროს ფარჯვიდან ხურჯინგადაკიდებულ, სამგზავროდ გამზადებულ, შეკაზმულ ცხენს კუდს უწნავდა. სწორედ ეს კაცი, ჩვენთვის გაუგებარი მიზეზების გამო, წავიდა ქალაქში არჩეულის ნაცვლად.

ქალაქში ჩასულ სოფლელს წინასაარჩევნო აღლუმი ხვდება. დიდ მოედანზე ამომრჩევლების წინ ჩაივლიან სამოცდაცხრამეტი პარტიის წარმომადგენლები თავიანთი ლოზუნგებით, სიმბოლური რეკვიზიტებით და ჰიმნებით. მაგალითად: აი, მოდის დკპ-ს მანქანა, რომელზეც ლოზუნგია: „ენა, მამული, სარწმუნოება!“ ქვეშ კიდევ უფრო დიდი ასოებით წარწერაა: „ვიბარებთ ბოთლებს ყველაზე მაღალ ფასებში!“ მას მოჰყვება მანქანა წარწერით: „მამული, ენა, სარწმუნოება!“ მასზე მოჭრილი ხეა დამაგრებული, რომელსაც შებმული აქვს ფერადი ლენტები. „ნატვრის ხეს“ ქვეშ აქვს წარწერა: „შეაბი, ჩაიფიქრე, შეგისრულებთ!“ შემდეგ მანქანას, „სარწმუნოება, ენა მამული!“ აქვს ლოზუნგად, შემდეგი წარწერაა: „ევროპული ტანსაცმელი იაფად!“ ასე ჩაივლის სამოცდაცხრამეტივე პარტია, რომელსაც მოჰყვება ორგანიზაციები, ბლოკები და ასე შემდეგ, რომელთა სახელის დამახსოვრება შეუძლებელია. ტრიბუნებზე დგანან მოხუცები, მათხოვრები და ყველა სოციალური ფენის წარმომადგენლები.

სოფლელი აკვირდება და სწავლობს პარტიებს, იღებს გადაწყვეტილებას, ცხენს უშვებს და იწყებს თავისი გადაწყვეტილების აღსრულებას. ქმნის ახალ პარტიას — პდპ, რომელიც ფილმის ბოლომდე გაუშიფრავი რჩება. გარეგნობით იგი ემსგავსება ენერგიულ ქალაქელ საქმოსანს. თანამზრახველებს ყველა ფენიდან ერთი ნიშნით ირჩევს, თუ რამდენად ესმით ერთმანეთის უსიტყვოდ. ტექნიკური პროგრესის ყველა მიღწევას იგი აყენებს ადა-

მიანთა ურთიერთგაგების სამსახურში. მეთოდები, რომლითაც იგი ახერხებს პარტიის შექმნას და სხვა პარტიების დაშლას, დაფუძნებულია ადამიანურ გრძნობებზე: სიკეთე, გულისხმიერება, თანაგრძნობა, ნიჭიარული უანგარობა და თავმდაბლობა.

პდპ ნელ-ნელა აღწევს თავის მიზანს — სარეკლამო აღლუმებში მონაწილე პარტიების რაოდენობა კლებულობს. ამასთან, ქალაქში თანდათან სიჩქმე ისადგურებს, სიჩქმეში იშიფრება პდპ-ს აბრევიატურა — პარტიების დამშლელი პარტია. საბოლოოდ, ქალაქში სრული მდუმარება გამეფდება, რომლის ფონზეც ცხენის ჭიხვინი ისმის, რაც აღნიშნავს, რომ სოფლელის მიზანი მიღწეულია და მას შეუძლია მშობლიურ სოფელში დაბრუნება. დაბრუნებულს სოფელი იმავე მდგომარეობაში ხვდება, რომელშიც დატოვა. დრო ამ სოფელს არ შეხებია. ხოლო ქალაქში ადამიანები ჩვეულებრივ სიტყვებს ეძებენ ერთმანეთთან სასაუბროდ.

2 აპრილი, 1999

ეგრძალებით ქველის-საქმესა თქვენსა, რათა
არა ჰეთ წინაშე ეცდა სახილეებად
მათდა: უკეთუ არა, სასუიდელი არა გაქუს
მამისა თქვენისაგან ზეცათასა

გათა 6.1.

ყოველი მუხლი სახარებისა არის კარი ღვთიური სიბრძნისა, რომელ-
საც რთულ სულიერ ლაბირინთში შევყავართ. ყოველი მუხლი ამასთანავე
არის ლამპარი, რომლითაც ვიკვლევთ გზას ამ სირთულეში. და აი, ჩვენ ამ
კარით შევდივართ და ამ ლამპრით ვიკვლევთ გზას და ამ გზას მივყავართ
დღევანდელ დღემდე დღევანდელი სიბრძლით მოცულ სულიერ ტალანტებში.

უფრო ადვილია უარი თქვა ამ შეგონებაზე და შენი შეხედულებისა-
მებრ აკეთო სიკეთე და ქმნა სამართალი, ვიდრე გაერკვე მასში. ეს შეგონე-
ბა მოცემულია მათეს სახარების მექქვე თავში, პირველივე მუხლში, სწო-
რედ იმ თავში, რომელშიაც მაცხოვარი მთავარ ლოცვას „მამაო ჩვენო“-ს
ასწავლის თავის მონაფეებს.

ეპიგრაფში მოყვანილი მუხლის განმარტება სრულყოფილად მოცემუ-
ლია წმ. იოანე ოქროპირის „თარგმანება მათეს სახარებისა“-ში (ტ. II, გვ. 5-6).
ჩვენ მხოლოდ გავკადნიერდებით და ზოგადად აღვნიშნავთ ამ შეგონების
უგულებელყოფის ერთობ სავალალო შედეგებს ჩვენს დროში, ჩვენს საზო-
გადოებაში.

განა ერთის მხრივ შეუთავსებელი არ არის სიკეთის კეთება, სამართლის
ქმნა და ამასთანავე მისი აკრძალვა? მაგრამ ირკვევა, რომ სიკეთის კეთება

„ნინაშე კაცთა სახილველად მათდა“ უდიდესი უარყოფითი ძალის მატარებელია, ის ლია და ფართო კარია ანგარებისა და ამპარტავნებისაკენ. ირკვევა, რომ სიკეთე და სამართალი უფრო ძნელი სამართავია, ვიზუალურად და უსამართლობა. ირკვევა; რომ უკეთესია არაფერი აკეთო, ვიდრე აკეთო სიკეთე და ქმნა სამართალი შენი შეხედულებისამებრ.

სანამ ხსენებულ სავალალო შედეგებზე მოგახსენებდეთ, მინდა აქვე აღვინიშნო, რომ დაკონკრეტება მაგალითებისა მიზანშეუწონლად მიმართია, რადგან კონკრეტული პიროვნებების დასახელებისათვის არც დრო და არც ფურცელი არ მეყოფა და თანაც, ამ შემთხვევაში, სამწუხაროდ, ზოგადი უფრო კონკრეტულია, რადგან ყველანი ერთ ხუფქვეშ ვართ და არც თქვენი მონა-მორჩილია მათ შორის გამონაკლისი.

მე ხელთ მაქვს ჩვენი შესანიშნავი მნერლისა და მთარგმნელის ბაჩანა ბრეგვაძის ნინასიტყვაობითა და კომენტარებით გამოცემული მარკას ავრელიუსის „ფიქრები“. აი, რა ნერია ამ ნიგნში: „ერთი, სიკეთეს რომ უზამს კაცს, სამაგიეროს მოითხოვს მისგან. მეორე არ მოითხოვს, მაგრამ სულის სილრმეში თავის მუდმივ მოვალედ თვლის მას და არასდროს ივიწყებს საკუთარ ქველმოქმედებას. და ბოლოს, მესამე, გარკვეულის აზრით, ჩალადაც არ აგდებს მისეულ სიქველეს; ამ მხრივ ის ვაზს მოვაგონებს, რომელიც უშურველად გვთავაზობს სავსე მტევნებს და არაფერს მოითხოვს ნაცვლად, კმაყოფილი მარტოდენ იმით, რომ ბოლომდე მოგვცა თავისი სიტყბო. ასე რბის ცხენი, ასე ეძებს კვალს მეძებარი, ასე აგროვებს ფუტკარი თაფლს. ამიტომ კაციც, კეთილი საქმის მოქმედი კაციც, საქვეყნოდ კი არ გაჰყირის — აი, რა ვემზნო, არამედ უხმაუროდ გადადის მეორე საქმეზე, მსგავსად ვაზისა, რომელიც ყოველი ახალი სთვლისათვის ხელახლა ამწიფებს მტევნებს. — მაშასადამე, ჩვენ უნდა ვპაძავდეთ მათ, ვინც სიკეთის ქმნისას, გარკვეულის აზრით, განუსჯელად მოქმედებენ და ანგარიშს არ უწევენ მას, რაც ჰქმნეს? — დიახ. — კი მაგრამ, სიკეთე ხომ ის არის სწორედ, რაც განსჯასა და ანგარიშის გაწევას მოითხოვს? რადგან, როგორც ამბობენ, მოქა-

ლაქეობრივი ცხოვრებისთვის მოვლენილ არსებას ჰმართებს იცოდეს, რომ
საზოგადო სიკეთისთვის მოქმედებს, და — ვფიცავ ზევსს! — სურდეს კიდევ,
რომ მისმა მოყვასმაც იცოდეს ეს. — მართალს ბრძანებ; მაგრამ შენ არ გვხვდეს მის თქმულის ფარული არსი და ამიტომაც ემსგავსები ერთ-ერთ მათგანს,
ვინც ზემორე მოვიხსენიე. რადგან ისინიც შეცდომაში შეჲყავს განსჯის მოჩ-
ვენებითს სისწორეს. ხოლო თუ გსურს გაიზიარო ზემორე თქმული, ნუ ში-
შობ, თითქოს ეს დაგავიწყებს შენს მოვალეობას კაცთა მიმართ".

დღეს, როდესაც გამდიდრებისკენ ასეთი თავშეუკავებელი ლტოლვაა, რა
ჭეშმარიტ სიქველეზე შეიძლება ლაპარაკი. ქველმოქმედებამ ჩვენში ტრაგი-
კომიკური სახე მიიღო, რადგანაც ყოველი ნაბიჯი ამ მიმართულებით სწო-
რედ „ნინაშე კაცთა სახილველად“ კეთდება. ეს, რა თქმა უნდა, ქველმოქმე-
დება აღარც არის. ეს არის ანგარება, პატივმოყვარეობა, პოლიტიკური ამ-
ბიცია და სხვა ამგვარი „სათნოებანი“, რომელთაც ქველმოქმედების ნიღაბი
აქვთ აფარებული. რა ქველმოქმედებაზეა ლაპარაკი, როდესაც ყოველი ახ-
ლადშექმნილი „საზოგადოების“ წესდებაში „ქველმოქმედების“ პუნქტის შე-
ტანისას იმაღლებოდა სურვილი საგადასახადო შეღავათების მიღებისა; რო-
დესაც მშობლების ზრუნვას მოკლებულ ბავშვთა მოვლა-პატრონობა არა
ყოველდღიური ზრუნვის საგანია, არამედ სადლესასწაულო-საქველმოქმე-
დო აქცია ტელევიზიისათვის; როდესაც ცხოვრებით უზრუნველყოფილი ფა-
რისევლურად უფრო ხმამალლა გაჲკივიან ხალხის სიღუხჭირეზე და კიდევ
უფრო ამძიმებრნ მათ მორალურ მდგომარეობას, ვიდრე თვითონ გასაჭირში
ჩავარდნილები; როდესაც ქველმოქმედებისკენ გადადგმულ ყოველ ნაბიჯ-
ზე დივიდენდებს მოითხოვენ; როცა ბინის დალაგება-მოწესრიგებაში საზღაუ-
რად თვით ბინას გართმევენ; იმას კი არ იმეტებენ შენთვის, რაც შენ სასი-
ცოცხლოდ გჭირდება, არამედ იმას, რასაც თვითონ მიიჩნევენ საჭიროდ... (ამ
მხრივ არც უცხოელები ჩამოგვივარდებიან) მაგრამ ტყუილად ფიქრობენ,
რომ ფარისევლობითა და ანგარებით გაცემულ „სიკეთის“ ვერავინ ამჩნევს.
ამ „სიკეთის“ გამცემში და მიმღებმაც ყველაფერი კარგად იციან და ამიტომ

არც მადლობაა გულწრფელი. შესაძლოა, ამიტომაც მათხოვრობა გაცილებით უფრო კეთილსინდისიერი ბიზნესია, ვიდრე „პუმანიტარული“ დახმარება, რადგანაც არავინ იცის, საბოლოოდ რა საფასურს მოგთხოვთ ამაშირებელი ასეთ გარემოში, რა თქმა უნდა, პრინციპი — რაც ღმერთშა მოგეცა, ის იმყოფინე — ცინიკურად უდერს.

ახლა კი ერთი ნუთით წარმოვიდგინოთ, რომ ადამიანი ისჯებოდეს სიკეთის ქმნისათვის, მაშინ თუ გააკეთებდა კაცი სიკეთეს?!

„ვფიცავ ზევსს!“ — ასე ამბობს წარმართი ბრძენი მმართველი.

ხოლო ჩვენ, ქრისტიანებს შესავედრებლად სხვა ღმერთი გვყავს. ღმერთი, რომელმაც სიკეთის გამო „ნერწყვა, ყვირმლისცემა, პყრობილება, ჯვარი და სიკვდილი დაითმინა სოფლისა ცხოვრებისათვის“ და რომელიც ავაზაკებთან ერთად აცვეს ჯვარს და რომელმაც თქვა:

ერიდეთ სიმართლის ქეთებას ადამიანთა
თვალწინ, მათ დასანახავ; თორებ ვერ მიიღებთ
საზღაურს თქვენი ზეციერი მამისაგან.
ჰოდა, როცა მოწეალებას გასცემ, ნუ გაახმაურებ
შენს წინაშე, როგორც თვალთმაქციი აკეთებენ
სინაგოგებსა და ქაჩებში, რათა სალხმა აქოს
ისინი. ჰემმარიტად გეუბნებით თქვენ: მათ უკვე
მიიღეს თავიანთი საზღაური.

შენ კი, როცა მოწეალებას გასცემ, შენს
მარცხენას ნუ ეცოდინება, რას აკეთებს შენი
მარჯვენა.

რათა შენი მოწეალება დაფარულში იეოს; და
მამაშენი, რომელიც სედავს დაფარულში,
მოგიზღავს შენ ცხადად”.

მათე 6,1-4.

21 აპრილი, 1999

ხალხი, რომელსაც სამშობლო არ უკვარს



გინც მეუბნება: უფალო, უფალო! ეველა
როდი შევა ცათა სასუფეელში, არამედ ის,
გინც შეასრულებს ჩემი ზეციერი მამის ნება-
სურვილს.

გათა 6,21.

ერთმა უცხოელმა პიზნესმენმა, რომელიც საქართველოში ჩვენს დასახ-
მარებლად ჩამოვიდა, ასეთი ფრაზა თქვა: არ მინახავს ხალხი, რომელსაც
ასე არ უყვარდეს თავისი სამშობლო.

ჩვენი „პატრიოტები“ ალბათ აღაშფოთა ამ ფრაზამ, მაგრამ, დარწმუ-
ნებული ვარ, ზოგიერთმა „არაპატრიოტმა“ ამ სიტყვების მიღმა იგრძნო
გულწრფელი გულისტკივილი, რომელსაც ჩვენი სამშობლოს დღევანდელი
მდგომარეობა იწვევს.

როგორდა გაიმართლებ თავს, როდესაც ქვეყანას კორუფცია ჭამს, უმე-
ტესობა გადასახადს არ იხდის, თავს არიდებენ სამხედრო სამსახურს და
არცთუ იშვიათია დეზერტირობის შემთხვევები, ქართველთა დიდი ნაწილი
თავგამოდებით ცდილობს, უცხოეთის მოქალაქეობა მიიღოს, ცოტა თუ
იცავს კანონებს, როდესაც ბევრისათვის სამშობლოს სიყვარული საკუთა-
რი კომფორტული ბინის ზღურბლს იქით აღარ ვრცელდება და შინაც სამ-
შობლოს სიყვარული სადღეგრძელოებში იხრჩობა.

მეც დავუფიქრდი: მიყვარს თუ არა ჩემი სამშობლო? ადრე არ დავუგირებულვარ. ახლა დავუფიქრდი.

მახსოვს ჩემი პირველი განცდა, აღმოჩენა, რომ მე ქართველი ცარალული იყო ჩუმი აფეთქება ჩემში. არა, ეს არ იყო სიამაყის გრძნობა. შეუძლებელია, სიამაყის გრძნობა ებადებოდეს ვენახს, რომ ის ვენახია, ვაზია და ისხამს მტევანს. ან ვაშლს, ან მსხალს, ან ლელვს. ეს უპირატესობა არ არის. ეს, უძრალოდ, აღმოჩენაა, რომ ეს შენ ხარ და სხვა არავინ, ამ ჯიშისა ხარ.

ჩემი სამშობლო, ჩემი საქართველო, ჩემი მამული! არ არსებობს უფრო ჩუმად სათქმელი სიტყვები. მე ამ ნეტარ სიჩუმეში გავატარე მთელი ჩემი ცხოვრება და არასოდეს მომდომებია, ეს განცდა გამომეთქვა და გამომეხატა. მე ამ განცდაში ვიყავი, როგორც მერცხლის ბარტყი მერცხლის ბუდეში...

მერე რა მოხდა, არ ვიცი. სად გაქრა, როდის აღმოვჩნდი გაძარცული ამ განცდისაგან. ეს მოხდა სწორედ მაშინ, როცა ასე საჭიროა მისი დაცვა და შენარჩუნება. მაგრამ რომ აღარ ვიცით, რა უნდა დავიცვათ და შევინარჩუნოთ?

ახლა ჩემთვის სამშობლო ვიღაცებისაგან შეთხული ლეგენდაა, რომელიც სინამდვილეში აღარ არსებობს.

სამშობლოს სიყვარული ნივთი არ არის, გზად მიმავალმა დაკარგო, თორემ უკან დაბრუნდებოდი და იქნებ გეპოვა კიდეც.

სიყვარული გულში უნდა იყოს. იქ არის მისი ბინა, მისი სამყოფელი. თუ სიყვარული გულს გარეთ არის, მაშინ ის სიყვარული არ ყოფილა და მერე რაც გინდა, ის უნდებ მას. ის მუდამ შენში უნდა იყოს და მხოლოდ მაშინ იქნები შენც მასში, როგორც ვავშანში.

სამშობლოს სიყვარული რაც უფრო უმნიშვნელო რამეში ვლინდება, — სიტყვა იქნება ეს, მოძრაობა, თუ ქცევა, — მით უფრო ლირებულია იგი, რადგან ეს აღნიშნავს, რომ ადამიანი მუდამ თან ატარებს ამ განცდას. ის ორგანული ნაწილია მისი, პირთამდე ავსებულია მით, თავისუფალია ანგარებისა და ამპარტავნობისაგან, არ მოითხოვს საზღაურს, არ ელის ქებას...

მაინც როგორ ვლინდება ეს „ავადმყოფობა“? რა ნიშნები აქვს მას, რა სიმპტომები? რით იზომება, როგორ იწონება იგი?

იქნებ მართლაც ავიღოთ სასწორი და ავწონოთ, ვის უფრო უკურნის საჭიროა შობლო, ანდა, რა არის სამშობლოს სიყვარული?

მახსოვს ერთი მეტად უმნიშვნელო შემთხვევა: მოსკოვის უმაღლეს სას-ცენარო კურსებზე სწავლისას ჩვენს საერთო საცხოვრებელში ბინადრობდა ერთი ლიტველი ყმანვილი. ის თავისუფალი მსმენელი იყო და სტიპენდიას არ იღებდა. ერთხელ მას შევხვდი საერთო საცხოვრებლის ერთობ მოუწყობელ სამზარეულოში, ყავას ადულებდა. გამოველაპარაკეთ ერთმანეთს. სიტყვამ მოიტანა და მან თქვა: სამზარეულოს ფული მაქვს გადასახდელი, ორი მანეთიო. მე გამიკვირდა, არც კი ვიცოდი, რომ ამ დანგრეულ სამზარეულოსათვისაც არსებობდა გადასახადი. მან გაიცინა და მიპასუხა: ვისაც ვუხდი, იმათაც უკვირთ და, მე მგონი, დამცირიან კიდევაც. მე კი მაინც ვიხდი. იქნებ ცოტა გამდიდრდნენ და მიხედონ ამ დანგრეულ სამზარეულოს. ისე კი, რაც გადასახდელია, არ შემიძლია არ გადავიხადოო.

ნუთუ ლიტველი რუსეთის გამდიდრებისთვის იღვწოდა? ანდა, მას უფრო უყვარდა რუსეთი, ვიდრე თუნდაც მე? არა, რა თქმა უნდა. ის აქ, რუსეთში თავის ეროვნულ ლირსებას იცავდა. ეროვნული ლირსება! — ხმამაღლა ნათქვამია, მაგრამ ყოველი ადამიანი უცხოობაში თავისი ერის წარმომადგენელია და როგორც შეუძლია, იცავს საკუთარი ერის ლირსებას.

ეს უმნიშვნელო შემთხვევა დღემდე ცოცხლობს ჩემში, თუმც მას შემდეგ თითქმის ოთხი ათეული წელი გავიდა და, განსაკუთრებით დღეს, მეტი სიცხოველით მაგონებს თავს, როცა ჩემი უხილავი სასწორის მეორე მხარეს ვდებ იმ ადამიანთა, იმ ქართველთა წუნუნსა და გოდებას, რომელიც მისტირიან იმ დროს, როცა ცენტრში ჩასულები სულ უმნიშვნელო ძლვენითა და ქრთამით ახერხებდნენ „დიდი საქმეების“ ჩაწყობას განუწყებულ ჩინოვნიკებთან თავისა და თუნდაც სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ეს ის შემთხვევაა, როდესაც 2 მანეთი გაცილებით უფრო ღირებულია, ვიდრე „დიდი საქმეების“ მთელი ფუთა.

ახლა სასწორის ერთ პინაზე შევდგათ ბატონ ირაკლი ციციშვილის მამა ბობი (რომელიც პირადად მისაგან არ მომისმენია და ამიტომ, ნინასზარ ვინდი ბოდიშს, თუ რაიმე უზუსტობა მომივა): საბჭოთა არმიამ აიღო რომელი-ლაც გერმანული ქალაქი და მის კომენდანტად დაინიშნა ირაკლი ციციშვი-ლი. იმავე დღეს მას ეახლა ამ ქალაქის რამდენიმე წარმომადგენელი. უპირ-ველეს ყოვლისა, მათ გამარჯვება მიუღოცას კომენდანტს, ხოლო შემ-დეგ ნებართვა სთხოვეს, დაელაგებინათ და დაესუფთავებინათ თავიანთი ნაომარი ქალაქი...

ახლა კი სასწორის მეორე პინაზე დავდოთ ჩვენი სიყვარული თბილისი-სადმი. უამრავი ტკბილი სიმღერაა შექმნილი ამ სიყვარულზე, მაგრამ საქ-მე საქმეზე რომ მიდგა, სამოქალაქო ომის დროს, სადაც ჭურვი მიუწვდე-ბოდათ, ქვა ქვაზე არ დატოვეს დაპირისპირებულმა მხარეებმა. მათ შო-რის, არ დაინდეს და მიწასთან გაასწორეს საკუთარი მშობლიური სკოლაც (თუმც, დღეს სკოლა აღდგენილია, მაგრამ ის უკვე აღარ არის ის სკოლა, სადაც ტატო სწავლობდა).

ძალიან მიჭირს ამის მოგონება, მაგრამ სათქმელი უნდა ითქვას: გიორგი რევიშვილმა, ჩვენმა „რემკამ“, ჩემმა ყოფილმა სტუდენტმა, უნიჭირესმა ახალ-გაზრდამ, დიდი მომავლის მქონე მწერალმა და კინოდრამატურგმა, როგორც რეჟისორმა მხოლოდ ერთი შესანიშნავი ფილმის გადაღება მოასწრო — „კვი-რა დღე“. მას განუხორციელებელი დარჩა მრავალი უაღრესად საინტერესო ჩანაფიქრი. მე აქ მინდა მოვიტან ერთი პატარა ეპიზოდი ჩანაფიქრიდან, რომელსაც ის „ავღანურ თემას“ ეძახდა: ერთი ქართველი ახალგაზრდა გაინ-ვიეს სამხედრო სამსახურში. მოხვდა ავღანეთის ომში. მათი ბატარეა გან-ლაგდა ერთ-ერთ მაღლობზე. მომხდურთათვის ეს ადგილი კარგი საფარი იყო, რადგან მაღლობი წმინდა ადგილად იყო მიწნეული. ამის გამო ავღა-ნელთა მხრიდან ამ მიმართულებით არც ერთი ჭურვი არ გატყორცნილა...

ალბათ, ყველას გვახსოვს ქაშვეთის წმიდა გიორგის ეკლესიის ტყვიით
დაცხრილული კედლები. ქრისტეს გულისთვის დიოკლეტიანესაგან ნაწამე-
ბი წმინდა გიორგი, უკვე ჩვენი დროის წარმართებმაც არ დაინდექს. სა კულტურა
ამავე ნატყვიარი ეკლესიდან 1992 წლის 8 მარტს გაასვენეს ჩვენი რემ-
კა და სიცოცხლეშიც და სიკვდილშიც მისი განუყრელი მეგობარი კოტე
ბიბილაური...

* * *

და ბოლოს, კიდევ ერთხელ, მოვიგონოთ ჩვენი სულმნათი მეფე დავით
აღმაშენებელი, როდის უფრო უყვარდა მას სამშობლო, როდესაც სოფლის
კიდეთა ეძებდა დაპყრობად და გარდახდა საზღვართა და შერთო სახლი
სახლსა და აგარაჟი — აგარაქსა და უუძლურესთა ართმევდა მათ ნანილს
და იღვნოდა უმეზობლობასა და ვითარცა მარტო მკვიდრობდა ქვეყანასა
ზედა, თუ მაშინ, როდესაც ყოველივე ეს შეინანა?

თუ მხოლოდ პირველი ნიშავს სამშობლოს სიყვარულს, მაშინ რაღას
ვერჩით და განვიკითხავთ რუსეთს?

* * *

ახლა კი კვლავ ჩვენ დროს დაუბრუნდეთ და პატარა ინტერვიუ ვთხოვოთ

პაცს, რომელსაც სამშობლო ძალიან უქვარს

კაცი იყო, სამშობლო ძალიან უყვარდა.

პიტების: მაინც როგორ გიყვარს სამშობლო?

უპასუხა: ძალიან მიყვარსო. მისთვის რას არ მოვიმოქმედებო.

პიტების: ვთქვათ, შეიტყვე, რომ შემს მოყვასს სამშობლო შემსავით
არ უყვარს. რას უზამ?

უპასუხა: სულ ნაკურ-ნაკურ ავჭინ და ყვავ-ყორნებს გადავუყრი სა-
ჯივენადაო.

පෙනෙන්වා: මත් උග්‍රජාත් සුංඛල් රාස ඉත්තාමි?

පෙනෙන්වා: තාක්ෂණීය දායිත්වාම්.

පෙනෙන්වා: මත් එශ්‍රිලංකාවේ රාජාත් ඉත්තාමි?

පෙනෙන්වා: ක්‍රාමධ්‍යාල් මනෙහාද දායුම්දින.

පෙනෙන්වා: මත් ග්‍රෑම-ශාර්ස, යානාස, සාක්ෂිත්‍රාල් දා යුගෝලියෙළ, රාජ මත් ගුෂ්‍රත්වනිස, රාස ඉත්තාමි?

පෙනෙන්වා: ගාසුනාත්‍රිලෝජි පිහාත, රාජ්‍යාලිතාපු සාම්ප්‍රදාල තිශ්‍රිතාවිත මුළු පාරිභාව.

සාම්ප්‍රදාල ප්‍රශ්නකාලී අර්ථයා දා නූරුවින දා මිත්‍රියිඳුක් තාව්ස, රාජ්‍ය මත් මත් අර ග්‍රෑමිස, වේර තේදාව්ස, අන වේර ගර්ඩන්බ්ස, විශ්‍රාත්‍යාර්ස නිග්‍රහ.

අර යුගෝලී, වැනි ගාසිකාතිස, — මියුවාර්ස සාම්ප්‍රදාල! — සාම්ප්‍රදාල් ම්‍යු-වාරුළියා, අන ග්‍රෑමිස, රා අරිස සාම්ප්‍රදාල් ත්‍රේශ්මාරිත්‍යි මියුවාරුළි.

ශේර කි ගුගන්නා, රාජ්‍ය ගුගුවාර්ස සාම්ප්‍රදාල, මාගරාම තුළ දායු ප්‍රිජ්‍රීජ්‍රීඩුළ්ඩාර පිහාත්ඟ, තාර තුළ අර මිශ්‍ර මිශ්‍ර මියුවාරුළිස ලිගිර්සි.

17 ජාතිය, 1999

ეველაზე გრძელი გზა მომდევნო ნაბიჯი!



ნუ ზრუნავთ სკალისათვის, რამეთუ
სკალებან იზრუნოს თავისა თვისისა. კმა
არს ღღისა მის სიბოროტე თვისი.

მათე 6,34.

გაუგზავნელი წერილები გურამ რჩეულიშვილს

ჩემო გურამ!

რას განიცდიდი, როდესაც აბობოქრებული ზღვისაკენ მიდიოდი? ნუ-
თუ არაფერი განიშნებდა, რომ ეს უკანასკნელი ნაბიჯებია შენი?

რას ფიქრობდი მაშინ?

„მიყვარდა მხოლოდ ბედისწერა, როგორც ერთობა კაცისა და ბუნების
ყველა კანონებისა“. — შენი ამ სიტყვების აღსასრულებლად თუ გადადგი
ბოლო ამქვეყნიური ნაბიჯები...

რას კარგავს, გურამ, იმ საბედისწერო წამს ადამიანი: წარსულს, ან-
მყოს თუ მომავალს? ანდა იქნებ სამივეს სრულყოფილად ინარჩუნებს? შენ
გეკითხები, რადგან ცოტა თუ მეგულება ცოცხალთა შორის, ვისაც შეეძ-
ლოს ამ შეკითხვაზე პასუხი გამცეს...

მარტუს ავრელიუსი. ფიქრიში:

“თუნდაც ღრმად გწამდეს, სამი ათას წელს ვიცოცხლებთ და კიდევ იცდათი ათასს, სულ ერთია, მაშინაც კი უნდა გახსოვთეს, რომ არა ვინ არ ჰყარგავს სხვა სიცოცხლეს, გარდა იმისა, რომლითაც ცოცხლობს და არავინ არ ცოცხლობს სხვა სიცოცხლით, გარდა იმისა, რომელსაც ჰყარგავს. ამიტომ ყველაზე უფრო დღეგრძელი სიცოცხლე არაფრით არ განსხვავდება ყველაზე უფრო დღემოკლისაგან. მართლაც, აწმყო ხომ ერთია ყველასთვის, მაშინადამე, ერთია დანაკარგიც; წუთიერია ყველაფერი ამ საწუთოოში. არავინ არ კარგავს არც წარსულს და არც მომავალს, რადგან ვის ძალუბს წაგართვას ის, რაც არ გაგაჩნია? მაში, ყოველთვის გახსოვდეს შემდეგი ორი ჰუშმარიტება: ჯერ ერთი, დასაბამითვე ყველაფერი ერთი და იგივე, ყველაფერი ერთი და იგივე — წრიული გზით მიმოიქცევა და ამიტომ სულ ერთია, რამდენ ხანს უჭირეტ ამ ერთსა და იმავე სპეციალს — ასი, ორასი თუ უსასრულოდ მრავალი წლის განმავლობაში. მეორეც, უდღემოკლესი, ბოლოს და ბოლოს, იმასვე ჰყარგავს, რასაც ყველაზე უფრო დღეგრძელი. აწმყო — აი, ყველაფერი, რაც შეიძლება დაჰყარგო, რადგან მხოლოდ აწმყოს ფლობ შენ, ხოლო არავინ არ კარგავს მას, რასაც არა ფლობს”.

ეს სიტყვები კი სინეპას ეპუთვეის:

“მე არც წარსული მეუღლონ და არც მომავალი; მალემისრბოლი დროის ერთ წერტილზე ვკიდივარ”.

ეს წერტილი — მოცემული წამია, რომელშიაც ხარ.

განა ეს ცოტაა — ეს წერტილი?

არაფერი არ ადასტურებს უფრო ნათლად სულის უკვდავებას, ვიდრე მოცემული წამი, რომელშიც ხარ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მარადისობა და მოცემული წამი ერთი და იგივე „შემადგენლობისაა“.

მაგრამ, ამასთანავე, თვით ბუნება ადამიანისა ერთობ არამყარია, რადა გან ეს უკვდავი სული მყიფე ჭურჭელშია მოთავსებული.

მარტინ შემახი
ბიბლიოთეკი

და პვლავ სინება:

“არ არის ადამიანი მეორეზე მყიფე. ვერ ნახავ კაცს, სხვაზე მყიფე რომ იყოს, ან სხვაზე მეტად რომ სწამდეს ხვალინდელი დღე”.

აქვე მოვიგონოთ სოლომონ გევის ჟაგონია:

“თავს ნუ იქებ ხვალინდელი დღით, რადგან არ იცი, რას დაბადებს იგი”.

ჩემმა მეგობარმა, რეზო ყარალაშვილმა, ერთხელ ერთი ძველჩინური იგავი მიამბო:

იყო ერთი კაცი, ჰყავდა ერთადერთი ვაჟი და კიდევ — თეთრი ცხენი. ერთხელაც ეს ცხენი დაიკარგა.

მოვიდნენ მასთან მისი ახლობლები და მიუსამძიმრეს მარჩენალი ცხენის დაკარგვა.

კაცმა უპასუხა: რა იცით, რომ ეს ცუდია?

და მართლაც, მალე ამ თეთრმა ცხენმა თან მოიყვანა მთელი რემა ველური ცხენებისა.

ეს რომ კაცის ახლობლებმა გაიგეს, იჩქარეს მიელოცათ მისთვის გამდიდრება.

კაცმა უპასუხა: რა იცით, რომ ეს კარგია?

და მალევე, იმ კაცის ვაჟი შევდა ერთ-ერთ გაუქედნავ ველურ ცხენზე, რომელმაც ის გადმოაგდო. ვაჟმა ფეხი მოიტეხა.

ახლობლებმაც არ დააყოვნეს გამოეთქვათ გულისტკიფილი მომზდარის გამო და თან სიბრძნე შეუუქს.

კაცმა უსასუქა: რა იცით, რომ ეს ცუდია?

და სწორედ ამ დროს იმპერატორმა დაიწყო ჯარის შევროვება სა-
ლაშქროდ და კაცს თავისი ერთადერთი გაუი შინ დაურჩა... გამოიყენება
და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

ახლა მოვიგონოთ ბიბლიური ისტორია იოსების გაყიდვისა ძმებისაგან.
ვინ იფიქრებდა და განსაზღვრავდა, რომ ამ უსასტიკესმა გადაწყვეტილე-
ბამ გადაარჩინა ებრაელთა ერი.

ნინასწარმეტყველება და სიბრძნე სულაც არ ნიშნავს მარჩიელობას,
თუ რა იქნება ხვალ, ზეგ, ხუთი, ოცდახუთი წლის შემდეგ. ასეთი „ნინას-
წარმეტყველება“ ჰგავს ზღვის ზედაპირზე თითოთ ხატვას. ნინასწარმეტყ-
ველება და სიბრძნე არის ღვთის ნების შეცნობა და აღიარება საკუთარი
უმნეობისა და არამყარობისა.

მაგრამ, მეორე მხრივ, თუ ასე არამყარია ადამიანის ბუნება, რაღა დაგ-
ვრჩინია ჩვენ, უბრალო მოკვდავთ. ხომ შეიძლება, ჩვენი სიმყიფე და სრუ-
ლი უმეცრება იმისა, თუ რა გველის ხვალ, გახდეს სასოწარკვეთის მიზე-
ზი? ხოლო სასოწარკვეთა უმძიმესი ცოდვათაგანია.

და აქვე ირკვევა, რომ აღიარება საკუთარი უმნეობისა, სიმყიფისა და
უმეცრებისა, რომ არ ვიცით, რა გველის ხვალ, შესაძლოა, გახდეს ჩვენი
ადამიანური მოღვაწეობის, ჩვენი სიძლიერისა და ძლევამოსილების დასა-
ბამი, თუ შევეცდებით, ჩავნკდეთ და აღვასრულოთ შეძლებისამებრ მა-
ცხოვრის ის სიტყვები, რომელიც ეპიგრაფშია მოცემული. ამისათვის უნდა
შემოვიზდოთ სამოღვაწეო სარბიელი. მოცემული დრო და უამი — აი,
რა მოგვეცა ჩვენ რეალურად. უნდა ვეცადოთ, ბოლომდე ამოვნუროთ დღე-
ვანდელი დღის საზრუნავი, რათა შევძლოთ, უკანმოუხედვად გადავდგათ
ნაბიჯი მომავალში.

თუ გინდა იყო დღეგრძელი, — ჩვენი წმიდა მამები ამგვარადაც გან-
მარტავენ ამ შეგონებას, — ყოველი დღე უნდა იცხოვოთ ისე, თითქოს ის

უკანასკნელია და მაშინ ყოველი მომდევნო იქნება ლვთიური წყალობა
და საჩუქარი.



ერთხელ ჩემს სასცენარო ჯგუფს შევთავაზე ერთი ვარჯიში, რომლსაც
სქემა-დღიური დავარქვით (იდეა ვესესხე დიდ ჰერმან ჰესეს. ამ იდეას ის
„სულის ვარჯიშს“ უწოდებდა).

დილით გაიაზრეთ და დაგეგმეთ, ვეუბნებოდი ჩემს სტუდენტებს, დღე-
ვანდელი დღის საქმიანობა და საზრუნავი და, ეცადეთ დღის განმავლობა-
ში, შეძლებისამებრ, შეასრულოთ ყოველი პუნქტი ამ გეგმისა. ხოლო მიმ-
წერს, დაძინების წინ, გადაავლეთ თვალი განვლილ გზას და მაშინ თქვენ
აღმოაჩინთ, თუ რამდენი რამ მოხდა ამ სადაგ დღეს საინტერესო და ზოგ-
ჯერ მნიშვნელოვანიც, რამდენ ახალ სახეს და ხასიათს შეხვდით, რა სი-
ტუაციები განიცადეთ. რა სისუსტეები აღმოაჩინეთ საკუთარ თავში. ხში-
რად ამგვარი დღიურების კითხვისას მოვიპოვებდით ახალ იდეებს, ახალ
თემებს, ახალ პერსონაჟებს, ისეთ ნიუანსებს, რომელიც, სხვა შემთხვევაში,
შესაძლოა, არც კი შეგვემჩნია...

დღეგრძელი კაცის ამბავი

კაცი იყო. ღამით მპარავმა ხვალინდელი დღე მოპარა.

დადარდინდა კაცი, რადგან ხვალინდელ დღეს გაჰყევა ხვალინდელი
მზის ამოსევლა და ხვალინდელი მაღალი შუადღე, ხვალინდელი მშე-
დი საღამო და ხვალინდელი ღამე, დამშვენებული საქსე მოგარითა და
მოციმციმე ვარსკვლავებით.

ხვალინდელ დღეს გაჰყევა იმედი ხვალინდელი დღისა. ოცნება ხვალინ-
დელ დღეზე, დღევანდელი დღის მოგონება ხვალ და ყველა სისარუ-
ლი და სიტყბოება განვლილ დღეთა ნაყოფსა ზედა.

ხვალინდელ დღეს გაჰყევა მისთვის განკუთვნილი მომავალი დღეები.

დარჩია კაცი დღევანდელი დღის ანაბარა.

სისხამ დილით წამოდგა კაცი სარეცელიდან, დატედა ტკბილ ძილში
ჩაფლულ თავის ცოლ -შვილს, დღევანდელი დღის სანთური დღის სანთური

გამოიყენეთ გამოვიდა.

დღევანდელი დღის მზე ამოდიოდა — კაცის უკანასკნელი დღე...

და შეუდგა კაცი დღევანდელ დღეს:

ძალლს მოეფერა;

საქონელი სოფლის ნაპირს გააყოლა;

ეზო მოიარა, გარღვეული ღობე შეაჭიმ, დადაბლებული აამაღლა;

ვენახი გასხლა;

ხეებს ხმელი ტოტები მოაშორა;

უფროსი ვაჟი დაასაქმა;

შეათანა დატუქსა;

უმცროსს ენა მოუჩილიქა;

ცოლს თვალი აარიდა.

მეზობელს გადასძხა; მეზობელმაც გადმოსძახა.

დასაბარი დაბარა. გასათოხნი გათოხნა. დასამყნობი დაამყნო. დასა-
თესი დათესა. მოსამყელი მოიმკო. დასამარხი დამარხა. გასაცემი გას-
ცა.

ვალი გაისტუმრა.

დადგა შეადლე.

კაცი ხის ჩრდილში ჩამოვჯდა დასასკენებლად.

მოსაგონარი მოაგონდა. დასავიწყებელი დაიგოწყა. მოსანანიტელი
მოინანია. სიხარულმა გაახარა. მწუხარებამ დაამწუხრა. შიშმა შეა-
შინა. სიცივემ შემცირა. სითბომ გაათბო.

წამით გაუელვა, ხვალინდელი დღე რომ აღარა ჰქონდა და ნაღველი
მოაწვა.

მყისვე წამოდგა, წამოიმართა.

ხოლო მერე;

უფროსი ვაჟი შეაქო;

შუათანა დასაქმია;
უმცროსს ამჯერადც ენა მოუჩილიქა;
ცოლს მოუალერსა.
ზამთრისათვის შეშა დააპო.
დგებოდა საღამო.

აყეფდა ძალი.
სოფელის ნახირი შინ ბრუნდებოდა...
მის ეზო-კარს დამაშვრალი, მშიერ-მწყურვალი მგზავრი მოადგა არ-
გნით ხელში.
შეიპატიუა. უპასპინძლა. ბუხარი დაუნთო. ფეხები დააბანინა. პური
აჭამა. ლვინო ასგა.
წაიღილინეს. წაიმღერეს.
სტუმარი წამოდგა. წასვლა ინება.
მთელი ოჯახი სტუმრის გასაცილებლად აიგანზე გამოეფინა...
დღევანდელი დღის მზე არ ჩასულიყო.
მოსულიყო წვიმა და წასულიყო წვიმა და ცა ცისარტყელით დამშვე-
ნებულიყო.
დამდგარიყო მაღალი შუადლე თავისი მაგრილობელი ჩრდილებითა
და მაცოცხლებელი ნიავით და არ წასულიყო.
დამდგარიყო მშვიდი საღამო და გალობდა შაშვი.
მერე სავსე მთვარეც ამოსულიყო და ციმციმებდნენ ვარსკვლავები.
მგზავრი არგნით ხელში თავის გზას მოუყვებოდა დასავლეთისაკენ...
დღევანდელი დღის სანთელი არ ჩამქრალიყო.

სხვისი განკითხვა — თავის გაცემა



ნუ განსჭით, რათა არა განისაჭოთ.
ვინაიდან როგორი განსჭითაც განსჭით,
იმნაირითვე განისჭებით, და რომელი
საწეაულითა მიუწეავთ, იმითვე მოგეწევით
თქვენ.

ან რატომ ხედავ ბეწვს შენი მმის თვალში,
ხოლო შენსაში დირესაც ვერ გრძნობა?
ანდა როგორ ეუბნები შენს მმას: მოიცა,
ამოგიღო ბეწვი თვალიდან, და თვითონ შენ
კი დირე გაქვს თვალში.
თვალთმაქცო, ჯერ შენი თვალიდან ამოიღე
დირე და მერე ნახავ, როგორ ამოიღო შენი
მმის თვალიდან ბეწვი.

მათი 7,1-5.

ერთხელ, ადრე, შინ მიმავალს, კინოთეატრ „ყაზბეგთან“ ერთი რუსი კაცი შემხვდა. დახეული, უსუფთაო ტანსაცმელი ეცვა. ასეთებს რუსეთში „ბომ-ჟეპს“ ეძახიან. სიგარეტი მთხოვა. მე ამოვიღო „კოსმოსის“ სავსე კოლოფი და გავუნიდე. მან ბინძური თითებით ერთი სიგარეტი ამოიღო, თავი მოუფ-შვნიტა და, ის იყო მინდოდა მეთქვა — კიდევ ამოიღე-მეთქი, რომ მან მად-ლობის ნაცვლად დაუფარავი ბოლმით მითხრა — Хорошо живеши, старик! ახლა მე დავიბოლმე. ის მიხვდა, რომ მიზანს მიაღწია, ჩაიქირქილა და გამ-

შორიდა, ერთხანს ვიდექი და ვუცქერდი მიმავალს. „ახლა მიდი და აუსენი აშგლახას, რომ მე უფრო უფილტრო სიგარეტს ვეტანები და, რომ ამ პრესტი-ულ საბჭოურ სიგარეტს ჩემი ინიციატივით არასდროს ყვიდულობდა, რომ ეს კოლოფი ვიღაცამ მაჩუქა“. მოკლედ, გუნდა მომიშხამა. „იქნებ ასეთებს კოლოფი კი არ უნდა მიაწოდო, არამედ ჯიბიდანვე ამოილო ერთი ლერი და ამპარტავნულად გაუნოდო, როგორც ამას აკეთებს ზოგიერთი ახალგაზრდა ასეთ შემთხვევაში, მაგრამ მე ამას ვერ ვიზიამ, არ შემიძლია.

შევუდექი ჩემს აღმარს. გზად გიორგი მაყაშვილი შემხვდა, ჩემი მეზობლის, კოტე ახვლედიანის მეგობარი. გიორგი და კოტე ჩემთან დადიოდნენ კვირაობით, როცა ჩვენ ბიბლიას ვკითხულობდით.

მე მას ცხელ გულზე, დანვრილებით ვუამბე ეს ამბავი. თან თავს ვიმართლებდი და თან ათასგვარი ეპითეტით „ვამკობდი“ იმ უბედურს. მის ეროვნულობასაც კი გადავწვდი — ეს მათი საერთო თვისებაა-მეთქი; დაკომპლექსებული ხალხია, მიაჩნიათ, რომ მათსავე ქვეყანაში ყველა სხვა ხალხი მათზე უკეთესად ცხოვრობს.

რა ვიცოდი მაშინ, რომ ეს განკითხვის ტირადა სიტყვასიტყვითა და სრული წონით, ბუმერანგივით დამიბრუნდებოდა.

გავიდა საკმაოდ დიდი დრო, იქნებ თვეებიც, იქნებ წლებიც. ყოველ შემთხვევაში, მე ეს ამბავი აბსოლუტურად მიმავინყდა.

ერთხელაც შევხვდი გიორგის. მე მას სიგარეტი ვთხოვე. მან ჯიბიდან Marlboro-ს კოლოფი ამოილო და გამომიწოდა. მე მას ლიმილით ვუთხარი — Хорошо живеши! მანაც დაუყოვნებლივ მიპასუხა — „რა არის ეს, ძია ერლომ, მაშ, რაღად განიკითხეთ მაშინ ის უბედური ბომუი უმადურობისათვის?“

შურისძიება სრული იყო და დაუნდობელი. რაღა მაინც და მაინც იმ სანყალ რუსთან შეხვედრის შემდეგ შემხვდა გიორგი? რად მოვუყევი სწორედ გიორგის ის ამბავი? წლების შედეგ, რატომ მაინც და მაინც ამ შეხვედრისას არ მქონდა სიგარეტი? რატომ ჰქონდა გიორგის მაინც და მაინც

"Marlboro" და, რაც მთავარია, რამ მათემევინა, მადლობის ნაცვლად, იგრვე სიტყვები?.. ასეთი ფილიგრანული ნამუშევარი „ბედისწერისა“, დამეტან-ხმებით, იშვიათია. იქნებ, სულაც არ არის იშვიათი, უბრალოდ, ჩვენ ვერ ვამწევთ, ანდა არ გვინდა, დავინახოთ, რომ სულიერ სფეროში უფრო მე-ტი სიზუსტეებია, ვიდრე ნივთიერში და რომ ჩვენს ქცევას „ვიღაც“ უთ-ვალთვალებს, აფასებს და განსჯის.

ერთი ნათელია: მე ამ შემთხვევამ დამარწმუნა, რომ იმ „ვიღაცის“ წინა-შე მე არაფრით უკეთესი არა ვარ იმ ბომუზე. იქნებ, პირიქითაც.

აი, ეს არის ამბავი ორი ღერი სიგარეტისა: „კოსმოსი“-ისა და Marlboro-სი, რომელმაც ამოდენა ვნებათალელვა გამოიწვია ჩემში. იქნებ ეს უმნიშვნელო მაგალითი სრულიად არ შეეფერება ამ დიდებულ შეგონებას — არ განიკი-თხო. მაგრამ ამ ამბიდან გამოტანილი დასკვნა ჩემთვის მეტად მნიშვნელოვა-ნია: ეს არის გაფრთხილება მცირეს საშუალებით დიდ შეცოდებაზე...

დაილოცოს, უფალო, შენი სამართალი!

მაგრამ რა ვქნათ მაშინ, როცა საქმე არ ეხება მხოლოდ ორ ღერ სიგა-რეტს (მით უმეტეს, ჯანდაცვა გვაფრთხილებს, რომ სიგარეტი მავნეა ჩვე-ნი ჯანმრთელობისათვის), არამედ გაცილებით მაღალ საფეხურებს.

დღეს ყველა ყველას განიკითხავს: კაცი — კაცს, ჯგუფი — ჯგუფს, პარ-ტია — პარტიას, ლიდერი — ლიდერს, და საერთოდაც, უფრო გლობალურ სფეროებში, ხალხი — ხალხს, ქვეყანა — ქვეყანას....

ადამიანურ განკითხვას თავისი აზარტი ახლავს, თავისებურ ესკალა-ციას იწვევს. ამ უნაყოფო, ფუჭ შეხლა-შემოხლაში არა მარტო შეიძლება დაგავინყდეს, რის გამო დაიწყო დავა, არამედ უფერულდება და იკარგება მთავარი სასიცოცხლო საერთო მიზანიც და თვით განკითხვის ფორმა, შე-საძლოა, ურთიერთობის შინაარსადაც კი გადაიქცეს.

მაგრამ ნურავინ დაიმშვიდებს თავს იმით, რომ სხვისი განკითხვისა და საკუთარი თავის განუკითხაობის ბაკეანალიაში ყოვლისმხილველი ვერ

გაერკვევა, ან თვლა აერევა, ან ვინმე გამორჩება, ან განსჯის წონა-ზომაში შეცდება. არა, რა თქმა უნდა. „ეპა, ლმერთის სიუხვის, სიბრძნისა და ცოდნის სილრმე! რაოდენ გონებამიუნ ვდომელნი არიან მისი მსჯავრნი და გა მოუკვლეველნი მისი გზანი“ (რომ. მიმართ XI, 33).

ახლა ჩვენს სათაურს მივუბრუნდეთ: სხვისი განკითხვა — თავის გაცემა. დავიწყოთ იმით, რომ ყველას მოტყუება შეიძლება, მაგრამ თავს ვერ მოიტყუებ. ჩვენ ბევრი რამ არ მოგვწონს ჩვენში, მაგრამ მისი აღიარება არ გვინდა და დიდის მონდომებით ვმალავთ. ამიტომაც არის, რომ ამ ჩვენს ნაკლს სხვაში ვებრძვით, ნაკლისაგან „განკურნების“ ამგვარი გზა აბსურდულია და ფუჭი. ჩვენი ნაკლი კიდევ უფრო აგრესიული ხდება ჩვენშივე სწორედ იმის პროპორციულად, რა გამძვინვარებითაც ვებრძვით ამ ნაკლს სხვაში. ხშირად შენს თვალში არსებული „დირე“ ხდება მიზეზი სხვის თვალში „ბენვის“ დანახვისა.

თავისთავად, სხვისგან განკითხვისა არ უნდა გეშინოდეს, როგორც არ უნდა გეშინოდეს წყევლისა, რადგან ამგვარი განკითხვა და წყევლა, როგორც სარკეში, შენგან აირევალება და განმკითხავის სახეს აჩენს.

აი, ერთი ლოცვა „დილის ლოცვანი“-დან:

აცხოვენ უფალო, და შეიწეალენ მომულენი
და მაჭირებელნი ჩემნი და მოქმედნი
ჩემზედა უსჯულოებისანი, და რომელნი
მმდლავრობენ და მუკედრიან მუ ნუ დასჯი
ცოდვათა და უსჯულოებათა შინა მათთა
ჩემთვის, არამედ მოაქციენ იგინი
ბოროტისაგან, რომელ აქვნ ჩემდა მომართ,
და შეიწეალენ დიდითა წეალობითა შენითა.

მარწვა და ეკოლოგია



ადრე გამოხრავ ადრე
გამოგხრავ,
გვიან გამოხრავ გვიან
გამოგხრავ!

ამ სიტყვებით ემუქრება დათვი მავანს რომელიღაც ზღაპარში. მავანი, როცა გამოხრავს იმას, რასაც ხრავს, დათვი უეჭველად მიაკითხავს და... გამოხრავს. დამეთანხმებით, ერთობ არასახარბიერო პერსპექტივაა. ერთადერთი, რითაც შეუძლია მავანს, გაიხანგრძლივოს სიცოცხლე, ის არის, რომ გვიან გამოხრას ის, რასაც ხრავს...

ეს მავანი, არც მეტი და არც ნაკლები, კაცობრიობაა, რომელიც ხრავს იმ სასიცოცხლო რესურსებს, რომელიც ლმერთმა მას უწყალობა სამყაროს შექმნისას...

მთელი ექვსი დღე-დამე ქმნიდა სამყაროს შემოქმედი და არაფერი დარჩა შეუქმნელი. ერთი შორეული ვარსკვლავის სხივიც არ დააკლო თავის ქმნილებას, ერთი სამყურა ყვავილიც. და მეექვსე დღის ბოლოს შექმნა ადამიანი, თავისი შემოქმედების გვირგვინი და, ყოველივე, რაც მან შექმნა ადამიანამდე, შექმნა ადამიანისთვის: „ინაყოფიერეთ და იმრავლეთ, აავსეთ დედამიწა, დაეუფლეთ მას, ეპატრონეთ ზღვაში თევზს, ცაში ფრინველს, ყოველ ცხოველს, რაც კი დედამიწაზე იძვრის“. მაშასადამე, მან სამყარო ადამიანისთვის შექმნა, ყოველი ჩვენთაგანისთვის. როგორც მზრუნველმა მამამ, არავინ დატოვა უმეტკვიდროდ. თორემ თავად მისთვის სამყაროს შექმნა არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენდა. მის შემოქმედებას ორმაგი სახე აქვს: ნივთიერი და სულიერი, მაგრამ არც ერთი მათგანი სუფთა სა-

ხით არ არის მოცემული. ნივთიერს თუ სულიერი აკლია, მაშინ ეს შექვეიდ-
რეობა მალევე ამოინურება, გაიფლანგება, უხმარი შეიქმნება. ან მღილი
ან ჭია გარყვნის, ან ქურდი მოიპარავს. მოვიგონოთ, თუნდაც, ეგვერთუძღვებ
შვილზე: მამას ორი ძე ესვა. უფროსი მამასთან დარჩა, ხოლო უმცროსმა
მამას თავისი წილი მემკვიდრეობა სთხოვა, რომელიც მან ქალებსა და დროს-
ტარებაში გაფლანგა და გაანიავა. მერე კი, როცა გაღატავდა, შეინანა და
კვლავ მამის წიაღს დაუბრუნდა. მაგრამ ეს მხოლოდ იგავია კეთილი და-
სასრულით. ცხოვრება კი, ძირითადად, უძლებობის ნიშნით მიედინება —
ჯერ კიდევ უმრავლესობის იდეალი ნივთიერი კეთილდღეობაა და სულიე-
რობა თვლებს მათში.

გაგურთხო უფალი, რომელმან გულისხმა-
მიურ მე რამეთუ ღამემდე ღა უმეტესცა
განმსწავლეს მე თირკუმელთა ჩემთა.

ფსლამუნი. 15,7.

მარხვა ნევროზის გამო დავინუე.

35 წლის ასაკიდან, მთელი შვიდი წელინადი, როგორც ერთი დღე, ნევ-
როზის გამანამა. ეს ავადმყოფობა მფიტავდა და ძალას მაცლიდა. რა ღო-
ნეს არ მივმართე: ექიმები, წამლები, ნემსები, ფიზიოთერაპია, ფსიქოთერა-
პია. იყო პერიოდები, დღეში ორჯერ ამოდიოდა ჩემთან სასწრაფო და ექი-
მები საათობით ისხდნენ ჩემს სასთუმალთან და გამოვყავდი მდგომარეო-
ბიდან. ტაქიკარდიისა და არითმიის გამო გამუდმებით მეჭირა მაჯა და
ვუსმენდი საკუთარ პულსს. წნევა 200-მდე ადიოდა. იმ განცდაში ვიყავი,
რომ აი, ახლა შეწყდება მაჯისცემა და დამთავრდება ყველაფერი. დაძინე-

ბისაც მეშინოდა. თუ ჩავთვლემდი, მყის მეღვიძებოდა. მაშინ სახლში სამწილავი ვიყავით: მოხუცი მშობლები და მე. თუ არ მეგულებოდა ჯიბეში ვალი-დოლი, ან ნიტროგლიცერინი და ტაქსისტვის ორი მანეთი, ვერ ჭრება ვაჭრი შინიდან გამოსვლას. გამოსვლა კი აუცილებელი იყო, რადგან ჩემს გარდა არავის შეეძლო პროდუქტების ამოტანა. ქალაქში, სადაც უნდა ვყოფილი ყავი, გავიაზრებდი, თუ სად მიმესვლებოდა ნევროზული შეტევის შემთხვევაში. ერთხელ, მთელი ლამე ერთ შორეულ ნათესავთან დავრჩი, რა თქმა უნდა, სასწრაფოს ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ. ყველაფერი ავადმყოფობის გამწვავების საბაბი ხდებოდა: რომ ვანუხებ მასპინძლებს, რომ არ შემიძლია, უტელეფონობის გამო ჩემს მშობლებს ვაცნობო ჩემი მდგომარეობის შესახებ. ვგრძნობდი მოხუცი ექიმის უკმაყოფილებას, რომ მთელი მორიგეობის დრო ჩემზე დახარვება და თან თითქმის უშედეგოდ. ერთხელაც, მე-2 სამმართველოს პრესტიული საავადმყოფოს მისალებში მოვხვდი. იქ კი, ეტყობა ნარკომანი ვეგონე; რაღაც უანგიანი ნემსი გამიკეთეს და უცერემონიოდ გამომისტუმრეს.

ასე გადიოდა თვეები და წლები და ერთ ზამთარს მოვიდა მშველელი თოვლი. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ტაქსი ჩვენს აღმართზე ველარ ამოვიდოდა. მაშინ იყო, რომ ორი გადაწყვეტილება მივიღე: პირველი — შევრიგებოდი სიკვდილს, თუ სასიკვდილო ვარ, დაე, მოვკვდე: მეორე კი — დამეწყო მარხვა. მაშინ ეკლესიაში არ დავდიოდი, ოლონდ ვიცოდი, რომ ამ პერიოდში მორწმუნები შობისწინა მარხვის წესს ასრულებდნენ. ამ ორივე გადაწყვეტილებამ შინაგანი სიმყარე მომცა. რაღაც შემობრუნდა ჩემში და მეც მორჩილად მივსდი შინაგან კეთილ გულისთქმას. მერე ეკლესიურიც გავხდი და დღემდე ვმარხულობ. „ვადიდებ უფალს, რომ დამარიგა, ღამლამობით მწვრთნიან ჩემი გულისთქმანი“ (იმავე ფსალმუნის ახალი თარგმანი, ხოლო რუსულად ეს მუხლი ასე გამოიყურება: „благославляю господа, вразумившего меня, даже иночью учит меня внутренность мою“. მე მაინც ძველი ქართული რედაქცია მირჩევნია). თანდათან წვეთ-წვეთად, გა-

მოვიდა ჩემგან ეს ავადმყოფობა. არა, მარხვა დიეტა არ არის. დიეტა ადა-
მიანის შეთხულია და ამიტომაც — არასრულფასოვანი. მახსოვს ცნობი-
ლი კაშპიროვსკი, რომელიც თავის თავში „ძეავოლესკიუ სილ“-ს გრძელების
და მით „კურნავდა“. ისიც მახსოვს, რომ ეს „განკურნება“ უმტკივნეულოდ
მიმდინარეობდა. მაგრამ ცოტა თუ ფიქრობდა მისი პაციენტებიდან, რომ
როცა სატკივარი არ გტკივა, ეს სულიერ სიკვდილს ნიშნავს. ისიც მახსოვს,
თუ როგორ გააძევა იგი ჩვენმა სამღვდელოებამ და რა რისხვა დაიმსახუ-
რა იმათგან, რომელიც ასერიგად დამოკიდებული აღმოჩნდნენ ამ „ჯე-
დოქარი მკურნალისაგან“.

მარხვა ნიშნავს შენახვას, დაცვას, ღვთიური მცნების დაცვას. ის, უპირ-
ველეს ყოვლისა, სულიერი კატეგორიაა, მაგრამ ამ შემთხვევაში საზრდოს-
თან (ნივთიერთან) დაკავშირებული. მარხვის წესის დაცვის სულიერობა
მაშინვე არ მუღავნდება. ის ნელ-ნელა მოიცავს ჯერ ჩვენს სხეულს, ხოლო
შემდეგ — სულს. ხანგრძლივი მარხვისას სხეული უკვე წინასწარ გრძნობს
მარხვის მოახლოებას და ის თავისებურად ზეიმობს მის დადგომას. ორგა-
ნიზმი გამოიმუშავებს გარკვეულ ინდეფერენტულობას არასამარხო საჭ-
მლებისადმი. ნორმალურად ფუნქციონირებს კუჭი და თირკმელები. სხეუ-
ლი თანდათან თავისუფლდება ლექისა და შხამებისაგან. სხეული თითქოს-
და თვითონ ზრუნავს თავის თავზე, ჩვენს ჩაურევლადაც. მოდის უჩვეულო
განცდა, რომ შენ ბუნების ნაწილი ხდები და, რაც მთავარია, ჯდები რაღაც
რიტმში, რომელსაც სხვას ვერას უწოდებ, თუ არა ღვთიურს.

აქვეა მოსატანი დანიელ წინასწარმეტყველისა და იმ ცნობილი სამი ყრმის
ისტორია ძველი ალთქმიდნ, რომელიც, აგრეთვე, მარხვის წესის დაცვას
ეხება: დანიელი და ეს სამი ყრმა ნაბუქოდონოსორის სასახლეში მოხვდნენ.
„უნაკლონი, შესახედავად მშვენიერნი, ყველა სიბრძნეში დახელოვნებულ-
ნი, ნიჭიერი და სწავლისუნარიანი ყმანვილები, რომელთაც შეეძლოთ მე-
ფის კარზე სამსახურის გაწევა და ქალდეველთა მწიგნობრობისა და ენის
შესწავლა“. მეფემ მათ თავის სუფრიდან განუწესა ულუფა. დანიელმა მე-

ფის საჭურისს სთხოვა, რომ ნება დაერთოთ, არ მიეღოთ იქაური საჭმელ-სასმელი, რათა არ გაუწმიდურებულიყვნენ. საჭურისი შენუხდა, რადგან შესაძლოა ეს მათ უარყოფითად დატყობოდათ, რითაც საჭურის შეადგინდა შაულდებოდა მეფის ნინაშე. მაშინ დანიელმა ათი დღე სთხოვა საცდელად, ოღონდ მოეტანა მათვის მხოლოდ მწვანილი და წყალი. გავიდა ათი დღე და აღმოჩნდა, რომ ეს ოთხი ებრაელი ყმანვილი შესახედაობით უფრო ლა-გაზები და ჯანიანები იყვნენ, ვიდრე ის ყმანვილები, სამეფო ულუფას რომ მიირთმევდნენ.

ღმერთმა ადამიანისთვის შექმნა ყველაფერი, რაც მას გარს აკრავს. ბუ-ნებაში კი არაფერი არ არის შეუსაბამო და იქ ყველაფერი თავისთავად წო-ნასწორდება. აბა, ვინ იფიქრებდა და ვის შეეძლო გაეაზრებინა, რომ რომე-ლილაც ტროპიკულ ტყეში რომ არ არსებობდნენ დიდი ლამურები, გადაშენ-დებოდა უამრავი ჯიშის მცენარე. რაღა შორს წავიდეთ, აგერ, ჩვენთან ლაფ-ნიჭამიებმა გაანადგურეს მთელი წინვოვანი მასივები ბორჯომის ხეობაში მხოლოდ იმიტომ, რომ ადამიანი ჩაერია ბუნების „სუნთქვაში“, რითაც დაირ-ღვა ეკოლოგიური წონასწორობა. მიწურინი ამბობდა — თუ ბუნება არ გვაძ-ლევს, ჩვენ უნდა წავგლიჯოთ მასო. განა ამგვარი დამოკიდებულების შედე-გი არ არის ბაკალი, ეს ღვთიური საჩუქარი, უდიდესი მარაგი სასმელი წყლი-სა, რომლის გადარჩენაც უკვე საეჭვო ხდება?

თამორი კი ამბობდა:

“შენ არ ძალგიძს კვირტი ყვავილად აქციო, შეტედე, რა იოლად აკე-თებს ამას ბუნება”.

არწივს, ორბს, სვავს არავინ სთხოვს ვეგეტარიანელიებას, მაგრამ განუ-კითხავ ჭამა-სმას არავინ მოუწონებს. თუმცა, ამას თვითონაც არ იკადრე-ბენ. ეს მხოლოდ არასულიერი ადამიანი, დარტანიანის მსახურის, პლანშეს მსგავსად, ნაონბს მხოლოდ იმას, რომ რამდენიც უნდა ჭამოს, მხოლოდ ერთხელ გაძლება.

ცალკე სასაუბროა დღევანდელი ტენდენცია, რომელსაც ამჟღავნებს ის
ქარაფშუტული რეკლამები, რომელთაც შეიძლება საერთო დევიზი მოწე-
რების: კიდევ უფრო გემრიელი, კიდევ უფრო ტებილი! საქონლები
გიგანტები

სად არის გემოს და სიტყბოს ზღვარი? ანდა რას ნიშნავს კიდევ უფრო
გემრიელი, ან კიდევ უფრო ტებილი? ეს უაზრო ჯირითი მეტს არაფერს
ნიშნავს, გარდა იმისა, რომ დააკარგვინონ ადამიანს ნამდვილი გემო და
ნამდვილი სიტყბოება. გემოს შესახებ უნდა ჰქითხოთ იმათ, რომლებმაც
ბოლომდე დაიცვეს, ვთქვათ, ალდეგომისნინა მარხვა და სააღდგომო სუფ-
რაზე გემოს უსინჯავენ ნაკურთხ წითელ კვერცხებს, ყველს, ხორცსა და
ლვინოს. სულ სხვა გემო აქვს ნაყოფს, ხელთა შენთა მიერ მოწეულს.

საუკუნეებით ჩამოყალიბებული მარხვის წესი შეესაბამება ბუნების სუნ-
თქვას, როცა მას ძალდაუტანებლად შეუძლია, გაიღოს თავისი ნაყოფი ადა-
მიანისთვის. ბუნების მთელი სასიცოცხლო ენერგია განკუთვნილი ადამია-
ნისთვის ამ რიტმშია მოქცეული, რომელსაც მინიმალური ტექნიკური ძა-
ლისხმევა სჭირდება. ამ რიტმიდან ამოვარდნა აძნელებს ეკოლოგიური წო-
ნასწორობის დაცვას. ხოლო ბუნებასთან შეთანხმებული მოქმედება ნაკ-
ლებ პრობლემებს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას. თუ ჩინეთში 73 პრო-
ცენტი სოფლის მეურნეობითაა დაკავებული, მაშინ მას ნაკლები სამედი-
ციონ საშუალებები სჭირდება. მოდით, ათვლა დავიწყოთ არა იმ პრიცი-
პით, თუ ვის რამდენი სჭირდება, არამედ იმით, თუ ვის რამდენი რამ არ
სჭირდება. ვფიქრობ, რომ დედამიწას ჩინელების ზიდვა გაცილებით უფ-
რო ეიოლება, ვიდრე უმაღლესი ტექნიკით დამშვენებული ქვეყნებისა.

ახლა დავუბრუნდეთ ჩვენს სამშობლოს. დავუბრუნდეთ, რადგან გლო-
ბალურად ამ საკითხების დასმა და გადაწყვეტა ჩვენგან არასერიოზულად
უდერს.

რა თქმა უნდა, ტექნიკურ პროგრესს ვერავინ შეაჩერებს. მთავარია, თუ
როგორ შეეწყობა ერთმანეთს ჩვენში ტექნიკური პროგრესი და მთელი ჩვენი
ისტორიული გამოცდილება და ჩვენი საუკუნეებით ჩამოყალიბებული ცხოვ-

რების წესი. საშიშროებაა, ჩვენი ქვეყანა დაემსგავსოს იმ სიურრეალისტურ ფრინველს, რომელსაც ერთი ფრთა არწივისა აქვს, ხოლო მეორე ბელურისა. ასეთი ფრინველი ვერ გაფრინდება. ჩვენთვის საკმარისი უნდა იყოს რომ ორივე ფრთა ერთნაირად ხოხბისა იყოს.

ამბობენ, რომ მცენარეს ესმის მუსიკა და უფრო მეტი ხალისით იზრდება. მაშასადამე, ის გრძნობს ჩვენს დამოკიდებულებას, ესმის ჩვენი ენა, ჩვენი სიმღერები. „გველისმჭამელი“ ხომ აქ შეიქმნა.

არა, რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ ჩვენ არ გვეხება. ამა თუ იმ ქვეყანაში, ამა თუ იმ მიწაზე იმიტომ მკვიდრობს ესა თუ ის ხალხი, რომ ლმერთმა ასე განუწეა. ამიტომ ჰქვია მას სამშობლო — ხალხს და ბუნებას ერთად.

21 ივლის, 1999

ამბავი კაცისა, რომელმაც კარგად ივაჭრა

ჩვენს სოფელში ერთი ჩემი თვისტომი კაცი ცხოვრობდა. ადრე ამ კაცს ერთი მცირე კარმიდამო ჰქონდა ტყუუშელი ღობით შემორაგვული. სასხასმოლიან ეზოში მამაპაპისული კოტა ქოხი ედგა. ქოხის უკან ფრანგი და ხეხილის ბალი გაეშენებინა. ეზოს ერთ კუთხეში ჭია გაეთხარა, რომელშიც მუდამ ცივი და ანგარა წყალი ედგა. ეზოში შინაური ფრინველები და ცხოველები მრავლად დაუდიოდა, ხოლო ბომბორა ძალი ამ კარმიდამოს ერთგულად დარავიობდა.

დილიდან, ეზოში მზის პირველი სტივი ჩამოგარდებოდა თუ არა, კაცი საქმეს შეუდგებოდა და საღამომდე მუხლისაუდრეველად შრომობდა. ხოლო საღამოს, შრომისაგან დაღლილ-დამაშვრალი კაცი და მისი ცოლ-შვილი კერისსთან მომუდროვდებოდნენ, ჩინგურს ააუღერებდნენ და ტკბილად, ხმაშეწყობილად მღეროდნენ.

ღამღამობით კი, როცა ყველას მშვიდად ეძინა, კაცი შორეულ გარს სკლავებს ქაუბრებოდა. იქვე, ახლოს, გალობდა შემვი.

ერთი სიტყვით, ჩემს მოგვარე კაცს, თავისი კარმიდამო ჭირადაც ჰყოფნიდა და ლხინადაც.

მაგრამ ერთხელ, ალბათ ბედი კარს მოადგა, ამ კაცმა თავისი მამული ერთნაირად გაყიდა; გაყიდა ვაზიც და ხეხილის ბალიც; ჭის ცივი და ანგარა წყალიც და სასხას მოლიც ქოხის წინ, სადაც შინაური ცხოვე-

ლები და ფრინველები დაუდიოდა; გაყიდა თავისი ერთგული ძაღლიც; გაყიდა ეზოს ლამის ცა მოსაუბრე ვარსკვლავებითურთ... და შემ გის გალობაც გაყიდა.

თე 136 გვ. 8

სამაგიეროდ, აღებული თანხით ნახევარი სოფელი მოიგავრა. შაგრამ საოცარი ის იყო, რომ მისი პატარა მამულიც იმ ნახევარ სოფელში აღმოჩნდა.

სათემოდ ყველანი ვეკუპავდით ჩემის მოგვარე კაცს, მაგრამ გულში გვშეურდა მისი და შემთხვევა რომ მოგვცემოდა, ამგვარი პირობით უყოფანოდ დავყიდიდით ჩევნ-ჩევნს მამულებს.

ერთი კი არის, ამ კაცს სიკვდილამდე ერთხელაც არ მოუნახულებია თავისი მამაპაპისული ეზო-კარი, რადგან გაყიდა იგი... და ერთხელაც აღარ აუხუდავს ცასკენ ვარსკვლავებთან სასაუბროდ.

განმარტებისათვის:

ადრესატის განსაზღვრა აუცილებლად მიმაჩნია, რადგან, თუ რომელი-მე მკითხველი ამ იგავს საკუთარ თავზე მიიღებს, მაშინ ყველაფერი რიგ-ზეა, მაგრამ თუ ის სხვას იგულისხმებს, ეს უკვე განკითხვაა და ცოდვა.

ამ იგავს სამი კონკრეტული ადრესატი ჰყავს და ვჩერამ მის ჩამოთვლას: პირველი ყველასათვის ცნობილი პიროვნებაა — ავტორი ლექსისა „დილა“.

მეორე ადრესატი მთავარი გმირია ჩემი ადრეული დაუმთავრებელი მოთხოვნისა „ტროლეიბუსი ხურდად, ანუ მოგზაურობა მზის ჩასვლაში“. ზემოთ მოტანილი იგავი ამ მოთხოვნის ეპიგრაფად მქონდა ჩაფიქრებული.

მოთხოვნის მთავარი გმირი ლარიბი პოეტია. მას ძალიან უყვარს მანანა, ბეატრიჩესავით სათნო და ნაზი ქალიშვილი, მისი შთაგონებისა და პოეზიის წყარო. ერთხელ, ქუჩაში მიმავალი პოეტი ტროლეიბუსში შეამჩნევს მანანას, რომელიც ფანჯარასთან ზის და მას გვერდით ადგილი თა-

ვისუფალია. მთელი ერთი გაჩერება თავქუდმოგლევილი მისდევს ტრანსპორტს, როგორმე მიუსწროს და მის გვერდით დაჯდეს. და აი, მიუსწრო კიდეც და მგზავრობის საფასურის გადახდა მოსთხოვეს. რომელიც არ ვიცია თარმა თხოვნა-ხვეწნამ არ გაჭრა, პოეტმა მანანასადმი სიყვარული დაახურდავა, რისთვისაც ფანტასტიკური ხურდა მიიღო: მთელი ამქვეყნიური დიდება და კეთილდღეობა, თვით უკვდავებამდე და, ამასთანავე, ტროლებუსი თავისი მგზავრებით. და, რაც მთავარია, მანანაც აქვე იყო, რომლის გვერდით ადგილი ახლაც თავისუფალია. მაგრამ პოეტმა ვერ შეძლო იქამდე მიღწევა...

მესამე კი თავად გახლავართ. ოღონდ — ჯერ მხოლოდ პოტენციური.

მამამ თავის შვილებსა და შვილიშვილებს აგვიშენა სახლი. აგვიშენა თავისი ხელით ადგილზევე მოპოვებული კლდის ნაფლეთი ქვებისაგან.

სიკვდილის წინ ანდერძის მაგიერ მითხრა: „ყოველი ქვისათვის ათვერ მანც მაქვს მოკიდებული ხელი“... და მეტი არაფერი. თუმც, სათქმელი ინტონაციაშია და არა სიტყვებში.

მაგრამ ახალმა დროებამ, რომელსაც თავად ვერ მოესწრო ახალი მოთხოვნილებები წამოგვიყენა, რომელთაც უმთავრესად ვიზიარებ და მივესალმები. მაგრამ კიდევ რჩება რაღაც ისეთი, რომლის გადალახვა მიჭირს და მეძნელება. „ნუ გაყიდით მთელ საწოლს“, — ამბობდა მოპასანი...

რეკლამისათვის —

მეც, რა დასამალია, შემიჯდა ჭია სახლის გაყიდვისა...

ვყიდი სახლს, რომელსაც არ ვყიდი.

მეარი და განუეოფელი



მაშინ მი-ვინმე-უგეს მწიგნობართაგან და
ფარისეველთა და პრქეეს: მოძღვარ,
გუნებავს შენგან სასწაულისა სილვად.
ზოლო თავადმან მიუგო და პრქეა მათ:
ნათესავი ბოროტი და მემრუშე სასწაულსა
ეძიებს, და სასწაული არა ეცეს მას, გარნა
სასწაული იონა წინასწარმეტეულისა

მათ XII, 38-39.

“განა ყოველი საგანი თავის კვალობაზედ არ არის მაღალი, მაღალ ღვთაებრიობის სიბრძნის გამომთქმელი? პოლიპი, რომელიც ძლიერ აჩენს თავის სულიერობას, ისე ცხადად მოგვითხრობს ღვთის ძლიერებასა, როგორც მზე, ეს ქვეყნის მაცხოვრებელი მნათობი. ინთუზორია, რომელიც მილიონობით არიან ერთ მუტა წყალში, ისევე საკვირველნი არიან, როგორც მოძრაობა მედიდურ ცაში მილიონთა პლანეტა. ერთი მუტა ლაფის ნაწილთა დაკავშირება ისეთი საკვირველია, როგორც ვარდის მშენების გამოცხადება. არა, ბუნებაში ღმერთს არ შეუქმნია მაღალი და მდაბალი საგანი, ყოველი საგანი მაღალია თავის კვალობაზე და ერთნაირად მოგვითხრობს იმ დიდ სულზედ, რომელიც აცხოვრებს მოელს ქვეყნას”.

იღია

გაშ, რა სასწაულსა და ნიშანს ელის ბოროტი და მემრუშე ნათესავიდა
მოდგმა, როცა თვითვე სასწაულში, და თუ ის ამას ვერ განიცდის, მაშინ
გას ვერ უშველის გარედან მოსული სასწაული თუ ნიშანი. ერთ კი გადა
ბიბლიის მიხედვით ცა მყარია.

„გააჩინა ღმერთმა მყარი“... და „მყარს ღმერთმა უწოდა ცა“.

ის, რომ ბიბლიაში ცა მყარია, არ არის ცის ნივთიერი დახასიათება. თო-
რემ განა არ იცოდა ბიბლიის შემდგენელმა, რომ ცა არ არის მყარი ადა-
მიანური გაგებით?

„განგიფენია ცა ფარდასავით“ — ასე ახასიათებს ცას მეფსალმუნე
(ფს.103.2)

ანდა: „გაფინა ცა მსუბუქი ქსოვილივით“... — ეს უკვე ესაია წინასწარ-
მეტყველია.


ახლა ვნახოთ, როგორ განმარტავს ამ „სიმყარეს“ Толковая Библия:
„Да будет твердь“. . . „твёрдь“ — буквально с подлинника „распорстерь-
тие“, „покрышка“, ибо таковою евреи представляли себе небесную ат-
мосферу, окружающую земной шар“... (Т. Б. Гл. таვი I. №6. гл.6).

ეს განმარტება, რბილად რომ ვთქვათ, გარკვეული რევერანსია მეცნიე-
რების მიმართ, რომელთაც უკვე დიდი ხანია „დაამტკიცეს“, რომ ცა არ
არის მყარი, და რომ ეს „შეცდომა“ ბიბლიაში „უბირი“ ებრაელების ნარ-
მოსახვის შედეგია მხოლოდ.

ბიბლიაში „შეცდომის“ ძიება გმობაა. ბიბლიაში კი არ უნდა ეძებო შეც-
დომა, არამედ საკუთარ თავში — უმეცრება და სულსწრაფობა.

მაშ, რას უნდა ნიშნავდეს: „მყარს უწოდა ცა“...

ღმერთმა, როგორც ცოცხალს, დედამინასაც შეუქმნა გარსი. ისევე, რო-
გორც ადამიანს, ყოველ ჩვენთაგანს და ყოველ ცოცხალ არსებას და ყო-
ველ საგანსა და ნივთიერებას, ყოველ მოვლენას და სწორედ ეს არის სიმყა-
რე. ეს ადამიანს ჰგონია, რომ რკინის ჯავშანი უფრო მყარად იცავს მას
სიკვდილისაგან, ვიდრე ჩვეულებრივი კანი.


ბიბლიაში სამყაროს შექმნა არის სულიერი აქტი და არა ნივთიერი. სი-
ნამდვილეში ამგვარია მისი ჭეშმარიტი ხატი. ისევე როგორც ადამიანში, ამ
ლეთიურ ქმნილებაში არის ისეთი რამ დაფარული, რომელიც  მიანზე აღმატებულია.

სამყარო დაუსაბამოა, უსასრულოა იგი, როგორც სიდიდეში (სივრცე-
ში), ასევე სიმცირეში. ლმერთმა შექმნა რა ადამიანი, დასვა იგი სამყაროს
ცენტრში, ამ ორ უსასრულობას შორის. მაგრამ, ამასთანავე, განუსაზღვრა
მას „ზედა“ უსასრულობის ზღვარი — ცის სიმყარე. ამიტომ ცის სიმყარე
სხვა არა არის რა, თუ არა ზნეობრივი ზღვარი, რომლის იქით ადამიანს
არაფერი ესაქმება (არაფერი ესაქმებოდათ ამ ზნეობრივ ზღვარს იქით არც
სოკრატეს და არც მარკუს ავრელიუსს. ისინი ისაზღვრებოდნენ ადამიანი-
თა და ადამიანთა ურთიერთობებით).

ახლა, რაც შექხება, მეორე „ქვედა“ ზღვარს უსასრულობისა: ატომი (atomos) — განუყოფელი (ატომის შესახებ ბიბლიაში არაფერია ნათევამი, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ის ლმერთის მიერ არ არის შექმნილი).

აქაც, განა ლმერთმა არ იცოდა, რომ ატომი არ არის განუყოფელი? რო-
გორ არ იცოდა ყოველი არსის შემქმნელმა, თუ რა შექმნა. მან სწორედაც
იცოდა, რომ ამ „განუყოფელში“ არის ის ენერგია, რომელიც დამანგრეველ
ძალად მოევლინებოდა მის რუდუნებით შექმნილ ქმნილებას. მეცნიერებამ
კვლავ იზეიმა „გამარჯვება“ ლმერთზე: გაყო განუყოფელი, მაგრამ აქვე უნ-
და ითქვას, რომ „ბრძენი ამა ქვეყნისანი, არიან ბრიყვნი წინაშე ღვთისა“,
ისინი ჰგვანან იმ უგნურ და ცნობისმოყვარე ბავშვებს, რომელთაც მამისა-
გან მალულად, მისი გაფრთხილების მიუხედავად, ხელთ ჩაუვარდათ რაღაც
გარედან ამოუცნობი რთული მექანიზმი, რომლის დაშლა თუმც მათ შეძ-
ლეს, მაგრამ ალდეგენა აღარ ძალუდო და მაშინ ეს მექანიზმი უხმარი და გა-
დასაგდები შეიქმნება. თორემ ერთად რომ შეაგროვო ყველა მეცნიერი, ხელ-
დამშვენებული მთელი თავისი ლაპორატორიებითა და დანადგარებით, ხორ-
ბლის ერთ მარცვალსაც ვერ შექმნის.

ბუნება ხელთუქმნელია და მასში ხელის ფათური სასიკვდილო დაწ-
შაულია.

ადამის ცოდვამ, რომელმაც დაარღვია ლვთიური მცნება,  კულტურული უძრავი ხისაგან ცნობისა კეთილისა და ბოროტისა, მთელი ძალით იფეთქა
ჩვენს საუკუნეში — გადალახა რა ყველა ან არსებული ზნეობრივი და
მატერიალური ზღვარი. აბა, ვინ იფიქრებდა, რომ ამ უმცირეს „განუყო-
ფელში“ ჩადებულია ჩვენი პლანეტის გაყოფისა და განადგურების შესაძ-
ლებლობა.

ღმერთმა ნუ ქნას!

იქნებ ეს მხოლოდ იგავია და გაფრთხილება, რადგან ჯერ კიდევ რამ-
დენი რამ შეიძლება აღმოჩნდეს ამ მიმართულებით ნივთიერებათა და ძალთა
შეერთება-გაყოფით, რომელიც, უკვე უკანმოუხედავად დააჩქარებს საერ-
თო დასასრულს...

ეს ყოველივე გაქცევაა, ცოდვისგან გაქცევა. მაგრამ სადაც უნდა იყო,
შენი ცოდვა მარად შემს წინაშეა.

მრავალჯერ ინანა ღმერთმა, რომ შექმნა ადამიანი, მაგრამ ბოლოს შეი-
წყალა და თავის მხოლოდ შემობილი ძე, ჩვენი მაცხოვარი მოუვლინა კაცობ-
რიობას, რომელმაც სწორედ 2000 წლის წინათ „ნერწყვა, ყვრიმლისცემა,
პყრობილება და ჯვარი დაითმინა სოფლისა ცხოვრებისათვის“, იტვირთა
რა ჩვენი ცოდვები და გვიჩვენა გზა ხსნისა...

და აი, ამ განგაშაა და განუკითხაობაში იწურება მეოცე საუკუნე. ნუ-
თუ 21-ე საუკუნე არ იქნება ამ მხრივ ალტერნატიული...

ყოველივე შესაძლებელია ლვთისათვის!

12 აგვისტო, 1999

მამულისათვის



თარიღი აირვალი

მისამართი მთავრობის მინისტრის

თუ უფალი არ ააშენებს სახლს, ამაოდ
გაირჩებიან მისი მშენებლები. თუ უფალი არ
დაიცავს ქალაქს, ამაოდ ფხიზლობენ გუშაგნი.

ფსალმუნი 126,1.

წამოველ მუნით, მოველ აღგილსა ერთსა,
მინდერიანსა და ცხელსა. რა იგი გაველუ
ვნასე ჩაღმართი დიდი. მუნ კაცი ერთი
ჩაღმართს ჩაიყლის, აიგიდოს ლოდი
მრგვალი, ამოვიდის აღმართ, დააგორის;
ჩაღმართი კიდევ ჩავიდის, აიგიდის, ამიტანის
და დააგორის. ამოტანაში ხენეშოდის და, რა
დააგორის ლოდი, იცინოდის.
მე ვგითხე: მმაო, რად იჭირვი, ანუ რად იცინი-
მეთქი?

მან მითხრა: მე ამ ერთის ქვით ჭირსაც ვნახავ
და ლხინსაცა. ერთი ცოტა ქვა მაქვს და ჭირი
და ლხინი ორივე დიდი; და მრავალს კაცს
ათასი ამდენი ოქრო აქვს და ცედად უცან, მით
ვერც ჭირს ნახავენ და ვერც ლხინსაო.
მომეწონა მისგან, ცოტა ცედი სიტევა დიდად
კარგა მითხრა.

ეს იგავი, ეტყობა, ძველბერძნული „სიზიფიდან“ მოდის. მისი ერთ-ერთი ვარიანტია, ოლონდ სულ სხვა აზრობრივი დატვირთვა აქვს იქ, როცა ლოდის ზიდვა — სასჯელია და აქ, როდესაც ლოდის ზიდვა — არჩევნის აშენება აზრთა შეპირისპირება მეტად საინტერესოდ მოგვეჩვენა მე და ჩემს შეგობარს, რეზო ყარალაშვილს, განსაკუთრებით ამ მითის მესამე ინტერპრეტაციის გათვალისწინებით, ვგულისხმობ კამიუს ესსეს — „სიზიფის მითი“, სადაც გამოკვეთილია კამიუს მსოფლალქმა: ადამიანის ყოფა აბსურდულია.

ამ შეპირისპირებაზე მეტს აქ არაფერს ვიტყვი.

ამჯერად, სულხან-საბა ორბელიანის ამ დიდებულ იგავში სულ სხვა რამ ამოვიკითხე: ეს ერთი ლოდი — ჩვენი სამშობლოა, ჩვენი საქართველო და მასთან დაკავშირებული უამრავი ტკივილი და სიხარული.

გეთანხმებით, წერილის სათაური პრეტენზიულად ყლერს, მაგრამ ეს მთლად ასე არ არის. ამ სათაურს, თავის დროზე, ორმაგი დატვირთვა ჰქონდა: 1. ფორმალური — გაზეთისათვის „მამული“, რომლის მთავარ რედაქტორს, ვაჟა გიგაშვილს, შევუთანხმდი ამ სათაურით გამომეთქვა „ჩემი მოკრძალებული მოსაზრებანი“ ჩვენს მამულზე, მის ბოლოდროინდელ მოვლენებზე და 2. — შინაარსობრივი. რისი უფლებაც ყოველ ჩვენს თანამემამულეს აქვს და მეც ვისარგებლე ამ უფლებით.

„მოკრძალებული“ არ არის მხოლოდ თავმდაბლობის აღმნიშვნელი. ამ-ჯერად ეს უფრო არაკატეგორულს ნიშნავს.

სამწუხაროდ, გაზეთი „მამული“ აღარ გამოდის...

სამაგიეროდ, გამოჩნდა „კეთილი ფინია“ (ბრჭყალები აქ უადგილოა), „დილის გაზეთი“ (რომელიც ჩემთვის მშობლიური გახდა) და საშუალება მომეცა, გამომეთქვა ჩემი „მოსაზრებები“ და „შეხედულებები“ რუბრიკით: „ძველი და ახალი“, ოდნავ ტრანსფორმირებული სახით. ასე გავხდი მე დამწყები უურნალისტი თუ დამწყები პუბლიცისტი, თითქოს არ მეყოფოდა ამ სიბერემდე შემორჩენილი იარლიყი დამწყები მწერლისა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ უურნალისტურ-პუბლიცისტურ სარბიელზე ჩემმა ახალ-

ფეხადგმულმა ნაბიჯებმა დამარწმუნა, რომ მომავალში (ოლონდ არ ვიცი, რა მომავალზეა საუბარი), შევძლო ГТО-ს (Готов к труду и обороне) ნორმა-ტიკის შესრულებაც კი, მაგრამ რა აზრი იქნება ამ ნარმატების ჩატარების ვიცი. ან იქნებ რაიმე გამოხმაურებას მოველი, თუნდ ქებას, თუნდაც ძაგებას? ვერ მიმიხვდით. ეს შეფასებები ჩემს ნაცოდვილარ „მოსაზრებებსა“ და „შეხედულებებზე“ ნაკლებად მაინტერესებს. ვერ ერთი იმიტომ, რომ ძალიანაც მომწონს „დამწყები“ რომ ვარ და არა „მომთავრებული“. რადგან მგონია, რომ პოპულარობა მაშინ ესტუმრება კაცს, როცა შემოქმედებითი ძალები ტოვებენ, რაც, ჩემი ასაკის მიუხედავად, სრულიადაც არ მაძლევს ხელს. მეორეც, რაც მთავარია, მივხვდი, რომ „მოსაზრებების“ გამოთქმამდე არის კიდევ ბევრი სხვა რამ, რის გარეშეც შენი ცარიელი შეხედულებები შენთვის უნდა შეინახო. მაგრამ ამის შესახებ ცოტა ქვემოთ ვიტყვი „ჩემს მოკრძალებულ მოსაზრებებს“...

ახლა კი კვლავ სათაურს დავუბრუნდეთ:

რა დასამალია და, შესაძლოა, სათაურად ამეღო „კალკი“ — „როგორ მოვაწყოთ ჩენი საქართველო (სოლუენცინის — Как нам обустроить Россию? Письменные соображения).

ანდა მეორე „კალკი“ — საქართველო და ქართველები (თომას მანი — გერმანია და გერმანელები).

ორი დიდი ერი და ორი დიდი მწერალი და პრობლემებიც დიდი:

1. რუსეთის მოწყობა რთული საქმეა: დანგრეული ეკონომიკა, საშიობლოს ზღვრების დადგენა, ტოტალიტარიზმის შედეგების გააზრება, იმპერიული ამბიციების დაძლევა (თუმცა თვით მწერალი, არ არის სულ მთლად თავისუფალი ამ ამბიციებისგან: რუსეთში, დიდ მწერალთა შორის, მხოლოდ ტოლსტოი თუ იყო ამ მხრივ თავშეკავებული).

2. თომას მანის „გერმანია და გერმანელები“. ამერიკაში ინგლისურ ენაზე ნაკითხული ეს მოხსენება, ფაქტობრივად, ომის დამთავრებისთანავე, არის პირუთვნელი და ლრმა კვლევა იმ მიზეზებისა, რომლებმაც გერმანია

მიიყვანა ამ დანაშაულამდე კაცობრიობის წინაშე. თომას მანის ამ ნაწარ-
მოების გაცნობა სასარგებლო იქნებოდა არა მხოლოდ ყოველი პოლიტიკ-
კოსისათვის (მით უმეტეს, ამ სტატიის არის შესანიშნავი პასატი, ჩრდილოების და განვითარების მოწოდებას, როლსა და დანიშნულებას ეხება), არამედ
ყოველი ადამიანისათვის, რომელსაც თავისი ქვეყნისა და ერის ბედ-ილბა-
ლი ანუხებს.

ეს ნაწარმოები უაღრესად აქტუალური მეჩვენება დღესაც. ამგვარი
ანალიზისა და შეფასების გარეშე, წარმოუდგენლად მიმართია წინ გადადგა
ნაბიჯი შენი ქვეყნის მომავლისაკენ, რადგან საკუთარი ქვეყნის მოწყო-
ბისათვის ზრუნვას აუცილებლად წინ უნდა უძლოდეს ამგვარი ჩაღრმა-
ვება მიზეზებში, რაც ასე აკლია, ვთქვათ, რუსეთს და, მით უმეტეს, სა-
ქართველოს.

ნურავინ იფიქრებს, რომ მისი ყველა შეფასება და დასკვნა მისაღებია
ჩვენთვის, ქართველებისათვის, პირიქით. ბევრი რამ იქ ისეთია ნათქვამი,
რაც საცდუნია მართლმადიდებლურ საფუძველზე აღმოცენებულ ევრო-
ნული მსოფლმხედველობისათვის. ჩვენ სხვა გზითა და სხვა გამოცდილე-
ბით მოვედით დღევანდელობამდე და სწორედ ჩვენი გზა უნდა გავიაზ-
როთ და ჩვენი ფესვები ვიგრძნოთ. და ამ გზის გაცნობიერებისას, დარწმუ-
ნებული ვარ, უამრავ ისეთ რასმე აღმოვაჩნთ, რომელიც სასიცოცხლოდ
აუცილებელია ჩვენთვის სწორედ დღეს.

ხოლო თავად თომას მანი დარჩება ერთ-ერთ საყოველთაო ნიმუშად
სამშობლოს უანგარო სიყვარულისა. იმ სიყვარულისა, რომელიც აძლევს
მას ძალასა და უფლებას, თქვას ეს სასტიკი სიტყვები: ღმერთს მადლობას
ვწირავ, რომ მომასწრო გერმანიის დამარცხებას.

„მოსაზრებებისა“ და „შეხედულებების“ გამოთქმას მაშინ მიეცემა აზ-
რი, როცა ძირს მოუკრავ იმ უძირო ტომარას, რომელშიაც ისინი ცვიდა,

რადგან დღეს ყველაფერი ერთი წონა-ზომით არის მოცემული და ვერ განსაზღვრავ, რა არის დიდი და რა — მცირე, რა არის მნიშვნელოვანი და რა — უმნიშვნელო, რა არის მართალი და რა — ტყუილი, რა არის საკუთარებელი და რა — სიბრძნე, რა არის წალმა და რა — უკულმა, რა არის ერთგულება და რა ლალატი და ასე უსასრულოდ. განა ჩვენი წინაპრები ასე ცხოვრობდნენ? ნუთუ კიდევ ვინმეს სჯერა, რომ ჩვენმათზე ჭკვიანები ვართ? სწორედაც რომ ასე ფიქრობენ, რადგან თავისივე თავი ჰყავთ მოძღვრად და საკუთარი სიბრძნე — საზომად.

მაგალითისათვის გამოდგება განძის გატანა-არგატანის საკითხი. გამოითქვა უამრავი მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით: ბევრი — საინტერესო და ბევრიც — ისტერიულ-პოპულისტური; მრავალი არგუმენტი დაიხარჯა უქმად და კვლავ ჩაცვივდა უძირო ტომარაში. თუმც რაღაც გადაწყვეტილება მაინც მიიღეს, მაგრამ რამდენად მყარი და მისაღები თვით საკითხთან მიმართებაში, მომავალი გვიჩვენებს. სულაც არ მინდა ვთქვა, რომ წინააღმდეგი ვარ ამ გადაწყვეტილებისა, ან თუნდაც — მომხრე. უბრალოდ, მრჩება განცდა-შთაბეჭდილება, რომ იგი ჯერ შორსაა ოპტიმალური დასკვნისაგან. არც ის არის დასამალი, რომ ეს გადაწყვეტილება კონიუნქტურულია და, სამწუხაროდ, იგი ერთადერთი მართებული გამოსავალია შექმნილ ვითარებაში. სამწუხაროდ — იმიტომაც, რომ „გამარჯვებულიც“ და „დამარცხებულიც“ უცვლელად დარჩენ საკუთარ მოსაზრებაზე, რადგან იციან, რომ ეს გადაწყვეტილება დაძაბულობის განმუხტევისთანავე კვლავ გახდება დავის საგანი. მაგრამ კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ თითოეული მხარე ჭეშმარიტებაზე მეტად თავისი მოსაზრების გამარჯვებას ეძებს.

სიმართლე კამათში კი არ იბადება, არამედ ოპტიმალური ფორმულის აღმოჩენისთანავე შეთანხმებით მთავრდება. განა ამ დავაში არ უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული მაცხოვრისეული: „მიეცით კეისრისა კეისარსა და ღმრთისაი ღმერთსა“ (იოანე ოქროპირის განმარტებითურთ). შესაძლოა, ამ ფორმულამ გაიუღერა კიდეც კამათში, მაგრამ მატარებელმა



ახლა სხვა მაგალითი.

ამისათვის მოვიხმობ თომას მანის ხსენებული მოხსენებიდან ერთ ცი-
ტატის: „არა, გერმანელად შობილი ყველა, ნებით თუ უნებლიერ, დაკავში-
რებულია გერმანულ ბედთან და გერმანულ დანაშაულთან, ხოლო დის-
ტანციის შენარჩუნების სურვილში, რათა კრიტიკული განსჯის შესაძლებ-
ლობა მოგეცეს, არ შეიძლება ღალატი დავინახოთ. სიმართლესთან, რომ-
ლის თქმასაც ადამიანი თავის ხალხზე აპირებს, მისვლა მხოლოდ თვითშე-
მეცნების გზით შეიძლება“ (თომას მანი: „გერმანია და გერმანელები“. თარ-
გმანი დოდო თოფურიასი).

ჩვენ, ჩვენი სიმცირის გამო, გლობალური მასშტაბის დანაშაული არ
ჩაგვიდენია და, მადლობა შევწიროთ ამისთვის ღმერთს, მაგრამ, ღმერთის
შეწევნითვე, მაშინაც კი, როცა ძლიერნი ვიყავით, ღირსეულად შევიტერეთ
ეს სიძლიერე. სწორედ სიძლიერისას გამოიცადა ჩვენი ერის ის თვისებები,
რომელიც მხოლოდ სიძლიერისას უნდა გამოიცადოს: ტოლერანტობა, სუსტი
მეზობელი ქვეყნებისა და ხალხების მფარველობის უანგარო, არაამპარ-
ტაციული პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე დაკისრება და კიდევ ბევ-
რნი სხვა ღირებულებანი, რომელთა მიმქრალ ტალღებს აქამდე ვგრძნობთ.
სამწუხაროდ, ეს ღირებულებანი დღეს არ გვაქვს დაზუსტებით, რიგიანად
გაცნობიერებული, უსამართლოდ გვაქვს მივიწყებული.

ავიღოთ, თუნდაც შემწყნარებლობა ყველა მიმართულებით. ჩვენ ეს თვი-
სება თეორიულად კი არ შევიმუშავეთ, ასე ვთქვათ, „ცივილურად“, არა-
მედ საკუთარი სისხლითა და ხორცით, საკუთარი მსხვერპლის გაღებით
გამოვიმუშავეთ და ის ჩვენი მეორე ნატურა გახდა.

ჩემი მოსაზრებების გამოთქმისას, თუმც გავურბივარ კონკრეტული სა-
ხელების ხსენებას, ამჯერად საჭიროდ მიმაჩნია, ერთ სავალალო გარემოე-

ბაზე გავამახვილო თქვენი ყურადღება. საქმე ეხება იმ ორმხრივ-არაადეგა-
ვატურ რეაქციას, რომელიც გამოიწვია ბატონ ზაზა ალექსიძის მოხსენე-
ბაშ „ისტორიის გაკვეთილები“. (ეს მოხსენება გამოქვეყნდა გაშენტ „საქართ-
ო“ თველოს რესპუბლიკის “ფურცლებზე — 11/01. 1998 წ.) და ამისთვის, თუ სა-
ბოლოოდ არ მოგაბეზრეთ თავი, თომას მანის ზემოთ მოტანილი ციტატი-
დან ამოვილებ უფრო მცირე ციტატას.

„ხოლო დისტანციის შენარჩუნების სურვილში, რათა კრიტიკული გან-
სჯის შესაძლებლობა მოგეცეს, არ შეიძლება ღალატი დავინახოთ“.

ხედავთ, გერმანიაშიც არსებულა იგივე პრობლემა პირუთვნელობაში
„ღალატის“ დანახვისა.

რა თქმა უნდა, ამ ორ მოხსენებას არც თემატურად და არც პრობლემა-
ტურად საერთო არაფერი აქვთ. საერთო მხოლოდ პირუთვნელი სიმართლის
თქმის სურვილია.

ამ პუბლიკაციამ ერთი აღაშფოთა და თავისი უარყოფითი დამოკიდე-
ბულება პრესითაც გამოხატა, ხოლო სხვებმა, შესაძლოა გაიგეს და გულში
დაეთანხმნე კიდევაც ავტორის მოსაზრებებსა თუ შეფასებებს და სრული
დუმილი აირჩიეს.

კიდევ უფრო ამძიმებს საერთო სურათს ისიც, რომ, როგორც შემდგომ
გამოირკვა, იყვნენ „მესამენიც“, სურდათ თავიანთი დადებითი დამოკიდე-
ბულება გამოეთქვათ ამ სტატიის მიმართ, მაგრამ აქ უკვე გაზეთმა ისინი
სტამბამდე არ მიუშვა.

პირველთა გამართლება კიდევ შეიძლება — იქნებ გულწრფელადაც ვერ
ჩანვდნენ ნათქვას, მაგრამ მეორეთა დუმილი (და, მით უმეტეს, გაზეთის ჰოზი-
ცია) მართლაცდა შემაშფოთებელია. გაიგო და, გარკვეული მიზეზების გამო,
გაჩუმდე, ეს უკვე მკრეხელობასა ჰგავს. მაშ, როგორდა უნდა შეფასდეს და
დამკვიდრდეს სიმართლე, თუ ვისაც არ ესმის, ამბობს და, ვისაც ესმის, დუმს?

ისე კი, საერთო დასკვნა ორივეს მიმართ, ერთია: მათ პატრიოტიზმის
სამოსი თუმც აცვიათ, მაგრამ — უკულმა.

აი, ჩვენ გამოვედით ერთი ისტორიული კოშმარიდან, რათა „გვეხილა კვლავ ვარსკვლავები“, მაგრამ ახლა გველის სხვა კოშმარი, რომელიც კვლავ ვარსკვლავები — ჩვენშია და მისგან თავის დაღწევა თავიდან ბოლომდე ჩვენზეა დამოკიდებული, ჩვენს არჩევანზე — გვინდა თუ არა გამოვიდეთ მისგან, თუ ვაპირებთ, კვლავ დავრჩეთ ნეტარ უმეცრებაში.

კიდევ ბევრი საკითხი მოელის მართებულ ამოქსნას და პირუთვნელ ამომხსნელს, უამავი მოვლენა ელის შეფასებას ყველა სფეროში, ყველა მიმართულებით...

თარიღი გაორა

თუ უფალი არ ააშენებს სახლს, ამაოდ
გაირჩებიან მისი მშენებლები. თუ უფალი
არ დაიცავს ქალაქს, ამაოდ ფხიზლობენ
გუშაგნი.

ფალგუნი 126,1.

ამ წერილის დასაწყისისათვის მოვიხმობ ბოლოს წინა წერილიდან:
აი, ჩვენ გამოვედით ერთი ისტორიული კოშმარიდან, „რათა გვეხილა კვლავ ვარსკვლავები“, მაგრამ ახლა გველის სხვა კოშმარი, რომელიც უკვე ჩვენშია, და მისგან თავის დაღწევა თავიდან ბოლომდე ჩვენზეა დამოკიდებული, ჩვენს არჩევანზე — გვინდა თუ არა გამოვიდეთ მისგანაც, თუ ვაპირებთ, დავრჩეთ ნეტარ უმეცრებაში.
კიდევ ბევრი საკითხი მოელის მართებულ ამოქსნას და პირუთვნელ ამომხსნელს, უამრავი მოვლენა ელის შეფასებას ყველა სფეროში, ყველა მიმართულებით...

ამასთან დაკავშირებით, ქსარგებლობ შემთხვევით და ვულოცავ გა
ზეთ "განახლებულ ივერიას" მეორედ დაბადებას (სახარების მიხედვით,
მეორედ დაბადება ნათლისღება), მის პირველ ნაბიჯებს და ფრთხოებას
ვეტ, ისე მყარად დამდგარიყოს ფეხზე, რომ განმარტებას — "განახ-
ლებული" — არ საჭიროებდეს. ეს ის გაზეთია, რომელიც აღმოცენე-
ბულია ჩვენი ცნობიერების სასიცოცხლო ფესვზე და სრულ იმედს
იძლევა, რომ მალე მის კეთილ ნაყოფს იგემებს ჩვენი ხალხი და ჩვენი
ქვეყანა...

ერთხელ, ერთ ნაცნობ მშენებელს შევხვდი მისივე აშენებული კოხტა
სახლის წინ.

— მშვენიერი სახლი აგიშენებია, — შევუქე ნახელავი.

— კერ სადაა, — მიპასუხა სევდიანად, — ეს ხომ მხოლოდ ფასადია.
ახლა იწყება მთავარი — შიდა სამუშაოები...

შიდა სამუშაოები!.. სახლი შიგნიდან უნდა იყოს საცხოვრებლად მოსა-
ხერხებელი, თორემ ფასადით, რაც უნდა ლამაზი იყოს იგი, წარმოუდგენე-
ლია ცხოვრება.

დიახ, გამოვედით ერთი უთავბოლო სიზმრიდან და ამ ცხადს ჩვენ თავი-
სუფალი თუ დამოუკიდებელი საქართველო დავარქვით, მაგრამ თან გა-
მოგვყა ის ბუნდოვანება, რომელიც მუდამ თან ახლავს ყოველ გამოღვი-
ძებას და სრულ გამოფხიზლებამდე კიდევ ბევრი მღვრიე წყალი ჩაივლის.

უპირველეს ყოვლისა, დიდხანს არ უნდა დავრჩიეთ თბილ ლოგინში, რად-
გან „ჩვენ დიდი საქმეები გველის“!

ნამოვდგეთ და ვნახოთ ის ნაჩქარევად შეკრული დიდი ფუთა, რომელიც
კოშმარიდან ცხადში გამოვიტანეთ და რომელსაც საერთო სახელი აქვს:

რამ გადაგვარჩინა?

ეს შეკითხვა შეიცავს ყველა მომდევნო კითხვას, რომლითაც სავსეა ეს
ფუთა, ხოლო ამ მთავარ შეკითხვას მხოლოდ ერთი პასუხი აქვს — ღმერ-
თმა არ ინება ჩვენი გაქრობა-გადაშენება. აქვე შეგვეძლო დაგვესტა მოწყობის
წერტილი, მაგრამ აუცილებლად მიმართია მთავარი შეკითხვის დაშლა-და-
ცალკავება: ყოველი კითხვა თავის პასუხს ელის.

მაშ, გავხსნათ დიდი ფუთა, ამოვალაგოთ და მზის გულზე გავფინოთ
ყოველი მათგანი. თუ ჩვენ ამას არ გავაკეთებთ, კოშმარი უკვე საბოლოოდ
დაიმკიდრებს ჩვენში და ბუნდოვანება არავინ იცის, სად და როდის დაგ-
ვხვდება წინ.

განა უკვე დღეს არ იჩინა თავი ამ დაბრკოლებამ?

განა კითხვის უპასუხოდ დატოვება, ანდა ბუნდოვანი ნახევარპასუხი
საუკეთესო ნიადაგი არ გახდა დემაგოგიისა და ამბიციურ-პოპულისტური
მანქვა-გრებისათვის?

ღმერთმა გაიღო მოწყალება — გადავრჩით, მაგრამ, ჩვენ რას ვაკეთებთ?
ნუთუ ვინმეს ჰეგონია, რომ ამ მადლის შენარჩუნება ჩვენზე აღარ არის და-
მოკიდებული? თუ ხმაშენყობილად ვიმღეროთ ის უაზრო და უმაღური
სიმღერა: „თუ გამარჩინე, კიდეც მარჩინე“?! ამგვარ სიმღერებში, შესაძლოა,
ეს ღვთიური მოწყალება, ერთ მშვენიერ დღეს, ნიკრის ყავლგასული ბოლ-
ქვივით ფუყე დაგვხვდეს...

უამრავი კითხვა თავის პასუხს ელის. ისინი გზააბნეულნი დაჰქრიან,
დახოხავენ, დაძრნიან და დაეძებენ პირუთვნელ მოპასუხეთ.

სად არიან ისინი? ნუთუ ისეა გაწყალებული და უცხიმო ჩვენი რძე,
რომ აღარ ძალუძს, მოიგდოს მცირე ნალებიც კი, ნუთუ ჩვენს სამშობლოში
აღარ მოიძებნება თუნდაც რამდენიმე თომას მანი (მე ხუმრობაგაშვებით
ვამბობ ამას და ამიტომ თქვენი ლიმილი აქ უადგილოა). დიას, მე მის გენია-
ლურ მწერლურ მონაცემებს კი არ ვგულისხმობ, რასაც, ალბათ, ვერ ვნა-
ხავთ არა მხოლოდ საქართველოში, არამედ დღევანდელ მსოფლიოშიც, არა-
მედ მის პირუთვნელობას, სიმტკიცესა და სამშობლოს ჭეშმარიტ სიყვა-

რულს, და არა განსაკუთრებულობის ნიშნით, არამედ ნორმალურობისა
და ჩვეულებრივობის ფარგლებში (დღეს ნორმალურობა არის საძებნი, თო-
რემ გამორჩეულობის სიჭარბემ, ვხედავ, წაგვლეკა). ციტ 365-ის
გვ. 2024 ივნის 10

(მე განგებ არ ვახსენებ დიდ ილიას, რათა ავი თვალი არ ეცეს მის „უკვდავ
სახელს, რომელიც ახლაც გვიკარნახებს ბევრ ისეთ რასმე, რაც ჩვენთვის,
განსაკუთრებით დღეს, სასიცოცხლოდ ყურადსალებია, ოღონდ ცოტას თუ
ასხია ყურნი სასმენად, და თუ მაინცდამაინც სხეულში აღმოვაჩინეთ იგი,
უნდა მყისვე დავმალოთ, რათა წინამურის ტრაგედია აღარ განმეორდეს.)

მე ვგულისხმობ, აგრეთვე, ფრანგულ აკადემიას, მის 40 „უკვდავს“. ჩვენ-
თვის საკმარისი იქნებოდა 12-15 არა „უკვდავი“, არამედ ჩვეულებრივი „მოკ-
ვდავი“, ოღონდ იმ პასუხისმგებლობით, რაც იმ „უკვდავთ“ გააჩნიათ (ისე
კი, ნუ დავხარბდებით ამგვარ „უკვდავებას“, რადგან, როგორც ამისსნეს,
„უკვდავი“ არის არა ადამიანი, არამედ რიცხვი, ესე იგი, გარდაცვლილი „უკ-
ვდავის“ ადგილს იკავებს ახალი „უკვდავი“, რათა შეივსოს რიცხვი — 40).

საერთოდაც მგონია, რომ ჩვენი უავტორიტეტოდ დარჩენილი საზოგა-
დოება საჭიროებს ამგვარ კომპეტენტურ ინსტიტუტს, თავისუფალს პო-
ლიტიკურ-პარტიული მიკერძოებისაგან. ანდა, სულაც მამაპაპურ „უხუ-
ცესთა საბჭოს“, ანდა სენატის მსგავს წარმონაქმნს, რომელთა დაკვირვებს
თუმცა არ ექნება დირექტივების ხასიათი, თავიანთი კომპეტენტურობით
გავლენას იქონიებს საკითხის მართებულ გადაწყვეტაში.

(ამ მიმართულებით მსგავსი მოძრაობა წამოიწყო „განახლებულმა ივე-
რიამ“. ვგულისხმობ, ბატონ ჭაბუა ამირევეგიბის სარედაქციო სტატიას: „ფიქ-
რები ეროვნულ-სახელმწიფობრივი დოქტრინის გარშემო“. ავტორი პირ-
ველსავე აბზაცში მოუწოდებს მკითხველს, გამოეხმაუროს ამ უმნიშვნე-
ლოვანეს წამონებებას („განახლებული ივერია“, N2).

ახლა, მოდით, კინოსაც მივმართოთ. არის ასეთი იაპონური ფილმი —
კუროსავას „შვიდი სამურაი“ (ჩვენი სათქმელის კონტექსტში იგი უფრო
მოსახმარია, ვიდრე მისი ამერიკული „თარგმანი“ — „შესანიშნავი შვიდეუ-

ლი“). ფილმის სიუჟეტი დაახლოებით ასეთია: ყაჩალებისაგან შეწუხებული სოფელი დახმარებისათვის ერთ გამოჩენილ სამურაის მიმართავს. ის, თავის მხრივ, შეარჩევს შვიდკაციან ჯგუფს, რომელიც სასტიკ ბრძოლაში დამარცხებს და გაანადგურებს ყაჩალთა მრავალრიცხოვან რაზმს. ფილმი საკმაოდ გრძელია, თითქმის სამსაათიანი. აქედან, დროის უდიდესი ნაწილი დათმობილი აქვს სამურაების სკრუპულოზურ შერჩევას, ყოველი მათგანისას, ყველა ნიშნით, ყველა მიმართულებით: ზნეობრივით დაწყებული და დამთავრებული მათი ბრძოლისუარიანობით, საბრძოლო მომზადებით, იარაღის ვირტუოზული ფლობითა და ასე შემდეგ. მხოლოდ ბოლო ორი ნაწილი თუ ეთმობა თავად ბრძოლას.

ნუთუ ჩვენში ვეღარ ვიპოვით ამგვარ „მსახურთ“ (სამურაი — მსახურობა), რომელიც აისხამენ შესაბამის „აბჯარს“ და გაარჩევენ ყალბსა და ნაღდს, ღირებულსა და უღირსს, მშვენიერსა და მახინჯეს და დაიცავენ „სოფელს“ ყოველგვარი უხამსობისა, ძალადობისა და უსამართლობისაგან, გადაარჩევენ „იფქლსა და ლვარძლს“.

მეც გამომყვა იმ სიზმრიდან ჩემი წილი ფუთა — რამ გადაგვარჩინა? და მეც მინდა იქიდან ამოვალაგო ჩემი შინგაზრდილი კითხვებიდან რამდენიმე:

1. საჭიროა თუ არა სოციალური საყრდენის ძებნა?

2. კუთხების არსებობა ჩვენი სისუსტეა თუ სიძლიერე? (ამის შესახებ უაღრესად საინტერესო მოსაზრება გამოთქვა ბატონშა ზურაბ კიკაძემ იმავე „განახლებულ ივერიაში“, N2. ოლონდ ზოგიერთი პასაური და დასკვნა, შესაძლოა, დავის საგანი გაწდეს).

3. ვაშლის ხეს მსხლისა რომ ვუწოდოთ, განა ის ვაშლს აღარ მოისხამს?

4. ვართ თუ არა ჩვენ რევოლუციური ერი? ჩვენ რომ დამოუკიდებელი ვყოფილიყვათ, მოხდებოდა თუ არა ჩვენთან რევოლუცია? მოვკლავდით თუ არა ჩვენს მეფეს?

5. მაინც ვკითხულობ: შესაძლოა თუ არა ერის მენტალიტეტის შეცვლა? იქნებ, უფრო ადვილია სოციალური წყობის შეცვლა, ვიდრე მენტალიტეტის?

ინტელექტუალური
განვითარების

6. რა უნდა ერს და რა უნდა ხალხს? რა არის კეთილდღეობა? როგორ ესმის ეს ერსა და როგორ ესმის ხალხს?

7. რად გვყოფნიდა ჩვენ მართლმადიდებლობა და რად აღარ გვყოფნის იგი დღეს?

8. თუ ჩვენ ევროპელები ვართ, რა ვუყოთ აზიელობას?

ანდა, სულაც, ჩვენს კავკასიელობას?

იქნებ, კავკასია ცალკე კონტინენტია?

9. არსებობს თუ არა „კარგი“ და „ცუდი“ ერი? შესაძლებელია თუ არა ერის პერსონიფიცირება? რა ნიშნით შეიძლება განისაზღვროს „კარგი“ და „ცუდი“ ადამიანი?

10. რას ნიშნავს — ხალხი ბრძენია?

11. არსებობს თუ არა ჩვენში ქალთა ემანსიპაციის პრობლემა?

12. ვიცნობთ თუ არა საკუთარ თავს?

13. და ასე შემდეგ.

ხოლო პასუხებიდან, თუ „რამ გადაგვარჩინა?“ მე აქ მოვიტან მხოლოდ ერთს:

გადაგვარჩინა ერთი თავსაფრიანი დედაკაცის გულმსურვალე ლოცვამ, რომელმაც შვილები სამშობლოს თავისუფლებას შესწირა.

8 ოქტომბერი, 1999

რატომ ეშინია ადამიანს სიკვდილის



ანუ როდის არ ეშინია მისი?

ჩაჯდა იგი ნავში და მოწაფებიც მიჰევნენ.
და აშა, ატედა დიდი ღელვა ზღვაზე ისე რომ
ნავი ტალღებით იფარებოდა. მას კი ეძინა.
მოვიდნენ მასთან, გააღვიძეს იგი და უთხრეს:
„უფალო, გვიჩსენი, ვიღუპებით“.
უთხრა მათ: „რამ შეგაშინათ, მცირედ
მოწმუნენო? შემდეგ წამოდგა, შერისხა ქარები
და ზღვა, და ჩამოვარდა დიდი მუქადოება.
ადამიანებს კი უკვირდათ და ამბობდნენ: „ვინ
არის ეს, ქარებიც და ზღვაც რომ მას
ემორჩილებიან?“

გათე 8,23-27.

„მოიხსენე, უფალო, სულნი გარდაცვალებულთა მონათა და მხევალთა შენთა, მშობელთა ჩემთა და ყოველთა მონათესავეთა ჩემთა (სახელები მათი) და სასოებით მკვდრეთით აღდგომასა და საუკუნო ცხოვრებასა ზედა გარდაცვალებულთა მამათა, ძმათა და დათა, მიუტევენ მათ ყოველივე შეცოდებანი მათნი და, მიეც მათ საუკუნო ხსენება“ (დილის ლოცვიდან. მიცვალებულთა ხსენება).

მიცვალებულთა სახელების ჩამოთვლისას, წამით გამიელვებს ყოველი
მათგანის ხატება, მაგონდება მათი რომელიმე მდგომარეობა, მოძრაობა,
მზერა, შემოხედვა, სადღაც შიგნით აულერდება მათი ხმები... ამ დროს უკრძალები იყო
თიერთობ მათ სულებთან. მაქვს განცდა, რომ ისინი სადღაც სულ ახლოს
ცოცხლები არიან...

მამა მაგონდება.

ბოლო ნლებში თავიდან არ მიშორებდა. დაუქვეითდა მხედველობა. მე
მისთვის ვიყავი, როგორც უსინათლოსათვის ჯოხი და ჩემი ეს ახალი დანიშ-
ნულება დიდ სიამოვნებას მანიჭებდა. დავეხეტებოდით აღმა-დაღმა და
ვსაუბრობდით. ერთხელ მკითხა: როგორ ფიქრობ, სწორია, რომ ადამიანი
კვდება და მისი სახელი დავიწყებას მიეცემა? ... თუ სჯობდა, ადამიანი უკ-
ვდავი იყოს? — ამას ლიმილით მეუბნებოდა, მაგრამ დაფარული სევდითა
და განგაშით, რადგან ადრე თუ გვიან მოუწევდა ამ წუთისოფლის დატოვე-
ბა. მე ეს ვიგრძენი და იქვე გავიფიქრე — ამ სურვილს ასაკი არა აქვს. მერე
ვთქვი ის, რასაც ვფიქრობდი: სწორია ის, რაც ბუნებამ დააწესა.

მამამ მაშინ არაფერი მიპასუხა.

რამდენიმე ხნის შემდეგ, ჩემი მაშინდელი პასუხის პასუხად თქვა: თუ ეს
იყო ცხოვრება, ის არაფერი ყოფილა.

მე ამ ნათქვამა შემზარა. რამ ათქმევინა ეს საყვედური?

თავი დამნაშავედაც ვიგრძენი, რომ მაშინ ვერ ვნახე სიტყვები მის და-
სამშვიდებლად.

ახლადა ვცადე:

— მამა, შენ ხომ ყველას უყვარხარ. ბევრი სიკეთე გაგიკეთებია...

მაგრამ გვიან იყო. მან გვერდზე გაიხედა და უარყოფის ნიშნად ხელი გაიწია.

მაინც ვერ ვიტყვი, რომ სიკვდილის მოახლოების შიშმა ათქმევინა ეს საყ-
ვედურები. ეტყობა, რაღაც არ შედგა მის ცხოვრებაში, რაღაც მთავარი არ
განხორციელდა.

მამას სიკვდილის შემდეგ მე ბევრს ვფიქრობდი ამ გულისმომკვლელ
სიტყვებზე, ამ საყვედურზე. და ბოლოს, ჩემში ასე ჩამოყალიბდა მისი
ცხოვრების სიუჟეტი: ათვლას 1924 წლიდან დავიწყებ, როდესაც; ცნობა
ბილი გამოსვლების გამო, რომელშიც მისი ძმა, რუსეთის არმიის ყო-
ფილი ოფიცერი სვიმონ (ქუჩუკი) ახვლედიანიც იღებდა აქტიურ მონა-
ნილეობას, დერჩის მამაპაპისეული სახლი დაუწეს. ყველაფერი ფერ-
ფლად იქცა და, მათ შორის, მამას თითქმის ყველა ნახატი. ამის შემდეგ
მამამ ხელი აიღო მხატვრობაზე, რის გამოც, მისი მეგობარი მხატვრე-
ბი დიდ სინანულს გამოთქვამდნენ და ამბობდნენ, ჩვენს შორის ყველა-
ზე კარგი მონაცემები მას ჰქონდათ. ეტყობა, სახლის დაწვით გამონ-
ვეულმა ტკივილმა, მასში დაბადა სურვილი, თვითონ აეშენებინა სახ-
ლი. ადგილი, რომელიც მან შეარჩია თბილისში, კლდის პირას იყო და
ხვამლის მთას აგონებდა. მან საკუთარი ხელით ააშენა საკმაოდ მოზ-
რდილი შენობა და ეს სურვილი, დიდი შრომისა და ჯაფის ფასად, ასე
თუ ისე, დაკმაყოფილა, მაგრამ ალარ დარჩა დრო და ძალა, აესრულე-
ბია მეორე, ეტყობა, მთავარი სურვილი. ჩემმა დამ ერთხელ მითხრა:
სახლის აშენების შემდეგ, მამას ოცნება იყო, მხატვრობას დაბრუნე-
ბოდა. მაშინდა გამახსენდა, რომ ჩვენი სარდაფის ერთ მომყუდროე-
ბულ კუთხეში იდო მოზრდილი ყუთი სავსე ზეთის საღებავიანი ტუბე-
ბით. შემდეგ ეს ყუთიც გაქრა....

ახლა მაგონდება მისი მომდევნო ძმა, აკადემიკოსი გიორგი ახვლე-
დიანი. მის ლვანლსა და დამსახურებაზე აქ არაფერს ვიტყვი, რადგან ჩვენმა
განათლებულმა საზოგადოებამ ეს, ასე თუ ისე, იცის. მხოლოდ ერთს და-
ვუმატებ — პირად ცხოვრებაში არ იყო დიდად დალხინებული. მან, ბო-
ლოს, თითქმის სიკვდილის წინ, თავის ერთ-ერთ ძმისშვილს უთხრა: ბედ-
ნიერებაა, რომ არსებობს სიკვდილი. სიცოცხლისაგან დაღლილი, ბოლოს
და ბოლოს, ყველაფრისაგან მოისვენებ...

ძია გიორგიმ ამონტურა თავისი შესაძლებლობანი და მშვიდად და თით-
ქმის შვებით შეხვდა სიკვდილს.

თუნდაც მისმა დისშვილმა, ბესარიონ უვანიამ, ზურაბ უვანიშვილი,
როდესაც სიკვდილის დადგომის უამი იგრძნო, მეუღლესა და თავის დას,
უფრო მათ დასამშვიდებლად, ასე მიმართა: წამომაყენეთ და ლოგინი გაას-
წორეთ. ნუ შეშინდებით, მე ახლა მოვკვდები. სიკვდილი არ არის საშინე-
ლება. პირიქით, ეს კარგია.

ის წამომაყენეს, სანოლი გაუსწორეს, წამოანვინეს. მან ხელები მკერდზე
დაიკრიფა და მიიცვალა.

ჩვენი მეგობრის, შესანიშნავი პოეტის, შოთა ჩანტლაძის ბოლო სინანუ-
ლი იყო ის, რომ ბევრი რამ ჰქონდა კიდევ სათქმელი და განსახორციელე-
ბელი. სიკვდილის შიში ამ სახით მოვიდა მასთან.

ანდა ბულატ ოკუჯავას სიმღერიდან რამდენიმე სტრიქონი:

... Дайте дописать роман
До последнего листочка.
И пока еще жива
Роза красная в бутылке,
Дайте выкрикнуть слова,
Что давно лежат в копилке.

აი, კიდევ ერთი მაგალითი (ოლონდ ამჯერად ძველი ისტორიიდან), როცა
მიზანი სიცოცხლეზე მეტია. პომპეუსს სანოვაგით დატვირთული ფლოტი ნავ-
სადგურიდან უნდა გაეყვანა. ზღვა ბობოქრობდა. როცა პომპეუსი გააფრთხი-
ლეს, რომ ეს გადაწყვეტილება საშიშია სიცოცხლისათვის, მან იყვირა: სი-
ცოცხლე არ არის აუცილებელი, ზღვაში გასვლა აუცილებელია!

„როცა გავიცნობიერე, რომ სიკვდილი გარდაუვალია, მთელი კვირით შინ
ჩავიკეტე და გამოვიგლოვე თავი, — მითხრა ერთხელ გურამ რჩეულიშვილმა,
— ასე და ამრიგად, საბოლოოდ დავასრულე დავა საკუთარ სიკვდილთან“.

ხოლო მერე, ერთ-ერთ წერილში, მგონი სულაც მამისადმი მიწერილში, გან ზღვარიც კი დაუდო თავის ამქვეყნიურ სიცოცხლეს: „წინათგრძნობა მაქვს, რომ 30 წლამდე ვერ ვიცოცხლებ, მაგრამ თუ მე 30 წელს გრძელდები ვე, მე არავითარი წინათგრძნობა არ მქონია“.

ალბათ, წინათგრძნობის სიცხადემ განაპირობა ის ინტენსიური და სავ-სე შინაგანი შემოქმედებითი მოღვაწეობა, რომლითაც აღინიშნა მისი ხან-მოკლე ცხოვრება.

ის 26 წლისა დაიღუპა.

* * *

ნათლისლებიდან ჯვარცმამდე დროის ინტერვალი სულ რაღაც სამიო-დე წელიწადია და მაცხოვრის ამ ღვთიურმა მოღვაწეობამ აავსო მთელი სამყარო, შესძრა ცა და ქვეყანა. „კიდევ ბევრი სხვაც არის, რაც იქსომ მოი-მოქმედა, რომელიც დაწვრილებით რომ დაწერილიყო, ვფიქრობ, თვით ქვეყ-ნიერებაც კი ვერ დაიტევდა დაწერილ წიგნებს“ (იოანე 21:25).

ეპიგრაფში მოტანილი ადგილი სახარებიდან ვრცლადა აქვს განმარტე-ბული წმ. იოანე ოქროპირს — „თარგმანებაი მათეს სახარებისაი“. მე აქ მოვიხმობ მხოლოდ ერთ ფრაზას, რომ „შიშს არა განსაცდელთა მოწევნაი იქმის, არამედ გონების უძლურებაი“.

ხოლო ჩვენი სათქმელის კონტექსტში, გავკადნიერდები და ვივარაუ-დებ, რომ შესაძლოა თქმულიყო: „რამ შეგაშინათ, მცირედ-მორწმუნებო?..“ განა შესაძლებელია თქვენ დანთქმულიყავით და მეც თქვენთან ერთად, როდესაც არ აღსრულებულა ის, რაც უნდა აღსრულდეს?

ანდა ავილოთ სხვა ადგილი სახარებიდან: „იმ დღეს მოვიდა რამდენიმე ფარისეველი და უთხრეს მას: ადექი და გაეცალე აქაურობას, ვინაიდან ჰე-როდე გიპირებს მოკვლას.

„და უთხრა მათ: წადით და უთხარით მაგ მელას, აპა, დღესა და ხვალ
განვდევნი ეშმაკთ და დავასრულებ სნეულთა განკურნებას, ხოლო ზეგ
თავად ალვესრულები“.

საქართველოს
გიგანტების

* * *

თვით მე ამ საკითხზე ფუნდამენტურად არ მიფიქრია, უფრო ზუსტად,
არც ვიცი, რა ვიფიქრო. ისიც არ ვიცი, მეშინია თუ არა მისი. განწყობის
მიხედვით, ხან მეშინია და ხან — არა. ერთი მხრივ, მე ამ საკითხს ფილო-
სოფიურ ახსნას ვერ მოვუძები, რადგან ეს ჩემს შესაძლებლობას ბევ-
რად აღმატება, მით უმეტეს, როგორც იოანე ოქროპირი ბრძანებს: „შიშს
არა განსაცდელის მოსვლა ინვევს, არამედ გონების უძლურება“. ესე იგი,
გონებით ძნელია ამ შიშის დაძლევა. მეორე მხრივ, ეს საკითხი რწმენით
შეიძლება დაიძლიოს და არა მხოლოდ სასუფევლის არსებობის იმედით,
არამედ საკუთარ თავში მოწოდებისა და მაღალი დანიშნულების გაცნო-
ბიერებით. ისე რომ, თუ მოციქულებს აყვედრა მცირედმორწმუნეობა, მით
უმეტეს, მე რაოდენ უფრო. ხოლო, რაც შეეხება დანიშნულებასა და მო-
წოდებას, ჩემს არსებაში მათ ადგილას ბუნდოვანი, თეთრი ლაქებია.

ჩემს დამოკიდებულებას თუ მოსაზრებას ამ საკითხთან ღრმად პირა-
დული განცდები უდევს საფუძვლად.

მახსოვს, ათ წლამდე ერთი და იგივე საშინელი სიზმარი მტანჯავდა.
საშინელი იყო იმიტომაც, რომ ის ძალზე ჰეგავდა სინამდვილეს. მხოლოდ
გამოლვიდებისას ვრწმუნდებოდი, რომ ეს იყო სიზმარი და არა ცხადი:

ვწევარ ლოგინში და დაძინების მეშინია. ვიცი, მესატუმრება ჩემი მტან-
ჯველი სიზმარი. ჩავთვლემ და მყისვე მეღვიძება. მერე უკვე ალარ ვიცი,
მძინავს თუ არა. ალბათ, არ მძინავს, რადგან მე ვდგები საწოლიდან და
მივდივარ გასასვლელისაკენ. ვერ დიდ ოთახს გავივლი, შემდეგ ვიწრო დე-
რეფანს, რომლის ბოლოში დედაჩემს „სამზარეულოს“ მსგავსი კუთხე აქვს
მოწყობილი. მერე არის გარეთ გასასვლელი პირქუში კარი, რომლის იქით

„ვილაც“ თუ „რაღაც“ მელოდება და მაგნიტივით მიზიდავს. ვალებ კარს და თავს მესხმის რაღაც უხილავი და უფორმო არსება და მბოჭავს... თვალებს ვახელ, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ მე გავილვიძე, რადგან სიკულის ვერა ვგრძნობ, მის მაგიერ სიცარიელეა, თითქოს თვალების გარდა ყველა-ფერი სიზმარში ჩამრჩა...

მე ძალიან მიყვარდა პეშვით წყლის სმა. ახლაც მიყვარს. წყურვილის მოკვლის უკეთესი საშუალება მე არ ვიცი: თითქოს ხელით ეხები სასწაულს, რომელშიც თავად მონაწილეობ — მწყურია და აპა, წყალსა ვსვამ და ვიკლავ წყურვილს! მთელი არსებით ვუთანაგრძნობ ბედკრულ სიზიფს, რომელსაც იმ ქვეყანაში ამ ქვეყნიდან მხოლოდ წყალი ენატრებოდა.

ძილის წინ მე აუცილებლად უნდა შემესვა წყალი ონკანიდან და აუცილებლად პეშვით. ეს ჩემთვის ძილისწინა რიტუალი იყო. მაგრამ წყურვილი რომ დამეოკებინა, მე ცხადში უნდა გამეარა ის სიზმრისეული გზა, რომელიც იმ პირქუში კარით მთავრდებოდა, რომლის იქით უხილავი ურჩესული მელოდებოდა. და სწორედ ამ კართან, კუთხეში, ხაფანგივით ჩამონტაჟებული იყო ონკანიც. შიშითა და ძრწოლით ვუახლოვდები ონკანს. არ ვწერობ, რადგან მინდა, ბოლომდე და სრულყოფილდ შევინარჩუნონ წყურვილის სურვილი. მივედი, მოვუშვი და წამოვიდა წყალი და კანკალით შევუშვირე პეშვი. ვენაფები წყალს და ვიკლავ წყურვილს! მოვიკალი წყურვილი. ვკეტავ ონკანს და ვმშვიდდები. ვითვლი წვეთებს. ბოლო წვეთი დაეკიდა ონკანის ტუჩს, გაინელა, მაგრამ არ ჩამოვარდა. მე შემიძლია დავპრუნდე. ახლა, რაც უნდა მოხდეს, ყველაფრისთვის მზადა ვარ. შიში სრულიად გამიქრა.

ამ ბავშვურ განცდებზე არც ღირდა თქვენი ყურადღების შეწერება, რომ არა ერთი შემთხვევა, რომელმაც მსგავსი განცდა დაბადა ჩემში.

იმ დღეს დავით გარევის მონასტერში ჩვენი პატრიარქი წირავდა. ვეზიარეთ და ახლა ვუსმენდით მის ქადაგებას, თუ როგორ დაარბია შაპაბასის ლაშქარმა მონასტერი და აღდგომის ღამეს დახოცა 6000 ბერი.

ეს ტრაგიკული ისტორია ბევრჯერ წამიკითხავს და მომისმენია: 1616 წელს, აღდგომის დამეს, ცისკარზე, წმინდა დავით გარევის მონასტრის ბერებმა წესისამებრ ანთებული კელაპტრებითა, ჯვრებითა ფრთხოებით ლიტანიობა დაიწყეს. კელაპტრების ბრნყინვალებამ მთელი მიდამო გაანათა. ეს შენიშნეს მტკვრის ნაპირზე დაბანაკებულმა სპარსელებმა და მონასტერს ალყა შემოარტყეს. მათ სჯულის დატოვება მოსთხოვეს ბერებს. ბერებმა თხოვნით მიმართეს: „ჩვენ ყველანი აქა ვართ და არავითარი იარაღი არა გვაქვს. ამიტომ დრო მოგვეცით, ვეზიაროთ ყველანი ქრისტეს სისხლსა და ხორცს და მერე დაგვხოცეთ“. თხოვნა შეუსრულდეს. წირვის შემდეგ 6000 ბერი ტრაპეზიზე კრავებივით დაკლეს.

აი, ეს ისტორია ამ დღეს ამ კედლებში და ამ გარემოში სულ სხვაგვარად უდერდა ჩემთვის და არა მხოლოდ ჩემთვის. მით უმეტეს, რომ სულ ახლახან ვეზიარეთ ქრისტეს სისხლსა და ხორცს. გარკვევით მახსოვს ის განცდაც, რაც მაშინ დამეუფლა: აი, ახლა მე მზადა ვარ, უდრტვინველად მივიღო სიკვდილიც.

მაგონდება ჩემი უმცროსი მეგობრის, ზუკა თუთბერიძის ჩემდამი ნათქვამი სადლეგრძელო: „ბატონო ერლომ, გისურვებთ ქრისტიანულ აღსასრულს!“

უფრო ძვირფასი სადლეგრძელო ჩემთვის იშვიათად უთქვამთ.

31 დეკემბერი, 1999 ზელი — 10 იანვარი, 2000 ზელი

მე საღაგი ღლები უფრო მიუვარს

თემატიკული
გიგანტური

მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ დღესასწულები არ მიყვარს. პირი-ქით, თქმა არ უნდა, რომ ყოველი დღესასწული, განსაკუთრებით რელი-გიური, თავისთავად დიდებულია და ამაღლებული, მაგრამ თავად მე თით-ქმის არასდროს არ ვარ მისთვის მზად, რათა ღირსეულად შევიტქბო და განვიცადო. სრულიად უმწეო ვარ, შინაგანად დავძლიო შებოჭილობა ყო-ველი დღესასწულის მოახლოებისას. ვლელავ და ამაოდ ვეძებ ჩემში მის თანხვდენილ განწყობას. ვმშვიდდები მხოლოდ მაშინ, როდესაც მან უკვე ჩაიარა და ხვალ სადაგი, ჩვეულებრივი, შეუმჩნეველი დღე მელის. მახ-სოვს, მსგავსი განწყობა მეუფლებოდა სკოლაში, უნივერსიტეტში ყოვე-ლი გამოცდის ნინა დღეს და ვნატრობდი, რომ დღეს იყოს ზეგ, როდესაც გამოცდა უკვე ჩაბარებული მაქვს...

შეუსაბამობის განცდა განსაკუთრებით მიმძაფრდება ჩემი დაბადე-ბის დღის მოახლოებისას. ყველაფერი გაცილებით იოლი ასატანი იქნე-ბოდა, რომ ის სადაგი დღე ყოფილიყო: მაგრამ მე 23 ნოემბერს დავიბადე, გიორგობას და მაშინ, როდესაც მთელი საქართველო უდიდესი შემართე-ბით აღნიშნავს ამ დიდებულ თარიღს, მე შინაგანად დაძაბული ვარ და სურვილი მაქს, გავექცე ამ დღესასწულს, უფრო კი ჩემს თავს დავემა-ლო ამ დღეს. გაორება კიდევ უფრო დამიმდიმდა მას შემდეგ, რაც მოძლ-ვარმა ჩემი ნარმართული თუ გამოგონილი საერო სახელი ეკლესიური „გიორგით“ შემიცვალა.

და აი, მოდიან ამ დღეს ჩემი მეგობრები და ახლობლები და, წესისა-მებრ, კეთილი სურვილებით სვამენ ჩემს სადღეგრძელოს, რომელიც ჩემ-

თვის ულერს, როგორც ბრალდება, განაჩენი, თითქოს რაღაც დიდი პასუ-
ხისმგებლობა დამეკისრა, ხოლო მე ვერ შევძელი მისი შესრულება და,
ახლა ვზიგარ ვალის ღრმა დილეგში და სადლეგრძელოების ფლობის წესის
ტის ქვეშ მაგონდება ყოველი ჩემი სისუსტე, ულირსი საქციელი, სულმოკ-
ლეობა, სიყალბე, თავშეუკავებლობა, მრისხანება, ბილნისიტყვაობა და მათ
ჩამონათვალს ბოლო არ უჩანს.

აი, როგორც იქნა, დამთავრდა ქეიფი. ბავშვს უკვე სძინავს. მე კი სრუ-
ლიად ფხიზელი ვარ — ამ დღეს ღვინო არ მეკიდება. ჯერ კიდევ არის
შუქი და მოდის წყალი. მე ვიწყებ სუფრის ალაგებას. ეს კი იმას ნიშნავს,
რომ დღესასწაული დამთავრდა და მე ხვალ, როგორც თავშესაფარში,
სადაც დღეში შევრგავ თავს... ახალ დღესასწაულამდე.

ჭურჭლის რეცხვა ჩემთვის ერთგვარი შვებაა. მე მექანიკურ საქმიანო-
ბას ვენევი და ამიტომ, გამოთავისუფლებული მაქვს დრო და უნარი ფიქ-
რისა და განსჯისათვის: მაინც რა ხდება, რატომ არ შემიძლია შევიტკბო
თუნდაც ეს შესანიშნავი დღესასწაული? ნუთუ მხოლოდ იმიტომ, რომ
ჩემი დაბადების დღე დაემთხვა გიორგობას და ამანვე დამაბრკოლა? იქ-
ნებ, ზედმეტი მნიშვნელობა მივანიჭე ამ დამთხვევას?

ალბათ, ესეც იყო...

არ ვიცი, დამეთანხმებით თუ არა, უფრო ზუსტად, საკუთარ თავთან
აღიარებთ თუ არა, რომ ყოველი ადამიანი მეტ-ნაკლებად ეგოცენტრუ-
ლია, მაგრამ მასში ამ განცდის სიშიშვლეს სამოსივით ფარავს და ასატანს
ხდის პასუხისმგებლობის გრძნობა, მოვალეობა, საქმე, საზოგადოებრივი
ფუნქცია, დანიშნულება და, რაც მთავარია, რელიგიური თვინიერება და
მორჩილება...

და მართლაც, ის, რომ მე 23 ნოემბერს დავიბადე, რატომ უნდა მივიჩ-
ნიო რაღაცის მინიშნებად? სხვა დღეს რომ გავჩინილიყავი, განა რამე
შეიცვლებოდა? არა, რა თქმა უნდა, მე ასევე უმწეო აღმოვჩნდებოდი

საკუთარი თავის წინაშე, თუ ვერ გავიცნობიერებდი ჩემს დანიშნულებას, რომლის აღმოჩენა, მეტნაკლებად, ყოველ დაბადებულს მოეთხოვება.

სწორედ აქ მომავნონდა ერთი იგავი „ხასიათური სწავლანი“-დან, სიკრეაცია ვდილამდე მცირე ხნით ადრე რაბი ზუსიამ თქვა:

— თუ სამსჯავროზე შემეკითხებიან, რატომ მოსე არ იყავიო, მე ვიცი, რა ვუპასუხო, მაგრამ თუ მკითხეს, ზუსია რატომ არ იყავიო, ვერაფერს ვუპასუხებ“ (თარგმანი ზურაბ კიკნაძისა).

განსჯის ამ მიმართულებით წარმართვამ ცოტა დამამშვიდა. ამის კე-
თილ დასტურად მივიჩიე ის, რომ ჯერ წყალი შეწყდა, ხოლო მალევე
შუქიც ნავიდა. ასანთი არც მიძებნია, რადგან სიბნელეში ხელის ფათუ-
რით ჩემთვის საჭირო საგნების მიგნება ერთობ მახალისებს და ომის-
დროინდელ ბავშვობას მაგონებს. ჩემი შვილის მშვიდი სუნთქვა მესმის. მოვძებნე ჩემი საწოლი და ჩავწერი. მამაჩემივით ხელები თავქვე ამოვიდე
და ფიქრი განვაგრძე.

დიახ, მე ჩემს თავში ძლევამოსილ წმინდანთან მსგავსება კი არ უნდა
ვეძებო, და ისიც მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ჩემი დაბადების დღე დაემ-
თვა გიორგობას, არამედ უნდა ვეძებო საკუთარი თავი, ერთ-ერთი იმ
ურიცხვ „გიორგთაგანი“ და ჩვეულებრივი ადამიანის ფარგლებში ვზი-
დო ჩემი კუთვნილი პატარა ჯვარი...

ერთ-ერთი ამქვეყნიური სიხარული ჩემთვის ვალის გასტუმრებაა. თუ
დათქმულ დროს ვერ გადავიხადე იგი, დათორგუნული ვარ, ყოველ წვრილ-
მანზე ვლიზიანდები. გალვიძებაც მეზარება, წამოდგომაც, შინიდან გას-
ვლაც არ მინდა, უსამართლოც კი ვხდები, მიდრეკილი ვარ, სხვაში ცუდი
დავინახო, ვისი ვალიც მაქვს, ნაკლიც აღმოვაჩინო... მაგრამ, თუ გავთა-
ვისუფლდი ვალისგან, ნელში ვიმართები, ვმხნევდები, მსიამოვნებს ადა-
მიანებთან შეხვედრა, ურთიერთობა და მცირე სიხარულიც კი ზეიმად
იქცევა ჩემში.

და ეს მხოლოდ ჩვეულებრივი ვალია, მაგრამ არის უფრო მაღალი კატეგორიების ვალი, მოვალეობანი, ვალდებულებანი, დანიშნულებანი — პირადი, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოს, კაცობრიობის ჩრდა-შე და, უმთავრესი, ღმერთის წინაშე — „...და მომიტევენ ჩვენ თანაა-დებნი ჩვენნი“...

დღესასწაული შედეგია, ღვთაებრივი ჩანაფიქრის გამოცხადება და აღ-სრულება, ხოლო ამ გამოცხადებას წინ უძლვის მძიმე, რთული, ეკლიანი გზა თავად პროცესისა, რომელიც ჩვენგან დაფარულია და ამაოთ ჩვენგან ყოველგვარი ძალისხმევა მისი შეცნობისა, ის ხომ სადღაც სიჩუმეში, სიბ-ნელესა და მყუდროებაში ისახება, იზრდება და ზრდადასრულებული დღე-სასწაულად მოგვევლინება.

ხოლო ჩვენი ვალია, დავცალოთ და გავათავისუფლოთ ყოველგვარი უნინდურებისაგან ჩვენივე სხეული, ღვთითნაბოძები სულის მატარებელი მყიფე ჭურჭელი, რათა აიგხოს იგი ჭეშმარიტი სიხარულით.

ეს დიდი შრომაა, ყოველდღიური შავი სამუშაო, რადგან ჩვენ „მრა-ვალ საფრთხეთა შორის ვვალთ“, რათა ბოლოს ვთქვათ, „ნუსადა თქვას მტერმან ჩემმან მრე ვეყავ მას“.


მე სადაგი დღეები იმიტომ მიყვარს, რომ მათში ისახება, იბადება, იზ-რდება ყოველი დღესასწაულის ღირსი და თანხვდენილი გრძნობები, რა-თა შევიტკბოთ და შევერწყათ დღესასწაულებს.

ჩვენ მონმენი გავხდით იმ დავისა, რაც გამოიწვია 2000 წლის გან-საზღვრამ — არის თუ არა ის 21-ე საუკუნე.

ეს ბუნდოვანება, გაურკვევლობა ღვთის წყალობად მივიჩინე, მასში ამო-ვიკითხე კიდევ ერთი ცდა, დააფიქსიროს მისგან შექმნილი ადამიანი თავის განვლილ გზაზე და მხოლოდ შემდეგ გადადგას ნაბიჯი ახალ საუკუნეში, შეძლებისდაგვარად ცოდვებისგან თავისუფალი და განწმენდილი.

კერ ავილოთ თუნდაც ამ თარიღის გრაფიკული მონახაზი: 2000. ის,

როგორც მატარებლის ცარიელი შემადგენლობა, დგას უამთასვლის ბა-
ქანზე და ელის თავის მგზავრებს და ტვირთს ქრისტესშობიდან მესამე
ათასწლეულში შესასვლელად.



ვიღვაწოთ, რომ ეს ლვთაებრივი სიცარიელე სიკეთით ავავსოთ...

ეს არის იქნებ ახალი ნოეს კიდობანი...

ანდა ლვთაებრივი დილა გრძელი და ბნელი ღამის შემდეგ...

ანდა, სულაც — კალამმოუსობელი თეთრი ფურცელი...

7 თებერვალი, 2000 ზეღი

ჩემი ბრძოლა



...უფალო დაიცევ მეუე და ქალაქი ჩემი. მეუე
რომელიც არს სული ჩემი და ქალაქი —
გვამი ჩემი, რომელიც აღაშენე მიწისაგან
ტაძრად სამკიდრებლად სიწმიდისა შენისა...

ლოცვიდან ძილად დაზოლისა ოთხშაბათსა

ეს ოდიოზური სათაური ვესესხე სწორედ იმ კაცს, რომელსაც ყველაზე
ნაკლებად მინდა ვგავდე და, ძალიანაც რომ მოვინდომო, ვერ ვნახავ მას-
თან რაიმე საერთოს. უბრალოდ, რაც ამ ქვეყნად დრო დამრჩენია, ვუცეკი-
რო მზეს, ცოტა მინდა გავერთო. სწორედაც რომ დროზე ვპერდები და ვერ
მოვესწრები ბრძოლის შედეგს — ჩემს გარდუვალ დამარცხებას და ამას
დიდ გამარჯვებად მივიჩნევ. ვერც ჩემი მეტოქე მოესწრება თავის გარდუ-
ვალ გამარჯვებას და ამიტომ წინასწარვე ვუთანაგრძობ მას.

მაშ ასე. ავუმხედრდი საკუთარ თავს.

ბრძოლისათვის კი იდეალური პირობებია: წონითი კატეგორია აბსო-
ლუტურად ერთნაირი, შეიარაღება — თანაბარი და სარბიელისთვისაც
შორს არ მოგვიწევს წასვლა.

არც თუ ისეა საქმე, რომ მე და ჩემი მეტოქე მარტონი ვართ ამ ორთაბ-
რძოლაში. ჩვენში მეტ-ნაკლებად, ყოველი ადამიანი ბუდობს, რომელიც
გვყვარებია ან არ გვყვარებია; ვისაც, თუნდაც ოდნავი კვალი დაუმჩნევია
ჩვენთვის, თუნდაც თვალი მოგვიკრავს, თუნდაც ხმა გვსმენია მისი და, ეს
უზარმაზარი, უთვალავი ლაშქარი ცოცხალთა და მკვდართა „არჩევან-არა-
დანზე“ შეგვიძლია უნაშთოდ, თანაბრად გავიყოთ და არა მხოლოდ ადა-

მიანები, არამედ ყოველი ადამიანი ნაწილ-ნაწილ დავშალოთ და დავყოთ:
მისი თვისებები და სწრაფვანი გამოვაცალკევოთ, ყოველი სიტყვა, ყოველი
მზერა...

ერთოვენული
გეგული იმპერია

ჩვენს თვალუნვდენელ საიდუმლო საცავებში იარაღიც ბლომად მოგვე-
პოვება — დაწყებული ნვერმოშხამული ისრებიდან და დამთავრებული უახ-
ლესი ბირთვული იარაღით. მაგრამ მათ გამოყენებას ჩვენ არ ვაპირებთ,
რადგან ამ ორთაბრძოლაში მათ არავითარი ძალა არა აქვთ.

ერთმანეთზე უზუსტეს ინფორმაციას ვფლობთ — ზედმინევნით კარ-
გად ვიცით ერთურთის ნაკლიც და ლირსებაც...

ჩვენს ხელთა ერთად განცდილი დიდი და მცირე მოვლენების, სასია-
მოვნო და უსიამოვნო სიტუაციების გრძელი ნუსხები, რომელთაც, საჭი-
როებისამებრ, გამოვიყენებთ ბრძოლაში...

ჩვენზე არ იმოქმედებს არც ყინვა და არც გვალვა, არც სეტყვა და არც
ქარიშხალი და მშვიდი ამინდიც ოდნავაც არ დააცხრობს ჩვენს მძვინვარე-
ბასა და უის ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში.

ყველაფერი მზადაა ორთაბრძოლის დასაწყებად.

ციონოვლენილი მედიატორიც — ჩვენი საერთო სინდისი — ავისმომას-
ნავებელი მდუმარებით შემოსილი, ჩვენს შორის დგას.

ბრძოლისწინა ბურუსია ჩვენშიც და ჩვენს გარეთაც. ველით ნიშანს!

ჩემს ამ ბრძოლაში ერთობ მამხნევებს ერთი უძველესი ამბავი, რომე-
ლიც მოხსენიებული აქვს ჩვენს სულკურთხეულ გაპრივლ ეპისკოპოსას ქა-
დაგებაში პეტრე-პავლობის დღეს.

“აქ არ შევგიძლია, ძმანო ქრისტიანენო, არ მოვიყენოთ ჩვენ წმინდა
ითანე ოქროპირისაგან ერთი საკვირველი მოქლე სიტყვა: წარმოიდ-
გინე ცხოვლად, რომ ერთი ვიღაც ღარიბი კაცი გამოვიდა ერთი ქა-
ლაქითგან და დაადგა დიდ შარა გზასა. ერთ ხელში უჭირავს ჯობი,

მეორე ხელში მცირე პარკით მიაქვს ორი ანუ სამი წიგნი. მოდი მიუკ-
დეთ და ვკითხოთ, ვინ არის იგი, ან სად მიდის ეს კაცი. მე მქონა პეტრე,
გვეტყვის: მიგალ რომის ქალაქში, რომის ქალაქი უნდა ფერტოდა...
დავიმორჩილო. როდესაც ამას გაიგონებ, გეგონება აშ კაცა ან სძი-
ნავს, ან თავის ჭკუაზე არ არისო. როგორ დაიმორჩილებ შენ რომის
ქალაქს? — ვკითხოთ მას, იგი მთელი ქვეყნის მპრანებელი ქალაქი
არის, სად გყავს ლაშქარი, სად არიან იარაღი შენი, სად არის ვერ-
ცხლი და ოქრო შენი? იქსო ქრისტეს სახელი და სახარება — აჲა, ჩემი
ლაშქარი და იარაღი, გვიპასუხებს იგო.” და მართლაც...
და მართლაც, ამ უძრალო მეთევზის ძლევამოსილების დასტურად,
დღეს, ამ “მარადიულ ქალაქში” ერთ-ერთი უდიდესი ტაძარია აღმარ-
თული, რომელიც მის სახელს ატარებს.

დიახ, რომი დაიპურო და დაიმორჩილა!

ყველას თავისი რომი აქვს დასაპურობი, თუნდაც მისი რომი საკუთარი
თავის ძლევა იყოს.

მწამს, თუ სძლევ საკუთარ თავს, მაშინ წუთისოფელსაც დაძლევ.

სწორედ ეს არის ჩემი ბრძოლაც.


ახლა დიდი მარხვის დღეებია.

ყოველდღე, დიდმარხვისას, მწუხრსა და ცისკარზე არაერთგზის გვეს-
მის ჩვენ მოკლე ლოცვა ეფრემ ასურისა:

„უფალო და მეუფეო ცხოვრებისა ჩემისაო, სულსა უქმობისასა და მი-
მომწვლილველობისასა, მთავრობის — მოყვარებისასა და ცუდად მეტყვე-
ლებისასა — ნუ მიმცემ მე.

ხოლო სული სინმიდისა, სიმდაბლისა, მოთმინებისა და სიყვარულისა
მომმადლე მე, მონასა შენსა.

ჰე, უფალო და მეუფეო, მომანიჭე მე განცდა თვისთა ცოდვათა და არა
განკითხვად ძმისა ჩემისა, რამეთუ კურთხეულ ხარ შენ უკუნითი უკუნი-
სამდე, ამინ.



ლმერთო, მილხინე მე ცოდვილსა ამას და შემიწყალე".

(ვფიქრობ, სასარგებლო იქნებოდა მკითხველისათვის, გაცნობოდა ეპის-
კოპოს გაბრიელის „განმარტება, ანუ ახსნა ეფრემ ასურის ლოცვისა, ოთხ-
თა მოძღვრებათა შინა, რომელიც თქმულან ისეთში და სვანეთში. ქადა-
გებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა. ტ.1. გვ.573-584.)

ეს მცირე და დიდებული ლოცვა-მოძღვრება ყოველი ჩვენთაგანისადმი
არის მიმართული. იგი ის შუქია, რომელიც გაგინათებს სულიერ ჯურლმუ-
ლებს და გამოგიჩენს დამტკერილ განძსა და მიჩუმათებულ მნიკვლს. მხო-
ლოდ ასე შეიძლება შეიცნო საკუთარი თავი, შენი შესაძლობანი და მაშინ
შეიქმნები შეუცვლელი და საჭირო.

მხოლოდ მაშინ შეძლებ შენს თავშივე გამოარჩიო ცხოვარნი თიკანთაგან.

მხოლოდ მაშინდა მიხვდები, რომ დაუმსახურებული ჯილდო უფრო
ძნელი საზიდია, ვიდრე დამსახურებული მხილება და სასჯელი, მით უმე-
ტეს, რომ სასჯელი შესაძლოა, შვებადაც მოგევლინოს.

მაშინდა დარწმუნდები, რომ შენი სიდიდადე არა შენი ღირსებების გა-
მოვლენაშია, არამედ შენი სისუსტეების ფლობასა და დათრგუნვაში.

როგორდა გინდა გახდე გამორჩეული, მხედართუფროსი, თუ ჯარის-
კაცი არა ყოფილხარ, რომელიც მუდამ მზად არის უსახელო სიკვდილის-
თვის.

როგორდა გინდა გახდე მოძღვარი, თუ არ შეიტკბე მორჩილება.

როგორდა გინდა მართო სხვა, თუ თავის მართვა არ ძალგიძს.

როგორდა შეგიძლია იხსნა სამშობლო, თუ ის ჯერ შენში არ გიხსნია.

პუნქტი. თარგმანი რეზო ყარალაშვილმა.

ქი სიაო-ძი საბრძოლველად წვრთნიდა თავადის მამალს. ათი დღე რომ
გავიდა, თავადი შეეციხა: “მზადაა ჩემი მამალი?”

“კერ არა. ძველებურად ყოფილობს და მნოლოდ ჩხუბზე უჭირავს თვა-
ლი”.

ათი დღის მერე თავადმა ისევ იკითხა თავისი მამლის ამბავი.

“კერ მზად არაა, ვინაიდან ბრაზი ერევა, სხვა მამლებს რომ დაინა-
ხავს, ან მათ ხმას რომ გაიგონებს, ხოლმე”.

კიდევ ათი დღე რომ გავიდა, თავადმა ისევ მოიკითხა მამალი.

“მზად არაა, ვინაიდან თვალები სისტლითა აქვს სავსე და ბოლმისგან
მთელი ტანი უცაპცაპებს”.

კიდევ ათი დღის შემდევ თავადმა ისევ რომ მოიკითხა თავისი მამალი,
ქი სიაო-ძიმ კიაყოფილებით უთხრა: “ახლა კი მზადაა, სხვა მამლებმა
რამდენიც გინდა იყივლონ, ეს ყურსაც არ გაანძრევს. ერთი შეხედე, რა
მშვენიერია — გეგონება ხისგანაა გამოთლილი. მის თვისებებს წუნი
არ დაუდება. უცხო მამლები გურ გაბედავნ მასთან შებრძოლებას, რო-
გორც კი დაინახავნ, შემობრუნდებიან და გაიქცევიან”.

30 მარტი, 2000

ბრძოლა გრძელდება



ყოველმა ჩვენგანმა სამშობლოს ჯერ თავის თავში უნდა უშველოს, მხოლოდ ასეა შესაძლებელი, შეიქმნას ერთიანი უძლეველი არმია.

რამდენიმე წნის წინათ წამოვინებული საუბარი თემაზე „ჩემი ბრძოლა“. ისევ ვაგრძელებ ამ თემას. ჩემს ბრძოლაში, შეგახსენებთ, ვგულისხმობ ბრძოლას საკუთარ თავთან, საკუთარივე თავის დასაძლევად. ეს ბრძოლა თითქმის უწყვეტია, იგი გრძელდება სიკვდილამდე.

ნურავინ იფიქრებს, რომ ნაკლები მიზანი მაქვს დასახული, ვიდრე „ჩემი ბრძოლის“ ავტორს. თუ მას მსოფლიო ბატონობა სურდა, მეც მინდა ვძლიო წუთისოფელს. დიახ, მე მყავს მხოლოდ ერთი მეტოქე — საკუთარი თავი. თუ მას ვძლევ, ვძლევ წუთისოფელსაც.

ჩვენს გარეთ იგივე სუმბურია, რაც ჩვენში. ჩვენ უნდა დავძლიოთ სუმბური ჩვენში, რათა დავძლიოთ სუმბური ჩვენს გარეთ. გარეთა სუმბურის მონესრიგება შეუძლებელია, თუ არ გავფანტავთ ბურუსს ჩვენშივე. ეს, ფაქტობრივად, გახლავთ სათავო პირობა.

ამ ბრძოლას თავისი პირობებიც აქვს:

პირობა პირველი: მოვლენის, ადამიანის შეფასებისას, ჩვენ, მე და ჩემს მეტოქეს, წინააზრი არ გვყავს დარაჯვად. შემოსვლა თავისუფალია, ყოველ ახალ აზრს აქვს მობრძანების უფლება.

პირობა მეორე: ჩვენთვის არ არსებობს მცირე და დიდი საკითხები, რადგან ნათევამია: „სარწმუნოი მცირესა ზედა, მრავალსა ზედაც სარწმუნოი არს“. მცირეში ერთგული, ბევრშიც ერთგულია, ხოლო მცირეში უსამართლო, დიდშიც — უსამართლო. მცირეში სინდისი მეტად ფასობს.

პირობა მესამე: არ შევეცადოთ ერთმანეთის (მე და მე) მოტყუებას, რად-
გან ეს ამაო ცდაა: თავს ვერ მოიტყუე, შეიძლება ყველა მოატყუოო. ისიც
უთქამთ: შეიძლება, მოატყუო ერთხელ, ბევრჯერ, ბევრი, მაგრამ ყლველად
თვის ყველას მოტყუება შეუძლებელია. თავის მოტყუება, მით უფრო შეუძ-
ლებელია, რადგან ერთ მეზე ყოველთვის აგენტად მიჩენილ მეორე მეს არა-
ფერი გამოეპარება.

და საერთოდაც, წუთისოფელი ერთ ტყუილადაც არ ღირს.

ნუ მძვინვარებ, როცა მეტოქე შენზე ძლიერ სვლებს აკეთებს და ნუ
ლანძლავ მას, პირიქით, მიიჩნიე, რომ სწორედ ის გაძლევს შანსს, მასზე
ძლიერი სვლა შეასრულო. ეს არის ეთიკა ბრძოლისა.

მაგალითისთვის: ჭადრაკის თამაში ძლიერთან უკეთ გამომდის, ვიდრე
სუსტთან. ესე იგი, ჩემში ხდება შინაგანი შესაძლებლობების მობილიზა-
ცია, ანუ გონიერი ძლიერ მეტოქესთან ბრძოლაში მთელ თავის რეზერვებს
ხსნის. ჩვენს პოლიტიკურ სინამდვილეში პირიქით ხდება. რუსეთთან —
ძლიერ მეტოქესთან, ან ევროპასთან, რომელიც გარკვეულად ძალადობს,
ლირსეული დაპირისირება გვმართებს. ძლიერ მტერში საშენოდ რაციო-
ნალური ერთადერთი ის არის, რომ შენც მოვალე ხარ, იყო ძლიერი. ჩვენში
პირიქით ხდება, მონინალმდეგეს ლანძლავენ, ის კი თავის საქმეს აკეთებს.
ლანძლვა რა შუაშია? ხომ ვერ დაავალდებულებ მეტოქეს, შენი ინტერესე-
ბი დაიცვას? რუსეთი უკანონოდ იქცევაო, მას არ სჭირდება კანონები, ის
თავისი ზესახელმწიფოებრიობით, სიძლიერით, კანონზე მალლა დგას.

* * *

მივუბრუნდები ნათქვამს. ჩვენში სახლობს უამრავი ადამიანი. მათ შო-
რის არიან ჩვენი მტრებიც და მოყვარენიც, ერთმანეთის მტრებიც და მოყ-
ვარენიც. შეგვიძლია, ზოგი მათგანი მასნავლებლადაც დავიდგინოთ, უფ-
რო მეტიც, ჩვენში შეგვიძლია, შევარიგოთ მტრები, მივცეთ მათ შეხვედრე-
ბისა და საკითხების გარკვევის საშუალება. სამწუხაროდ, პირიქითაც, ჩვენ

შეგვიძლია, დავაპირისპიროთ მოკეთენი და ამითაც ვიგრძნოთ, რომ ვართ
სამყარო და ვიტევთ ყველაფერს, შერიგებასაც და დაპირისპირებასაც.

ამიტომაც ამ ბრძოლაში უნდა მოვსინჯოთ ჩვენი სათნოებაზე: რწმუნა,
სასოება, სიყვარული, მოთმინება, სამართლიანობა, სულგრძელობა და, ამას-
თანავე, შევუმონმოთ კლიტები და ბორკილები ჩვენს სისუსტეებს: ამპარ-
ტავნობას, ავხორცობას, ნაყროვნებას, მრისხანებას და ასე შემდეგ.

ჩვენ ბევრნი ვართ, ყოველი ადამიანი ბევრია თავის თავში. იქ არის ნაკ-
ლიც და სათნოებაც. ამიტომ ეს თვისებები მოსინჯვას ითხოვს. ჩვენ ვართ
ნარმომადენებლი, ნაწილი ერისა, რომლის ავკარგიანობაც იზომება იმით,
რამდენად თრგუნავს თავის თავში სისუსტეებს, მდაბალ გრძნობებს და
რამდენად ანიჭებს თავისუფლებას ლირსეულ თვისებებს.

ამბობენ, ცუდი და კარგი ერი არ არსებობსო. ერი ცუდი და კარგი შეიძ-
ლება იყოს იმ თვალსაზრისითაც, თუ რომელ თვისებებს აუხსნა მან კლი-
ტენი. ჩვენ (მე და მე), ამ შემთხვევაში, ვართ ერი, ანუ ერი პერსონიფიცირ-
დება ჩვენში.

ღმერთმა მხოლოდ ერთი ადამიანი შექმნა, მას არ შეუქმნია ხალხები,
ერები. შემდეგ შექმნა ადამიანთა სიმრავლე და ამიტომაც ეს სიმრავლე
ერთი ადამიანის მოდელზეა აგებული. სრულყოფა და ნაკლოვნება ხალ-
ხისა იზომება ერთი ადამიანის პრინციპით, ერთი ადამიანის ნაკლისა და
ლირსების დარად. ამ ნიშნების შენონვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ მათ ლირ-
სებაზე და უღირსობაზე.

ადამიანი სრულყოფილია იმდენად, რამდენადაც ის ფლობს თავის სი-
სუსტეებს.

ნუ იქადნი, რომ სიმართლეს იტყვი, რადგან ადამიანთაგან არავინ იცის,
რაა იგი. შენგან საკმარისია, ტყუილი არ თქვა.

თუ სხვა შენზე უკეთ აკეთებს იმას, რაც შენ გსურს გააკეთო და ამას
აღიარებ, შენს თავზე ერთი გამარჯვება ესაა!

შენი უპირატესობა ისიც შეიძლება იყოს, რომ შენ აღიარებ მის-უპირატესობას.

ნუ დაისახავ მიზნად, იყო ორიგინალური, რადგან ამ სურვილზე არიან მის-უპირატესობას. რიგინალური არაფერია. შენ არ უნდა ეცადო, რომ იყო განსხვავებული და ამით შენი განსხვავება უფრო გამოჩნდება. გამოხატვის ფორმის ძიებაში არ დაკარგო შენი შინაარსი.

შენი გამორჩეულობა შეიძლება სწორედ ის იყოს, რომ შენ არ ხარ გამორჩეული. გამორჩეულობა, პოპულარობა ხშირად ძალიან მავნეა, ლახვრად ექცევა შემოქმედს, ბევრი მათგანი დაუღუპავს პოპულარობას.

თუ შენ გულწრფელად შეიტკბე ის, რომ არ ხარ გამორჩეული, ეს კიდევ ერთი გამარჯვებაა საკუთარ თავზე, იქნებ, საბოლოო გამარჯვებაც, რომელიც სულიერი სიმშვიდის გვირგვინს დაგადგამს.

საერთოდ, შენი რაობა, შენი არსება არ შეიძლება შედარების საგანი გახდეს. შედარებითი სრულყოფა არ არსებობს, მაგრამ შეგიძლია მიაღწიო სრულყოფას მხოლოდ საკუთარ შესაძლებლობებში, ანუ შენ შეიძლება დაემჯობინო საკუთარ თავს.

ამისთვის ღირს ბრძოლა.

25 მაის, 2000

სიმებარის მიებაში



აცხოვნე უფალო, ერი შენი, და აქურთხე
სამკვიდრებელი შენი, ძლევა ჯვარითა
ბარბაროზთა ზედა ღვთიყ დაცულსა ერსა
ჩვენსა მოანიჭე და საფარველსა ქვეშე მისსა
დაიცეს რათა ვიტეოდეთ, უფალო, დიდება
შენდა.

ზორილი პირველი

ერთხელ მწერალთა კავშირის იმუამინდელმა პარტიულმა ხელმძღვა-
ნელმა, ვინმე პოლიკარპოვმა, სტალინს შესჩივლა:

— ამხანაგო სტალინ, ძნელია შემოქმედებით ინტელიგენციასთან მუ-
შაობა: ერთი სვამს, მეორე სეირნობს და დროს ატარებს, მესამე ცუდად
ნერს, მეოთხე, საერთოდ არ ნერს...

რაზედაც სტალინმა უპასუხა:

— ამხანაგო პოლიკარპოვ, სხვა მწერლები მე თქვენთვის არ მყავს,
ისევ ამათთან მოგიწევთ მუშაობა.

(აქვე, მინდა ალვინიშვილი, რომ ამ ნერილის გააზრებისას, ჯერ არ იყო
დაწყებული გახმაურებული დავა მწერალთა კავშირსა და „60 წუთის“ ავ-
ტორს შორის. ეს, უბრალოდ, მექანიკური დამთხვევაა და მას არც პირდა-
პირი და არც ირიბი კავშირი არ აქვს იმ დაპირისპირებასთან.

შესაძლოა, ოღონდაც არა ამ წერილში, გავტედო და გამოვთქვა ჩემი
მოკრძალებული მოსაზრება ამ დავის გამო. ამჯერად კი, ანონსის სახით,
განვაცხადებ ჩემს პოზიციას — ვაღიარებ რა, სიტყვის თავისუფლების პრინ-
ციპს, ჩემი ადგილი მაინც „დამნაშავეთა“ გვერდითაა).

ტოტალურ სახელმწიფოში შემოქმედებითი ინტელიგენციის მოვლა-
პატრიონობა და მართვა არ უნდა ყოფილოყო ძნელი, რადგან იქ, ვისაც
პარტია უბრძანებდა, იმას დააბრალებდა მწერლობას. მაგრამ რას უპი-
რებ ხალხს, მთელ ერს, მით უმეტეს, ნათქვამია, ყოველი ქართველი პოე-
ტია, ხოლო ქართველი პოეტი — ორმაგი პოეტიო.

ვგონებ, არათუ პოლიკარპოვს, თვით დიდ ბელადსაც გაუჭირდებო-
და, ალბათ, ვერც შეძლებდა, ემართა ამგვარი ხალხი და აკი, მან, ამ მხრივ,
აირჩია უფრო იოლი სარბიელი — რუსეთის დიდი იმპერია და წარმატე-
ბულადაც გაართვა საქმეს თავი (პარადოქსული ის არის, რომ ეს უმარ-
თავი პატარა საქართველოც იმ უზარმაზარი იმპერიის კოლონიას წარ-
მოადგენდა).

აქვე მინდა, გამოვთქვა ჩემი საერთო მოსაზრება ადამიანთა მართვის
შესახებ: უფრო ადვილია მართო მთელი პოლკი, ვიდრე ხუთი სტუდენტი.

* * *

ამ ათიოდე წლის წინათ, მონარქისტების თავყრილობაზე (მაშინ ის ერ-
თიანი პარტია თუ კავშირი იყო), ჩემი გამოსვლა ასე დავიწყე: ბრბოს ბე-
ლადი სჭირდება, ხალხს — პრეზიდენტი, ერს — მეფე... ხოლო მერე, ისე
გამიჭიანურდა სიტყვა, რომ აშკარად მოვაბეზრე თავი ყველას. მას შემ-
დეგ, ვერიდები საჯარო გამოსვლებს და შეძლებისამებრ ვცდილობ, შინ
ვიჯდე, რაც შედარებით უკეთ გამომდის. აქვე ვჩეკარობ (ალბათ, ძალზე
ნაადრევად), გავცე ჩემი ნატვრა, ვიხილო სამშობლო, რომლის სახელმწი-
ფოებრივი წყობა კონსტიტუციური მონარქია იქნება. მაგრამ ისიც მესმის,
რომ იქამდე აუცილებელი, რთული და ძნელი გზა გვაქვს გასავლელი.

ახლა კი ოცნებასა და ნატერას თავი დავანებოთ და ჩვენი სათქმელის
კონტექსტში არცთუ ისე სახარბიელო რეალობას დავუბრუნდეთ.

ვინა ვართ, რანი ვართ?

საქონის განვითარების
მიზანისთვის

ბრძო, ხალხი თუ ერი? და აქედან გამომდინარე, ვინ გვჭირდება: ბე-
ლადი, პრეზიდენტი თუ მეფე? (თუმც ვერ დავიფიცებ, რომ ამგვარი დაწყ-
ვილება სწორია და მართებული.)

გულახდილად გეტყვით: პირადად, მე ძალიან მიჭირს განვსაზღვრო,
თუ სად იწყება ერი და სად მთავრდება იგი, ანდა, რა არის ხალხი, ან რა
არის ბრძო. ვიცი მხოლოდ, რომ სამივე ეს კატეგორია ადამიანთა სიმ-
რავლეს აღნიშნავს.

ჩვენში დღეს ეს სამივე რაობა ისეა ერთმანეთში არეულ-დარეული, რო-
გორც ფერადი ძაფების გორგალი, როდესაც გინდა, განვალო-გამოაცალ-
კევო ყოველი ფერის ძაფი, მაგრამ მოთმინება არ გყოფნის და თავს ანებებ
ამ საქმიანობას, რადგან გენანება, მოკლე-მოკლედ არ დაწყვიტო ძაფები.
ისე კი, ძაფებს ფერით მაინც გამოარჩევ, მაგრამ რას უზამ ადამიანებს,
როგორ დაახარისხებ მათ, რა ნიშნით, რა შეძახილით. ისიც კი ძნელია, დაად-
გინო, ამ სამიდან თავად რომელს ეკუთვნი...

იქნებ, ყოველი მათგანი სიტუაციით ვლინდება.

ამასთან დაკავშირებით, მინდა, მოვიტანო ჩემი პირადი „არქივიდან“
ერთი მოგონება. თითქოს განგებით, დიდი ხნის წინათ, მოვხვდი თბილისის
„დინამოსა“ და ვოროშილოვგრადის „ზარიას“ მატჩზე. იქ ჩემი თვალით
დავინახე, ერთმა უსამართლო სასტენმა როგორ აქცია ხალხი ბრძოდ. ყო-
ველი ცდა მისი დაშვიდებისა, ცეცხლზე ნავთის დასხმას ჰგავდა. არავინ
იცის, რით დამთავრდებოდა ყოველივე, რომ არა ედუარდ შევარდნაძის
გამოჩენა სტადიონზე: იგი ცარიელი ხელებით, თითქმის სრულიად დაუც-
ველი აღმოჩნდა ამ ბრძოში, მერე მის სათავეში მოექცა და ხალხი სასწაუ-
ლებრივად გაიყვანა მოედნიდან. სტადიონიდან გამოსულს შემხვდა ჩვენი
შესანიშნავი ფილოსოფოსი ზურაბ კაკაბაძე, რომელმაც შეშფოთებით მითხ-

რა, უკვე აღარ ვიცი, ვისი უნდა გეშინოდესო. მერე გავიგე, ჩემი მეგობარი
რეზო ყარალაშვილი შემთხვევით გადაურჩა ჩაქოლვას, რადგან გამძინ-
ვარებულ ბრბოს ის რუსი ეგონა.

თე რიცხვი და
გიგანტის გადა

რად უნდა სჭირდებოდეს ხელისუფალს ამგვარი გმირობა? განა, პა-
სუხისმგებლობა მხოლოდ გმირზეა? ხალხი რას აკეთებს ამ დროს? სა-
დღაა მისი პასუხისმგებლობა?

რაც შეეხება გმირის პასუხისმგებლობას, მრავალს შეუძლია აქციოს
ხალხი ბრბოდ, ხოლო ბრბოს ქცევა ხალხად მხოლოდ ერთეულებს ძალუდთ.

ახლა, პოლკისა და ხუთი სტუდენტის შესახებ.

იცოცხელე, კარგია სტუდენტიად ყოფნა, ბევრად ჯობს პოლკში ერთ უსა-
ხო ჯარისკაცობას. არც ბრძანების მონა ხარ, შეგიძლია, საკუთარი აზრიც
გქონდეს და საჯაროდაც გამოთქვა. მშვენიერია, აგრეთვე, თუ სხვა ოთხ-
საც განსხვავებული აზრი აქვს. თქვენ იტყვით, რა სჯობს მრავალფეროვ-
ნებას, მაგრამ, საბედნიეროდ თუ სამწუხაოოდ, იქ მხოლოდ ერთი სიმარ-
თლე შეიძლება იყოს, ერთი მყარი ადგილი. ამის გათვალისწინებით, თუ
ვინმე ეტყვის სტუდენტს, რომ ახლა მისი საჯაროობისთვის შეუფერებელი
დროა, ისიც მოითხოვს სიტყვის თავისუფლებას, მოაწყობს აქციებს, დაი-
წყებს შიმშილობას და მთელი მსოფლიო გაიგებს, რომ მას ზღუდავენ, ამოქ-
მედდება შესაბამისი ორგანიზაციები და ისინიც, თავის მხრივ, მართალი
არიან. არ უნდა შეიზღუდოს სიტყვის თავისუფლება, ყველას უნდა ჰქონ-
დეს უფლება, გამოთქვას თავისი აზრი. მაგრამ სწორედ აქ არის დამღუ-
ველი შეუსაბამობა. თუ აზრთა სიმრავლე არ მიიმართება ერთიანი სასი-
ცოცხლო აზრისაკენ, ეს უკანასკნელი შეიძლება, ჩაიკარგოს განსხვავებულ
აზრთა ქაოსში. მაშინ, ეს შენი პლურალიზმი უქმი თამაშია.

ერთიც: ცივილიზაციული სიტყვების კორიანტელი — აქცია, პლურა-
ლიზმი, ბოკოტი, მიტინგი, დემონსტრაცია, ვერ დაფარავს ბრბოს რაო-
ბას, თუნდაც ეს ბრბო ინტელექტუალთა ერთობა იყოს.

ახლა ხალხსა და ერს შორის განსხვავების შესახებ.

ზურაბ კიკნაძემ ერთობ საინტერესო პასუხი გასცა ჩემსავე შეკითხვას: რა უნდა ერს, რა უნდა ხალხს, რა არის კეთილდღეობა, როგორ ესმის ეს ერს და როგორ ესმის ეს ხალხს?

— „სხვაა ერი და სხვაა ხალხი? თუ სხვადასხვაა, ერი — „ზეხალხური“ მეტაფიზიკური რაობა იქნება, უფრო მდგრადი და ის ქმნის სულიერ კულტურას. ხალხი კი ემპირიული რაობა იქნება, ის კეთილდღეობისაკენ მიისწრაფის, ყოველდღიურობით ცხოვრობს.

ერმა, როგორც ზეხალხურმა რაობამ, შეიძლება ხალხს დაათმობინოს კეთილდღეობა მასზე უფრო მაღალი ამოცანების განსახორციელებლად. ემპირიულად ხალხი მოკლებულია ასკეტურ იდეალებს, „სოფლის თმბას“, როგორც რუსთაველი ამბობდა. კულტურა კი, რასაც ერი ქმნის, როგორც თავის ნივთიერ სულიერ გამოხატულებას, ასკეტური მოღვაწეობის ერთი სახეა...“

აქვე მინდა მოვიტანო ზურაბ კიკნაძის პასუხი მეორე კითხვაზე — რას ნიშნავს „ხალხი ბრძენია“?

„ეს კერძო შემთხვევაა დებულებისა „ხმა ლვთისა — ხმა ერისა“. ხალხი, თუნდაც ერი, არ არის პიროვნება, ბრძენი იყოს და სწორი არჩევანი გააკეთოს, ეს ადამიანს მოეთხოვება. ხალხი ბევრჯერ ცდება, მაგრამ კრიზისულ ჟამს ხალხს შეიძლება მართავდეს ლვთის ხმა, როგორ, რა გზით, გამოუკვლეველია“.

ზურაბ კიკნაძე დებულებას „ხმა ლვთისა — ხმა ერისა“ განიხილავს, როგორც ხალხის სიბრძნეს კრიზისულ ჟამს. ჩვენი პატრიარქი სინერგიას უწოდებს, როცა ხალხი აგრძელებს ლვთიურ ჩანაფიქრს.

დავძენდი, ხალხი კი არ არის ბრძენი, არამედ, ხალხში არიან ჯერ კიდევ გამოუკლენელი მღვდელი თევდორე, ილია, აკაკი, ვაჟა, ნიკალა, 300 არაგველი, 6000 გარეჯელი ბერი, 100 000 მონამე და ასე შემდეგ. ყოველი ამათგანი არის შეუცვლელი პიროვნება ლმერთის ნინაშე. და ჩვენც, ჩვენი შესაძლებლობისამებრ, უნდა ვეძებოთ და აღმოვაჩინოთ საკუთარი თავი

მათ შორის, ვისაც უყალიბდება გარკვეული შეფასებანი ამა თუ იმ მოვლენაზე და ყოველ ფალკეულ პიროვნებაზე და არ გამორჩებათ არც ერთი ნიუანსი, არც ერთი უქმად, პოპულისტურად ნათქვამი სიტყვაზე არც ერთი უსამართლო ან სამართლიანი დამოკიდებულება, არც ერთი უანგარო თუ ანგარებიანი ინტონაცია და მათ ბევრი დრო აქვთ, მანამ თავის სიტყვას იტყოდნენ. რაც უფრო „ნელ ცეცხლზე“ გამოიწრობა მათი შეხედულება-ნი და შეფასებანი, მით უფრო ლირებული იქნება ისინი. და ეს არის კიდევ ერთი სიმყარე.

ქაოსი, რომელშიც ამჟამად ჩვენ ვიმყოფებით, მხოლოდ ჩვენი ბრალი არ არის. ჩვენს ხალხს უამრავი სახადი ერთბაშად შეეყარა, არადა, მათ-გან თითოეული შეიძლებოდა საბედისწერო გამხდარიყო. ჩვენი ბრალი აქ ის არის, რომ მათ ჩვენ ვერ ვუვლით, როგორც სახადს, ბატონებს, ვერ ვუქმნით მშვიდ გარემოს და ვერც „ვუგალობებთ“. პირიქით, ვაავებთ ჩვენი დაპირისპირებით, ხმაურით.

ეს სახადი უამრავია: სოციალური წყობის შეცვლა, მოპოვებული დამოუკიდებლობა, თავისუფლება მრავალი მიმართულებით, პლურალიზმი, კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების მწვავე პროცესი, ეთ-ნიკური პრობლემების დამოუკიდებლად რეგულირება, ძველი და ახალი მენტალიტეტის დაჯახება, უსამართლო წართმეული ტერიტორიები, ორიენტაციის მკვეთრი შეცვლა, მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობის მოგვარება, სარწმუნოებრივი ექსპანსიები, მეგობრებისა და მტრების გარჩევის სიძნელე, გეოპოლიტიკური მდგომარეობის სირთულე და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ. ყოველივე ამას, ამ ქაოსურ მდგომარეობას ძნელია მოუქებნო საერთო მაჩვენებელი, ერთიანი საყრდენი, რომელიც ჩვენ ჩვენსავე თავში უნდა ვიპოვოთ. რადგან ჩვენ თუ ასეთი საყრდენი შინ ვერ ვიპოვეთ, მაშინ, ბუნებრივია, „მეგობარი“ ქვეყნების სიძლიერეში უნდა ვეძიოთ ახალი „მფარველი“, ანდა ძველს დავუბრუნდეთ.

ნუთუ ჩვენ შინ ვერ ვიპოვნეთ ის კლდე, რომელზედაც ავაშენებთ ჩვენს
სახლს, სახელმწიფოს? მაშ, რისი მაქნისია, რომ ვზეიმობთ ჩვენი სახელ-
მწიფოებრიობის 3 000, ხოლო ქრისტიულობის — 2 000 ნელს, თუ არც ერთ-
თმა და არც მეორემ არავითარი კვალი არ დატოვა ჩვენს ცნობიერებაში,
უგულებელყოფით ათასწლოვანი გამოცდილებანი და დღევანდელი, ოლონდ
არასაკუთარი შეხედულებებით და პრინციპებით ვაპირებთ ცხოვრებას. დღე-
ვანდელი საქართველო უნდა იყოს ლოგიკური შედეგი მისი განვლილი გზისა.
ეს იქნება შეუცვლელი სიმყარე. ამას ვეძებ, ამის დეფიციტი მანუხებს. ამ-
გვარი სიმყარის უარყოფა, ეს არ არის პოლიტიკური განვითარება.

როგორც პოლიკარპოვს ეუბნება სტალინი, ჩვენ არ გვყავს სხვა მწერ-
ლებიო, ჩვენც არ გვყავს სხვა ხალხი. სწორედ ამ არეულობაში, რომელიც
ქაოსურია ცნობიერების თვალსაზრისით, ამ ქაოსში არის ყველა ელემენ-
ტი, ოლონდ, საჭიროა მათი დალაგება, კოსმოსად ქცევა.

როცა ჩვენ ვლაპარაკობთ, რომ არსაიდან ჩანს ნათელი სხივი, უნდა
ვაღიაროთ, რომ ეს ღვთის ნებაა და მისი ნების გარეშე ჩვენ ვერაფერს
გაფხდებით. და მაინც, უფალი ჩვენთანაა. ახლა საქმე ჩვენზეა.

თერილი გეორგი

პირველ წერილში ვწერდით: ქაოსი, რომელშიც ამჟამად ვიმყოფებით,
მხოლოდ ჩვენი ბრალი არ არის. ჩვენს ხალხს ერთბაშად უამრავი „სახადი“
დაატყდა. ამ ქაოსურ მდგომარეობას ძნელია მოუქებნო საერთო მაჩვენებ-
ლი, რომ მერე, თავდასალნევად, საყრდენს მიაგნო. საყრდენი უცილობლად
ჩვენსავე თავში, შინ უნდა ვიპოვოთ. სხვაგვარად, ისევ სხვისი მოიმედეობა
მოგვინევს. სახადთა სიმრავლეში მოიაზრება მზაობაც ციცილიზაციის ყო-
ველგვარი მონაპოვრის მისაღებად, მეტიც, მათ დამკვიდრებაში ქვეყნის
მომავალი საყრდენის ჭვრეტა. ვშიშობ, ამგვარ მცდელობებში ჩვენი ქვეყა-

ნა არ დაემსგავსოს პატარა პლანეტას ეგზიუპერის „პატარა უფლისნული დან“, რომელზედაც აღმოცენდა ბაობაბის ნერგი, გაიზარდა, იქცა დიდ ხედ და მისმა ფესვებმა საბოლოოდ დაშალა პლანეტა. მარწევები გეგული და მისმა ფესვებმა საბოლოოდ დაშალა პლანეტა.

დღევანდელი და მომავალი საქართველო უნდა იყოს ლოგიკური შე-დეგი მისი განვლილი გზისა. ამაში მდგომარეობს შეუცვლელი სიმყარე. ამ გზაზე ჩვენი სიმყარის ბურჯებად ენა, მამული და სარწმუნოება იდგა. ეს ის სამი ტიტანია, რომელზედაც დამკვიდრებულია ჩვენი ეროვნული მეობა, სახელმწიფოებრიობა და სულიერი მთლიანობა. ამ სამი ბურჯი-დან რომელიმეს ჩანაცვლება, უპირობოდ, შეუძლებელია, რადგან ეს, ასევე უპირობოდ, შედეგად საქართველოს არყოფნას მოყოლიერის.

რამდენად მტკიცედ გვეგულება დღეს თითოეული ამ სამ სიმყარე-თაგანი?

ენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ერთიანი ცნობიერების ჩამოყალი-ბების საქმეში. იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“ უზარმაზარი ტირაჟით — 400 ათას ცალად გამოდიოდა და ეს იყო ნინაპირობა იმისა, საქართვე-ლოს კველა კუთხეს მიწვდომოდა ერთიანი ცნობიერება, როგორც ერ-თიანი სტანდარტი, ათვლის საყოველთაო ერთეული. ეს არ იყო მხოლოდ პორიზონტალური ცნობიერება, ის იყო ვერტიკალურიც, მამა-პაპიდან მო-დიოდა და შვილს გადაეცემოდა.

ქართველი მუდამ იბრძოდა ენის გადარჩენისთვის. უახლოეს მაგალი-თად 1978 წლის 14 აპრილი კმარა, როცა ხალხისა და ხელისუფლების ერ-თნებობამ საუკეთესო შედეგი გამოილო — ქართულ ენას კონსტიტუციუ-რი უფლება შეუნარჩუნდა.

რა ხდება ახლა, თავისუფალ საქართველოში? ენის განვითარებას და სიმტკიცეს, თითქოს, აღარანაირი საშიშროება არ ემუქრება. ამიტომ ჩვენი სიფრთხილეც მოდუნდა. სინამდვილეში, ის არასახარბიელო მდგო-მარებაშია. ახალმა ორიენტაციებმა, პრაგმატულმა ინტერესებმა მისი

ფუნქციური მნიშვნელობა დააკნინა. კომპიუტერული ტექნიკის დამკვიდრებამ, უცხოეთთან ურთიერთობის გააქტიურებამ, საერთაშორისო და უცხოური ორგანიზაციების შემოსვლამ, თავისთავად წარმოშვარი განვითარების სური ენის ცოდნაზე დაკვეთა. დაკვეთა მიიღო მშობელმა, განათლების სისტემამ, რომ მომავალი თაობის განსწავლაში ინგლისურს პრიორიტეტი მიანიჭონ. სამწუხაროდ, ეს ზრუნვა მშობლიური ენის ხარჯზე ხდება, რადგან მისი, ასე ვთქვათ, გამოყენებითი ფუნქცია დაკნინდა. ამ პროცესში ძალდატანება შეფარულია, ნებაყოფლობა და თავმიცემა — თვალსაჩინო.

მაშინ, როცა ოციოდე წლის წინათ, იგივე საზოგადოება ენის გადასარჩენად ფიზიკური თავგანწირვისთვისაც კი მზად იყო.

კაცობრიობის ისტორიაში არსებობს ანალოგები. მაგალითად, როდესაც ირლანდია თავისუფლებისთვის იბრძოდა, იბრძოდა თავისი ენის გადასარჩენად. დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე, პრაგმატულ საფუძველზე, მშობლიურმა ენამ მეორე პლანზე გადაინაცვლა.

ენის პრესტიჟის გადარჩენის დასტურად ვერ მივიჩნევთ, ერთი შეხედვით, ამ პრეტენზიის გამაბათილებელ ფაქტებს. კერძო შემთხვევაში: ხდება სერიალების გადმოქართულება, მაგრამ ამ „ზრუნვას“ სულ სხვა ობიექტი აქვს — ქართულივე ენით ყოველივე ქართულის დავინუება და წაშლა, ქართული ენა ამ შემთხვევაში თვითგანადგურების იარაღია.

ასე რომ, ამ ბურჯვე თავისი კუთვნილი ადგილის დაბრუნება, ზრუნვა და განმტკიცება სჭირდება.

მამული ის საყრდენია, რომელსაც ქართველისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მამულს დაუფლება სჭირდება. სამხედრო წესების მიხედვით, მიწის კაპიტულაციისთვის არ არის საკმარისი მისი ჰაერიდან დამორჩილება. მიწის დაუფლება ფაქტიად იქცევა მაშინ, როცა მას ჯარისკაცის ფეხი შეეხება. შეიძლება, უხერხული შედარებაა, მაგრამ ასე-

თივეა საკუთარი მიწის დაუფლების მექანიზმიც, თუ მასზე არ ხარ, მი-
ნასთან არ ურთიერთობ, ფაქტობრივად, ის შენ არ გეკუთვნის.

ქართველი ხალხი ინარჩუნებს ადამისა და ნოეს დროინდელ ურთიერთობის
ბებს მიწასთან. ის ინარჩუნებს პირველსახეს, რაც უდიდესი ღირებულებაა.
გლეხის, რომელიც ცოცხალი ხატებაა პირველსახისა, საქმიანობა წარიმარ-
თება ყოველმხრივ, გონებრივადაც და ფიზიკურადაც. საქართველო მთელი
თავისი მენტალიტეტით არის დაკავშირებული მიწასთან. ჩვენი ინტელიგენ-
ციაც — ილია, ილიამდელიც და მისი შემდგომიც, მიწასთან მდგომი ხალხია.

აქედან გამომდინარე, ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ჩვენი სოციალური
საფუძველი იყო გლეხი. საერთოდაც, მხოლოდ მას აქვს შესაძლებლობა,
თუ გნებავთ, მოწოდება, ამ სამივე ბურჯის დამცველი იყოს. ის ხელით,
უშუალოდ არის დაკავშირებული მიწასთან. ეს ურთიერთობა არ არის მხო-
ლოდ ეკონომიკის საფუძველი, ეს არის ეროვნული მეობის, ეროვნული თვით-
შეგნების გამომხატველი. გლეხებმა გადაარჩინეს, შეინარჩუნეს ეს ურთიერ-
თობა, მაგრამ ამჟამად ისინი თავად არიან მივიწყებულნი, დაწუნებულნი.
მათი საქმიანობა არ არის აღიარებული საფუძვლად. მათ არ აქვთ მინიჭე-
ბული ის ჭეშმარიტი ღირებულება, რაც სინამდვილეში გააჩინათ.

ფერმერული ფორმა მეურნეობისა არ ატარებს ეროვნულ ნიშანს, ხა-
სიათს. ფერმერობას კი არ ვუპირისპირდები, იმის თქმა მინდა, რომ ჩვენს
მცირემინიან ქვეყანაში გლეხი უნდა იყოს დაკავშირებული მიწასთან,
ტყესთან. გლეხის კარ-მიდამო იდენტიფიცირებულია მამულის ცნებასთან,
როცა ის იცავს თავის კარმიდამოს, იცავს მამულსაც და პირიქით, როცა
იცავს მამულს, იცავს თავის ეზო-კარს. ეს მთლიანობა მყარია.

მამულის დაუფლებისთვის დიდი დაბრკოლებაა თბილისიც. ის შეიძ-
ლება შეგადაროთ მანკიან, გასიებულ გულს, რომელიც პერიფერიებს
სისხლს ვერ აწვდის. თბილისში უსაქმოდ არის დარჩენილი მოსახლეობის
დიდი ნაწილი, მაგრამ ამაში სახელმწიფოს და ხელისუფლებას ვერ და-
დანაშაულებ. დამნაშავეა პირადი ინიციატივა, სურთ მიიღონ ის, რასაც


აქ ვერ მიიღებენ. როცა ინგლისში ანალოგიური პრობლემა დაფგა, გადა-
სახლდნენ კანადაში, ავსტრალიაში, რომ მათი ენერგია იქ ამოქმედებუ-
ლიყო. ჩვენთან კი პირიქით, ხდება ჩახარშვა ამ უსივრცო გარემოში ამ-
მიზეზითაც ვერ ვფლობთ მამულს და ეს საყრდენიც სუსტდება.

აქედან იღებდა სათავეს ჩვენი გულუბრყვილო ცდა, ჯერ კიდევ კო-
მუნისტების დროს, სოფლების, პოლისების აშენებისა. არ შემიძლია, არ
გავიხსენო მაშინდელი რაიკომის მდივნის ომარ ელოშვილის ვაჟუაცური
მხარდაჭერა, როცა გადავწყვიტეთ, ქალაქიდან წავსულიყავით და სოფ-
ლად დავმკვიდრებულიყავით. მაშინ ნამდვილად ენერა ამ იდეას განხორ-
ციელება, ანუ ტოტალურ სახელმწიფოში ჩვენ შეგვეძლო ამის რეალიზე-
ბა უკეთ, ვიდრე დამოუკიდებლობის პირობებში.

ამაზე ფიქრია საჭირო, რადგან მამული, მინა ქვეყნისთვის შეუცვლე-
ლი ბურჯია და საქართველო მას არ უნდა მოსწყდეს. მერე ამ ერთობ-
ლიობის ფუნქციას ველარაფერი შეავსებს.

ახლა, რაც შეეხება სარწმუნოებას. ალენიშნავთ ქრისტიანობის სახელ-
მწიფო რელიგიად გამოცხადების 1700 წელს. ეს საკმაოდ დიდი დროა და
ჩვენი ცნობიერება მართლა ქრისტიანობის პირობებში ჩამოყალიბდა. ჩვე-
ნი ხსნა მასშია.

ჩვენს ისტორიაში მართლმადიდებლობის შუქით არის გაუღენილი, გა-
ნათებული ყველაფერი. ამას იმიტომ ვიხსენებ, რომ საქართველოში მარ-
თლმადიდებლობის მიმართ დღვევანდელი დამოკიდებულება არის სავალა-
ლო. მინდა მივუბრუნდე ჩვენი ისტორიის „ოქროს ხანას“; იმის დასტურა-
დაც თუ რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენთვის სარწმუნოება. იმ პერიოდში
აღინიშნებოდა სახელმწიფოსა და სარწმუნოების თანადგომა და ჩვენს
ეროვნულ ცნობიერებაში ეს არის ყველაზე სრულყოფილი ხანა, რადგან
სამივე ელემენტი — ენა, მამული, სარწმუნოება იყო ერთად და ყველამ
არაჩვეულებრივი, თავისთავადი შედეგი მოგვცა.

ისტორიაში არ არის სწორად შეფასებული ერეკლე მეორის ლვან ლი.
მას აყვედრიან, რომ რუსეთს გამგებლობაში ჩააბარა საქართველო. მან
რუსეთს კი არ ჩაგვაბარა, არამედ თავისი ქვეყანა და თავი  ლმერთს რუსეთის საფარქვეშ. შემდგომი შედეგი, რომ ჩვენ გაგვიუქმეს
ავტოკეფალია, ეს უკვე რუსეთის ცოდვაა. ეს ისტორია ძალიან მაგონებს
იობის ტანჯვის ამბავს, რომელმაც დაკარგა ყველაფერი, გარდა რწმენი-
სა. ჩვენც დავკარგეთ მამული, ენა, მაგრამ რწმენა გადარჩა. არჩევანი
სწორი იყო. ჩვენში გადარჩენილ რწმენას უნდა გადავერჩინეთ. რწმენის
წყალობით, ყველაფერი გადავირჩინეთ. ლმერთმა დაკარგული მამული აღ-
გვიდგინა (რაც დაკარგული გვაქვს ეს დროებითია), ენაც აღგვიდგინა.
ამიტომ ამ საყრდენს, ამ ბურჯს უპირველესი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ
ის ჩვენში უგულებელყოფილია დღეს. რასაკვირველია, ეს „სახადები“ —
ეს სარწმუნოებრივი ექსპანსიები დიდ გავლენას ახდენს, მაგრამ სინამ-
დვილეში ყველაფერი ჩვენი ბრალია. ჩვენ არ ვართ მყარად მართლმადი-
დებლურ რწმენაში, თორემ ასეთ ცდებს რწმენაში სიმტკიცით გავუძლებ-
დით. შენ შეიძლება დაიღუპო, მაგრამ დაიღუპო ბრძოლაში, არ დანებდე.
ეს არ ნიშავს დამარცხებას.

დღეს ჩვენი ეკლესია მიაგავს თავსაფრიან დედაკაცს, უარყოფილს თა-
ვისი შვილების მიერ თავისი თავსაფრიანობისა გამო. დედობილებსა და
დედინაცვლებს ეძებენ ამ თანამედროვე, მოდერნიზებულ რელიგიებში. ეს
დამლუპველია საქართველოსთვის. ეკლესიასა და სახელმწიფოს ურთიერ-
თობა დაკავშირებულია დემოკრატიის საკითხთან. დემოკრატიამ მოიყო-
ლია იდეა, რომ ყოველი კაცი თავის თავის მოძღვარია. ამიტომაც ხდება
ადამიანების დაქსაქსვა. მართლმადიდებლობა, უპირველესად, აღიარებს
ადამიანების თავისუფალ ნებას, მაგრამ ეს უნდა იყოს გააზრებული. ამაში
ეკლესია ებმარება ადამიანებს. ძნელია თავისუფლების ატანა, უფუნქციონ-
ბისა და უსაქმურობის ფონზე. შევეხოთ ერთ მაგალითს. ჩინეთში პრობლე-
მაა მრავალშვილიანობა და ამას არეგულირებენ. ჩვენში, პირიქით, დემოგ-

რაფიული პრობლემა გვაწუხებს და სახელმწიფომ უნდა წარმართოს დე-
მოგრაფიული პოლიტიკა. დღევანდელი ტენდენცია, ზნეობის თვალსაზო-
სით, არის ძალიან საეჭვო, რადგანაც, საერთოდ, ქალისა და კაცის ლტოლება
ვა არის მემკვიდრეობის გაჩენისთვის და არა იმისთვის, რასაც დღეს პრიო-
რიტეტის ანიჭებენ. ამ ლტოლვის გამართლება არის შთამომავლობა და არა
გარყვნილობა და სექსუალური თავისუფლება. აბორტის პრობლემაზე მო-
გახსენებთ. შობადობა ჩვენში კანონით კი არ უნდა რეგულირდებოდეს,
არამედ სინდისით. ყოველ შემთხვევაში, აქეთ უნდა იყოს მიმართული ეროვ-
ნული ტენდენცია.

მოვიყვან ერთ მაგალითს. თხუთმეტ წელიწადზე მეტხანს ვიყავი მიხეილ
ტვერელის სახელობის ეკლესიის მრევლი. ეს იყო ჩემი ეკლესიური ცხოვრე-
ბის საუკეთესო წლები, რადგან ვხედავდი, ვაკვირდებოდი მრევლს, რო-
გორ მოდიოდნენ ადამიანები, როგორ ქმნიდნენ ოჯახებს, როგორ მრავ-
ლდებოდნენ, მახსოვს ფეხმძიმე ქალის ლოცვები, მერე იბადებოდნენ ბავ-
შვები და ეს ყველაფერი ხელისგულზე იყო. თუ ჩვენ გვინდა, ჩვენი სახელ-
მწიფოებრიობის მთავარი უჯრედი — ოჯახი გადარჩეს, ახალგაზრდებმა
ცოლები კაფე-ბარებიდან კი არა, არამედ ეკლესიიდან უნდა მოიყვანონ.
ვაკვირდებოდი, დადიოდნენ მხატვრები, მეცნიერები, სხვადასხვა ხალხი...
ჰყავდათ მრავალშვილიანი ოჯახები, ვხედავდი ჩვილის ეკლესიად მოყვა-
ნას, პირველ ზიარებას და ასე შემდეგ. ეს ჩვენი მრევლი, როგორც მთლია-
ნად საქართველო, სრულიად განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებე-
ბის ხალხისგან შედგებოდა, მაგრამ ეს არანაირად არ უშლიდა ხელს ჩვენს
მთლიანობას, რადგან იქ გაცილებით მაღალი საფუძველი გვქონდა. ეს იყო
ნამდვილად უდიდესი სულიერი ზეიმი და ეს იყო რეალობა, არა გამოგონი-
ლი ან შეთხული, არა დადგმული ან ნაძალადევი.

ამიტომაც მინდა ვთქვა, რომ რწმენის გაუფასურება დაუშვებელია, ამით
შეველევით იმ საყრდენს, რომელმაც საუკუნოვანი სიმყარე უნდა გაგვიგ-
რძელოს.

ჩვენი ხსნა რწმენაშია.

ერთი მეგობარი შშენებლისგან მომისმენია: ადრე, შენობის საძირკველს
რომ ჩაასხამდნენ, ნლობით მიატოვებდნენ, რომ მისი საიმედოობრი გამოვ-
ცადათ, მერელა იწყებდნენ და შენებას. ეს საძირკველი იფარებოდა და ყვე-
ლას ავინწყდებოდა იგი, გარდა იმ შშვენიერი ნაგებობისა, რომლის სიმყა-
რეც მასზე წამოიმართა.

ჩვენ ასეთი საძირკველი გვაქვს, თანაც, მრავალგზის გამოცდილი, საი-
მედო, ულალატო.

23 ივნისი, 21 ივლისი, 2000

სიღარიბე და სიმღიდოებები

ვიკიპედია
გენეტიკის განვითარება

ნეტარ არიან უოველნი, რომელთა ეშინის
უფლისა, და რომელნი ვლენან გზატა
მისთა. ნაშრომი ნაუთითა შენთაი შეამო
შენ, ნეტარ იუო და კეთილი გეეოს შენ.

ცოლი შენი ვითარცა ვენახი მსხმოი კიდეთა
სახლისა შენისათა, შეიღნი შენნი ვითარცა
ახალ-წერგი ზეთის-ხილისანი გარემოს
ტაბლისა შენისა. აჲა, ესერა ესწეო
იკურთხოს კაცი, რომელსა ეშინოდის
უფლისა. გაკურთხოს შენ უფალმან
სიონით, და იხილო შენ კეთილი
იერუსალიმისაი უოველთა ღღეთა
ცხოვრებისა შენისათა. და იხილე შენ
შეიღნი შეიღთა შენთანი. მშეიღობაი
ისრაელსა ზედა.

ფსალმუნი 127

ეპიგრაფად ეს ფსალმუნი მთლიანად იმიტომ მოვიშველიეთ, რომ არ
მეგულება უფრო სრულყოფილი ფორმულა ოჯახური ბედნიერებისა.

აქ არაფერია ნათქვამი სიღარიბესა და სიმღიდოებზე, რაც, თავის მხრივ,
ადასტურებს, რომ ეს ცნებები ერთობ პირობითია.

მგონია, რომ დღეს საქართველოში გაცილებით მეტი ფულია, ვიდრე
ოდესშე ყოფილა. ამასთანავე, მეორე მხრივ, აქ უკვე ორჭოფობის გარეშე,

თვალნათელია, რომ სიღარიბე არასოდეს ყოფილა ასერიგად დამთრგუნ-
ველი და შეურაცხმყოფელი, ვიდრე დღეს არის.

საქართველო, ქართველი კაცი, ძირითადად, ისტორიულადაც არ გამოიყენებოდა მატერიალური სიმდიდრისაკენ ლტოლვით. ჩემი აზრით, ეს მსოფლმხედველობიდან უფრო მომდინარეობს, ვიდრე უუნარობით, თუნდაც სიმდიდრის დაგროვების თვალსაზრისით, რადგან ქართველი კაცის ბუნების ჩამოყალიბებაში განმსაზღვრელი როლი ქრისტიანობამ ითამაშა.

მაგალითად მინდა მოვიტანო ჩვენი არქიტექტურა: ცოტა ერს თუ მოეპოვება ისეთი შესანიშნავი ტაძრები და ეკლესია-მონასტრები, რომელნიც მრავლად შემორჩია ჩვენს კურთხეულ მინას, ისეთი მყარგალავნიანი და მტკიცე და მიუვალი ციხე-კოშკები, რომლებმაც საუკუნეებს გაუძლო, ისეთი საოცრებანი, როგორიც უფლისციხეა და ვარძია. ამ ფონზე, დამაფიქრებელია, რომ საქართველომ არ შემოინახა საერო ნაგებობათა ნიმუშები. რამ განაპირობა ამგვარი კონტრასტი? უნდა ვიფიქროთ, რომ ქართველ კაცს კარგად ესმოდა, რომ ის დროებითაა ამ საწუთოობი. ამასვე ადასტურებს ძველი საფლავები — უბრალოდ გათლილი ლოდები და სულაც დიდი დავითის საფლავი.

უბრალოება, სისადავე და სულის ზეობა.

დღეს კი განარმართებული ძვირფასი აკლდამები და სულის უბად-რუკობა.

სად არის აქ სიღარიბე ანდა სიმდიდრე? რომელია ამათში პირველი და რომელია მეორე?

თითქოს დღევანდელობაზეა ნათქვამი ათი საუკუნის წინათ ნათქვამი სიტყვები: „ძველი ადამიანი თავის საგანძურს თავის თავში ინახავს და ატარებს, ახალი კი — გარეთ“ (სიმეონ ახალი ღვთისმეტყველი).

აქვე მახსენდება მეორე მსოფლიო ომის პერიოდი, როდესაც ჩვენ ყველანი ვიყავით გარკვეულად თანაბარ გასაჭირსა და სიდუხჭირეში და მაშინ კიდევ უფრო ნათლად იხატებოდა უმთავრესი ღირებულებანი: ერთმა-

ნეთის თანადგომა, გაჭირვებაში ხელის გამართვა; გამხნევება და სხვა. იგრძნობოდა, რომ ქართველი ხალხი არის ერთი მთლიანი ორგანიზმი.

დღეს კი, თუ მას კვლავ ერთ ორგანიზმად წარმოვიდგენთ, ერთი განაკვეთი მაძრნუნებელი სანახავია იგი სულიერადაც და ფიზიკურადაც. ჯამბაზივით ნახევარი სხეული დაფარული აქვს ძვირფასი ფარჩა-ატლასით, ხოლო მეორე ნახევარი — ძონძებით, რომელთაგან პირველი ვერ იფარავს თავის სულიერ წყლულებს, ხოლო მეორე — ფიზიკურს.

ეს ის დროა, როდესაც სამოსი უფრო ძვირფასია, ვიდრე სხეული, ხოლო სხეული სულზე მეტად ფასობს.

ნივთიერი სიმდიდრე, რომელიც არ გამოიყენება ერთიანი სხეულის გადასარჩენად, ადრე თუ გვიან მინაში ჩამარხულ ლოდად იქცევა. გავიხსენოთ, თუნდაც, ერთი ბრძნული ქართული ზღაპარი — „ეშმაკის ლაგამი“.

ეშმაკის ლაგამი

იყო ერთი მდიდარი კაცი. აუგარებელი ცხვარ-საქონელი ჰყავდა, ბევრი სახნავ-სათესი ჰქონდა, მაგრამ ისეთი ძუნწი იყო, თვითონაც მშიერ-ტიტული დადიოდა და ცოლ-შვილსაც შიმშილით ხოცავდა. ხომ ისეთი დიდი ფარა დაუდიოდა, მწყემსებს არ დაიჭირდა, ბატქენებს დამიკლავნდა და შემიჭამენო. ეგ კიდევ რაა, კარზე მომდგარი სტუმრის ოჯახში შეუბნას მთლად სიკედლილი კრჩია.

ერთხელ ქვაწვია კაცი მინდორში ცხვრებს მიერკეცებოდა. „უცბად ხე დავს, მგელი მორბის და პირში ეშმაკის შვილი უჭირავს. გადაუდგა კაცი გზაზე, გადმოიღო თოფი, დაახალა მგელს და ეშმაკის შვილი გააგდებინა.

ეშმაკუნამ უთხრა: — რაკი გადამირჩინე, ჩემს დედ-მამასთან უნდა წაგიყვანო, ისინი გადავიხდიან სამაგიერო სიკეთესაო.

არ მოეშვა ეშმაკუნა კაცს. ისიც ადგა, ცხვარს სხვა დაუუკრა და თვითონ ეშმაკის შვილს გაჰყდა. მიდის ეშმაკის შვილი ღადალუდაზე, მიპყვება უკან

ძუნწი, თან შემთხვევაში გული უსკდება, ამ ეჭმაკის ნაშიერზე არ გამოიტყოს და საღმე არ გადამჩირსოს.

გზაში ეშვებუნამ უთხრა: — ჩემს დედ-მამას დიდი სარჩო-საბადებელი
აქც და ოქრო-ვრცელს შემოგაძლევინ, მაგრამ არ აიღო. შექ-უთხარი,
ჩემი ქონება მომჟკით-თქო.

როგორც იქნა, მიაღწიეს ეშმაკის სახლს. ეშმაკუნამ მშობლებს უთხრა:
— მგელი შეტმას მიპირებდა და ამ კაცმა გადამარჩინაო. სიხარულით
შეგვდნენ ეშმაკები მეცხვარეს, ოქრო-ვერცხლით საკუ ოთახში შეიყვა-
ნეს — რამდენიც მოგესურვება, იმდენი წაილე.

სული მისდის ძარჩს, უნდა აქოფოს ეს ოქრო-ვერცხლი, ეშმაკუნა კი
თვილს უშეირება.

— წაიღე, რალას დგახვარ! — აძალებენ ეშმაკები.

ԺԱՆԻԿԻ ՊՐԵՄԻ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ԱՐ ՈՂՋԻՑ.

— მაში, გვითხური, რაც გინდა და შენთვის არაფურის დაგიშურებოთ.

— ჩემი ქონება მომეცით, მეტი არაფერი მინდავ, — უპასურა ძენწმა. ეშმაკებს ემინათ სათხოვარი, მაგრამ რაღაც იზამდნენ. მივიღდნენ, ძენწმა ქისტი წაპტირეს კისერში... „ვაიო!“ — დაიძახა ძენწმა და პირიდან ლა-გამი წავარდა. დასტაცა ეშმაკა ლაგამს ხელი და შეინახა. ძენწმი თით-ქოს ძილიდან გამოიკვეა: „ნეტა სადა ვარ, აქ ფინ მომიყვანაო?“ ტანზე დაიხედა და თავი შესტულდა — ისეთი ჩამოგლებილ-ჩამოკონკილი იყო. ფერაკეფით გამოშორდა ეშმაკების სახლს. გზაზე მოაგონდა მშიერ-ტიტევლი ცოლ-შეილი და თავის თავზე გაჯაჭრდა, სულ თვალწინ დაუდ-გა, რაც თავის სიძუნწით გაშეირევრება და სიხარის გაეწია.

დაბრუნდა კაცი ცხვარში, ჯალაბს ჭედილა გაუგზავნა, დაკალით და შეჭამეთო. ცოლს შეუთვალა: თქვენთვის კარგი ტანსაცმელი იყოდეთ და შეიმისეთ, ერთი ხელი კი მე გამოიმიგზავნეთ, თორებმ შინ ვერ დავბრუნებულოვარო.

გაუკარგდა კოლ-შვილს, ამ კაუს რა სასიათი შესკვლიამ.

* * *

დავუკვირდეთ ლარიბი კაცის ოცნებას სიმდიდრეზე. ის ერთობ კეთილია ამ ოცნებაში, რადგან, ესმის და ხედავს მისთანათა სიდუხჭირეების უპოვრობას. ამიტომაც გულმოწყალედ ანანილებს და არიგებს თავის ნაოცნებარ სიმდიდრეს.

საკმარისია, რეალურად მოიპოვოს სიმდიდრე, რომ მას უკვე არაფერი ესმის და ვერაფერს ხედავს — საკუთარი სიმდიდრე თავადაც აღარ ჰყოფნის.

კვლავ გავიხსენოთ მრავალტანჯული იობი. ის ხომ სიმდიდრისას გამოიცადა, ხოლო უპოვრობაში გამართლდა.

ახლა კი სხვა კუთხით შევხედოთ სიღარიბის პრობლემას ჩვენში. იქნებ, იგი ჩვენი სასჯელი კი არ არის, არამედ ლვთის წყალობაა, რათა შრომისაკენ ვიყოთ მიდრეკილნი და არა განცხრომისაკენ, არ მოვდუნდეთ, რათა „გაგვეხსნას გულისყური შეწვნად ქრივთა, ობოლთა, მწირთა და ყოველთა გაჭირვებულთა. განამრავლოს ურთიერთშორის სათნოებანი და საქმენი კეთილნი“ (სრულიად საქართველოს კათოლიკოს -პატრიარქის ილია II მოკრძალებული თხოვნა წმიდა გიორგისადმი).

და საბოლოოდ, ყველამ დაუყვედრებლად ჭამოს ნაყოფი მოპოვებული საკუთარი შრომით და, რომ ყველაზე დიდი სიმდიდრეა იმყოფინო ის, რაც ღმერთმა მოგცა.

23 აგვისტო, 2000

ცოდვა და მარლი



„რა გადაგვარჩენს?“

სადაც განმრავლდეს ცოდვა, მუნ უფრო
გარდაემატოს მაღლი შენი.

ჯიცძა სიმეონ გეთაცრასი

გადარჩა მხოლოდ ნოე, რომელიც ერთადერთი მართალი აღმოჩნდა. მან შექმნა კიდობანი, როგორც ციხესიმაგრე, როგორც ეკლესია, ანუ სიმყარე. ამ გადარჩენილი მარცვლიდან აღმოცენდა ისევ კაცობრიობა, არა ადამიტან, არამედ ამ მარცვლიდან. ეს არის, ფაქტობრივად, ახალი შექმნა სამყაროსი. ამასთან დაკავშირებით მინდა ვთქვა, რომ ადამიანის სინდისი არის მხოლოდ მისი პასუხისმგებლობის ქვეშ. შენ არავინ დაგიცავს ცოდვისგან. ეს, შეიძლება, კარგიც არის, რადგან ცდუნების ამ სიმრავლეში შეწირებით მინდა შენი გადარჩენა, შენ უნდა აარიდო თავი, საკუთარი ოჯახი ამ მწიკვლს. უნდა გწამდეს, რომ ამ არეულ და უზნეო დროში, მხოლოდ შენ ერთი რჩები ნოეს ფუნქციის მატარებელი. შენ ხარ ერთადერთი და შეწირები დამოკიდებული ეს გადარჩენა, რათა შეინარჩუნო საკუთარი სიწმინდე, როგორც მთავარი განძი. არ იცი, სად და როდის დაგჭირდება იგი, არა მხოლოდ შენ, არამედ შენს ქვეყანას, ზოგადად ქვეყნიერებას.

ფორმულა არსებობს. ცოდვაც. ახლა საძებნია მაღლი...

ცოდვის გადამწონი მაღლი შეუძლებელია არ იყოს სადღაც, სულ ახლოს, ჩვენს გვერდით და, საბოლოოდ, ჩვენშივე. ხოლო, თუ მაღლამა, ჩვენში გორც მარცვალმა, ჩვენშივე არ გაიხარა, ყოველ ჩვენთაგანში, მაშინ ცოდვა წარლვნასავით წაგვლეკავს. „ვინაიდან ან უკვე ცული ხეების ფესვებთან დევს, ყოველი ხე, რომელიც არ გამოიღებს კეთილ ნაყოფს, მოიჭრება და ცეცხლს მიეცემა“.

ჩვენ, ამასთანავე, დღეს, როგორც არასდროს, „შორის მრავალთა საფრთხეთა ვვალთ“. თითქოს გარემო შეითქვა ჩვენს შესარყვნელად და დასათრგუნად. ავილოთ თუნდაც ერთი: ახალმა დროებამ კარი გაუხსნა ყოველგვარ თავისუფლებას, რამაც უამრავი ცდუნება წარმოშვა. და თუ ამგვარად გაგრძელდა, ადამიანი დაემსგავსება იმ ლოკოკინას, რომელიც ნიუარისაგან განძარცვეს და სრულიად დაუცველი დატოვეს. ამ შემთხვევაში, რჩება მეტად მანკიერი იმედი: ჩემს შემდეგ ქვა ქვაზე ნუ დარჩინილა...

სხვაა ადამიანთაგან მოსული განსაცდელი და სხვა — ღვთისაგან მოვლენილი სასჯელი. თუმცა, სასჯელიც ისევ ადამიანთა ცოდვების შედეგია, რაც გროვდება სადღაც და შემდეგ, მოულოდნელად, ღვთის რისხვად მოგვევლინება. ეს დაგროვება და მისგან გმონვეული განსაცდელი, გარკვეულ უამამდე, დაფარულია თვალთაგან. ამ პროცესში ძნელია თვალი მიადევნო მიზეზ-შედეგობრივ კავშირს.

ჩვენ მცირერიცხოვანი ერი ვართ. ცოდვა-მაღლთან დაკავშირებით, ვეჭვობ, გამოგვადგეს დიდი ქვეყნებისა და მრავალრიცხოვანი ერების გამოცდილება, რადგან ცნობილი კი არის, რომ მდინარეს აქვს თვითგან-წმენდის უნარი, მაგრამ ეს უნარი დაიკარგება, თუ პატარა მდინარეში ჩამავალი მწიკვლი და სიბინძურე მის თვითგანწმენდის უნარს დააჭარბებს. მაშინ ის დარჩება უნმინდურ ნაკადად.

მაგრამ, შეიძლება საკითხს სხვაგვარად შევხედოთ. აი, არსებობს ყველა ცდუნება და ყველა უფლება, რაც ცხოვრების ახალმა წესმა მოიტანა.

დრო ჩვენ არაფერს გვეკითხება. იქნებ, პირიქით, ეს ლვთიური მადლია, რომ დავფიქრდეთ, ვისარგებლოთ თუ არა ამ უფლებებით და, მით უმეტეს, დავწენდეთ თუ ნინ ალვუდგეთ ცდუნებას.

აი, იქმნება უსწრაფესი ავტომანქანა, მაგრამ მისი მთავარი ლირსება არა სისწრაფე, არამედ მუხრუჭებია.

დღევანდელ სიტუაციაში უპირველესი პრობლემა ბავშვის აღზრდა. როგორ ალვზარდოთ ბავშვი, როცა ყველაფერი მიმართულია მისი დეზორინტაციისკენ? როგორ თაობას ალვზრდით ჩვენ მაშინ, როცა უზნეობისადმი გარკვეული დათმობა ნორმა ხდება, მაგრამ უზნეობას არა აქვს ზღვარი, ნერტილს ვერ დაუსვამ. ცდა, ნახვიდე გარკვეულ დათმობაზე უზნეობისადმი, კანონებით, ფაქტობრივად, მის ლეგალიზაციას ნიშნავს. ზოგადობის პრინციპი, რა ხერხითაც იმოძლვრება ჩვენი საზოგადოება, მათ ძნელად უშლით ხელს. ამ გზაზე ერთადერთი ნინააღმდეგობა არის ინდივიდის ინიციატივა. პირადად მე უნდა ალვუდგე ნინ ასეთ ტენდენციას ჩემში — აქედან გამომდინარე, ჩემი ოჯახის წევრებში, ახლობლებში, ვისზედაც ხელი მიმინვდება. ამ კონტექსტში ინდივიდი უპირვესპირდება მთელ ამ არსებულ მანქანას.

ამ თვალსაზრისით, მეტად დამაფიქრებლად მომეჩვენა ელენე თევდორაძის ამასწინანდელი ფრაზა, რომელსაც მხოლოდ ყური მოვკარი. ეს ეხებოდა ბავშვებისაგან საკუთარი უფლებების დაცვის უფლებას, მათ ჩარევას ამ უფლებების ჩამოყალიბებაში. მან აღნიშნა, რომ ბავშვებს ძალიან მოეწონათ, გამხიარულდნენ, როცა გაიგეს, რომ თავიანთი უფლებების დასაცავად შეუძლიათ უჩივლონ მამას, შშობელს. ჩემში ამგვარმა თავისუფლებამ ერთობ საგალალო ასოციაცია გამოიწვია — უპირველესად, გამახსენა პავლიკ მოროზოვის ცნობილი ამბავი. ასეთი ადამიანი ტოტალური სახელმწიფოს გარკვეული, მოქმედი ელემენტია და, რაც მთავარია, გამახსენა მაცხოვრის ცნობილი ფრაზა, „აღდგებიან შვილები მშობლების ნინააღმდეგ“, — ეს, თითქმის, მეორედ მოსვლის ერთ-ერთი ნიშანთაგანია.

თუკი ბავშვი ამგვარი უფლებით აღიჭურვება, გვიფიქრია თუ არა იმაზე, რომ უბრალო აკრძალვაც კი შეიძლება იქცეს ბავშვსა და მშობელს შორის კონფლიქტად, რადგან მოზარდს თავისი უფლების იმეტან ბეჭედის შეიძლება, ურჩობის მიზეზად გადაიქცეს.

ბავშვის ფსიქიკა არამყარია. ის სუფთა დათაა და, რაც მასზე დაიწერება, თავადაც და სხვაც მას ამოიკითხავს. მასზე კი ყველაფერი იწერება, კარგიც და ცუდიც. მასზე იწერება პიკანტური, მძაფრი განცდებისგან მიღებული შთაბეჭდილებები. ბავშვი ღრუბელივით ისრუტავს არა იმას, რასაც ჩვენ მას ვეუბნებით, არამედ იმას, რასაც ჩვენ ვაკეთებთ და გულ-მოდგინედ ვმალავთ: მას თანდაყოლილი უნარი აქვს, ამოიკითხოს, რა წერია სტრიქონებს შორის. დღეს ძნელი გასარკვევია, როგორ ადამიანს ვზრდით, ისეთს, რომელიც მდგრადი იქნება ცდუნების წინაშე თუ ისეთს, რომელიც იქნება მოუდრეველი სინდისისა და სინანულისადმი.

... მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ მადლს, რომელსაც ჩვენ ვეძებთ და, რომელმაც უნდა გადაწონოს ცოდვა ჩვენს გვერდით. დღეს არავინ იზრუნებს შენთვის ამ ბრძოლაში. ეს გადაცდენები, ეს ქუჩა არსებობს. ხომ ცნობილია, რომ ბავშვი სკოლიდან სახლამდე ფუჭდება, რადგან თვითონ ეს კუნძულები, ეს ოაზისები, ფაქტობრივად, ქუჩის მწიკვლში იძირება. შინ კი ტელევიზორი ელოდება, დატენილი უაზრო სერიალებითა და საეჭვო ზნეობის ფილმებით.

მაგრამ, ჩემი აზრით, არის ასეთი ბიბლიური მაგალითი ადამიანის სინმინდის შესახებ. რა განავრცო კაცობრიობამ მას შემდეგ, რაც ღმერთმა კაცობრიობის პირველ თაობას, ადამიტან ნოემდე, წარლენა მოუვლინა? გადარჩა მხოლოდ ნოე, რომელიც ერთადერთი მართალი აღმოჩნდა, მან შექმნა კიდობანი, როგორც ციხე-სიმაგრე, როგორც ეკლესია, ანუ სიმყარე. ამ გადარჩენილი მარცვლიდან აღმოცენდა ისევ კაცობრიობა, არა ადამიტან, არამედ ამ მარცვლიდან. ეს არის, ფაქტობრივად, ახალი შექმნა სამყაროსი. ამასთან დაკავშირებით მინდა ვთქვა, რომ ადამიანის სინ-

დისი არის მხოლოდ მისი პასუხისმგებლობის ქვეშ. შენ არავინ დაგიცავს ცოდვისგან. ეს, შეიძლება, კარგიც არის, რადგან ცდუნების ამ სიმრავლე-ში შენზეა დამოკიდებული შენი გადარჩენა, შენ უნდა აარიდო ~~თავი~~, სა-კუთარი ოჯახი ამ მნიკვლს. უნდა გწამდეს, რომ ამ არეულ და უზნეო დროში, მხოლოდ შენ ერთი რჩები ნოეს ფუნქციის მატარებელი. შენ ხარ ერთადერთი და შენზეა დამოკიდებული ეს გადარჩენა, რათა შეინარჩუნო საკუთარი სიწმინდე, როგორც ძირითადი განძი. არ იცი, სად და როდის დაგჭირდება იგი, არა მხოლოდ შენ, არამედ შენს ქვეყანას, ზოგადად ქვეყნიერებას.

25 დეკემბერი, 2000

„თუ“ და „გართუ“



და მომავალი, სადაცი საუკუნე

შიში და მწოდლა მოღის ჩემზე და შიშის
ზარი მიპურობს. და ვამბობ: „ვინ მომცემს
ფრთას, ვითარცა მტრებს?
გაყორინდებოდი და დაგბინავდებოდი.
აჲა, შორს, შორს გადავიხვეწებოდი.
უდაბნოში დავიდებდი ბინას.
აყჩქარდებოდი, რომ მომენასა თავშესაფარი
ძლიერი ქარისაგან“.

ფსალმუნი 54, 6-9

აი, ამ მდგომარეობაშია დღეს საქართველო. ყოველი ჩვენგანი...

ახლა ვნახოთ, რად უნდა ფრთა მის მსურველს, ხოლო მერე დავფიქ-
რდეთ, თუ რად არ უსრულებს ყოვლადშემძლე ღმერთი მას ამ ნატერას.

შეხედეთ ფრინველს. მას ღმერთმა ფრთები, ეტყობა იმიტომაც მისცა,
რომ გაუსაძლისი იყო მისთვის მიწაზე ცხოვრება.

ჩვენ კი, ადამიანებს, არ მოგვცა ასეთი შეღავათი, რადგან მან თქვა:
„განა ორი ბელურა ერთ ასარად არ იყიდება? მაგრამ ერთი მათგანიც არ
დავარდება მიწაზე, თუ არ იქნება მამის თქვენის ნება. ხოლო თქვენს თავ-
ზე ყოველი ღერი თმაც სათითაოდ დათვლილია. მაშ, ნუ შიშობთ, ვინაიდან
უთვალავ ბელურაზე უმჯობესი ხართ“ (მთ. 10.29-31).

თუ ეს ასეა, რად ცოდვილობს ერი? რად არ გამოსდის არაფერი? რად
არ ნარემართება ამდენი ძალისხმევა? რად ნატრობს იგი ფრთას?

ეტყობა, ყოველივე ამის მიზეზი მხოლოდ ჩვენშია, მას ჩვენს გარეთ ნუ ვეძებთ, სხვებს ნუ გადავაპრალებთ.

ეს მიზეზი საკუთარი ნებისა და ძალის უგულებელყოფა და გრძელების ბიერებლობაა.

მაშ, მოდით, ვცადოთ და ვეძებოთ ძალა ჩვენშივე და ჩვენი თავისუფალი ნება მისკენ მივმართოთ.

ნუ გადაფარავს და დაავინინებს ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა ხსნის იმედს. ნუ დავრჩებით ფუჭი ნატვრის ანაბარა, რომ ღმერთი ფრთებს გამოვასამს და გავფრინდებით უკაცრიელ უდაბნოში, ადამიანებისაგან შორს. ის ამ ნატვრას მაინც არ შეგვისრულებს, რადგან ღმერთი არასოდეს შეგისრულებს იმას, რაც არ გჭირდება.

ახლა კი დროა, მიწაზეც დავეშვათ და იქ ვეძებოთ ნუგეში, ოლონდ შევურიგდეთ ღმერთს, ვენდოთ მის სიტყვებს და ის დაგვანახებს ამ ძალას ჩვენშივე.

ვაზი შესანიშნავი მცენარეა, ოლონდ, საკუთრივ არ შეუძლია ფეხზე დგომა — მას გარე საყრდენი სჭირდება, ჭიგო, მაშინ ის მოგცემს ტკბილ ნაყოფს, ქარვისფერ მტევანს. ეს არ არის მისი სისუსტე, ეს მისი ბუნებაა, მას, რა თქმა უნდა, შეუძლია უარი თქვას საყრდენზე, მაგრამ ეს ამპარტავნობა მას ძვირად დაუჯდება. მძიმე სანახავია მიწაზე გართხმული ვაზი თავისივე ნაყოფით.

დიდებულია მუხაც, ძლიერი, მშვენიერი სახილველად, მაგრამ მისი ნაყოფი რკოა.

ვაზი ძალიან ჰეგავს საქართველოს.

ხოლო საქართველო ძალიან ჰეგავს ვაზს და ვისწავლოთ მისგან, თორებ დღევანდელი საქართველოსგან ვაზი კარგს ვერაფერს ისწავლის.

აქვე უნდა უარვყოთ აბსურდული მცდელობა, რომ მიჩურინის ალქა-ჯური ხერხებით შევაჯვაროთ მუხა და ვაზი და მივიღოთ ძლიერი, ტოტებ-გაშლილი ხე, რომელიც რკოს მაგიერ ყურძენს მოისხამს.

ეს არ მოხდება!

ამიტომ მიეცედოთ ვაზს, ჩვენს საქართველოს!

ახლა კი ცოტა გავშიარულდეთ!

არის ერთი დიდებული წიგნი — ბრძნული და სასაცილო, უფრობლეს „გარგანტუა და პანტაგრუელია“.

ამ წიგნში არის ერთი პატარა თავი:

როგორ გადაცვითა პანუშამა ცოლის შერთვა:

“მეორე დღეს პანუშა უცნაურად ჩაცმული გახლა პანტაგრუელს.

— რა იყო, პანუშა? — ჰეთხა პანტაგრუელმა, — ასე რატომ გამო-
წყობილხართ?

— ყურში რწყილი შემიძერა, — უპასუხა პანუშამა — ცოლის შერ-
თვას გაპირებ.

— ღმიერთმა ხელი მოგიმართოთ! — უთხრა პანტაგრუელმა, — კარ-
გი საქმე გადაგიწყვეტიათ, გამიხარეთ, გვიაყვა, მაგრამ სიმართლე
რომ გითხრათ, მთლად ჭეკუაზედაც არ შევშლილგარ სიხარულით.

— საქმეც ეს არის, ხომ არ ვიცით, როგორი ცოლი შემზვდება. კარ-
გია, თუ კეთილი დედაკაცი იქნება. თუ არა? მაშინ რა ვქნა?

— ეს ნამდვილად საფიქრალია

— თქვენ რას მირჩევთ?

— თუ ცოლის შერთვა მტკიცედ გადაგიწყვეტიათ, ამას ვერავინ გა-
დაგათქმევინებთ.

— კარგი, მაგრამ არ მინდა ვითხოვო ცოლი თქვენი კეთილი რჩევის
გარეშე.

— მე თანახმა გარ, და გირჩევთ, შეირთოთ ცოლი.

— მაგრამ, თუ ფიქრობთ, რომ ვჯობს, არ შევირთო, მეც არ შევირთავ.

— ჰოდა, ნურც შეირთავთ.

— კარგი, მაგრამ, ნუთუ გინდათ, რომ მთელი ჩემი დღენი უცოლო
დაფრჩე? მარტოხელა კაცი ხომ არასოდეს არ არის ისე ბედნიერი,
როგორც ცოლიანი.



- მაში, შეირთეთ, ღვთის გულისთვის.
- ჩემი ცოლი რომ ცუდი ქალი გამოდგეს, მაშინ ხომ ქვეყნად უუბრ-
დურესი კაცი ვიქნები!
- მაში, ნუ შეირთავთ.
- პატიოსანი ქალი რომ შემზღდეს?
- მაშინ, რა თქმა უნდა, ჯუობია, შეირთო.
- მაგრამ, გამიგონია, პატიოსანი ქალები თავიანთ ქმრებს სცემენო.
ნუთუ მეცა მცემს? ეს მეტისმეტი იქნება.
- მაში, ნუ შეირთავთ.
- კარგი, მაგრამ აგად რომ გაეხდე? ვინ მომიგლის? არა, უცოლოდ
კარგი დღე არ დამადგება. ვეგდები ძალლივით და მომზედავი არაფინ
მეცოლება.
- მაში, შეირთეთ, ღვთის შეწევნით.
- ეჲ, ბატონო, თქვენ ასე იოლად ვერ მიგიჩვდებათ კაცი. ხან —
“შეირთეთ”, ხან — “ნუ შეირთავთ”.
- თქვენ კითხვებშიც იმდენი “თუ” და “ვაითუა”, რომ წესიერად
ვერაფერს გირჩევთ. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, ვინ შევ-
გზდებათ. თუ კარგი ქალი იქნება, შეირთეთ. ცოლის შერთვა კარგი
საქმეა...”

(თარიბანი ელისაბედ ბაზრატიონისა).

არ ვიცი, საბოლოოდ გადაწყვიტა თუ არა პანუუმა ცოლის შერთვა, თუ
ახლაც „თუ“-სა და „ვაითუ“-ს შეირთოს არის გაჩერილი, სამაგიეროდ, ეს
ორჭოფობა სანიმუშო მოდელად გამოგვადგება, ჩვენი, არცთუ ისე იოლი
და მხიარული საკითხის გასარკვევად, მით უმეტეს, რომ „ქორწინების“
„თუ“- სა და „ვაითუ“-ს ემატება არანაკლებ მძიმე და რთული „ვაითუ“ და
„თუ“ „განქორწინებისა“.

ამას წინათ, ერთი ნაცნობი შემზღდა და მკითხა: მართალია, რომ რუსუ-
ლი ორიენტაციისკენ გადაიხარეო? ელდა მეცა! ესლა მაკლდა?!

ისე კი გამახსენდა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით, ვიწრო ნორმი, რაღაც მოსაზრება გამოვთქვი, მაგრამ არ მეგონა, რომ თითქმის სპონტა-ნურად ნამოსროლილი ეს მოსაზრება პროკლამაციასავით გავრცელდებოდა და და ამ სახით დამხვდებოდა წინ.

ჭეშმარიტად, კედლებს ყურები აქვს!

ახლა კი ჩავთიქრდი, რა შემეძლო მეთქვა ორიენტაციის თაობაზე. გამორიცხულია, უპირატესობა მიმენიჭებინა ან პრორუსული ან პროევ-როპული ორიენტაციისთვის, რადგან ამ მხრივ, თავად ჩემში არა მაქვს ბოლომდე და არც შუამდე ჩამოყალიბებული ერთისა თუ მეორის უპი-რატესობა.

ისე კი, ორიენტაციის საკითხი ჩვენთვის, „ობოლი ერისთვის“ (ჭაბუა ამირეჯიბი), თითქმის მთელი ისტორიის მანძილზე თანმდევი მტანჯველი საკითხია და უალრესად მნიშვნელოვანი. უმნიშვნელოვანესია, განსაკუთ-რებით დღეს, როდესაც ვცდილობთ, კვლავ შევქმნათ და შევინარჩუნოთ ჩვენი დამოუკიდებელი სახელმწიფო, ოლონდ იმ მონაცემებითა და შესაძ-ლებლობებით, რაც რეალურად გვაქვს.

ისტორიიდან, ამ საკითხთან დაკავშირებით, თავიდანვე უნდა უარ-ვყოთ ჩვენი სამშობლოს „ოქროს ხანა“. ის ნიმუშად ვერ გამოგვადგება. პირიქით, ამ მხრივ უფრო ღირებულია ძნელებედობის ხანგრძლივი პე-რიოდები, რაც თავის თავში ატარებს და ინახავს იმ მწარე და სასოწარ-კვეთილებამდე მისულ გამოცდილებებს, რაც დღეს, შესაძლოა ბრძენ მრჩევლად მოგვევლინოს... ახლა ჩვენზეა, ცოცხლებზე, მთელი პასუხის-მგებლობა სწორი არჩევანისა. გავერკვეთ იმ სირთულეებსა და სიძნე-ლებში, რაც აღმართულია ჩვენი სამშობლოს გადარჩენის გზაზე. გა-ვერკვეთ ყოველი ჩვენგანი, სათითაოდ, საკუთარი სინდისის პირისპირ, რა თქმა უნდა, ჩვენი შესაძლებლობათა და ინტერესთა ფარგლებში, ხო-ლო შემდევ ხმა მივცეთ, რა თქმა უნდა, დემოკრატიულობის პრინიც-პით, ჩვენს არჩევანს.

ორიენტაციის არჩევისას, უპირველესად, უნდა გვახსოვდეს, რომ მთავარი ამოცანაა შევინარჩუნოთ ჩვენი სახეობა, ჯიში, ჩვენი ღვთივნანყალობევი შიდა ბუნება, რომელიც დგას სამ ბურჯზე — ენა, მამული, სამუნოება. სამივე შეუცვლელია. დანარჩენი ყველაფერი — ალტერნატიული. ამათ შორის ერთ-ერთი პირველთაგანია ორიენტაცია, რომელიც უნდა ემსახუროს უცვლელთა შეუცვლელობას. ისევე, როგორც სარი, გარეთა საყრდენი არ ცვლის ვაზის ბუნებას.

ქართველი ხალხი ერთიანი რომ იყოს, როგორც ებრაელები ეგვიპტიდან გამოსვლისას და ყველა ერთხმად ვიღებდეთ პასუხისმგებლობას ნებისმიერ შედეგზე, მაშინ ორიენტაციის საკითხიც არ იქნებოდა ჩვენთვის ასე მტკიცნეული.

მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ მოგვეცა.

ამიტომ, უფრო მიზანშეწონილად მიმაჩინია, რომ პოლიტიკურმა ძალებმა, ორიენტაციის საკითხში, მოსახლეობის გაორებული ინტერესების გათვალისწინებით, ხელისუფლება-ოპოზიციის ურთიერთობა ამ ნიშნითაც წარმართონ. წარმართონ გახსნილად, ლეგალურად, შიშისა და სინდისის ქწვევის გარეშე, რადგან ორივე მხარეს აქვს თავისი პოზიციის გამმართლებელი, საკმაოდ ბევრი არგუმენტი და, რაც მთავარია, მხარდამჭერი და მოსურნე. მაგრამ ეს უნდა იყოს იმ ერთი მტრედის ორი ფრთა, რომლის გარეშეც ის ვერ გაფრინდება აღთქმულ მიწაზე.

ხოლო რაც შეეხება დასავლეთსა და რუსეთს, თუ მათაც აქვთ ინტერესები ჩვენს მიმართ, ცოტა გაისარჯონ, რათა მათი ინტერესები ჩვენს ინტერესებშიც იყოს.

ახლა სულ სხვა რამ, ოღონდ ნუ ჩამითვლით ამჯერად უკვე პროამერიკულ ორიენტაციად: ამ საუკუნის ბოლოს, სულ ახლახან ჩვენ მოწმენი გავხდით ერთი მძაფრი, გაჭიანურებული „სპექტაკლისა“ — ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის არჩევნები. ფინალმა ბევრად გადააჭარ-

ბა დრამატიზმს — დამარცხებული უფრო ბედნიერი ჩანდა, ვიდრე — კა-
მარჯვებული.

ნეტა თუ მოვესწრები ამას „ჩვენს მამულში“ (და არამხოლოდ ჩვენთან)
გვიპოვთ!

ახლა კი ნამდვილად შევდივართ მე-3 ათასნ ლეულში ქრისტესშობიდან.

გილოცავთ!

ჩამოვიშოროთ ორჭოფობა, გავთავისუფლდეთ მისგან და ამგვარად გა-
მარტივებულნი შევუდგეთ ერთიან საქმეს სამშობლოს ხსნისა.

26 დეკემბერი, 2000

„დილის გაზეთი“ უკვე წერდა ამის შესახებ, არის ასეთი რეკლამა: პოეტი მიხეილ ქვლივიძე დგას საჯარო ბიბლიოთეკის შესასვლელთან და გვამცნობს

— „ეს საჯარო ბიბლიოთეკის საშვია. ამ ბიბლიოთეკაში უამრავი წიგნი ინახება“. იცვლება კადრი და ჩვენ ვხედავთ ყმანვილ კაცს, მის ვაჟიშვილს, რომელსაც ინტერნეტსაშვი უჭირავს ხელში და ამბობს: „ეს ჯორვებიან

ონლაინის ინტერნეტსაშვია, აქ, ინტერნეტში უამრავი ბიბლიოთეკა ინახება“.

მაგრამ ნუ ჩამითვლიან ამ სიტყვებს ანტირეკლამად,

მე ჩემს ბიბლიოთეკაში მაქს ერთი წიგნი, რომელშიც ყველაფერი წერია. ეს არის ბიბლია — ძველი და ახალი ალთქმა!

სახლი პირველი

1. დარიოს მეფის მეორე წელს, მეექვე თვის პირველ დღეს იქთ უფლის სიტევა ანგია წინასწარმეტეველის პირით იუდას განმგებლის ჸერუბაბელი შალათიელის ბის და მღვდელმთავრის იქსო იქმოცადაკის ბის მიმართ.

2. ასე თქვა ცაბაოთ უფალმა: ეს საღსი ამბობს, კერ არ დამდგარაო ქამი, უფლის სახლის აშენების ქამი.



3. იქო უფლის სიტუაა ანგია
წინასწარმეტეველის პირით:
4. იმის ქამი კი არის, რომ გადახურებული
სახლებში ისხდეთ, ეს სახლი კი მიგდებული
იქოს?
5. ახლა ასე ამბობს ცაბაოთ უფალი:
დაუკვირდით თქვენს საქციელს.
6. ბევრს თესავთ, მაგრამ ცოტას მკით; ჭამთ,
მაგრამ ვერ ძღებით; სვამთ, მაგრამ ვერ
იქლავთ წეურვილს; იცვამთ, მაგრამ ვერ
თბებით; გახვერეტილი ქისისთვის იღებს
შერომელი შრომის საზღაურს.
7. ასე ამბობს საბაოთ უფალი: დაუკვირდით
თქვენს საქციელს.
8. ადით მთაზე, აიტანეთ ზე-ტექ და ტამარი
ააშენეთ. მოვიწონებ ამას და ღიღებით
გამოვჩნდები, ამბობს უფალი.
9. ბევრის მოლოდინი გაქვთ, მაგრამ
მცირედი გისრულდებათ; რაც სახლში
მიგაქვთ, იმასაც ვანიავებ, რატომ? ამბობს
ცაბაოთ უფალი. იმიტომ, რომ მიგდებულია
წემი სახლი, თქვენ კი უველანი თქვენს
სახლებზე ზრუნავთ.
10. ამიტომ არის, რომ დაგიგავათ ცამ ცვარი
და მიწამ დაგიგავათ მოსავალი.
- II. გამოვიხმე გვალვა მიწაზე მთებზე
ჰურზე ღვინოზე ზეთისხილზე და
უველაუერზე რასაც მიწა აღმოაცენებს;
ადამიანზე პირუტევზე და უოველივე
ნაჭირნახულევზე.

12. ისმინეს ზერუბაბელ შალათიელის ძემ,
იქსო იქოცადაკის ძემ, მღვდელმთავარმა და
მთელმა დანარჩენმა ხალხმა უფლის წინასწარი
ღმერთის ხმა და ანგია წინასწარმეტეველის
სიტევები, რამდენადაც იგი უფლის, მათი
ღმერთის მოყლინებული იქო, და შეეძინდა
ხალხს უფლისა.

13. უთხრა ანგიამ, უფლის მაცნემ, ხალხს
უფლის მაცნეობის მაღით: მე თქვენთანა
ვარ, ამბობს უფალი.

14. გააღვიძა უფალმა იუდას განმგებლის,
ზერუბაბელ შალათიელის ძის სული,
მღვდელმთავრის, იქსო იქოცადაკის ძის
სული და მთელი დანარჩენი ხალხის სული.
მივიღნენ და დაიწევეს მუშაობა ცაბაოთ
უფლის, მათი ღმერთის სახლში.

15. მეგქნე თვის ოცდამეოთხე ღღეს, დარიოს
მეფის მეორე წელს.

ეს სიტყვები ქრისტესშობამდე დიდი ხნით ადრეა ნათქვამი.

იქნებ ეს ეპიგრაფი განმარტებას არც კი საჭიროებს? იქნებ ყველაფერი
ისედაც ნათელია?

ალბათ, არც სჭირდება, რადგან, რომ არა იმ უხსოვარი დროის ნიშნები
და სახელები, ჩვენს დღევანდელ მდგომარეობას უკეთესად ახლაც ვერ
დაახასიათებ.

ახლა ნუ მკითხავთ, საიდან იცოდა ანგია წინასწარმეტყველმა, რომ სა-
ქართველოში 26 საუკუნის შემდეგ, ანალოგიური მდგომარეობა შეიქმნე-

ბოდა, იცოდა და სწორედ ეს არის წინასწარმეტყველება, რადგან ღმერთი
მუდამ ერთი და იგივეა და იგივეა ადამიანის ბუნებაც ადამიტან დღემდე.
იცვლება მხოლოდ სხეული და სამოსელი.

რომელიც
გიგანტები

მაშ, „ვეყოთ მასპინძელ“ ამ სიტყვებს.

* * *

ჩემმა 13 წლის ვაჟიშვილმა, ერთ-ერთ ახლობელს საყვედურით „დამა-
ბეზლა“: მამას ჩემზე მეტად ღმერთი უყვარსო.

როგორ ავუხსნა მას, რომ მე ის საკუთარ თავს მირჩევნია და, რომ ამ
შემთხვევაში მას საეჭვიანო არაფერი აქვს. რომ ღვთის სიყვარულია სწო-
რედ ის, რაც მასში დავანებულ უკვდავ სულს ასაზრდოებს და იცავს საუ-
კუნო სიკვდილისგან.

ასევეა სამშობლოც. სამშობლოს არ ძალუძს თვით იხსნას თავი, თუ მას
ღმერთი არ დაიცავს და იხსნის.

„თუ უფალი არ ააშენებს სახლს, ამაოდ გაირჯებიან მშენებლები. თუ
უფალი არ დაიცავს ქალაქს, ამაოდ ფხიზლობენ გუშაგნი“ (ფს.126).

* * *

უამი წინასწარმეტყველებათა დიდი ხანია გადავიდა. ყველაფერი უკვე
ითქვა და ნურვინ ეცდება ამ მხრივ ვარჯიშს. ახლა უამია ღვთის სიტყვის
აღსრულებისა. იგი არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე თვით წინასწარ-
მეტყველებანი. და აი, ჩვენ მოგვეცა შანისი, ვაშენოთ ახალი ქვეყანა, სახელ-
მწიფო ორიათასწლოვან საძირკველზე, ფუძეზე.

ყოველი სიტყვა, ჩვენი მიწა და წყალი, თვით ჰაერიც, რომლითაც ვსუნ-
თქვათ, გავერებულია ჩვენი საუკუნოვანი არჩევანით, ჩვენი მრწამსით. ისი-
ნიც კი მის ქვეშ არიან, რომელთაც ჰგონიათ, რომ თავისუფალნი არიან მისგან.

სამების დიდი ტაძარი ელიაზე, ამ ძნელბედობისას, ჩვენი ეკლესიისა და
ხელისუფალთა ძალისხმევით დაწყებული, არის უტყუარი ნიშანი ღვთისა

და ქვეყნის ერთიანობისა, ნიშანი ერის გაღვიძებული სულისა და ნურვიზ
ეცდება, დაარღვიოს ეს კავშირი.

ხოლო მითქმა-მოთქმა და საყვედური იმის შესახებ, თუ რა დროის პრინციპი
დენა ტაძრის აგებაა, როცა ხალხი მძიმე სიდუხჭირეშია, განა უფრო შე-
ტად არ ეხება უსამართლოდ, ან თუნდაც სამართლიანად გამდიდრებულ
ადამიანებს, რომელნიც „გადახურულ სახლებში“ სხედან?

ეკლესია ხომ სწორედ იმიტომაც არსებობს და შენდება, რომ შეუმსუ-
ბუქოს ადამიანებს ამქვეყნიური მძიმე ხვედრი: „მოედით ჩემდა ყოველნი
მაშურალნი და ტვირთმძიმენი, და მე განგისვენო თქუენ“ (მთ. 11,28).

* * *

ეპიგრაფში მოტანილი წინასწარმეტყველება, მხოლოდ უფლის სახლს
არ გულისხმობს, ოლონდ, რა თქმა უნდა, ის უპირველესია ამ რიგში. ის
არის „ლოდი თავ საკიდურთა“, საძირკველი და ფუძე სხვა სახლებისთვის.
ხოლო მეორეა ჩვენი სამშობლო, ჩვენი სახელმწიფო. მართლაც სხვა რა
აზრი უნდა ჰქონდეს სამშობლოს, ანდა სულაც ძლიერ სახელმწიფოს, თუ
მის გულში არ არის დავანებული ღვთის სიტყვა და იგი მის გარეთაა.
მერე მოდის სხვა სახლები, სახელმწიფოსათვის თავისი მნიშვნელოვნების
მიხედვით და, ბოლოს, ყოველი ჩვენგანის სახლი. თუ დაირღვევა ეს რიგი,
მაშინ არც ერთი სახლი არ აშენდება (რადგან სახლი მხოლოდ კედლები
არ არის), მინა არ მოგვცემს ნაყოფს და წყალი არ მოგვიკლავს წყურ-
ვილს.

აი, შენდება დიდი ტაძარი და, ღვთის შეწევნით, მალევე დასრულდება იგი.

ამ ბოლო ოცნლეულში, უმძიმეს პირობებში, აშენდა, აღდგა, მადლითა
და ხალხით აივსო მრავალი ეკლესია-მონასტერი.

ახლა კი უნდა მიეცედოთ მეორე სახლსაც, ჩვენს სახელმწიფოს. მისი
აღმშენებლობისთვის საჭიროა პატიოსანი და სათანადო ცოდნით აღჭურ-
ვილი მუშახელი.

სიმრავლე მრევლისა არ უნდა იყოს თვითმიზანი. ის უნდა გახდეს ის ძალა, რომელმაც პირველმა უნდა იტვირთოს ეს შრომა (რადგან ნათქვამია: „მე მიგავლინებ თქვენ ვითარცა ცხვართა შორის მგელთა“ (ჩ. 10,16). ეს იქნება უკუპროცესი იმ ამნისტიისა, რომელიც წარმართმა დიოკლეტიანემ გამოსცა, გამოუშვა რა საპატიმროდან ყაჩაღები და მკვლელები და მიუქსია მისთვის საძულველ ქრისტიანებს, რომელნიც სანიმუშო ცხოვრების წესით ცხოვრობდნენ, რადგან მათი „კონსტიტუცია“ და ზნეობრივი კანონი 10 მცნება იყო.

ეკლესიური ადამიანი, თუ ის იცავს 10 მცნებას, თავისთავად სანდო და კეთილსინდისიერია საქმეშიც, რადგან მან იცის, რომ სასარგებლო საქმის კეთება ლოცვაა და ლვთის სამსახური. ამგვარ ადამიანებში უნდა ვეძებოთ სახელმწიფო მოღვაწეები, მოხელენი, მოსამართლეები, მსაჯულები, მასმედიის მუშავი, პედაგოგები, ექიმები, ექთნები, ინჟინერ-მშენებელი, ლამის დარაჯები, მებაჟეები და ასე შემდეგ.

დროა, რაოდენობრიობა თვისებრიობაში გადავიდეს. მრევლს უნდა მიეცეს თავისი კუთვნილი ადგილი თვით სახელმწიფოს აღმშენებლობაში, რადგან ნათქვამია: „მე მიგავლინებ თქვენ, ვითარცა ცხვართა შორის მგელთა“ (ჩ. 10,16).

7 თებერვალი, 2001



ინტერვიუ

სხვა გზას ვერ ვწერავ



ესუბრა ნინო შემანიშვილი.

— ბატონო ერლომ, თქვენ ერთ-ერთ საუბარში თქვით ასეთი რამ: „სამყაროში მოსვლა არის უდიდესი ბედნიერება, რადგან ღმერთმა გვაზიარა ყველაზე დიდი საიდუმლოს — მონაწილეობა მიგველო მასში, რაც თვითონ შექმნა. და ასეთი იყო ჩემი პირველი განცდა ღმერთისადმიო“. აქედან გამომდინარე, რა არის თქვენთვის ქრისტიანული სარწმუნოება?

— „გმადლობ შენ უფალო, რამეთუ უმყოფობისაგან ყოფად მომიყუანე მე“... მე დიდხანს მოვდიოდი ამ სარწმუნოებისკენ. მოვდიოდი ძალიან რთული და მძიმე შინაგანი წინააღმდეგობებით. და ეს მთელი ჩემი გზა, ცხოვრების გზა, ეს ძიება იყო. ამიტომ ჩემთვის ქრისტიანობა ყველაფერია. იმედი მაქვს, რწმენა მაქვს, რომ ყველა იმ ტკივილის, რომელიც ჩემში იბადება, ყოველი შეკითხვის პასუხს, თანდათანობით, სწორედ ამ რწმენაში ვნახავ და აღარ არის ჩემთვის უკან დასაბრუნებელი გზა.

— თქვენი აზრით, რას მიჰყავს ადამიანი ღმერთთან?

— ღმერთი ყოველ ადამიანს სხვადასხვანაირად იხმობს თავისთან.. ღმერთთან მისვლა არის სურვილი — გაიგო რაღაც მთავარი საიდუმლო, გაიგო — რატომ გვიჭირს, რა გვიშლის, რომ ვიყოთ ბედნიერი. ეს არის ძიება სულიერი წონასწორობისა. ღმერთთან მისვლა არის გზა, სურვი-

ლი, რომ მიხვდე შენი მოსვლის, აქ ყოფნის მთავარ აზრს. მეც მივდივარ
ღმერთისკენ, თუმცა, ძალიან დიდი სიძნელითა და დანაკარგებით, მაგ-
რამ მნამს, რომ გზა სწორია.

საქართველო
გენერალური

— დამეთანმებით, რომ პიროვნების რელიგიურობას ეკლესიური ხა-
სიათი უნდა ჰქონდეს. ძალიან დიდი ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა თავს
მიიჩნევს მართლმადიდებელ ქრისტიანად, მაგრამ ეკლესიურ ცხოვრებას
არავითარ შეიძლობას არ ანიჭებს. რას გვიტყვით აქედან გამომდინარე
და თქვენ როდის მიხვედით იმ განცდამდე, რომ თქვენი ცხოვრება ეკლე-
სის გარეშე შეუძლებელია?

— ეკლესიური ცხოვრება არის, ალბათ, ერთადერთი ფორმა ღმერთიან
ურთიერთობისა. დანარჩენ შემთხვევაში ეს თავის მოტყუებაა. რადგან თუ
გვინდა გავიგოთ სიმართლე, ჭეშმარიტება, ჩვენი პირადი შეზღუდული გა-
მოცდილება ამისთვის არ კმარა. მართლმადიდებელი ეკლესია არის უწყვე-
ტი ხაზი, ნაკადი იმ მდინარისა, რომელიც სათავეს იღებს პირველ საუკუ-
ნებში და თანდათან დიდდება და დღესაც მდიდრდება გამოცდილებით,
რომელიც ემატება უზარმაზარ საგანძურს, იმ სულიერ კიდობანს, რომელ-
საც ეკლესია ჰქვია. თვითმეურნალობა არ არის საკმარისი ადამიანისათ-
ვის, რომელიც ისტორიულადაც დაავადებულია. ეს არ არის ის, რომ ეს
ცოდვა დღევანდელია და ეს პირადად ჩემი ცოდვაა. ჩვენ ვზიდავთ კიდევ
სხვა ცოდვებს, რომელიც ჩვენი ერისაა, ჩვენი საზოგადოებისაა. აი, რომ
შევალთ ეკლესიაში და დავძლევთ იმ პირველ ნინაალმდეგობას, მაშინ მივ-
ხვდებით, რა გვაკლია. მე მინდა გავიმეორო, რომ არაეკლესიურობა არის
სულიერი სიზარმაცე. ეს გარკვეული ამპარტაციობაცაა და თავის იმედად
ყოფნა, მაშინ, როდესაც თავის იმედად ყოფნის იქით არის კიდევ რაღაც
ძალები. ამის გაგება შეუძლებელია, თუ შენ შიგნით, ეკლესიაში არა ხარ.

— თუ შეუძლება, ორიოდე სიტყვით გვამბოთ თქვენს ოჯახზე. ჩემთვის
ცნობილია, რომ თქვენი მამა, ბატონი სერგო ახვლედიანი, რომელიც ნლე-
ბის მანძილზე 23-ე სკოლის პედაგოგი იყო, ყოფილა ყველასთვის უსაყვარ-

ლესი ადამიანი, რომელსაც ყველა მისი მოსწავლე, და არა მარტო ისინი, სერგო პაპას ეძახდნენ. რას გაიხსენებთ თქვენს მშობლებზე და როგორი იყო მათი დამოკიდებულება ქრისტიანობისადმი?

თერთვეული
გიგანტების

— ვერ ვიტყვი, რომ მამა მორწმუნე იყო, მარგამ იმასაც ვერ ვიტყვი, რომ არ იყო მორწმუნე. ეს სწორედ ის შემთხვევაა, როდესაც ეკლესიურობაზე ითქვა უარი და ამაში მთავარი სოციალური მოტივი იყო. ოჯახში არავინ ლოცულობდა, თუმცა, მრწამსი მამამ მასწავლა. მშობლებმა გარკვეულად საფუძველიც კი შეუქმნეს ჩემს ეკლესიურობას. მე რომ დავიწყე ეკლესიაში სიარული, დედაჩემმა, ბარბარე დადიანმა, მაშინვე დიდი მონდომებით შემიწყო ხელი.

— ბატონო ერლომ, თქვენ ახსენეთ სწორედ ის პერიოდი, როდესაც იდევნებოდა ეკლესიურობა. თქვენს სახლში კი იყო ერთგვარი საკვირაო სკოლა, სადაც ბიბლია იკითხებოდა.

— როდესაც მე წავიკითხე ბიბლია, რაღაც აფეთქება მოხდა ჩემში. ვეზიარე იმას, რომლისთვისაც მე ყველაფერზე ვთქვი უარი, ლიტერატურაზეც კი. ბიბლია გახდა ჩემთვის რაღაც უნივერსალური საზომი. როდესაც ეს აღმოჩენა გავუზიარე ჩემს მეგობრებს, მარინე რჩეულიშვილს და სხვებს, მათ მირჩიეს, რომ ბიბლია ბავშვებისთვისაც წამეკითხა. მეც ვიგრძენი, რომ ეს საინტერესო იქნებოდა მათთვისაც. თავდაპირველად მოვიდნენ შვიდნი, ახლობლების შვილები, ჩემი დის შვილები, მერე მათი რიცხვი იზრდებოდა და იზრდებოდა. მოგვიანებით ჩემი მეგობრებიც შემოგვიერთდნენ. ისინი სხვადასხვა თემაზე უკითხავდნენ ბავშვებს ლექციებს და ყოველივე ეს ერთობ საინტერესო იყო. ბევრი ამ ბავშვებიდან ეკლესიურიც გახდა. ეს შეკრებები გრძელდებოდა მანამ, სანამ ჩემმა მოძღვარმა მამა ზურაბმა არ მირჩია, რომ აღარ არის საჭიროება ასეთი საკვირაო სკოლის არსებობისა სახლში, როდესაც ეკლესია უკვე იკრებს ძალას და ეს მისი ფუნქციააო. მე მაშინვე შევწყვიტე ეს საქმიანობა.

— რომელი წლები იყო ეს, ბატონო ერლომ?

— ეს იყო 70-იანი წლების ბოლო. ამას წინათ, მეუფე დანიელმა, რომელიც იმ დროს ჩვენთან დადიოდა, გაიხსენა ჩვენი შეკრებები და აღნიშნა: საოცარია, რომ არ დაგვარბიეს, ეტყობა, ღმერთი გვმფარველომდე, ჩვენს საკვირაო სკოლას ესწრებოდა, აგრეთვე, მეუფე იობიც.

მართლაც არ დავურბევივართ. ხოლო მერე გამოირკვა, რომ მაშინ დელმა ხელისუფლებამ ყველაფერი კარგად იცოდა ჩვენს შესახებ, რის-თვისაც, თუმცა დაგვიანებით, მინდა მათ მაღლობა მოვახსენო.

— თქვენი აზრით, როგორ უნდა ხდებოდეს ბავშვის სულიერი აღზრდა და აქვე მინდა გვითხოთ, რას უსურვებთ ქართველ ახალგაზრდობას?

— უპირველეს ყოვლისა, ბავშვი უნდა მოინათლოს და შეეჩვიოს ეკლესიას. მშობლებმა უნდა იზრუნონ იმაზე, რომ ბავშვს ეხალისებოდეს ეკლესიაში ყოფნა. ის განწყობა, რომელიც ეკლესიაში სუფეს, ქვეშეცნეულად ხვენავს მას სულიერად. ბავშვში უნდა აღვზარდოთ სიყვარულის გრძნობა, სამართლიანობა, თავმდაბლობა, ზრუნვის სურვილი, თანაგრძნობა და სხვა სათონებანი. ყოველივე ეს ადამიანის შესაძლებლობაშია, ხოლო შემეცნებითი დისციპლინები და საგნები — შეძლებისამებრ. ამიტომ ამ მხრივ ნიჭიერება, არამც და არამც არ უნდა იყოს პრივილეგირებული. რადგან ნიჭი მისი მტარებლის დამსახურება არ არის. იდეალები უნდა ვეძებოთ არა გამორჩეულობასა და განსაკუთრებულობაში, არა-მედ ჩვეულებრიობასა და ნორმალურობაში.

შრომის სიყვარული — აი, რას ვუსურვებ ახალგაზრდობას, რადგან იოანე ოქროპირის თქმით, მცონარეობას მრავალი ბოროტება უსწავლებია ადამიანისათვის.

მეტი კავშირი ბუნებასთან. განსაკუთრებით მიწასთან. ჩვენ მოწოდებით მიწათმოქმედნი ვართ. ყოველ ჩვენგანში უნდა ვიგრძნოთ ადამი, ჩვენ უნდა ადამი აღვზარდოთ.

— ბატონო ერლომ, რატომ უჭირს დღეს ინტელიგენციას ეკლესიას-თან კავშირი?

— ინტელიგენტი გონიერივ შრომასთანაა დაკავშირებული და ის, ბუნებრივია, ყველაფერს განიხილავს. ამავე დროს, არის საგნები, რომელთა განხილვა შეუძლებელია. ის, რასაც ვერ განიხილავს, იმას არ იწოდების ცოდნის გაცილებით უკეთესად ჩამოაყალიბა დიდმა ილიამ). გონიერა თუ არ არის სულიერების სამსახურში, ის ხდება საშინელი იარაღი მის ნინააღმდეგ. არის ცოდნა, რომელიც გვაღრმავებს უმეცრებაში.

— როგორ ფიქრობთ, ხომ არ ეშინიათ მათ პიროვნული თავისუფლების დაკარგვისა?

— დიახ. პიროვნულობის დაკარგვის ეშინიათ. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია და არც მთლად უსაფუძვლო. მაგრამ ეს მხოლოდ გარედან ჩანს ასე. სინამდვილეში, ეკლესიაში ჩვენი პიროვნული თვისებები სხვა სახეს იღებს, სხვაგვარად ვლინდება. მაგრამ რატომ უნდა დაინტერესდეს ინტელიგენტი — რა სფეროა ეს სწორედ გონებისული თვალსაზრისით. რასაკვირველია, აქ მას არ უშველის თავისი პირადი გამოცდილება და უნარი. მას აქ სჭირდება მოძლვარი, სულიერი მოძლვარი. ის, შესაძლოა, ვერ გაუტოლდება მის ინტელექტუალურ დონეს გარკვეულ სფეროში, მაგრამ ამ შემთხვევაში სრულიად კომპეტენტურია, — მას გავლილი აქვს ეს გზა და იცის ეს გზა, რადგან ეს არ არის მხოლოდ მისი პირადი გამოცდილება, არამედ ეს არის მთელი ეკლესიის გამოცდილება.

აქვე მინდა კიდევ ერთ საკითხს შევეხო. ხშირად გამიგონია საუბარი იმაზე, რომ ღვთისმასახურება ხანგრძლივად მიმდინარეობს. ამ გარემოებას, თავდაპირველად, მეც მივაქციე ყურადღება, მეც გამიჩნდა ეს განცდა. მაგრამ აქ მთავარია, თუ რისთვის დადიხარ ეკლესიაში... ჩვენ დღეს უაღრესად რთულ, დაძაბულ და ცდუნებებით სავსე გარემოში ვცხოვრობთ. ერთი სიტყვით — „შორის საფრთხეთა მრავალთა ვვალთ“. არამყარია ჩვენი სულიერი მდგომარეობა. ხშირად ვვარდებით სასონარკვეთაში და ხანდახან — სრულიად წვრილმან და ამაო მიზეზთა გამოც. არ ვიცით, როგორ ვებრძოლოთ ჩვენს სისუსტეებს. რა გზით ვიაროთ. ვემყარებით არამყარსა

და დროებითს... და ჩვენც მივდივართ ეკლესიაში, რათა ალვიდგინოთ სულიერი წონასწორობა. განვახლდეთ სულიერად, გავძლიერდეთ. დავძლიოთ სასონარკვეთა. დავძლიოთ საკუთარი სისუსტეები მისხალ-მისხალ/ნაბეჭდი/ ნაბიჯ... ნაყოფს დასამწიფებლად დრო სჭირდება, გარკვეული ციკლის გავლა. ასევეა სულიერი ნაყოფიც. თუ ის არ მომწიფდა, მას ფასი არა აქვს, ის მოუმწიფარი დარჩება. ეს ის ოპტიმალური დროა, როცა ამღვრეული მაცოცხლებელი წყაროს წყალი დაინტინდება...

— ბატონი ერლომ, როგორ ხედავთ უახლოეს წარსულს, ვგულისხმობ კომუნისტების დროს. როგორ ხედავთ აწმყოს?

— მე დავიბადე 1933 წელს, ასე ვთქვათ, შუაგულ სოციალიზმში. დავიბადე აქ და აქვე უნდა მიმეღონ და მენახა ჩემი ადამიანური შესაძლებლობების რეალიზაცია. სხვა არჩევანი არ მქონდა. კომუნისტურ პარტიაში არ შევსულვარ, მაგრამ ამით არ ვამაყობ. ვერაფრით გავიზიარებ იმ აზრს, რომ ის 74 წელიწადი, მისი ყველა შავი მხარის გათვალისწინებით, ფუჭი და გამორჩენილი დროა. არავინ იცის, შესაძლოა სწორედ ის დრო იყო ჩვენი დაბრუნების აუცილებელი პირობა, ყველაფერში, მაგრამ ყველაზე ნათლად ისტორიაში. არაფერი ხდება ღვთის ნების გარეშე. მაგალითისთვის ავილოთ რუსეთის რევოლუცია. ბოლშევიზმმა გამოავლინა და გახსნა მონოლითური რუსეთის იმპერიის ყველა ცოდვა და წინააღმდეგობანი. გახსნილი ჭრილობა კი უფრო ადვილი სამკურნალოა, ვიდრე დაფარული. აი, ამ კონტექსტში კომუნისტური წყობა არის უდიდესი ისტორიული და სულიერი გამოცდილება მოთმინებისა, თვითშეზღუდვისა. ახალ დროზე კი იმას მოგახსენებთ, რომ მივიღეთ თუ არა თავისუფლება, მყის გამომუდავნდა ჩვენი მოუთმენლობა, სულსწრაფობა. ნებისმიერი წარსულის უარყოფა გმობაა, ღმერთის ჩანაფიქრის გმობა. ჩვენს წინა თაობებთან და იმის წინა თაობებთანაც უნდა გვქონდეს კავშირი. ეს კავშირი უნდა აღნიშნული იყოს ჩვენში. ხომ არ შეიძლება ხე იზრდებოდეს, შემდეგ წყდებოდეს და მერე კვლავ აგრძელებდეს ზრდას.

ახლა კვლავ ჩვენს დროს დავუბრუნდეთ. დღეს სერიოზულად დგას საკითხი საქართველოს იმ მრავალსაუკუნოვანი ცხოვრების წესის წინააღმდეგ, რომელიც უახლოეს წარსულში ფარულად მაინც მიედინებოდა. უკან თხელ მეუფე დანიელმა თქვა: ისე შემოდის ახალი რელიგიები და სექტები ჩვენთან, თითქოს აქ სიცარიელე დახვდათო.

— ახლა თქვენ ახალ რელიგიებს შეეხეთ. როგორი დამოკიდებულება გაქვთ თქვენ სხვა რელიგიებისადმი?

— ადამიანურ განზომილებაში მე ყველასთან მაქვს ურთიერთობა, თუ ის არ შეეხება ჩემს აღმსარებლობას და არ მოიწადინებს ჩემს გადაბირებას. ამ მხრივ, ახალი რელიგიებისა და სექტების განწირულობის პირველი ნიშანია ის, რომ ისინი აგრესიულები არიან. მართლმადიდებლობა კიდევ იმით არის ჩემთვის სანიმუშო, რომ როცა ადამიანს უხმობს ღმერთი, თავად ადამიანი მიდის მასთან. უძლები შვილის ისტორია სწორედ ეს არის, რომ შვილი წავიდა მამისგან, მამა არ გაყოლია მას და მერე შვილი კვლავ დაუბრუნდა მამას. სხვა რელიგიებზე სხვას ვერაფერს გეტიყვით. ჩემი აღმსარებლობა მე ყველაფრისთვის მყოფნის და სხვა გზას ვერ ვხედავ...

— ძალიან ხშირად ხელოვნებას აიგივებენ სულიერებასთან. თქვენი აზრით, არის თუ არა ამ ორ ცნებას შორის კავშირი?

— ერთი მაგალითი მინდა მოვიყავო. მამა ზურაბმა ერთხელ ასეთი შენიშვნა მისცა მგალობლებს: გალობა ლოცვაა და არა სიმღერა. ეს განსხვავება ხელოვნებასა და სულიერებას შორის ძალიან ზუსტია. ჩვენ შეიძლება მოგვხიბლოს ვირტუოზულმა დაკვრამ, მაგრამ ვერასოდეს ეს შესრულება ვერ ავა ჭეშმარიტ სულიერებამდე. სულიერება უნაშთოა, ხოლო ხელოვნებას ყოველთვის რჩება ნაშთი, რადგან ის ემოციებთანაა კავშირში. სულიერება სწორედ ის არის, რომ თავისთვის არაფერს გთხოვს.

— გაგჩენიათ თუ არა სურვილი, რომ თქვენი ეს განცდები ქალალდზე გადაგეტანათ?

— ერთხელ პატრიარქმა დამიბარა და მირჩია, საბავშვო მოთხოვნები დამენერა რელიგიურ თემატიკაზე. დავიწყე თუ არა ნერა, კალამი ლიტერატურისკენ ნავიდა. მამა ზურაბის თქმის არ იყოს, ეს ვერ ლოცვან იყო.

10 აპრილი, 1999

ଓଡ଼ିଆ

27 თებერვალი. სამშაბათი.

მთელი ქალაქი მოვიარე და ფორთოხალი მაინც ვერ ვიშოვე. ხელცა-რიელი ხომ არ დავპრუნდებოდი შინ და ვიყიდე წიგნი სიუვარულისა.

რა ვუყო ახლა ამ წიგნს? ყდაც რომ შემოვაფცევნა, მაინც არ იჭმება.

მოდი, დავწვავ!

28 თებერვალი. ოთხშაბათი.

გვიან გავიღვიძე. ხელ-პირი დავიბანე, ვისაუზმე და ის იყო შინიდან ვა-პირებდი გასვლას, რომ მაგიდაზე დავინახე წიგნი სიუვარულისა. სამსა-ხურში მაგვიანდებოდა და ამიტომ წიგნის დაწვა საღამოსათვის გადავდე.

28 თებერვალი. ოთხშაბათი. საღამო.

დაღლილი დავპრუნდი შინ. არ მინდოდა დაღლილს დამენვა წიგნი სიუ-ვარულისა და ამიტომ წიგნის დაწვა ხვალისთვის გადავდე.

29 თებერვალი. ხუთშაბათი.

ადრე გამეღვიძა. უძილობა დამჩერდა ამ ბოლო დროს და ამიტომ წიგ-ნის დაწვა ხვალისთვის გადავდე.

30 თებერვალი. შაბათი.

დღეს კვირაა. უკვე სამი დღეა, რაც სულ კვირაა. არ მინდა კვირაობით დამწვარი ქალალდის სუნი იდგეს ოთახში და ამიტომ წიგნს შაბათს დავ-წვავ.

33 თებერვალი. ოთხშაბათი

დღეს მთელი დღე ვოცნებობდი, თუ როგორ დავწვავ სიუვარულის წიგნს: მომცემენ ჯამაგირს; ვიყიდი ლვინოს, ძეხვს, წინილებს, პურს, ტყემლის სა-ნებელს, კარტოფილს, მწვანილს, მოვამზადებ თორმეტი კვერცხის ტაფამ-წვარს; არავის არ დავპატიჟებ; გავშლი სუფრას; მაგიდას მივუდგამ ოთხ

სკამს — ერთი მე მაქვს, სამსაც მეზობელს გამოვართმევ; ოთხივე მხარეს მივუჯდები — ზოგს რა უყვარს და ზოგს რა; ხან ამას მივირთმევ და ხან იმას გეახლებით; ბოლოს, როგორც იქნება, დავნაყრდები, შეცმილს შედეს ბი; ერთ ჭიქას იატავზე დავაგდებ — შეიძლება არც გატყდეს; დავთვრები, დავწერ და დავიძინებ — შეიძლება სიზმარიც ვნახო.

როდის იქნება ჯამაგირი? ჴო, 31 თებერვალს.

35 თებერვალი. სამშაბათი.

ცოტა თავი მტკიცა იმღამინდელი ოცნებისაგან. ნაბახუსევიცა ვარ. კარგად აღარ მახსოვს, მე ვნახე სიზმარში წიგნი თუ წიგნმა მნახა მე. ერთი ნათელი იყო; მე პატარა ვიყავი, წიგნი — დიდი. ოჴ, ოჴ! რა ცეხცლს შევუნთებდი, რა კვამლი აუცილებლად, მართლაც ისეთი დიდი რომ ყოფილიყო ეს წიგნი? აფხუს, რა პატარა წიგნებს უშვებენ სიყვარულზე?

36 თებერვალი. კვირა.

დღეს არა და ხვალ აუცილებლად დავწერ ვავ წიგნს. ის შეიძლება ხვალი-სათვის ცოტა კიდევ გაიზარდოს.

38 თებერვალი. სამშაბათი.

გავიღვიძე. ავდექი. ხელ-პირი დავიბანე. თმა დავივარცხნე. ის იყო საუზმის ჭამას ვაპირებდი, რომ მაგიდაზე შევნიშნე წიგნი სიყვარულისა. ისე-დაც ცუდი მადა მაქვს და აქ კიდევ ეს წიგნი! მიველ მაგიდასთან, ორი თითო ავიღე წიგნი და პიანინოზე დავაგდე. შემდეგ ხელები საპნით დავიბანე, მაგრამ მაინც ვერ შევძელი საუზმის ჭამა.

ხვალ აუცილებლად დავწერ ვავ წიგნს, აუცილებლად!

40 თებერვალი. შპაბათი.

წუხელ ცუდი სიზმარი ვნახე. მესიზმრა ჩემი ოთახი, ჩემი პიანინო და მასზე წიგნი, რომელიც მერცხლად ქცეულიყო. შემეშინდა, არ გამიფრინდეს მეთქი და მისი დაჭერა გადავწყვიტე. დიდხანს ვდიე და ამ დევნაში ყველაფერი, რაც ოთახში იყო, დავამსხვრიე. რას ვჩიოდი — მაინც სიზმარია მეთქი. მერცხალი კედლებს ეხეთქებოდა, მინებს აწყდებოდა — გარეთ

გასაფრენად გზას ეძებდა. სისხლი სდიოდა საბრალოს, მაგრამ მე სულ არ
მებრალებოდა. აღარ მახსოვეს, როგორ გააღწია სახლიდან. ცისკვენ გაფ-
რინდა. თოფს დავტაცე ხელი და ფანჯარა გავაღე. ვესროლე მერცხნალს და
ავაცილე. სამაგიეროდ, ცას მოვახვედრე და ჩამოვანგრიე. მერცხალი იმ ჩა-
მონგრეულში გაუჩინარდა...

გამეღვიძა, წიგნი პიანინოზე იდო.

43 თებერვალი. ორშაბათი.

ხვალ ხუთშაბათია და ამიტომ წიგნს ზეგ დავწვავ.

47 თებერვალი. კვირა.

დღეს ქარი ქრის. რამდენჯერაც გავკარი ასანთს, იმდენჯერ ქარმა ჩააქ-
რო. ყველა ფანჯარა და კარი გამოვალე, რათა დროზე დაცლილიყო ამინ-
დი ქარისაგან. ხვალ, ალბათ, ქარი ჩადგება, ასანთი არ ჩამიქრება და დავ-
წვავ სიყვარულის წიგნს.

51 თებერვალი. პარასკევი.

გამეღვიძა. ამ ბოლო დროს ძალიან მიყვარს გამოღვიძება, რადგან ვი-
ცი, რაღაც სასიამოვნო მელის. ჯერ ვერ ვხვდები, რა მელის სასიამოვნო.
შემდეგ ვხვდები — ეს არის წიგნი, რომელიც უნდა დავწვა.

53 თებერვალი. ხუთშაბათი.

არ მახსოვეს, წუხელ მეძინა თუ არა. სიზმარი კი მაინც ვნახე. წიგნი სიყ-
ვარულისა უზარმაზარ გემად ქცეულიყო და უხერხულად იდგა კლდეებს
შორის. გემქვეშ ჰატარა გუბე იყო. გუბეში ერთი ბაყაყი იჯდა და ყიყინებ-
და. გემბანის მოაჯირთან მდგარი თეთრებში გამოწყობილი მგზავრები ხე-
ლებს იქნევდნენ. გულში ვფიქრობდი: გემი არსად მიდის, მგზავრებს არა-
ვინ აცილებს, ირგვლივ შიშველი კლდეები და ლოდებია — ვის ეთხოვებიან
მგზავრები?! გაკვირვებულს გამომეღვიძა და ახლაც მიკვირს.

59 თებერვალი. ოთხშაბათი.

წიგნის დანვა ხვალისთვის გადავდე შემდეგი გარემოების გამო: დილას
პიანინოდან დიდი ლამაზი სურა გადმოვარდა და გატყდა. სალამომდე მო-

ვუნდი სურის ნამსხვრევების ფეხით დაფშვნას. ბოლოს ლამაზი სურისაგან
ნაცრისფერი ფხვნილი დარჩა. დავიღალე.



62 თებერვალი. სამზაბათი.

ვინმე რომ მოვიდეს და მეითხოს: წიგნს დაწვავდი თუ ხელს მოიჭრიდიო,
არც კი დავთიქრდებოდი ისე უჟპასუხებდი — წიგნს დავწვავდი მეთქი.

65 თებერვალი. კვირა.

მშვენიერი დილა გათენდა. სულ არ შეეფერება ასეთი დილა თებერ-
ვალს და, ამიტომ წიგნის დაწვა ზეგისთვის გადავდე.

69 თებერვალი. სამზაბათი.

გათვადა. მორჩა. დღეს აუცილებლად დაწვავ სიყვარულის წიგნს. სად
დავდე წიგნი? კარგად მახსოვს პიანინოზე იდო ბოლოს. ყველგან ვეძებე:
უჯრებში, მაგიდაზე, საკუჭნაოში, პიანინოს ქვეშ, სამზარეულოში, წიგნის
თაროებზე (უამრავი წიგნი იყო და არც ერთი იმათგანი არ იყო წიგნი სიყ-
ვარულისა), ჩემოდნებში, კარადებში; სპეციალურად ვიყიდე დღეს სერვან-
ტი — არც იმაზე იდო სიყვარულის წიგნი. პიანინოზე არ მინახავს — რაღა
მაინცდამაინც პიანინოზე იქნება მეთქი.

თვალი მაინც გავაპარე — პიანინოზე იდო, ოლონდ თვალებს არ დავუ-
კერვ.

ვერ ვიპოვე წიგნი სიყვარულისა და ამიტომ ვერ დავწვი იგი. რომ და-
მენვა, შემდეგ რაღა მეპოვნა?!

73 თებერვალი. ხუთშაბათი.

დღეს 31 თებერვალია. როგორც იქნა, მომცეს ჯამაგირი. ვიყიდე ღვინო,
პური, ყველი, კარაქი, ნინილები, ტყეებლის სანებელი, მწვანილი, ლობიო,
კვერცხები და არავინ არ დავპატიუე. მეზობელს სამი სკამი გამოვართვი.
ერთი მე მქონდა. მაგიდის ოთხივე მხარეს თითო სკამი მივუდგი. ოთხივე
მხარეს მე მივუჯექი და ხან ამას ვჭამდი და ხან იმას. დავწაყრდი. შევზარ-
ხოშდი. ჭიქა იატაკზე დავაგდე. არ გატყდა. დავთვერი, დავწექი და დავიძი-
ნე. მესიზმრა:

ნიგნი იდგა ერთ ვრცელ მინდორზე და ცას სწვდებოდა. დიდხანს ვუა-
რე გარს და შესასვლელი ვერ ვუპოვე. ვიდექი და ვუცეკეროდი სიყვარუ-
ლის უზარმაზარ ნიგნს... უცებ, ნიგნს ბოლი ავარდა. ნელ-ნელი გადას-
სნა იგი და მე დავინახე, ფურცლებს როგორ მოსდებოდა ალი. ცეცხლის
უზარმაზარ ენებს შორის გავარჩიე უჩვეულო ხედები: თვალუნვდენე-
ლი ველები, მყუდრო ქოხები, მშვიდი ტბები და იალქნიანი ნავები ტბებ-
ში, მზის ამოსვლა და მზის ჩასვლა, დათვი ხეზე მთვარიან ღამეში, უზარ-
მაზარი ხმაურიანი ქალაქები, მყუდროდ ჩაბურული მდინარის ნაპირე-
ბი... და ერთი ნათელი დღე — ფურცელი, რომელსაც ცეცხლი აღამებდა
და აშავებდა. ნიგნი სულ იხსნებოდა და იხსნებოდა. მე ცეცხლის ენებს
შორის გავარჩიე უამრავი შეყვარებული. ისინი კოცნიდნენ, ეფერებოდ-
ნენ, ამშვიდებდნენ, ეთხოვებოდნენ ერთმანეთს — ვაჟები და ქალები.
ყველა სევდისმომგვრელად ლამაზი იყო. იხსნებოდა და იხსნებოდა ნიგ-
ნი და ფურცლებსა და ცეცხლს შორის სულ ახალი და ახალი სახეები
ჩნდებოდა... ალი ცას სწვდებოდა. ვუცეკეროდი და ოფლი მდიოდა მხურ-
ვალებისაგან...

გამომელვინა. არ დამზარებია პიანინოსთან მისვლა. ნიგნი მშვიდად იდო
პიანინოზე.

75 თებერვალი. კვირა.

წვიმდა. ვიდექი ფანჯარასთან და ვიწრო, ქვით მოკირნყლულ ქუჩას
დაცულებდი. არავინ არ იყო ქუჩაში. მხოლოდ ერთხელ გამოჩნდა პალტო-
მოხურული გოგონა, რომელმაც ქუჩა გადაირბინა. კიდევ დიდხანს ვიდექი
ფანჯარასთან და დაცეკეროდი ქუჩას.

76 თებერვალი. კვირა.

ყველას უკვირს ჩემ გარდა — დღეს ასეთი ოთხკუთხედი მზე რომ ამო-
ვიდა ალმოსავლეთიდან. მე ვიცანი ჩემი სიყვარულის ნიგნი. არა უშავს, გა-
ვიფიქრე: სალამოს სად ჩავა იგი, თუ არა ჩემს ოთახში?!

ბოლოს და ბოლოს, მე ვიყიდე იგი, ცას ხომ არ უყიდია?!

77 თებერვალი. პარასკევი.

შემხვდა ნაცნობი. მკითხა. მეც ვუპასუხე. მან კვლავ მკითხა. მე კვლავ ვუპასუხე. შემდეგ მე კვითხე. მან არ მიპასუხა.

ახლა აღარ მახსოვს, რა მკითხა და რა ვუპასუხე. ისიც არ მახსოვს, რა ვკითხე და რაზე არ მიპასუხა. არც ის მახსოვს, ნაცნობი შემხვდა თუ უცნობი. არც ის მაგონდება, მყავს თუ არა ნაცნობი საერთოდ... გულმავინყობა დამჩემდა ამ ბოლო დროს და ამიტომ წიგნის დაწვა გადამავინყდა.

79 თებერვალი. სამშაბათი.

მართალი გითხრათ, აღარ მსურს წიგნის დაწვა. შეგაწევი თვალი მას და ასე მგონია, დაბადებიდანვე ამ პიანინოზე იდო იგო. როგორც ეს ხელი, ისე შემეთვისა, შემესისხლხორცა. იყოს, რას მიშლის?! რატომ უნდა დავწვა?!

უკეთესია, ხელს მოვიჭრი.

29 მარტი. ოთხშაბათი.

შემიყვარდა სიყვარულის წიგნი.

1 აპრილი. შაბათი.

დღეს არა და ხვალ აუცილებლად წავიკითხავ სიყვარულის წიგნს.

3 აპრილი. ორშაბათი.

გავიღვიძე. რალაცა მიხარია. ჯერ ვერ ვხვდები, რა მიხარია. შემდეგ ვხვდები — ეს არის წიგნი სიყვარულისა, რომელიც უნდა წავიკითხო. ავდექი. ხელ-პირი დავიბანე. ვისაუზმე, ხელ-პირი კვლავ დავიბანე. ავიღე პიანინოდან წიგნი და მაგიდას მივუჯექი. გადავშალე... წიგნი შიგნიდან სულ შავად ჩაფერფლილიყ...

გულამოსკვნით ავტირდი...

9 აპრილი. ჟურნალი.

მთელი ქალაქი დავიარე, მაგრამ ვერსად ვერ ვნახე წიგნი სიყვარულისა. გამყიდველმა მითხრა, თითო კაცზე თითო იყოო. ხელცარიელი ხომ არ დავბრუნდებოდი შინ და ფორთოხალი ვიყიდე.

მერე?..

ගාමින් පුළුවෙලි — මහානා පාර්ශ්වඝිත;
 රුදාශේත්‍රින් — ප්‍රාත්‍යා තැපෙළු ජ්‍යෙෂ්ඨ;
 දිජානින්දින් — ගිණු සානාදිතරාජී;
 ඇඟ්‍රෑස් — ගාම්පා මැහිඛාලාජ්‍යභාෂි;
 දාම්පාඩාදින්දේජ්‍යෙලි — ඡාත්‍ය තාත්‍යභාෂි;
 ගැඹුරාත්‍රින් — මධ්‍ය කිඹාස්‍රාමිනා;
 ජාරුජේත්‍රින් — ගිණු තුළුවාරා;

අභ්‍යුත්‍ය දා දායාරාදින්ද උග්‍රීලිස තාත්‍යභාෂි” ප්‍රාත්‍යාගුම්‍යාරුණ පොන්නඩි
 තබෙලිසි, මාරුජාගොජ්‍යභාෂි 5.
 ඩ. 96 91 81.

දායාරාදින්ද ජිව්‍ය “සේඛාජෝ”
 තබෙලිසි, තොරාතෙලි 140.
 ඩ. 91 08 53, 43 30 85.

၁၃၀၈ ၀ၩ၈
၃

ပြည်ထောင်စုရွှေမြို့
ဆေးလဲပေါက်တော်

ရွှေမြို့၏ သုတေသန

ရွှေမြို့၏ သုတေသန